# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 29 (389) ◆ 22 – 28 ივლისი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## რატომ გაარტყა გია ყარყარაშვილმა იგორ გიორგაძეს



იგორს და გიას კამათი მოუვიდათ. გიას უთქვამს, – სამშობლოსათვის 37 ნატყვიარი მაქვს სხეულზეო. იგორს უთქვამს, 37 ნატყვიარი კი არა, ნაწემსარი გაქვსო. გია ყარყარაშვილს გაურტყამს გიორგაძისთვის და გასასვლელისკენ წასულა. გიორგაძეს რაციით გადაუცია თავისი რაზმისთვის – „Ко мне!" გასასვლელში გიორგაძის ხალხი ყარყარაშვილს გადააწყდა... გვ.5

## რა მოხდა 19 ივლისს „თავდაცვაში"?



გვ.8

როგორც ამბობენ, სწორედ ჯანჯღავამ მისცა ინფორმაცია პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს და შესაძლოა „ახალ მემარჯვენეებსაც". ამ კომიტეტის სხდომაზე პოლიტიკოსებმა კარგად შეაფუცხუნეს მინისტრი თევზაძე და მისი გუნდი, რასაც, ეტყობა, საპასუხო რეაქციაც მოჰყვა.

მინისტრობის პირობა ჯანჯღავას ამერიკელებმა მისცეს?

## მგზავრობა ეტაპით „წითელი ზონის" პატიმრებთან ერთად...

– მე კი ვიცი, რაზეც ვზივარ და შენც იცი, ვინცა ვარ. შენ რა გგონია, ვერ შევამჩნიე, დეპარტამენტის თანამშრომელმა ჩემზე რომ მიგითითა – ეგ არის ზონის მაყურებელიო. ისიც ვიცი, ჯიბეში დიქტოფონი რომ გაქვს. მაგას ვჭამ მე?

„შეწყალებას მაინც არ მოვითხოვ ზოგიერთებივით. პატიებას მხოლოდ ღმერთს ვევედრები. პრეზიდენტი ციხიდან იმას უშვებს, ვინც სჭირდება, ან ვისაც დიდი მფარველი ჰყავს. ანარქისტი მახნო ხომ გაგიგია, სწორედ მახნოსავით იცავს პრეზიდენტი თავის ყაჩაღებს და ბანდიტებს..."



„კვირის პალიტრის" ჟურნალისტის ექსკლუზიური რეპორტაჟი საეტ-ვაგონიდან გვ.6,10

### ეკონომიკა-ბიზნესი:

## რას წარმოადგენს ოფშორი

მთავარია, ნამდვილი მეპატრონის ვინაობა დაიმალოს...

*როგორ ხდება ფულის გათეთრება?*

*რაში მდგომარეობს ამ ფოკუსის საიდუმლო?*

*რა ჯდება ერთი ოფშორული ფირმის რეგისტრირება?* გვ.27

## რუსეთის სამხედრო დაზვერვამ და ქართულმა პარტიულმა ნომენკლატურამ შვა „მხედრიონი", „მხედრიონმა" – მოქალაქეთა კავშირი, მოქკავშირმა – ოლიგარქები, ოლიგარქებმა – დაშლილი, გაძარცული საქართველო!

გვ.3

*გიორგი გაჩეჩილაძე*

## მკითხველის პრემია

თქვენ ირჩევთ, ჩვენ ვაჯილდოებთ გვ.35

### ჩანართი

საკანონმდებლო ქრონიკა

DURA LEX SED LEX

გვერდი 17-20

### ნამდვილი ამბავი:

## გოგია-კუკარაჩა, ტყეებიდან დახსნილი ჩიტები და პატარა სანდრო...

რაც მოხდა, ლამაზი ფილმის სიუჟეტს უფრო წააგავს და გულწრფელად თანავუგრძნობ ყველას, ვინც იმ კადრებს ვერ შეესწრო... გვ.12

## ქართველი პოლიციელის ამერიკული თავგადასავალი...



„მაპატიეთ, შაბათს სექსის დღე მაქვს და ვერ დაგეხმარებით" გვ.11

## ყველაზე რომანტიკოსი ქართველი პოლიტიკოსი

მკითხველის ტესტი გვ.35

### რას წერენ ჩვენზე:

## БОМБИТЬ ГРУЗИЮ?



ამერიკამ მშვენიერი მაგალითი მისცა მსოფლიოს იმისა, თუ როგორ უნდა ებრძოლო იმ ქვეყნის რეჟიმს, ვინც ტერორისტებს იფარებს.

ავღანეთის დაბომბვის შემდეგ თალიბების რეჟიმი კი დაეცა, მაგრამ ბინ ლადენი ცოცხალი დარჩა. მგონი, რუსეთს შევარდნაძის დაცემა არ უნდა, მას მხოლოდ გოჩიაევი უნდა. ჰოდა, მოგვეცით, რა... გვ.14 „Версия"

### ვერსია

## ძმათა შთამომავალნი ერთმანეთს კაცობას აფიცებდნენ...

გვ.10

აქამდე არასოდეს გახსენებია მალხაზს ბაბუის მიერ მონათხრობი ლეგენდა თავისი გვარის წარმოშობის შესახებ, მაგრამ ახლა ერთბაშად აღიდგინა ამ ლეგენდის ყველა დეტალი და ნათესავივით მიმართა დამხვდურს: – გოჩა, ძმაო, შენი მოგვარე ვარ მე და არც შევარდნაძეს ვემსახურები და არც გამსახურდიას. აქ ვისაც გვხედავ, საქართველოს პატრიოტები ვართ ყველანი. მანქანებში ოცდაათამდე დაჭრილი გვიწევს. ახლა შენ კაცობაზეა, თუ იარაღს არ აგვყრი, სიკვდილამდე შენი მადლობელი ვიქნები, მით უმეტეს, რომ ალბათ მალე დავბრუნდებით უკან და დაგვჭირდება, – უთხრა და თვალებში ჯიქურ შეხედა.

– გაატარეთ, – ეს ერთადერთი სიტყვა უთხრა თავისიანებს არაჩემიამ.

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## დასკვნას შესაძლოა კანცელარიის ჩინოვნიკები შეეწიროს

ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მოძიებულ მასალებს და მის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას შეიძლება ბევრი მაღალი თანამდებობის ყოფილი თუ მოქმედი ჩინოვნიკი შეეწიროს. ამჯერად ლაპარაკია მხოლოდ კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს შეფზე დავით გიორგობიანსა და კანცელარიის აპარატის უფროს პეტრე მამრაძეზე. გიორგობიანის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი ანტიკორუფციულმა საბჭომ უკვე დასვა პრეზიდენტის წინაშე, პეტრე მამრაძეს კი თავის გასამართლებლად ერთი კვირის ვადა მისცეს! საქმე ეხება გახმაურებულ კორუფციულ სკანდალს, რომელიც ფოთის გემსაშენის „პრივატიზებასთან", სინამდვილეში კი მის გაკოტრებასთანაა დაკავშირებული. ოთხი წლის წინ სააქციო საზოგადოება „ფოთის გემსაშენის" 99,39% ოფშორულ ზონაში დაარსებულმა ერთ-ერთმა ფირმამ შეისყიდა. არადა, მთავრობის სხდომაზე ქონების მართვის მაშინდელმა მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ ბრძანა, რომ გემსაშენის მხოლოდ 51% უნდა გასხვისებულიყო, მაგრამ სხდომის შემდეგ ეს ციფრი დოკუმენტში გადაკეთდა და დაფიქსირდა 99,39%-ის გასხვისება. გაირკვა ისიც, რომ გემსაშენის შემსყიდველი ფირმა ოფშორულ ზონაში საერთოდ არ არსებობს(!). ანტიკორუფციული საბჭო ახლა პეტრე მამრაძისგან ითხოვს ყველა იმ დოკუმენტს, სტენოგრამულ ჩანაწერს, სადაც იმ ჩინოვნიკთა გვარებია დაფიქსირებული, რომლებიც გემსაშენის „პრივატიზაციაში" იღებდნენ მონაწილეობას.

## ნაციონალები კვლავ წამოაყენებენ ულტიმატუმს

ნაციონალური მოძრაობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელმაც ძალაში დატოვა არჩევნების შედეგები, კვლავ კატეგორიულად მოითხოვს თბილისის საკრებულოს პირველი სხდომის დანიშვნას, არჩეული საკრებულოს მუშაობის დაწყებას და ბიულეტენების გადათვლას. ცესკო კი გაიძახის, რომ ბიულეტენების გადათვლისთვის ხაზინიდან თანხები არ არის გამოყოფილი. ნაციონალები დარწმუნებულნი არიან, რომ ბიულეტენების გადათვლასაც და საკრებულოს მუშაობის დაწყებასაც ხელისუფლება შეგნებულად აჭიანურებს. გარდა ამისა, რუსთავის საკრებულოში უმრავლესობით შესული ნაციონალები საკრებულოს პირველსავე სხდომაზე კიდევ ერთხელ წაუყენებენ ულტიმატუმს შევარდნაძეს მამალაძის გადაყენების მოთხოვნით და იმუქრებიან, რომ თუ პრეზიდენტი ამჯერადაც არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, ნაციონალები აამუშავებენ ლოზუნგს — „საქართველო შევარდნაძის გარეშე"!

## ევნეევი ყოველთვის „საქმეზე" ჩამოდის

კოდორის ხეობაში, სოფელ ლათას მიდამოებში, აფხაზ სეპარატისტთა რაზმების სამხედრო-ტაქტიკური სწავლება მიმდინარეობს. ეს ის რაზმებია, რომლებსაც გასულ წელს ებრძოდა აფხაზეთში გადასული რუსლან გელაევის შენაერთი. ამ ე. წ. სწავლებისას კოდორის ხეობაში იმყოფება რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე გენერალი ევნეევი, რომელიც სოფელ აჟარაში რუსული დესანტის გახმაურებული გადასხდომის დროსაც სოხუმში ბრძანდებოდა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, აფხაზეთში ევნეევის გამოჩენა მსგავსი მოვლენებისას შემთხვევითი არ არის და ის სეპარატისტებისა და რუსების ერთობლივ გეგმებთან უნდა იყოს დაკავშირებული!

## პრობლემა კვლავ ჰაერშია გამოკიდებული

კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება გალის რაიონის სკოლებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ქართული ენისა და ლიტერატურის სრულფასოვანი სწავლების საქმე. გალის რაიონში ათასობით ქართველი ბავშვია, სკოლებში კი სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს და ქართულ ენას „უცხო ენის" კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული(!). არადა, ახლოვდება სექტემბერი, პრობლემა კი კვლავ ჰაერშია გამოკიდებული. სეპარატისტები მოსკოვიდან მისული ინსტრუქციებით მოქმედებენ, რომლის ერთ-ერთი მიზანიცაა გალის რაიონის გარუსება!

თბილისში მორიგი ვიზიტით ჩამოსულმა პუტინის წარმომადგენელმა აფხაზეთის საკითხებში ვალერი ლოშჩინინმა კი ამჯერადაც ახალი ვერაფერი გვითხრა კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივის შესახებ და შევარდნაძის შემდეგ ასლან აბაშიძეს ეწვია, თუმცა არც ბათუმში თქმულა რაიმე არსებითი...

## ბუშის ახალი სტრატეგიის თანახმად

თბილისში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის ფინანსთა მინისტრი პოლ ო' ნილი, რომელმაც დახურულ კარს მიღმა გამართა მოლაპარაკებები პრეზიდენტ შევარდნაძესთან. პოლ ო' ნილმა რამდენიმე კერძო ქართული საწარმოც მოინახულა, უწინარესად, რუსთავის „აზოტი". მან ქართულ მხარეს გააცნო პრეზიდენტ ბუშის ახალი სტრატეგიის მიმართულებები, რომლის თანახმადაც ანტიტერორისტული კოალიციის აქტიურ წევრ და აშშ-ის პარტნიორ განვითარებად სახელმწიფოებს ვაშინგტონი დამატებით გამოუყოფს 5 მილიარდ დოლარს (ლაპარაკია უკრაინაზე, საქართველოზე, უზბეკეთსა და ყაზახეთზე), რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უნდა მოხმარდეს. იმავდროულად, ჯორჯ ბუშის სტრატეგია ითვალისწინებს პოსტსაბჭოურ სივრცეში ფულის „გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლას და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას, ასევე ტერორისტული ორგანიზაციების დამაფინანსებელი აქტივების გაყინვას. პოლ ო' ნილმა ისიც თქვა, რომ ვაშინგტონი მკაცრად გაუწევს მეთვალყურეობას საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის პროცესს, კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლის მიმდინარეობას და შედეგების შესაბამისად გაუგრძელებს ფინანსურ დახმარებას საქართველოს!

## პროგრამა მაინც განხორციელდება

ხელისუფლებასა და პარლამენტში გამოთქმულ შეშფოთებას, რომ ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის რეალიზაციას საფრთხე ემუქრება, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ დაუსვა წერტილი, რომელიც პროგრამის მიმდინარეობას პირადად გაუწევს კონტროლს! თედო ჯაფარიძემ ისიც ბრძანა, აღნიშნული პროგრამის შესაძლო ჩაშლის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებით უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები არიან დაინტერესებულნი, მაგრამ მათი მიზანი ამაოა და პროგრამა განხორციელდებაო. ოპტიმისტურად არიან განწყობილნი თავად ამერიკელი ინსტრუქტორებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ სწავლება იმდენად ინტენსიურად და სრული დატვირთვით მიმდინარეობს, საქართველოს ღირსშესანიშნავი და ისტორიული ადგილების დასათვალიერებლადაც კი არ გვრჩება დრო, თავად ქართველი ოფიცრები კი დიდი ენთუზიაზმით ეუფლებიან სამხედრო საქმესო!

## აქცია „მშვიდობიან ბუნტად" მოინათლა

კვირის ბოლოს კი ზემოხსენებული პროგრამის ჩაშლას რეალური საფრთხე მართლაც დაემუქრა, როცა სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკა ჯანჯღავამ და მასთან ერთად „კომანდოს-ბატალიონის" 100-ზე მეტმა ოფიცერმა და ზემდეგმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებები დაწერეს ჯარში შექმნილი აუტანელი პირობების მოტივით. ეს აქცია „მშვიდობიან ბუნტად" მოინათლა. გაირკვა, რომ ჯანჯღავას გადაყენების საკითხი თავდაცვის სამინისტროში ბუნტამდე ერთი დღით ადრე გადაწყდა, ჯანჯღავას მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო, რომ ამერიკელთა პროგრამას ჩაშლა ემუქრება. თევზაძემ ჯანჯღავა გადააყენა პოსტიდან, ოფიცრები კი დაუბრუნდნენ ბატალიონებს! (იხ. გვ. 8)

## ლეგიტიმური ხელისუფლება გაეროს მიმართავს

აფხაზეთიდან დევნილმა ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ 1 მილიონ 200 ათასი ხელმოწერა შეაგროვა, რომელშიც საქართველოს მოსახლეობა გაეროს წესდების მე-7 თავის ამოქმედებას მოითხოვს აფხაზეთში იძულებითი მშვიდობის დასამყარებლად. ამ ხელმოწერებს თვის ბოლოს ნიუ-იორკში წაიღებენ დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები და 31 ივლისს დაგეგმილ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომას წარუდგენენ, სადაც უკვე რიგით 28-ე რეზოლუცია უნდა მიიღონ აფხაზეთის შესახებ! იმავე დოკუმენტში ხელმომწერები გაეროსგან მოითხოვენ აფხაზეთში ქართველთა გენოციდის აღიარებას, სოხუმის სეპარატისტული მთავრობის დასჯას და კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას!

თუ გაერო არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, უწინარესად, მე-7 თავის ამოქმედებას, თამაზ ნადარეიშვილი, ლტოლვილები და პარტიზანები 1-ლი აგვისტოდან დაიწყებენ ფართომასშტაბიან ღონისძიებებს და ძირეულად შეცვლიან დამოკიდებულებას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან მიმართებაში, ანუ დაიწყება რეალური მზადება აფხაზეთის ძალისმიერი გზით დასაბრუნებლად!

## როგორ მოხვდა ურეკში ჩეჩენი ტერორისტი?

ურეკში ქართული სპეცრაზმის მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად დააკავეს ჩეჩენი ტერორისტი ადამ დოკუშევი, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე იძებნებოდა ვოლგოდონსა და მოსკოვში საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებების გამო, რამაც 200-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ურეკში დოკუშევმა ხელყუმბარა ააფეთქა, რითაც მძიმედ დაიჭრა მისი მასპინძელი მარგო ხანგოშვილი, რომელსაც ხელის ამპუტაცია გაუკეთდა. დოკუშევი რუსულ მხარეს გადასცეს და იგი უკვე „ლეფორტოვოს" ციხეში იმყოფება.

პრეზიდენტმა პუტინმა სატელეფონო საუბრისას მადლობა გამოუცხადა პრეზიდენტ შევარდნაძეს, რუსულმა მასმედიამ კი ქართველ სამართალდამცველთა დიდი გამარჯვება უწოდა ამ ოპერაციას და რუსეთის მიმართ მეგობრულ ჟესტად შეაფასა! ქართველი ძალოვნები არ აკონკრეტებენ, თუ როგორ მოხვდა ტერორისტი ურეკში. ერთი ვერსიით, იგი შეიძლება პანკისიდან გადავიდა იქ, მეორე ვერსიით კი აფხაზეთიდან...

## დასახული ამოცანები ასე ვერ გადაწყდება

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი ფინანსთა მინისტრ მირიან გოგიაშვილს დაუპირისპირდა ძალოვანი სტრუქტურების დაუფინანსებლობის გამო. ირაკლი ბათიაშვილი ორი საათის მანძილზე უცდიდა მირიან გოგიაშვილს კომიტეტის სხდომაზე, მაგრამ მინისტრმა პარლამენტში თავისი მოადგილეები გაგზავნა, რამაც ბათიაშვილის აღშფოთება გამოიწვია და გოგიაშვილი და მისი უწყება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა!

კომიტეტის სხდომაზე წარმოადგინეს მართლაცდა შემაშფოთებელი მონაცემები: ექვსი თვის ბიუჯეტიდან დაფინანსება თავდაცვის სამინისტროში 80%-ით შესრულდა; ანუ ამ უწყებას დააკლდა კუთვნილი თანხების 20%; სასაზღვრო ძალებში მიიღეს თანხების 77%; შინაგან ჯარში 85%; დაზვერვის დეპარტამენტში 71%! ყველაზე კარგად კი, 96%-ით, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახური დაფინანსდა! ძალოვნებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ ასეთი დაფინანსების გაგრძელების შემთხვევაში, დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანები ვერ გადაწყდება!

## სავალუტო ფონდის უპრეცედენტო გადაწყვეტილება

თბილისში ჩამოსულმა სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა დევიდ ოუენმა უპრეცედენტო „კეთილგანწყობა" გამოავლინა პირველ ექვს თვეში ბიუჯეტის 70-მილიონიანი გარღვევის მქონე საქართველოს ხელისუფლებასთან გამართული შეხვედრისას. ოუენი თითქმის არ შეხებია ბიუჯეტის კატასტროფული მასშტაბით გარღვევის საკითხს, მხოლოდ ბრძანა, რომ საქართველოს №1-ელ პრობლემად კვლავ რჩება კორუფცია და კონტრაბანდა... დევიდ ოუენმა ვაშინგტონიდან ერთი სასიხარულო ინფორმაციაც ჩამოუტანა ხელისუფლების ეკონომიკურ ბლოკს. კერძოდ, გვაუწყა, რომ ახლახან სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ 30 მილიონ დოლარს, რომელიც უკვე 26 ივლისს ჩამოვა თბილისში და ეროვნული ბანკის საცავებში „დაივანებს", რამდენიმე თვეში სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი კიდევ ერთი ტრანში, ასევე 30 მილიონი დოლარი დაემატება და სავალუტო ფონდიც სრულად აღადგენს დახმარებების პროგრამას საქართველოში! არც ოუენს და არც მის ექსპერტებს არ დაუმალავთ, რომ ფონდის ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება პოლიტიკური პროცესებიდანაა გამომდინარე! ანუ აშკარაა, რომ ვაშინგტონი ამ ნაბიჯებით ცდილობს შეანელოს ის მზარდი უკმაყოფილება, რასაც საქართველოში აქვს ადგილი ხელისუფლების წინააღმდეგ და რომლის გამძაფრებასაც შემოდგომაზე კვლავ ვარაუდობენ. ასე რომ, დასავლეთმა ამ ჟესტით კიდევ ერთხელ მიგვანიშნა, რომ მიუხედავად საქართველოში გამეფებული განუკითხაობისა და კორუფციისა, იგი მხარს დაუჭერს შევარდნაძეს და მისი ხელისუფლების სტაბილურობის შენარჩუნებას, საქართველოში დასავლეთისა და აშშ-ის სერიოზული ნაციონალური და გეოპოლიტიკური ინტერესების განმტკიცების პროცესებიდან გამომდინარე!

## გაზის მრიცხველები გამოიცვლება

„თბილგაზი ჩინური მრიცხველების შეცვლას დაიწყებს. შესაძლებელია ახალი მრიცხველები თბილისში იყოს დამზადებული. როგორც „თბილგაზის ხელმძღვანელობა აცხადებს, ახალი მრიცხველების დამონტაჟებით შესაძლებელი გახდება მოხმარებული აირის ზუსტი რაოდენობის დადგენა და მოსახლეობა ვეღარ შეძლებს მაჩვენებლის გაყალბებას. „თბილგაზი ახალი მრიცხველების მონტაჟის დაწყებას უახლოესი მომავლისთვის გეგმავს.

## „უთავო მხედარმა" თავი სამშვიდობოს ვერ გაიყვანა

ქვეყანაში მძვინვარე ნაირნაირი და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულებების ფონზე, საქართველო კიდევ ერთი „უთავო მხედრის" მშობელ ქვეყნადაც იქცა. თავის დროზე, იარაღით უკანონოდ ვაჭრობის მხილებისას, შურისძიების მიზნით თავმოკვეთილი ჩეჩენი პაიკაევი, „მკვდრეთით აღდგა", ტანზე თავიც „მიიბა", ყალბი საბუთებიც იშოვა და ის-ის იყო საქართველო-თურქეთის საზღვარი უნდა გადაეკვეთა, რომ დააპატიმრეს. პაიკაევი გროზნოდან შარიათის კანონით დასჯას გამოექცა და თავი საქართველოს შეაფარა. იგი ჩეჩნეთში იარაღით ვაჭრობის მაფიაში იყო ჩართული და კოლეგა-მაფიოზებმა ფულის მითვისებასა და რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ამხილეს... საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პაიკაევმა განაგრძო „საქმიანობა", ამჯერად პანკისის ხეობაში მყოფ კრიმინალებს და სამაჩაბლოელ ორ ბანდიტს შორის შუამავლობდა და იარაღით უკანონო ვაჭრობას ეწეოდა. ამასთან, პაიკაევის სახელი ფიგურირებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებულ იარაღით უკანონოდ ვაჭრობის გამო ამტყდარ სკანდალშიც. რაც შეეხება მის „დასჯას და თავის მოკვეთას", რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამართალდამცველებისთვის ჩვენების მიცემის გამო პაიკაევზე შური იძიეს და პანკისის ხეობაში მისი თავმოჭრილი გვამიც იპოვეს(!). მაგრამ, როგორც გაირკვა, ყველაფერი მითი აღმოჩნდა, რომლის მეშვეობითაც აპირებდა ეს „უთავო მხედარი" სამშვიდობოს გასვლას...

## ვინ ჩაიფიქრა ეს „მზაკვრული" განზრახვა?

რამდენიმე დღის მანძილზე სულ უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ, რომ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი კრიმინალური ვითარების გამო შინაგან საქმეთა მინისტრი ამ უწყების ბევრი მაღალჩინოსნის პოსტებიდან გადაყენებას აპირებდა. სამინისტროს კოლეგიის დახურული სხდომის შემდეგ კი გაირკვა, რომ ნარჩემაშვილმა მხოლოდ ოზურგეთის, ხაშურის, მესტიის, კასპის, ფოთის, შიდა ქართლის და კიდევ რამდენიმე რაიონის პოლიციის შეფები მოხსნა თანამდებობებიდან! სამაგიეროდ, თავისი უწყების მაღალჩინოსნებს მინისტრმა რამდენიმეთვიანი ვადა მისცა ვითარების გამოსასწორებლად...

ნარჩემაშვილი პიტერ შოუს გატაცების საქმესაც შეეხო და ბრძანა, რომ შოუს მძევლად აყვანა შეიძლება ქართველი ძალოვნების წინააღმდეგ მიმართული აქცია იყოს და მიზნად ისახავდეს საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას და სახელმწიფოს ავტორიტეტის შელახვას(!). მინისტრს არ დაუკონკრეტებია, თუ კერძოდ ვის აქვს ჩაფიქრებული ეს „მზაკვრული" განზრახვა, თუმცა დასძინა, ამის მსურველი ძალა საქართველოშიც ბევრია და საქართველოს გარეთაცო! ნარჩემაშვილმა დაადასტურა, რომ გამოძიებამ შეძლო პიტერ შოუს რამდენიმე გამტაცებლის ვინაობის იდენტიფიცირება, თუმცა იმის გამო, რომ შოუს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, პოლიცია არ ჩქარობს სპეცოპერაციის ჩატარებას ინგლისელი ბიზნესმენის გასათავისუფლებლად! ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთის ელჩი კი უკვე უშუალოდ პრეზიდენტისგან მოითხოვენ ინფორმაციას შოუს საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ...

## „იგორიადა" გრძელდება!

საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ თეორიულად არ გამორიცხა, იგორ გიორგაძის რეაბილიტაციის საკითხის დასმა. ხაჩიშვილი-გელაშვილი-პაპუაშვილის გათავისუფლების შემდეგ, ქართველი კომუნისტები გამოვიდნენ ლოზუნგებით „დაგვიბრუნეთ იგორი", მაგრამ იგორს დაბრუნების საქმეს ის ურთულებს, რომ იგი, როგორც ძებნილი და პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერაქტში ეჭვმიტანილი, ჯერ უნდა ჩაბარდეს გამოძიებას, გასამართლდეს, თუ დანაშაული დაუმტკიცდა და მიესაჯა სასჯელი, ამ სასჯელის ნახევარზე მეტი უნდა მოიხადოს და სწორედ ამის შემდეგ დადგეს საკითხი მისი შეწყალების და ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ. თუ ამგვარი სცენარით განვითარდა მოვლენები, გიორგაძის შეწყალება სხვა პრეზიდენტს მოუწევს (შევარდნაძე კარგა ხნის გასული იქნება პენსიაზე). მაგრამ არის მეორე ვარიანტიც — იგორ გიორგაძე უდანაშაულოდ უნდა ცნოს სასამართლომ (თუ ის მართლაც უდანაშაულოა) და პირდაპირ დარბაზიდან გაუშვას შინ! მაგრამ ეს სცენარი ნაკლებსავარაუდოა, რადგან თუ უდანაშაულობის გამო იყო ამდენ ხანს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისა და თვით ინტერპოლის მიერ ძებნილი, მაშინ საბრალდებო სკამზე ქართველი ხელისუფალნი და სამართალდამცველები უნდა დასხდნენ, რაც ასევე ნაკლებსავარაუდოა. ამიტომ, ძნელია თქმა, თუ თეორიულადაც რამდენადაა შესაძლებელი გიორგაძის რეაბილიტაცია. ერთი სიტყვით „იგორიადა" გრძელდება!

## სადამს ალაჰი ვეღარ უშველის!




გაზეთმა „ვაშინგტონ თაიმსმა" გაავრცელა სენსაციური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ვაშინგტონი ერაყის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას 2003 წლის იანვარ-თებერვალში გეგმავს. ომის მიზანია სადამ ჰუსეინის და მისი რეჟიმის არა მარტო დამხობა, არამედ ფინანსური განადგურება; ერაყში არსებული ბირთვული ტექნოლოგიისა და ქიმიური იარაღის მოსპობა. ომში ბრიტანეთის არმიაც მიიღებს მონაწილეობას. ერაყზე და მის დედაქალაქ ბაღდადზე იერიშს მიიტანენ ხმელეთიდან, ჰაერიდან და საზღვაო ბაზირების სარაკეტო დანადგარებიდან. ლონდონში უკვე დაუფარავად იკრიბებიან და ერაყის მომავალზე მსჯელობენ თავის დროზე სადამ ჰუსეინის მიერ არმიიდან და ხელისუფლებიდან გაძევებული ყოფილი ერაყელი მაღალჩინოსნები, რომლებსაც ვაშინგტონი ჰუსეინის ოპოზიციურ ძალებად აცხადებს. ამ დროს არც სადამ ჰუსეინია ხელდაკრეფილი, რომელმაც ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას და მობილიზაცია გამოაცხადა. იმავდროულად, კიდევ ერთხელ მხარი დაუჭირა პალესტინელ კამიკაძეთა ქმედებებს და ტერორისტთა დასაფინანსებლად უცერემონიოდ გადარიცხა 20 მილიონი დოლარი (თითოეული კამიკაძის ოჯახს კი 25 ათასი დოლარით ეხმარება). ამ აქტით აღშფოთებულ დასავლეთში, ამერიკასა და ისრაელში გაიძახიან, რომ 65 წლის სადამს ვეღარც ალაჰი გადაარჩენს და ვეღარც მისი მოციქული მუჰამედი! სადამ ჰუსეინს, ფაქტობრივად, არაოფიციალურად აქვს გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი! ამ ფონზე კი ერაყისადმი მხარდაჭერას კვლავ აფიქსირებს რუსეთი და ჰუსეინთან თანამშრომლობის გეგმებზე ლაპარაკობენ(!).

## ბუშის ძმისშვილი ჩასვეს

პრეზიდენტ ბუშის ოჯახი კვლავ აღმოჩნდა ამერიკული მასმედიის ყურადღების ცენტრში. ბუშის ძმისშვილი ნოელ ბუში სამი დღით მიაბრძანეს ციხეში იმის გამო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეასრულა და ნარკოლოგიურ ცენტრში მკურნალობა არ გაიარა. ახალგაზრდა ქალიშვილი ნოელი პირველად რამდენიმე თვის წინ დააკავეს მაშინ, როცა ის ყალბი რეცეპტით ძლიერმოქმედი დამამშვიდებელი ნარკოტიკულნივთიერებიანი პრეპარატის შეძენას აპირებდა. მას სავალდებულო მკურნალობა დაუნიშნეს, რაც არ შეასრულა. ახლა ის სამდღიან პატიმრობას საგანგებოდ დაცულ საკანში იხდის!

## ინგლისში საზარელი დანაშაული გაიხსნა

საზარელი დანაშაული გახსნეს ინგლისში. ინგლისელმა ექიმმა (იგი, ძირითადად, ოჯახების ექიმად მუშაობდა) ჰაროლდ შიფმენმა 23 წლის მანძილზე თავისი 200 პაციენტი გამოასალმა სიცოცხლეს. გამოძიების მასალების თანახმად, 1974-1998 წლებში შიფმენი თავის პაციენტ ავადმყოფ ქალებს მორფიუმისა და ჰეროინის მომაკვდინებელი დოზის ინიექციებს უკეთებდა და კლავდა. მის მიერ დახოცილ ქალთაგან ყველაზე ხანდაზმული 93 წლის, ყველაზე ახალგაზრდა კი 41 წლისა იყო. „ექიმმა" საიქიოს თვით ერთ-ერთი ქალაქის მერიც გაისტუმრა! საინტერესო და თავზარდამცემი ის არის, რომ ორი წლის წინ ჰაროლდ შიფმენს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს 15 ხანდაზმული ქალის მოკვლისთვის, 200 ქალის მკვლელობა კი ახლახან დაამტკიცა გამოძიებამ; ანუ მის „ანგარიშზე" 215 ქალბატონის სიკვდილია. გამოძიება გრძელდება და ბრიტანელი კრიმინალისტები შიშით აცხადებენ, რომ შესაძლოა სია მალე... კიდევ 45 მოკლულით გაიზარდოს(!). ახლა ბრიტანეთის მთავრობა ცდილობს დაადგინოს, თუ როგორ მოახერხა ამ მკვლელმა-მანიაკმა, წლების მანძილზე დაუსჯელი დარჩენილიყო...

*„ჩვენ არავის ვაყვედრით სიმდიდრეს, თუ ის პატიოსანი გზითაა მოპოვებული, მაგრამ უნდა გავიაზროთ იმის აუცილებლობაც, რომ სახელმწიფო აქტიურად ჩაერიოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და გავაძლიეროთ კონტროლი. პარალელურად, ჩვენი უდიდესი და უპირველესი ამოცანაა — მივცეთ ადამიანებს სამუშაო! დიახ, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ საკუთრების დაცვაც და ადამიანთა კეთილდღეობაც. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, თუ საქმე არჩევანზე მიდგება, მე ვუთანაგრძნობ ხალხს და არა მესაკუთრეებს“.*

**თეოდორ რუზველტი**

მე-20 საუკუნის დასაწყისში აშშ-ის პრეზიდენტის მიერ თქმული ეს სიტყვები, ვფიქრობ, ჭკუისსასწავლებელი უნდა იყოს განსაკუთრებით ახალდამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნების ხელისუფლებისთვის, თუ რა თქმა უნდა, სურთ პოზიტიური კვალი დატოვონ თანამედროვეთა მეხსიერებაშიც და ისტორიაშიც. საუბედუროდ, უკვე მერამდენედ გვიხდება იმის კონსტატირება, რომ საქართველოს ხელისუფლება ძალიან შორს დგას ამ სურვილისგან, რაც არის კიდეც უმთავრესი მიზეზი დაპირისპირებების საშიში პროცესებისა ყველა მიმართულებით... ამ პროცესების გამომწვევი მიზეზებისა და გამოსავალი გზების პერსპექტივის შესახებ მოსაზრებების გამოთქმა ვთხოვე პროფესორსა და პოლიტოლოგს **გიორგი გაჩეჩილაძეს:**

— დღეს საქართველოს მართავს საკუთარი ერის წინააღმდეგ შეთქმულებაში მყოფი პოლიტიკური კონტინგენტი! ამ კონტინგენტის პოლიტიკური აზროვნების სტილი აკრეფილი და განზოგადებულია მოქალაქეთა კავშირის ორგანიზაციაში! მოქკავშირის გენეალოგიას თუ გავადევნებთ თვალს, „მომხიბლავ“ სურათს დავინახავთ: რუსეთის სამხედრო დაზვერვამ და ქართულმა პარტიულმა ნომენკლატურამ შვა „მხედრიონი“, „მხედრიონმა“ მოქალაქეთა კავშირი, მოქკავშირმა — ოლიგარქები, ოლიგარქებმა — დაშლილი, გაძარცული, ტერიტორიებდაკარგული უქართველებო საქართველო!

— **თქვენი ლოგიკით, საქართველოს ამჟამინდელი კრიზისის ეპიცენტრი მოქალაქეთა კავშირში და ხელისუფლებაშია...**

— რა თქმა უნდა, მოქალაქეთა კავშირი არის ანაქრონიზმი, რომელიც დემოკრატიის ნიღბით იქცა ბოლშევიკთა მმართველ პარტიად. საქართველოს ეროვნული იდეალები მოქკავშირმა მოარგო ოლიგარქების ანტიეროვნულ ინტერესებს. მოქალაქეთა კავშირში გაჩნდა ოპოზიცია! ბოლშევიკური პარტიის ისტორიასთან ანალოგიით მოქკავშირის ოპოზიცია, რომელსაც ხან რეფორმატორები, ხან ჟვანია-სააკაშვილის გუნდი ეწოდა, გაფორმდა როგორც 1920-იანი წლების ქართველ ბოლშევიკთა „უკლონისტური“ ფრთა. ვინ იყვნენ „უკლონისტები“? „უკლონისტები“ იყვნენ სტალინის ერთგული თანამებრძოლები. კომუნიზმის რწმენით მათ მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სტალინური ოკუპაციის, კანონიერი ხელისუფლების დამხობის, პოლიტიკურ ავტონომიებად საქართველოს დაქუცმაცების პროცესში. მაგრამ მოსკოველი ქართველი ბოლშევიკებისგან განსხვავებით, „უკლონისტებმა“ ეჭვი შეიტანეს მომხდარისა და მოსახდენის ისტორიულ, ეროვნულ, მორალურ სამართლიანობაში. სტალინის უახლოესმა მეგობარმა ბუდუ მდივანმა ღია ტექსტით უთხრა სტალინს: მარქსი კი ამბობს პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, მაგრამ მას არ უთქვამს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის თავშეყრის ადგილი მაინცდამაინც საქართველოაო! სტალინმა უკლონისტები გაანადგურა. შევარდნაძემ ისე მოისურვა ჟვანია-სააკაშვილის „უკლონისტური“ ჯგუფის განადგურება, როგორც სტალინმა — ქართველი უკლონისტებისა! მაგრამ არც შევარდნაძეა სტალინი, არც ჟვანია-სააკაშვილი არ არიან ის „თამროები“, რომ ვინმეს ადვილად გააბახებინონ თავი და არც საქართველოს ამჟამინდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობაა ისეთი, რომ მე-11 არმიამ გადაწყვიტოს მისი ბედი.

— **ანუ, მიგაჩნიათ, რომ ჟვანია-სააკაშვილის ე.წ. „უკლონისტური“ დაპირისპირება შევარდნაძესა და მის კლანთან პოლიტიკურადაც და მორალურადაც გამართლებულია...**

— ამ დაპირისპირებების ასპექტები და მოტივაცია მრავალგვარია. პოლიტიკაში მოქმედებს საბაზრო ეკონომიკის კანონები. საბაზრო ეკონომიკა კი ვერ ითმენს დეფიციტს. თუ ქვეყანა ან ხელისუფლება ვერ ავსებს ამ ვაკუუმს, მას შეავსებენ სხვები. ჟვანია-სააკაშვილმა დაინახეს ვაკუუმი ხელისუფლებასა და ხალხს შორის და მოისურვეს ამ ვაკუუმის შევსება. აი, მათი პოპულარობის მიზეზი. ასე რომ, მათი მოქმედება მეტყველებს მათ გამჭრიახობაზე და არა პოპულისტობაზე! ისტორიამ იცის ოლიგარქებისაგან დაქცეული სახელმწიფოების არაერთი მაგალითი. ოლიგარქებისაგან აყვავებული ქვეყნისა — არა! ამერიკა რომ ამერიკაა და გარეგნულად ოლიგარქების ქვეყნად გამოიყურება, სინამდვილეში წარმოადგენს ოლიგარქებისთვის ლაგმის ამოდების სახელმწიფოს. მეორე საკონფლიქტო სიტუაცია და მე ვიტყოდი, უმთავრესი, რომელმაც გამოიწვია ხელისუფლებასთან ქართველი ხალხის უპირობო დაპირიპირება, ეროვნული თანხმობის მიუღწევლობაა. ვისაც ზერელე წარმოდგენა მაინც აქვს სახელმწიფოს წარმოშობის მექანიზმზე, მოეხსენება, რომ სახელმწიფოს არსებობისთვის საჭიროა არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი წარსული, არამედ ადამიანები, რომლებსაც საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნიათ სახელმწიფოს არსებობა ერის სასიცოცხლო სივრცეში. სხვათა შორის, ეს კანონი ვრცელდება ეკლესიაზეც. ეკლესიის არსებობისთვის საჭიროა არა მხოლოდ მრევლი, რომელიც პირჯვარს ისახავს, არამედ ის ადამიანები, რომლებსაც საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნიათ ეკლესიის არსებობა!

— **მივდივართ უმძიმეს დასკვნამდე — ხელისუფლებას და მის დასაყრდენ ფინანსურ-მაფიოზურ კლანებს არ სურთ არც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარება და არც ერის კეთილდღეობა.**

— 10 წელია ქართველი ხალხი შეჰყურებს პოლიტიკურ კონტინგენტს, რომელსაც დიახაც არ სურს საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ბედის საკითხი შევარდნაძემ აქცია იმ პოლიტიკური კონტინგენტის საქმედ, რომელთაც არ უნდათ საქართველო იყოს სახელმწიფო. აი, რამ დასცა შევარდნაძის ავტორიტეტი.

— **ბოლო დროს ხშირად გაიგონებ, რომ მიმდინარეობს „ბიოლოგიური ბრძოლა“ „მამებ-**



— მხოლოდ პოლიტიკური ნება! ავიღოთ კორუფციის პრობლემა. კორუფცია არის ყველა დროისა და სახელმწიფოებრიობის უკურნებელი სენი. რით უმკლავდებიან სხვა სახელმწიფოები ამ პრობლემას? სახელმწიფოებრივი აზროვნების სტილით. მაკიაველი ამბობდა, რომ პოლიტიკაში არსებობს პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასაც სჭირდება დრო. მაგრამ არსებობს პრობლემები, რომლებიც საჭიროებენ ერთჯერად და გადაუდებელ მოქმედების ტაქტიკას. კორუფცია განეკუთვნება სახელმწიფოს ერთჯერადი და გადაუდებელი მოქმედების კატეგორიას. საქართველო პატარა ქვეყანაა. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს და ყველამ იცის ყველაფერი. ყველასათვის არის ცნობილი, რომ ქართველი ერის ნაძარცვი ქონება თავმოყრილია 100-200 ოჯახის ხელში.

რაში სჭირდება ამ პრობლემის გადაწყვეტას დროში გადავადება? საზოგადოებრივი აზრია ამ პრობლემის გადასაწყვეტად მოსამზადებელი, ქვეყნისთვის არ არის აუცილებელი მისი გადაწყვეტა, თუ ვინმესთვის არიან უცნობები კორუფციონერები? მაგრამ როდესაც ხელისუფლება თავადაა კორუფციონერთა მძევალი, მას არ გააჩნია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნება. თუ

**რუსეთის სამხედრო დაზვერვამ და ქართულმა პარტიულმა ნომენკლატურამ შვა „მხედრიონი“, „მხედრიონმა“ – მოქალაქეთა კავშირი, მოქკავშირმა – ოლიგარქები, ოლიგარქებმა – დაშლილი, გაძარცული საქართველო!**

# რამდენი დრო დაჭირდება ქართველ ხალხს ამირანივით დააღწიოს თავი კრიმინალიზებული სმკ-ის გველეშაპური მუცლიდან

**სა და შვილებს“ შორის. ერთმა თქვენმა ღრმად პატივცემულმა კოლეგამ ახალგაზრდებს „მამისმკვლელებიც“ კი უწოდა.**

— ვილაპარაკოთ საქართველოში „მამისმკვლელების“ და „მამათა და შვილთა“ შორის „ბიოლოგიური ბრძოლის“ შესახებ, ნიშნავს ვილაპარაკოთ პოლიტიკური სცენარების ვერსიებზე. რაკი გაჩნდა „მამისმკვლელის“ ცნება, მაშასადამე, არსებობს რეალობა, რომელსაც ეს ცნება აღნიშნავს. თუ საქართველოში არსებობს „მამისმკვლელობის“ განწყობა, ე.ი. არსებობს ამ განწყობის მატარებელი ძალები. აქედან დასკვნა: ჩვენი ანალიზის საგანი უნდა იყოს, ერთი მხრივ, „მამისმკვლელობის“ განწყობის მატარებელი ძალები, მათი მენტალობა და ამგვარი განწყობის წარმოშობის მიზეზები, მეორე მხრივ, მიზნები. რით დავიწყოთ?

— **დავიწყოთ „მამისმკვლელთა“ განწყობით.**

— კეთილი. თაობა ეწოდება მსგავსი შეგრძნებების მქონე ადამიანთა პლეადას. ეს არის არსებითი ნიშანი, რითიც ახალი თაობა განსხვავდება წინამორბედი თაობებისგან. სიტუაციის დრამატიზმი იმაში მდგომარეობს, რომ სიცოცხლე, ღირსება, ენა, კულტურა, ერი, სახელმწიფოებრიობა ადამიანს ენიჭება არა ძღვენის, არამედ შესაძლებლობის სახით. ყველა ზემოაღნიშნული ფასეულობა არის არა ერთჯერადი საჩუქარი, არამედ მათი შესანარჩუნებლად შეთანხმებული ბრძოლის საგანი. ლუარსაბ თათქარიძესთან ეს საკითხი ჰქონდა სადავო ილია ჭავჭავაძეს და არა ჩიხირთმა-ბოზბაში-არტალის დაგემოვნების საკითხი.

დაპირისპირება აუცილებლობას არ წარმოადგენს. „მამებს და შვილებს“ გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე განსხვავებული. მაგრამ ისტორიულ სიტუაციაში დგება მომენტი, როდესაც „მამებისა და შვილების“ ერთიანობის ფაქტორებს ჭარბობს განმასხვავებელი ფაქტორები. ამ საფეხურიდან იწყება კონფლიქტი — ფასეულობათა შეჯახების პროცესი... მაგრამ როდესაც მამა წესრიგის, კანონიერების, სამართლიანობის ნაცვლად იქცევა უსამართლობის და უკანონობის სიმბოლოდ, მოკლედ, მამა არ ან ვერ ასრულებს მამობის ფუნქციას — მას ბრალი ედება ღალატში. აი, ასეთ სიტუაციაში შვილები იძულებულნი ხდებიან, შეასრულონ მამის ფუნქცია მამის მიმართ. თუ ჰარმონიის პირობებში მამები სჯიან უძღებ შვილებს, როგორც ძე შეცდომილებს, დისჰარმონიის პირობებში შვილები სჯიან მამას, როგორც კანონიერებიდან გადახრილს. მსოფლიო ლიტერატურაში ამ თემის იდეალურ ხორცშესხმად მიჩნეულია დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, რომელშიც შვილები კლავენ ასეთ მამას. ახლა ჩვენს რეალობას შევხედოთ ამ პოზიციიდან: ხელისუფლებას და პრეზიდენტს აკისრია მამობის ფუნქცია და პასუხისმგებლობა ერისა და სახელმწიფოებრიობის მიმართ.

სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ ქართველ ხალხს დაუმსხვრია წესრიგისა და სამართლიანობის მოლოდინის ჰორიზონტი.

ხელისუფლება იქცა ძალმომრეობის, უსამართლობის, კორუფციის, უკანონობის, ერისა და სახელმწიფოებრიობის ღალატის სიმბოლოდ.

რა ჰქნან ასეთ სიტუაციაში შვილებმა? დაიკრიფონ გულზე ხელი და გულგრილად უყურონ, როგორ მიექანება უფსკრულისაკენ მათი მომავალი, თუ ილონონ რაიმე ვითარების გამოსასწორებლად? აი, ერთობლივი პრობლემა, რომლის წინაშეც დგანან დღევანდელი „მამები და შვილები“ საქართველოში. ამიტომ მე ვიზიარებ არა „მამისმკვლელობის“ იდეას, არამედ ამგვარი შესაძლებლობის გამომწვევი მიზეზების ერთობლივად აღმოფხვრის მიზანს.

— **რა არის საჭირო, რომ ხელისუფლებამ თავად არ მიიყვანოს ერი ისეთ სასოწარკვეთილებამდე, რომ გადადგას ასეთი დამანგრეველი ნაბიჯი და ჩაუშვას ხვედრით არ დაემუქროს პრეზიდენტს?**

საქართველოს ხელისუფლებას გავიაზრებთ პრინციპის მიხედვით: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენ“ ნათელი გახდება, რომ საქართველოს ხელისუფლება არის არა ქართველი ხალხის ერთგული და მეგობარი, არამედ ერთგული და მეგობარი ქართული სახელმწიფოებრიობის მტრებისა. როგორც ადამიანი ვერ იცოცხლებს, თუ გულის, ტვინის, ფილტვის ან ხერხემლის ნაცვლად ჩაუდებ სხვა ორგანოს, ისე სახელმწიფო ვერ იცოცხლებს, თუ მისი ფუნქციების შესრულებას დააკისრებ ამ ფუნქციების უარმყოფელ ორგანოებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვყავს ანაქრონისტული ანუ დროიდან და სახელმწიფოებრიობიდან ამოვარდნილი სელექციით შედგენილი ხელისუფლება. ჩვენი ხელისუფლების მენტალობა არის მედროვეთა მენტალობა.

— **რამდენად შესაძლებელია ამგვარი მენტალობის მქონე ხელისუფლების საშუალებით ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა?**

— სხვა დროსა და სიტუაციაში გეტყოდით, შეუძლებელია-მეთქი. ახლანდელ სიტუაციაში გეტყვით, რომ შესაძლებელია. და აი, რატომ: ასოცი წლის წინ ილია ჭავჭავაძემ თქვა იმ დროისათვის შლეგობად მისაჩნევი სიტყვები: ჩვენ, ქართველები საჭირონი ვართ არა მხოლოდ ჩვენი თავისათვის, არამედ სხვებისთვისაც.

ისტორიულმა სიტუაციამ გამოარკვია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობა დღეს საჭირო არის სხვებისთვისაც. კერძოდ, დასავლეთისა და ამერიკისათვის. პარადოქსი იმაშია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ დღეს იბრძვის საქართველოს ხელისუფლება. მაგრამ ეს არ არის გადაულახავი პრობლემა, თუ ქართველობა იგრძნობს თავისი თავის არა მხოლოდ სხვებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის საჭიროებასაც. ამ გრძნობის დეფიციტს ჩვენ არ განვიცდით.

დღეს სიტუაცია ასეთია: ცივილიზაცია შევიდა გლობალიზაციის ფაზაში. ამ პროცესმა ძირეულად შეცვალა საქართველოსნაირი პატარა ქვეყნების ყოფნა-არყოფნის პრობლემა. იქნება თუ არ იქნება საქართველო ოკუპირებული ჩრდილოელი მეზობლისგან, დღეს არ წყდება არც მოსკოვში, არც თბილისში. მაგრამ ახალმა ვითარებამ წარმოშვა ახალი პრობლემები. გარედან აგრესიამ გადაინაცვლა შიგნით. დღეს ქართველი ერისადმი მუქარას ქმნის არა იმდენად საგარეო, არამედ საკუთარი ხელისუფლებისაგან მოგვრილი მუქარები. ასე რომ, ქართველი ერის მთავარი პრობლემა ხდება საკუთარი ხელისუფლების, საკუთარი ხალხის მიმართ გამოხატული აგრესიის თუ საბოლოო ალაგმვა არა, მოთოკვა მაინც. მიუხედავად სირთულეებისა, ეს არ არის გადაულახავი პრობლემა. არა მგონია, ქართველმა ხალხმა დაუშვას სახელისუფლებო აგრესიის ინსტრუმენტად „მოქალაქეთა კავშირის“ რეანიმაციის თავზარდამცემი მცდელობა.

ხალხმა შვებით ამოისუნთქა, როდესაც სმკ დაიშალა. ერთხელ ვთქვი და გავიმეორებ: „ამირანში“ ასეთი ეპიზოდია: ამირანმა რომ დევს თავი მოაჭრა, მისი ტვინიდან სამი ჭია ამოცოცდა. ბადრი და უსუფი ეუბნებიან ამირანს, გასრისე ეგ ჭიები, რალაც ავის მაუწყებლები უნდა იყვნენო. ამირანმა უპასუხა: დევმა ვერაფერი მიყო, ჭიები რას დამაკლებენო და არ გასრისა ისინი. სასჯელმაც არ დააყოვნა და ჭიები გველეშაპებად გადაიქცნენ. ერთმა მათგანმა ამირანი ჩაყლაპა. ბედად ამირანს უბეში ჰქონდა დანა. გაფატრა გველეშაპის მუცელი და უვნებლად დააღწია თავი განსაცდელს. კიდევ რამდენი დრო დაჭირდება ქართველ ხალხს ამირანივით დააღწიოს თავი კრიმინალიზებული სმკ-ის გველეშაპური მუცლიდან, ღმერთმა უწყის. სმკ-ის რეანიმაცია არის პრეზიდენტის უკანასკნელი დროის ყველაზე არაადეკვატური პასუხი ქართველი ერის წინაშე მდგარ კითხვებზე.

**ზურაბ მჭედლიშვილი**

## პროვოკაციების მოლოდინში?!

# წყნარი ზღვიდან ქარიშხალს ხომ არ უნდა ველოდოთ?..

„კვირის პალიტრის“ მიერ ექსკლუზიურად მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, აგვისტოში რუსული სპეცსამსახურები პანკისში სერიოზულ პროვოკაციებს, ხეობაში რუსეთის სპეცსამსახურების აგენტების ან მათ მიერ გადაბირებული ჩეჩენი დივერსანტების შეგზავნას გეგმავენ, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას, ქისტებს და ჩეჩენ ლტოლვილებს დაუპირისპირდებიან. ცნობილია კონფლიქტის გაჩაღების რამდენიმე მოტივიც — სპეცსამსახურების აგენტები შეეცდებიან ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლით წონასწორობა დააკარგვინონ ჩეჩნეთიდან ლტოლვილ მებრძოლებს ცილისმწამებლური ბრალდებით — „როცა ჩეჩნეთში ომია და თქვენ იქ უნდა იბრძოდეთ, საქართველოს აფარებთ თავს ლაჩრულად“... ამგვარ ბრალდებას ჩეჩნების მხრიდან აუცილებლად მოჰყვება მტრისთვის სასურველი რეაქცია. ქისტებთან კონფლიქტის დასაწყებად კი აგენტები საყოფაცხოვრებო საკითხებზე დავას გეგმავენ. არ არის გამორიცხული, წარსულში კარგად ნაცნობ და აპრობირებულ ხერხს მიმართონ. სამწუხაროდ, პანკისში არსებული ურთულესი კრიმინოგენული სიტუაცია ნოყიერ ნიადაგს შეუქმნის ნებისმიერ პროვოკაციას. რუსებს ასევე დაგეგმილი აქვთ ხეობაში მოსალოდნელი პროვოკაციული მოვლენების ფართოდ გაშუქება რუსი და უცხოელი ჟურნალისტების მიერ. ამიტომ უახლოეს პერიოდში ხეობაში რუსი და უცხოელი ჟურნალისტების გამოჩენას და ასევე მათი გატაცების ან სხვაგვარი ძალადობის ინსცენირებასაც უნდა ველოდოთ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციები უდავოდ საგანგაშო და შემაშფოთებელია, რასაც ქართული სპეცსამსახურებიც ეთანხმებიან. თუმცა, ხეობაში მოსალოდნელ საფრთხეს, როგორც ჩანს, სრულიად მშვიდად უყურებს ჩვენი სახელისუფლებო პარტია, რომელმაც სულ ახლახან პანკისში მოქალაქეთა კავშირის რეგიონული ორგანიზაცია დააფუძნა. ამ ფაქტის გამო პოლიტიკურ კულუარებში მოქალაქეთა კავშირის ქილიკიც კი დაიწყეს, — „როგორც ჩანს, სისხლით დაცლილი არტერიების ასავსებად მოქკავშირი მალე აფხაზეთშიც დაიწყებს დონორების ძებნასო (მაშინ მართლაც ერთობ საინტერესო პრეცედენტთან გვექნება საქმე). სახელმწიფო მინისტრი ავთო ჯორბენაძეც აღიარებს პანკისში არსებულ რთულ მდგომარეობას, რომ ხალხის მხრიდან ხელისუფლების მიმართ გამოთქმული საყვედურები და ბრალდებები სამართლიანია, თუმცა ოპტიმისტურად არის განწყობილი და თამამად აცხადებს, რომ „პანკისის რეგიონში ახლახან დაფუძნებული მოქკავშირი გახდება რეგიონში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის გამაერთიანებელი, რის შემდეგაც ხელისუფლება ხალხთან ერთად შეძლებს ამ პრობლემების მოგვარებას“. სახელმწიფო მინისტრის ასეთი ოპტიმიზმი სამწუხაროდ ვერ იქნება იმის გარანტია, რომ უახლოეს მომავალში პანკისი ცეცხლის ალში არ გახვევა და რეანიმირებული მოქკავშირი გამუდმებით ფეთქებადსაშიშ რეგიონში ავგაროზის როლს შეასრულებს. კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში კი, რეაქციულ რუსეთს საშუალება მიეცემა ხელი მოიმართოს და პასუხი გასცეს ახლახან რუსულ პრესაში აქტიურად დასმულ კითხვას: „რა ვქნათ, დავბომბოთ საქართველო?“ მაშინ კი, ომის გარდაუვალობას ვერავინ უარყოფს. რუსეთის რეაქციული სამხედრო ძალები მოვლენების ამგვარ განვითარებაზე ოცნებობენ. მოგეხსენებათ, რუსული იარაღი ზუსტად ხვდება მიზანს და თუ რუსებმა სროლა გადაწყვიტეს, აი, მაშინ კი სისრულეში მოიყვანენ დიდი ხნის ჩანაფიქრს — საომარი პროცესებით „დაკავებული“ საქართველო უინტერესო გახდება საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის, ჩაიშლება ჩვენთვის თითქმის სასიცოცხლო მნიშვნელობის ყველა საერთაშორისო პროექტი, რაც ამჯერად გულს უღრღნის ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, რომელსაც პანკისში არანაირი სინათლის შეტანა არ სურს. სხვათა შორის, ამით მარტო რუსები როდი არიან დაინტერესებულნი. პანკისში დასახლებული ქისტები არც ვაჰაბიტებს სჭირდებათ — თუ აქ მართლა იქნება სინათლე, რელიგიურ სექტებს ხელ-ფეხი შეეკვრებათ. პანკისში საღად მოაზროვნე არც ქრისტიანი და არც მუსლიმანი ქართველი ან ქისტი კი მტერს არ აწყობს.

და ბოლოს, არ არის გამორიცხული, პანკისში დაგეგმილი პროვოკაციების მიუხედავად, რუსეთმა სხვა რეგიონში დაგვარტყას. ეს სხვა რეგიონი ალბათ აფხაზეთია, ან სულაც კოდორი შეიძლება იყოს. თუმცა იქიდან მოსულ ინფორმაციებს თუ ვენდობით, ახლა სრული სიმშვიდეა. მთავარია, ეს სიმშვიდე ზღვაზე ქარიშხლის ამოვარდნის წინ გამეფებულ მყუდროებას არ ჰგავდეს.

**გია ლომიძე**

# ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲮᲕᲐᲚ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲒᲐᲒᲘᲪᲜᲝᲗ...



*ახლა სხვა დროა... ადამიანები მგლებად იქცნენ... ჩვენ აღარაფერი გვეშველება — ყოველ ოჯახში მესმის ეს სიტყვები უსამართლობით, უფულობით, უშუქობით, უგზოობით, უგაზობით, წყალდიდობით დაქცეული, მაგრამ უწყლობით განამებული ჩემი თანამემამულეებისგან და სურვილი მიჩნდება მომეცეს საშუალება თითოეულს ცალკე და ყველას ერთად, რაღაც სასწაულებრივად დავუმტკიცო, რომ მთლად ასე არ არის, რომ ჭეშმარიტი ქართველისათვის ყველაზე დიდი ღირებულება მაინც სულიერებაა.*

*ჩემი რა მოგახსენოთ და, ჩემი წერილის ადრესატს ამის რეალური საშუალება ნაღდად ეძლევა.*

*ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ ეს წერილი ადრესატამდე მიაღწევს, შედეგი გარანტირებული იქნება:*

**წერილი უცნობს! — ხვალიდან შენს სახელს ყველა გაიგებს**

საბედნიეროდ, არიან ჩვენში ადამიანები, ვინც არც ეკრანზე მართავს დებატებს და არც ქონების გაყოფაზე დაობს... ისინი თავიანთი ფუნჯით და სალებავით, რაც მთავარია, ნიჭით და უმეტეს შემთხვევაში გაყინული ხელებით, ამბობენ თავიანთ სათქმელს და იმდენად დამაჯერებლად, რომ მათი სწამთ. სწამს ერის გემოვნებიან, ნიგნიერ და ბუნებით არისტოკრატულ ფენას.

დღეს სიღარიბე სირცხვილი არ არის, ამიტომაც მოურიდებლად ვიტყვი, რომ მხატვრების უმეტესობა შიმშილობს. ბევრს სახურავიდან წყალი ჩამოსდის. სამხატვრო აკადემიას აყაჩაღებენ, მაგრამ მხატვრები არც აქციებს მართავენ და არც კრედიტებს ითხოვენ. ისინი ყოველგვარი ხმაურის გარეშე ქმნიან იმ ღირებულებებს, რომლითაც ჩვენი ავტორიტეტი მაღლდება. შემოქმედ მხატვრებზე და იმ ცოცხალ კლასიკოსებზე, რომლებიც ჩვენ გვერდით უხმაუროდ დადიან, შეიძლება დაუსრულებლად საუბარი, მაგრამ დროა, კონკრეტულ ფაქტზე გადავიდეთ.

ჩვენო უცნობო ადრესატო! ხომ არ გიპოვია შემთხვევით ფერწერული ტილო, რომელზეც პატეფონია დახატული და რომელიც მისმა ავტორმა, ცნობილმა მხატვარმა გივი თოიძემ მანქანის სახურავიდან სახლიდან სახელოსნომდე მგზავრობისას დაკარგა (სავარაუდოდ, დიდუბიდან საბურთალომდე მიმავალ დილმის ტრასაზე).

გარწმუნებთ, ამ ნახატით ვერ გამდიდრდებით, რადგან მას ვერც გაყიდით და ვერც უცხოეთში გაიტანთ. ექსპოზიციაში მონაწილეობის გამო კომპიუტერშია შეტანილი და მსოფლიო აღრიცხვას ექვემდებარება.

იყავით რაინდი და გამოეხმაურეთ ავტორს, გივი თოიძეს (ტელ: 34-48-48; 32-36-63). მისი მონახვა სამხატვრო აკადემიაშიც შეიძლება, სადაც იგი მრავალ თაობათა აღმზრდელია. თუ ხელი არ მიგიწვდეთ, „კვირის პალიტრის“ რედაქციას შეეხმიანეთ... თქვენი ქმედებით ჩვენი დროის გმირად იქცევით, რადგან მოყვასის დახმარება და თანადგომა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

თქვენი ქმედებით მაგალითად იქცევით ჩვენი შვილებისთვის. მე კი, ვისაც უფლება მაქვს ცნობილი მხატვრის ბიოგრაფად ვიქცე, გპირდებით, ერთ-ერთი კლასიკოსის ბიოგრაფიაში თქვენ შესახებ უეჭველად მოვუყვები მომავალ თაობას.

წინასწარ გიხდით მადლობას.

**P.S.** შესაძლოა გაგიკვირდეთ კიდეც, რომ თავს უფლებას ვაძლევ საქართველოს მოღვაწეთა და ხელოვანთა სახელით გელაპარაკოთ. გარწმუნებთ, მე მათი ერთგული ჟურნალისტი გახლავართ და ერთგულებაც პროფესიაა, ყველაზე დეფიციტური პროფესია. ერთ პატარა ნიუანსსაც გაგიმხელთ: უფროს ვაჟიშვილს ბექა დავარქვი, ბექა და ბექშენ ოპიზრების სიყვარულით. უმცროსს — ნიკალა — ფიროსმანაშვილის სიყვარულით. არც ერთს არასოდეს არაფერი დაუხატავს. მე კი მხატვრების სიყვარულით ვცხოვრობ...

***დოდო იორდანიშვილი***

## ქალაქში, რომელიც ჩვენს ქალაქს აღარ ჰგავს...



ხაჭაპური, ვერ ხედავ, აღარავინ არის ქუჩაში, — გამოელაპარაკა პოლიციისფორმიანი კაცი...

— შიგნით, ბაზრობაზე ხომ არიან?!

— შენც შიგნით იყვირე...

— სადაც მინდა, იქ ვიყვირებ, შენ არავინ გეკითხება...

— იყვირე რა, მაინც არავინ იყიდის, — წყობიდან გამოჰყავს პოლიციელს ქალი...

— ენა გააჩუმე, ისედაც ნერვები მაქვს მოშლილი. ეს რა გამოიგონეს...

პოლიციელი ხარხარებს, მიზანს რომ მიაღწია...

— რა ხდება, ნეტა? — მესამედ მეკითხება ჩემი მეზობელი...

— დეიდა, ათი კაპიკი მომეცი, რა? — გვიახლოვდება პატარა ბიჭი...

— რა ხდება, სიზმარში ვართ თუ ცხადში? — მეკითხება ბაზრისკენ მიმავალს მეზობელი.

— რა ხდება და, ჯანდაბა ამათ, — მეგრული კილოთი გვპასუხობს იქვე მდგომი ქალბატონი, — ესენი არჩენენ ჩემს შვილებს? მოიგონებენ რაღაცას — ოღონდ ხალხი გაანამონ...

გზას ვაგრძელებთ...

უკმაყოფილო ქალბატონი უკან გვრჩება...

— რამდენი ხანია, ასეთი თავისუფლება არ ყოფილა ამ ადგილას... ნახე, რას ჰგავს ქუჩები, რამდენი ნაგავია... ნეტა, სად წაიყვანეს ამდენი ხალხი? — განაგრძობს ჩემი თანამგზავრი...

— ფენოვანი ხაჭაპური! — ყვირილით ჩაიარა გამყიდველმა ქალმა...

— ნეტა, ვის რაღად უნდა შენი

— დარჩი უმუშევარი? — ისევ ხარხარებს პოლიციის ფორმაში გამოწყობილი კაცი...

ბიჭი ამრეზით უყურებს კაცს და გაწვდილ ხურდასაც არ იღებს, ისე გარბის მოპირდაპირე მხარეს...

— ცოდო არ არის? — თავს იქნევს ჩემი ენაწყლიანი თანამგზავრი და ვგრძნობ, რომ მასაც ევსება მოთმინების ფიალა პოლიციელის ხარხარზე...

— ცოდო, ქალბატონო, ჩვენ ვართ. იცი, რამდენ ფულს აკეთებს დღეში? — ისევ იცინის ორგანოს თანამშრომელი, — ერთი დღე დარჩა უმუშევარი... მეტროში მაგას არ ჩაუშვებენ — იქ სხვები მათხოვრობენ... უცხომ რომ დაიკავოს მათი ადგილი, თვალებს ამოსჩიჩქნიან...

— მერე, თქვენ რას მიკეთებთ? — ჩემი მეზობელი ფიცხდება.

— მე გამოვასწორებ ამ ქვეყანას?

— ყველა მასე რომ ფიქრობს, იმიტომაა ჩვენი საქმე კარგად...

— აბა, ყველამ რომ იფიქროს, მე გამოვასწორებ ყველაფერსო, მაშინ ნახეთ, რა ომი ატყდებოდა, — ისევ იცინის კაცი...

— თქვენ გული არ გაქვთ? — უკვე მოთმინების ფიალა ევსება ჩემს მეზობელს...

— მაქვს, როგორ არა, — პასუხობს პოლიციელი და თან მენაყინის ყვირილს უკეთებს კომენტარს, — დღეს აქ ტყუილად ყვირი, მაინც არ გაგეყიდება...

— კი მაგრამ, რა ხდება დღეს აქ? — მეოთხედ კითხულობს ჩემი მეზობელი...

— რა და, სანიტარული დღე მოიგონეს... აბა, ამდენ ქუჩის გამყიდველს შენ დააშოშმინებდი? ასე უხმაუროდ ამათ ვერავინ აყრის... რა კარგია, ხედავთ — მიდიხარ თავისუფლად, კაცურად, არავინ გეჯახება... ჯიბეში არავინ გიძვრება... ღრიანცელი არ არის, — ტონი ეცვლება პოლიციელს...

— კი მაგრამ, ოთხი საათია უკვე და ქუჩებს დასუფთავებისა არაფერი ეტყობა...

— რა ვიცი, ასე თქვეს და მარტო მე ხომ არ დავგვი ამხელა ქალაქს... — ამ სიტყვებით პოლიციელმა, როგორც იქნა, გზიდან გადაუხვია...

დილით ისევ იმავე ადგილას მომიწია მისვლა... გრგვინავდა ბაზრის გარშემო მდებარე ქუჩები...

— ეს ჩემი დახლია! — ყვიროდა ვიღაც...

— ზუსტი წონა...

— ჩემთან იყიდეთ...

თითქოს გუშინდელი საღამო მირაჟი იყო...

სანიტარულ დღეს ჩაევლო...

თერთმეტ საათზე უკვე გაცხოველებული ვაჭრობა მიდიოდა თბილისის ქუჩებში... კუთხეებში მიყრილ ნაგავს კი გულმოდგინედ ქექავდნენ ძაღლები.

ქალაქში, რომელიც ჩვენს ქალაქს აღარ ჰგავს, კიდევ ერთი ჩვეულებრივი დღე დაწყებულიყო...

***ეკა მახარაშვილი***

## „ᲝᲦᲝᲜᲓ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ...“




„ორშაბათი მძიმე დღეაო“, — ამბობენ. ვითომ მართლა? გადავწყვიტე, უკვე ტრადიციად ქცეული სატელეფონო გამოკითხვის შედეგად ჩვენი დედაქალაქელებისაგან გამეგო სიმართლე. კითხვით — **როგორი დღეა ორშაბათი და კვირის როგორ დაწყებას ინატრებდით-მეთქი.** რამდენიმე თბილისელს მივმართე.

**ᲨᲝᲗᲐ (55 წლის)** — ორშაბათი მძიმეა, მძიმე. ჯერ მე ხომ ვატარებ თათბირებს სამსახურში, მერე სხვა სამსახურებში დავრბივარ თათბირებზე და დღის ბოლოს სახლში მისული ვახშმის მაგივრად ცოლს ვეუბნები, თათბირი მომიმზადე-მეთქი. კვირის როგორ დაწყებას ვინატრებდი? შვილო, ბევრი ჩემი თანამშრომელი აფხაზეთიდან დევნილია, რომ ვუკვირდები, მათთვის ორშაბათი კი არა, ყველა დღე მძიმეა. მინდა ორშაბათს სამსახურში შესვლისთანავე ყველამ ერთად მახაროს — აფხაზეთი ისევ ჩვენია, ვბრუნდებით!

**ᲓᲐᲗᲝ (38 წლის)** — რა დროს ორშაბათია. ა, უკვე კვირაა? დამიჯერებთ ახლა რასაც გეტყვით? აი, ხვალ რომ მანქანით ქუჩაში გავალ და პოლიციელებისაგან გაწმენდილი დამხვდება ტრასები, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება. გუშინწინ კარგად ვიქეიფე მეგობრებთან ერთად. გვიან წამოვედი შინ. ბარათაშვილის ხიდთან „გამაბედნიერეს“ ბიჭებმა (პოლიციელებს გულისხმობს), „პრავა ამახიეს“, ფული მჭირდება მის გამოსატანად. დილით თუ ბალიშის ქვეშ კონვერტში ჩადებულ ფულს ან სულაც ჩემს „პრავას“ ვნახავ, მთელ კვირას ბედნიერად გავატარებ. მაგრამ იცი რა? როგორც ხვალ პოლიციელები არ დაგირიგებენ ქუჩაში ყვავილებს, ისე ნათელი ორშაბათი მე არ გამითენდება.

**ᲚᲔᲥᲡᲝ (19 წლის)** — ხვალ თუ ათიანში მოვარტყი და გამოცდაზე (აბიტურიენტია— ავტ.) ათი ქულა მივიღე, მაგარი ორშაბათი გამითენდება, აუ, თქვენი გაზეთიც ხვალ გამოდის არა? კარგია, კარგი, ხუთშაბათს მეორე გამოცდა მაქვს, მანამდე წაკითხვას მოვასწრებ.

**ᲗᲘᲜᲘᲙᲝ (42 წლის)** — ორშაბათს დილით ყველა ქუჩაზე გზები საგანგებოდ გაკეთებული, გაკრიალებული, საგანგებოდ დაგვილ-გარეცხილი, ყველა სახლი გარემონტებული და ნათელი ფერებით შეღებილი, მათხოვრები და მაწანწალები წარსულს ჩაბარებული, „აჭარა“, „ივერია“ და სხვა სასტუმროები პირვანდელივით ლამაზი და მხოლოდ უცხოელი სტუმრებით სავსე, საქართველო ერთიანი და ბედნიერი რომ ვნახო, გავიხარებ. საღამოს შინ მისული კი ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემებით სულ კაი-კაი ამბებს თუ გავიგებ, შეიძლება სიხარულისგან გულიც გამისკდეს. ოღონდ ეს ყველაფერი ასრულდეს და თუნდაც ხვალვე გამისკდეს გული.

**ᲚᲣᲙᲐ (5 წლის)** — მარტო ორშაბათს კი არა, სულ მინდა ჩემი „დისნეილენდი“ მქონდეს. მამიკოსთან ერთად ვიყავი ამერიკაში და კინაღამ გავაფრინე ტო! აუ, ხვალ, არა, ხვალ რას წამიყვანენ, სამსახურში მიდიან. შაბათს რომ ზოოპარკში წამიყვანენ და იქ „დისნეილენდი“ დამხვდეს, რა მაგარი იქნება!

**ᲫᲛᲐ (22 წლის)** — ორშაბათი მძიმე დღე არ არის. სულ მიხარია სამსახურში წასვლა, მაგრამ უფრო კარგი იქნება, რამე ექსტრავაგანტური, მოულოდნელი თუ მოხდება. მაგალითად რა?.. აი, მივალ სამსახურში და მაგიდაზე დამხვდება წერილი ვარდის თანხლებით „ქეთუშა, გაბედე და გამომყევი ცოლად დღესვე, შაბათს კი ქორწილი გადავიხადოთ, გკოცნის შენი ნიკუშა“. ხომ მაგარი იქნება? ნეტავ გაბედოს თვითონ თქმა და მე თანახმა ვარ.

**P.S.** გაბედე რა ნიკუშა, ქეთუშა კარგი გოგოა. ძვირფასო ლექტორებო, დაუწერეთ რა ლექსოს 10 ქულა. სწავლა უნდა ბიჭს. ყველას სურვილების ასრულებას გისურვებთ „კვირის პალიტრა“.

***ეკა ლომიძე***

## SOS! „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲡ“

გევედრებით, მოგვაშორეთ 24-საათიანი ავტოინსპექციის სტვენა და ქრონიკული რეიდები ფულის ასაკრებად დილმის მასივში, მეგობრობის პროსპექტზე, „წითელქუდასთან“. ქუჩის ორივე მხარის მრავალსართულიანი სახლების მცხოვრებნი ამ რეიდებმა ნერვიულ ავადმყოფებად გვაქცია. იძულებული გავხდებით, გზა გადავკეტოთ და კიდევ არეულობა შევიტანოთ ისედაც არეულ ქალაქში! მით უმეტეს, რომ ვის აღარ მივმართეთ ანალოგიური თხოვნით, მათ შორის თქვენც...

თუ ძალა არ შესწევს თქვენი დონის ავტორიტეტულ პრესას, მაშინ თქვით, თქვენი გაზეთის საშუალებით!

***დილმის მასივის, მეგობრობის პროსპექტის მცხოვრებნი***

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ:** ჩვენ ვიტყვით, ბატონებო, უფრო სწორად, თქვენს წერილს გამოვაქვეყნებთ, მაგრამ პრესას კი არა, თქვენ თუ დაგვისახელებთ, ქვეყანაში ვის რისი ძალა შესწევს, ვინ რაზე აგებს პასუხს ან მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად, ვისი სიტყვაა საკმარისი, მადლობლები დაგრჩებით...

ბატონებო, ვისაც შეგწევთ ძალა, უშველეთ დილმის მთავარი პროსპექტის მცხოვრებლებს.

## ᲤᲝᲢᲝ ᲣᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲝᲓ



# „ყარყარაშვილის მომხრეებმა აეროპორტში კედელთან მიაყენეს ყველა, პრეზიდენტიც კი..."

## კულმინაცია ქართულ პოლიტიკაში ტერაქტების თანხლებით

**გია ყარყარაშვილს გაურტყამს გიორგაძისთვის და გასასვლელისკენ წასულა. გიორგაძეს რაციით გადაუცია თავისი რაზმისთვის — „Ко мне!" გასასვლელში გიორგაძის ხალხი ყარყარაშვილს გადააწყდა.**

თემურ ხაჩიშვილის ციხიდან გათავისუფლება ყარყარაშვილის გალიზიანების საფუძველი გახდა. თავდაცვის ექსმინისტრი მასზე განხორციელებული ტერაქტის დეტალებზე ალაპარაკდა და იგორ გიორგაძესთან თავისი დაპირისპირების პერიპეტიები გაიხსენა. თუმცა მან რამდენიმე თვის წინაც ისაუბრა ჩვენთან გულახდილად, როცა 1994 წლის 25 იანვარი (ტერაქტის დღე) გაიხსენა: „მე და პაატა დათუაშვილი დილით სამხედრო აკადემიაში მივდიოდით. იმ სახლის სადარბაზოსთან, სადაც ვცხოვრობდი, მანქანა იდგა, იქიდან 2 მამაკაცი გადმოვიდა, სავარაუდოდ, რუსები იქნებოდნენ. ჯერ პაატას ესროლეს, მერე მე... ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი ქართველების დავალებით მოქმედებდნენ. ვიცი, ვინც იყო დამკვეთი, მაგრამ ჯერ ლაპარაკის დრო არ დამდგარა"...

ეტყობა, დღეს დადგა ყარყარაშვილის ალაპარაკების დრო. ის ირიბად, მაგრამ მაინც იგორ გიორგაძეს სდებს ბრალს. იგორ გიორგაძისა და თემურ ხაჩიშვილის მისამართით მძაფრ განცხადებებს აკეთებს ირინა სარიშვილიც, რომელიც უშიშროების ექსმინისტრს გიორგი ჭანტურიას მკვლელობის ერთ-ერთ თანამონაწილედ მიიჩნევს.

**ირაკლი ძიძიგური** — სანამ გიორგი



ჭანტურიაზე განხორციელებული ტერორისტული აქტის მიზეზებზე ვისაუბრებ, მინდა შეგახსენოთ იმდროინდელი ვითარება — გიორგი ჭანტურია ტერაქტამდე, ძალზე კატეგორიულ მოთხოვნებს აყენებდა, ითხოვდა ქართული პოლიტიკიდან წასულიყვნენ შეიარაღებული დაჯგუფებები, კერძოდ კი, გვარდიის ნაწილი კიტოვანის ხელმძღვანელობით და „მხედრიონი". ამ პერიოდში გაკეთდა განცხადებები იგორ გიორგაძესთან მიმართებითაც, რადგან უშიშროების სამინისტროს პოლიტიკა აბსოლუტურად განყენებული იყო იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც სახელმწიფო საბჭოში შემავალი პარტიები ემხრობოდნენ.

**— კონკრეტულად, რას სდებდით ბრალად იგორ გიორგაძეს?**

— როდესაც ქვეყანაში არსებობდა საინფორმაციო სადაზვერვო სამსახური, შს სამინისტროში ხაჩიშვილის „კრიშის" ქვეშ შეიქმნა იგორ გიორგაძის კონტრდაზვერვის სამსახური, რომელიც გაცილებით უკეთ ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ვიდრე ბათიაშვილის სტრუქტურა. გარდა ამისა, როცა პოსტები სკანდალურად დატოვეს ყარყარაშვილმა და ბათიაშვილმა, უშიშროების სამსახურის სათავეში იგორ გიორგაძე მოვიდა. მას მისცეს განუსაზღვრელი უფლებები და უზარმაზარი ფინანსური საშუალებების თავმოყრის საშუალება. გიორგაძე იყო სიგარეტის კონტრაბანდული ბიზნესის მეპატრონე. ამ ბიზნესიდან აღებულ ფულს ის ერთპიროვნულად განაგებდა. გარდა ამისა, მან თავის მოადგილედ დანიშნა თემურ ხაჩიშვილი, მის გვერდით აღმოჩნდა ასევე „მხედრიონის" ის ნაწილი, რომელიც შორს იყო „მხედრიონული" იდეალებისაგან. ასე შეიქმნა პირობა საიმისოდ, რომ ამ ძალას სახელმწიფოს სახელით ნებისმიერი ქმედება ჩაედინა. საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურს დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი იყო. უშიშროების მინისტრად გიორგაძის მოსვლის შემდეგ, დასავლეთთან ურთიერთობის ყველა ძაფი გაწყდა. იგი მხოლოდ ფორმალურ პროტოკოლურ სახეს ატარებდა. იგორ გიორგაძის პოლიტიკას შეეწირა სპეცდანიშნულების რაზმი „ომეგაც". აქედან გამომდინარე, ჩვენი პოზიცია იყო კატეგორიული და მკაცრი. ბუნებრივია, ის პირები, რომლებიც საფრთხეს გრძნობდნენ, ცდილობდნენ გაენეიტრალებინათ ან აზრი შეეცვლევინებინათ ჭანტურიასთვის. შესაძლოა ამას ცდილობდა იგორ გიორგაძეც.

**— ირინა სარიშვილის ოპონენტები ეჭვის ქვეშ აყენებენ ზემოხსენებულ ტერაქტში მის „სასწაულებრივ გადარჩენას".**

— ირინას 3 ტყვია მოხვდა, მათ შორის ერთი ტყვიამფრქვევის და ისინი, ვინც რაღაც საეჭვო დეტალებზე ლაპარაკობენ, ურჩევნიათ ჯერ პირი გამოირეცხონ.

**ირაკლი ბათიაშვილი:** — იგორ გიორგაძე უშიშროების მინისტრად მაშინ დაინიშნა, როდესაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ხელისუფლების საკითხი სასწორზე იდო. გამსახურდიას მომხრე ძალები ქუთაისს იყვნენ მომდგარი, აფხაზეთი დაკარგული იყო და არ გახლდათ გამორიცხული, რომ სამოქალაქო ომს ეს ხელისუფლება წაელეკა. სახელმწიფოს მეთაური იძულებული იყო, სერიოზულ დათმობებზე წასულიყო, მიეღო გადაწყვეტილება დსთ-ში შესვლის თაობაზე და საკვანძო თანამდებობებზე მოეყვანა რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი ხალხი. სწორედ ამ დროს ინიშნება უშიშროების ხელმძღვანელად იგორ გიორგაძე, რომელსაც არასოდეს დაუმალავს სიმპათიები რუსების მიმართ. ახლა ზოგიერთი გაიძახის, გიორგაძე რეზიდენტი იყოო. რეზიდენტი იგი ვერ იქნებოდა იმიტომ, რომ უშიშროების ოფიცერი გახლდათ. იგორ გიორგაძე დღესაც ფიქრობს, რომ საქართველო რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე წააგებდა, ასევე არ მალავდა თავის ახლო კავშირებს რუსეთის უმაღლეს სამხედრო წრეებთან, პოლიტიკოსებსა და უშიშროების ხელმძღვანელობასთან. სახელმწიფო მეთაურისთვის ცნობილი იყო გიორგაძის ორიენტაცია... მას შემდეგ, რაც უშიშროების ხელმძღვანელად იგორ გიორგაძე დაინიშნა, საქართველომ მკვეთრად შეიცვალა კურსი, რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცა და დაიწყო მჭიდრო ინტეგრაციის პროცესი რუსეთთან იმ იმედით, რათა კრიზისული ვითარება გამოსწორებულიყო და აფხაზეთი დაგვებრუნებინა. ეს ნაბიჯი თავიდანვე გულუბრყვილოდ მიმაჩნდა. ისიც ვიცოდი, გრაჩოვისა და ვარდიკო ნადიბაიძის ნათელმირონობა რომ ვერ უშველიდა საქმეს.

ჩემს დროს შექმნილ სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგას" დაემატა ახალი დანაყოფები — „ალფა" და მუხროვანის ბრიგადა, რომლებიც კარგად იყვნენ მომზადებულ-აღჭურვილნი. მაშინ უშიშროებამ სერიოზული ფიზიკური ძალა შეიძინა და რაღაც ეტაპზე იწყება ლატენტური, თანდათანობითი დაპირისპირება გიორგაძესა და ხელისუფლებაში მყოფ ძალებს შორის. ამ დროს ბევრი ორმაგ თამაშს ეწეოდა, — 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ არათუ შეინარჩუნეს პოზიციები, ბევრი დაწინაურდა კიდეც.

ამ დროს გიორგაძესა და ჯაბა იოსელიანს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ „მხედრიონის" ბევრი თავკაცი (ხაჩიშვილის და ჯაბას გარდა) გიორგაძის გავლენის ქვეშ იყო. როდესაც გიორგაძე თანამდებობაზე დაინიშნა, შევარდნაძემ კარტ-ბლანში მისცა, მას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ პრეზიდენტსა და გიორგაძეს შორის წარმოიშვა დაპირისპირება, რომელიც მოგვიანებით უფრო გაღრმავდა.

**— რა იყო დაპირისპირების მიზეზი?**

— მიზეზი პოლიტიკური იყო. როგორც ჩანს, შევარდნაძე რუსეთისთვის არ იყო ის კაცი, რომელსაც თავის სასურველ პოლიტიკას გაატარებინებდა. გიორგაძე-შევარდნაძის დაპირისპირების მიზეზი არ ყოფილა ფინანსური ინტერესები. რაც შეეხება აბაშიძესთან გიორგაძის დაპირისპირებას, იქ ნამდვილად იყო ასეთი მიზეზი. კერძოდ, მაშინ ბათუმის და ფოთის პორტის ინტერესები შეეჯახა ერთმანეთს. ორივე პორტში დიდი ფული ტრიალებდა. ამ დროს ფოთის პორტს უშიშროება აკონტროლებდა. ალბათ გასაგებია, რა გახდებოდა დაპირისპირების მიზეზი. გარკვეულ პერიოდში, როცა სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსი იყო გიორგაძე, ასლან აბაშიძის ნდობით სარგებლობდა, ხშირად იყო აჭარაში, მაგრამ, როდესაც მინისტრი გახდა, პირველი დაპირისპირება პრეზიდენტთან კი არა, სწორედ აბაშიძესთან მოუხდა. აბაშიძე ის პიროვნებაა, რომელიც იწყებს კამპანიას, — საჭიროა გიორგაძე დროზე მოაშორონ თანამდებობიდან. აბაშიძის მხრიდან იყო გაფრთხილება, რომ იგორ გიორგაძის ყოფნას უშიშროების მინისტრის პოსტზე ბევრი უბედურება მოჰყვებოდა. ამის შემდეგ მათ დაპირისპირებას პოლიტიკური სარჩული ედება. პარალელურად, ზღვრამდე მიდის დაპირისპირება პრეზიდენტსა და გიორგაძეს შორის. ვითარება ისე დაიძაბა, ყველა გრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო. მართლაც, ხდება 29 აგვისტოს ტერაქტი. თუმც არ შემიძლია იმის მტკიცება, რომ იგი მაინცდამაინც იგორ გიორგაძის ორგანიზებულია.

**— ბოლო დროს იგორ გიორგაძე გია ყარყარაშვილმაც გარკვეულწილად დაადანაშაულა მასზე განხორციელებულ ტერაქტში.**

— გია ყარყარაშვილს ფუჭი ლაპარაკი არ უყვარს. როცა ის ბრალდებებს უყენებს გიორგაძეს, ეს ალბათ ნაკარნახევია მისი ეჭვებით და ინფორმაციებით. თუმცა, რამდენად საფუძვლიანია ეს ბრალდებები, გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

**— იგორ გიორგაძის სახელს უკავშირებენ გიორგი ჭანტურიას მკვლელობასაც.**

— ირინა სარიშვილმა საკუთარ თავზე გადაიტანა ეს ტერორისტული აქტი. არც ირინა სარიშვილია ისეთი ადამიანი, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე იცრუოს. სანამ პრეზიდენტს დაუპირისპირდებოდა, იგორ გიორგაძეს ჭანტურიასთან სერიოზული უთანხმოება ჰქონდა. ჭანტურია და მისი პარტია ამ დროს ძლიერები იყვნენ, ედპ ამინდს ქმნიდა პოლიტიკაში. ჭანტურია კატეგორიულად ითხოვდა, რომ იგორ გიორგაძეს და ჯაბა იოსელიანს პოსტები დაეტოვებინათ, ასევე მოხდა გიორგაძის დაპირისპირება ყარყარაშვილთან, რამაც კულმინაციას მიაღწია.

**— ყარყარაშვილისა და გიორგაძის დაპირისპირების საფუძველი რა იყო?**

— განცხადებები ერთმანეთის მისამართით, რომელსაც მერე ჩხუბი მოჰყვა. თავდაცვის მინისტრობიდან გადადგომის მიუხედავად, მაშინ ყარყარაშვილი სერიოზულ ფიგურას წარმოადგენდა, ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა.

**— როგორც ვიცი, გიორგაძეს ყარყარაშვილმა გაარტყა...**

— დეტალები არ გვინდა. ირინა სარიშვილსა და გიორგი ყარყარაშვილს უფლება აქვთ გიორგაძის მისამართით გააკეთონ განცხადებები. ისინი დაზარალებულები არიან, მაგრამ მე არ მაქვს უფლება, ბრალი დავდო იგორ გიორგაძეს. მე შეიძლება მხოლოდ სუბიექტური ეჭვი მქონდეს.

როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, ყარყარაშვილსა და გიორგაძეს შორის სერიოზული ინციდენტი მომხდარა აეროპორტში. გიორგაძეს ყარყარაშვილისთვის უთქვამს, — აფხაზეთი შენ დაკარგეო. ყარყარაშვილი აფეთქებულა, — აფხაზეთის ომს ძმა შევწირეო. ასე ბევრმა შესწირა ომს ახლობლებიო, უპასუხია უშიშროების მინისტრს. გია ყარყარაშვილს გაურტყამს გიორგაძისთვის და გასასვლელისკენ წასულა. გიორგაძეს რაციით გადაუცია თავისი რაზმისთვის — „Ко мне!" გასასვლელში გიორგაძის ხალხი ყარყარაშვილს გადასწყდომია, მაგრამ რაკი არ იცოდნენ ინციდენტის ამბავი, ექსთავდაცვის მინისტრი გაუტარებიათ. ამასობაში ყარყარაშვილიც მისულა თავის დაცვასთან (რომელიც ლამის ტყვიამფრქვევებით ყოფილა შეიარაღებული) და მალევე უკან შემობრუნებულა... ყარყარაშვილის მომხრეებს კედელთან მიუყენებიათ ყველა, თვით პრეზიდენტიც კი... ამის გამო შევარდნაძე ყარყარაშვილზე განაწყენებულა და გიორგაძის მხარე დაუჭერია.

ბრალდებებზე, რომელიც ბოლო დროს გაისმა იგორ გიორგაძის მისამართით, სხვაგვარ პასუხებს იძლევიან იგორ გიორგაძის ოჯახის წევრები და მეგობრები. მათი თქმით, „ასლან აბაშიძესა და იგორ გიორგაძეს შორის ურთიერთობა პრეზიდენტმა გააფუჭა. მანამდე იგორი და ბატონი ასლანი თურმე ძალზე ახლობლობდნენ. როცა ყარყარაშვილთან ინციდენტი მოხდა, ასლან აბაშიძემ დაჯავშნული „ლინკოლნიც" კი გამოუგზავნა, ხოლო მისი ცოლ-შვილი უსაფრთხოების მიზნით ბათუმში კარგა ხანს ჰყავდა... მაგრამ პრეზიდენტს არ აძლევდა ხელს გიორგაძის და აბაშიძის სიამტკბილობა. რაკი იცოდა მისი სუსტი მხარე, აბაშიძეს ჩააწვეთა, იგორ გიორგაძე შენზე ტერაქტს გეგმავსო. ეს ფრაზა გახდა გიორგაძე-აბაშიძის დაპირისპირების მიზეზი.

**თემურ ჟორჟოლიანი:** „უნდა გავიხსენოთ გია ჭანტურიას ტერაქტი. როდესაც გია მოკლეს, მის მანქანას 200 ტყვია მოხვდა. არასოდეს მიფიქრია, მის მკვლელობაში იგორს კი არა, ხაჩიშვილს რომ მიუძღოდეს ბრალი. გია ჭანტურიას მკვლელობა იყო დიდი სპექტაკლი, რომელშიც სამწუხაროდ ირინა სარიშვილი მონაწილეობდა. რატომ არავის დაებადა კითხვა, დაცხრილულ მანქანაში, მაშინ, როდესაც გიას 30-ზე მეტი ტყვია მოხვდა, როგორ გადარჩა ირინა სარიშვილი? ერთადერთი ტყვია მას რიკოშეტით მოხვდა. ტერაქტის შემსრულებლებმა იცოდნენ, რომ მისთვის არ უნდა ესროლათ. საეჭვოა ისიც, რომ 8 წელი არაფერი უთქვამს სარიშვილს და ახლა ალაპარაკდა, ხაჩიშვილი და გელაშვილი დავინახე თავდასხმის დროსო. რატომ არავინ დაინტერესდა, ვის აძლევდა მაშინ ხელს გია ჭანტურიას მოცილება არენიდან, ვისი შეკვეთით მოხდა ტერაქტი? დღეს რომ აცხადებს ხაჩიშვილი და მტკიცებულებებიც მოჰყავს, ამ საქმეში კვირაია მონაწილეობდაო, რატომ არ უსმენს მას სარიშვილი? რატომ არ მოჰკითხა სარიშვილმა ქმრის მკვლელობის ამბავი შევარდნაძეს?! დავსვათ კითხვები — ვის არ აწყობდა გიორგი ჭანტურიას გაპრეზიდენტება? ყველაზე მეტად ვის სურდა გაპრეზიდენტება? ვის სჭირდებოდა, რომ ედპ, მაშინ, საკმაოდ ძლიერ პარტია, სატელიტად ჰყოლოდა? ვინ გათვალა სიტუაცია ისე, რომ ჭანტურია უნდა მოეცილებინათ, მაგრამ მემკვიდრე ამ პარტიაში სარიშვილი უნდა დარჩენილიყო?!

როცა კვირაიას მინისტრად ნიშნავდნენ, ჩვენ წინააღმდეგები ვიყავით — არ შეიძლებოდა მანიაკი მკვლელის მინისტრად დანიშვნა. ირინა სარიშვილი კი კბილებით იცავდა კვირაიას და რა აღარ გააკეთა, რომ ეს კაცი გამინისტრებულიყო.

**— იგორ გიორგაძის და გია ყარყარაშვილის დაპირისპირების მიზეზი რა იყო?**

— როდესაც პანტელეიმონ გიორგაძე პარლამენტარი გახდა, პრეზიდენტმა იგი სასაზღვრო ჯარების მთავარსარდლად დანიშნა. როგორც წესიერმა კაცმა, დაწერა განცხადება და პარლამენტიდან წავიდა. მაშინ თავი მოიკლა ყარყარაშვილმა, თავდაცვის სამინისტროდან გააშვებინა კაცი (მაშინ პანტელეიმონ გიორგაძე ყარყარაშვილის მოადგილე იყო. — ი.რ.) და, ფაქტობრივად, უმუშევარი დატოვა. შეიძლება მამის გამო გაუნაწყენდა იგორი ყარყარაშვილს. ამის შემდეგ მოხდა აეროპორტის ინციდენტი. პრეზიდენტი აშხაბადში იყო ვიზიტით. მის დელეგაციაში გია ყარყარაშვილიც იყო. როგორც ვიცი, თვითმფრინავში ჩამსხდარ ხალხს 1,5 სთ მოუხდა ლოდინი, ყარყარაშვილი გვიან მოვიდა, თანაც ძალზე ნასვამი. უკან დაბრუნებულ დელეგაციას გიორგაძე და ვახტანგ რჩეულიშვილი დახვდნენ. აეროპორტში, როგორც ვიცი, იგორს და გიას კამათი მოუვიდათ. აფხაზეთის თემა და დამსახურებებიც ახსენეს. გიას უთქვამს, — სამშობლოსათვის 37 ნატყვიარი მაქვს სხეულზეო. იგორს უთქვამს, 37 ნატყვიარი კი არა, ნაწემსარი გაქვსო. რაკი გია ნასვამი იყო, გაიწია იგორზე და შეაგინა. იგორმა Мальчишка უწოდა. მაშინ დაემუქრა იგორ გიორგაძეს, ცოლშვილიანად ამოგბუგავო. იმ ღამეს ყარყარაშვილი ტანკებით დაჯირითობდა და კონტრდაზვერვის შე-



ნობას ჭურვი ესროლა. შენობა დაინგრა, ხალხი დაიჭრა, მაგრამ საქმე არც აღძრულა... დღეს გიას მიმართ სიმპათიით და თანაგრძნობით ვარ გამსჭვალული. ის კარგი ბატალიონის მეთაური იყო, გმირი, მაგრამ არ შეიძლებოდა მისი მინისტრობა. როცა თავდაცვის მინისტრმა რუკა და ჯარის განლაგება არ იცის, ბრძოლას როგორ მოიგებს? გიამ იცოდა, რომ მინისტრობა არ შეეძლო და მაინც დადგა მინისტრად. ყარყარაშვილს არ უნდა გიორგაძის დაბრუნება, იმიტომ, რომ შესაძლებელია დადგეს დღე, როცა ყველა გაიგებს, რა მოხდა სოხუმში.

**— ითქვა, რომ პრეზიდენტმა გარკვეული დავალება მისცა გიორგაძეს ჭანტურიას გასაუვნებელყოფად.**

— პრეზიდენტი არ არის ისეთი მიამიტი, აშკარად გასცეს ასეთი ბრძანებები. მაგალითად, იყო ასეთი დავალება, — აბაშიძის წინააღმდეგ იმოქმედეთ სრული პროგრამით. რას ითვალისწინებდა ეს დავალება, ძნელი მისახვედრია?! გიორგაძემ ორჯერ შეუთვალა გიორგი ჭანტურიას, შემხვდიო. პირველი შეხვედრა 8 საათზე იყო დანიშნული. ამ დროს იგორი პრეზიდენტმა დაიბარა და საღამოს 12 საათამდე არ გამოუშვა. ე.ი. გავიდა ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ. მეორე შეხვედრის ამბავი იგორის და გიას გარდა, არავინ იცოდა, მაგრამ ისიც ჩაიშალა. იგორს გიას გაფრთხილება უნდოდა, რადგან იცოდა მასზე ტერაქტი იყო დაგეგმილი. ეს გიას სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა.

ერთ დელიკატურ ამბავსაც გიამბობთ. 1994 წელი იყო. ახალი ჩავლილია ფილარმონიის ისტერია — ე.წ. „მოქკავშირის" შექმნა. ზურაბ ჟვანიამ მითხრა, სალაპარაკო მაქვს შენთანო. ჩემთან მოვიდა, შინ. გადავთვალეთ-გადმოვთვალეთ და ედპ არ გვჭირდება ოპოზიციაში, იქნებ თქვენ იყოთ ოპოზიციაო. ე.ი. მაშინ დაიგეგმა, ვინ უნდა ყოფილიყო ოპოზიცია, როგორ უნდა მოეშორებინათ „მხედრიონი" და გიორგაძე. მაშინ გია ჭანტურია ცოცხალი იყო. იგი წესიერი კაცი იყო, დასავლეთში მას პატივს სცემდნენ და არც იყო გამორიცხული საპრეზიდენტო არჩევნებზე ფსონი გიაზე დადებულიყო. გიას შევარდნაძე თავის დუდუკზე ვერ აცეკვებდა.

ზურაბს ვუთხარი, — ამას ვერ გავაკეთებ-მეთქი. რაკი ჩვენ უარი ვუთხარით, მაშინ გადაწყდა გიას მოცილება. გია მიუღებელი იყო მათთვის და არჩევანიც სარიშვილზე გაკეთდა. დღეს გაიძახიან პარტიები, — კრიმინალია ხაჩიშვილიო. არადა, ხელისუფლება მას შემდეგ არის კრიმინალიზებული, რაც შევარდნაძეა ხელისუფლებაში. ის ხალხი, ვინც ამ კრიმინალურ სტრუქტურებში არ ჩაჯდა, ან მოკლეს, ან გაანადგურეს პოლიტიკურად, ან გააქციეს. ნათელაშვილი გუშინ ძმა იყო შევარდნაძის. მე რომ შევარდნაძეს ვეჭიდავებოდი და ვშიმშილობდი, ჟვანია კბილებით იცავდა, რჩეულიშვილი გვერდით ედგა. სარიშვილი კი ყოველდღე კაბინეტში ეჯდა პრეზიდენტს. ნათქვამი აქვს ჩემთან, — ვერ ვიცილებო. ამ ხალხს რად უნდა აქ გიორგაძის ჩამოსვლა. მისი ჩამოსვლის შემდეგ ხომ მთლიანად გაუფასურდებიან...

*იზო რიკაძე*

# ხონის კოლონიაში გინესის რეკორდების წიგნში შესატანი ჭა ითხრება


ლოთი და მისი თანამებრძოლები გამგზავრების წინ

„კვირის პალიტრის“ ჟურნალისტის ექსკლუზიური მგზავრობა „წითელი ზონის“ პატიმრებთან ერთად

ალბათ მშობელს არ გაუხარდებოდა ისე შვილის ციხიდან შინ დაბრუნება, როგორც ხონის კოლონიის ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს თბილისიდან, კერძოდ კი, ავჭალის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან პატიმრების ჩასვლა გაუხარდათ. კოლონიის ხელმძღვანელობამ პატიმრებს ლამის საზეიმო შეხვედრა მოუწყო. მათი აღფრთოვანება გასაგებია, რადგან კოლონია თითქმის რამდენიმე თვეა კონტინგენტის გარეშე იყო და დღის წესრიგში მისი გაუქმების საკითხიც იდგა. ეს კი ასამდე ადამიანის უმუშევრობას ნიშნავდა. ხონში ე.წ. „წითელი ზონის“ დაბრუნებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. „წითელი ზონის“ კონტინგენტს, რომელსაც ყოფილი პოლიციელები, მხედრიონელები და სხვადასხვა დანაშაულისათვის მსჯავრდადებული პატიმრები შეადგენენ, კატეგორიულად არ სურდა ავჭალიდან ხონში დაბრუნება. ოფიციალურ მიზეზად პატიმრები და მათი პატრონები ხონის კოლონიის გაუსაძლის საყოფაცხოვრებო პირობებს და მის მიუდგომელ ადგილმდებარეობას ასახელებდნენ. ერთ-ერთი მსჯავრდადებული აცხადებს: „არ არის წყალი, ელექტროენერგია, იქ სიბინძურეში ამოვიხრჩობით. ნუ გაგვწირავენ, არ გადაგვიყვანონ ხონში და ამით შეგვინარჩუნონ სიცოცხლე“. არაოფიციალური ინფორმაციით კი პატიმრებს ავჭალის კოლონია იმიტომ არ ეთმობოდათ, რომ აქ ნარკოტიკების შეტანა-რეალიზაცია შესანიშნავად არის „ორგანიზებული“ და სწორედ ამის აღსაკვეთად შეიქნა საჭირო პატიმრებისთვის ადგილსამყოფლის შეცვლა. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ **ელენე თევდორაძემ** ჩვენთან საუბარში განაცხადა: „იმ კოლონიას, სადაც ხდება კრიმინალური დანაშაულობები, — მკვლელობები, ნარკოტიკების შეტანა-რეალიზაცია, „წითელი ზონა“ არ ჰქვია. ის ჩვეულებრივი „შავი“ გაგების ზონაა და ქურდული კანონებით ცხოვრობს. მაქვს ინფორმაცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მაღალი რანგის ჩინოვნიკის ვინაობაც ვიცი, ვინც კოლონიას ნარკოტიკებით ამარაგებდა. თვითონ ჩავედი ხონში, დავათვალიერე კოლონია და უნდა გითხრათ, რომ ადრინდელთან შედარებით საყოფაცხოვრებო პირობები გაცილებით გაუმჯობესებულია. გაყვანილია ელექტროენერგიის მიმწოდებელი განმხოლოებული ხაზი, მოგვარებულია წყლის პრობლემა და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხები. ასე რომ, თუ პატიმრები ბუნტს გააგრძელებენ და ხონში წასვლაზე უარს იტყვიან, მე სხვას ვერაფერს ვიფიქრებ გარდა იმისა, რომ პატიმრებს ნარკოტიკების დათმობა არ სურთ“.

## სტუმრობა ავჭალის „წითელ ზონაში“

ასე იყო თუ ისე, თევდორაძის რჩევამ გაჭრა, — პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს და ხონში გასამგზავრებლად მომზადება დაიწყეს. ჩვენმა გაზეთმა გადაწყვიტა ავჭალიდან ხონის კოლონიამდე პატიმრებთან ერთად ემგზავრა და თავისი თვალით ეხილა განახლებული ხონის კოლონია. ეს განზრახვა ცოტა არ იყოს ოცნებას ჰგავდა, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის უფროსის, პაატა მხეიძის ხელშეწყობით „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტს, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით, მაგრამ მაინც მიეცა უფლება, ეტაპს თან გაჰყოლოდა. უნდა ითქვას, რომ „შეზღუდვებს“ დიდად არ შევუზღუდივარ — სადაც მინდოდა და როცა მომესურვებოდა, იქ შევდიოდი. ზონაში, პატიმრების გარემოცვაში, თავისუფლად დავსეირნობდი და ინტერვიუს ვიღებდი მათგან, ასევე ბადრაგის ნევრებისა და კოლონიის ხელმძღვანელებისგანაც. თქვენ წარმოიდგინეთ, პატიმრების ვაგონშიც კი შევედი, მაგრამ ხუთიოდე წუთიც კი ვერ გავძელი გახურებულ თონედ ქცეულ ვაგონში. მაგრამ მოდით, ყველაფერს თანამიმდევრულად მივყვეთ.

ავჭალის კოლონიაში ზუსტად საღამოს ხუთ საათზე გამოვცხადდი.

საბადრაგო სამსახურის და ავჭალის კოლონიის თანამშრომლებმა რკინის მთავარი კარიდან ეზოს ცენტრამდე ცოცხალი დერეფანი გააკეთეს. დერეფნის ბოლოს მაგიდა დადგეს, რომელზეც პატიმრების პირადი საქმეები ეწყო და მათი გამოძახება დაიწყეს. „თოფურაშვილი, მოემზადოს თოდუა!“ თოფურაშვილი პატიმრების ჯგუფს გამოეყო, ცოცხალ დერეფანში შემოვიდა და სულ კოცნა-კოცნით გამოემშვიდობა საბადრაგო სამსახურისა და კოლონიის თანამშრომლებს. დერეფანში ახლა თოდუა შემოვიდა. ერთი სიტყვით, პატიმართა და კოლონიის თანამშრომლებს შორის ისეთი გულთბილი დამშვიდობების მოწმე გავხდი, თვალზე ცრემლიც კი მომერია. პატიმართა გამოძახება და მათი სპეცმანქანაში ჩასხდომის პროცესის ცქერა მომწყინდა და მსჯავრდადებულთა ერთ-ერთი ჯგუფისკენ გადავინაცვლე.

„წითელი ზონის“ მაყურებელს, ყოფილ პოლიციელს (რომელიც სასჯელს ბანდიტიზმის მუხლით იხდის), გელა გუდიაშვილს მივუახლოვდი. ჯიბეში მალულად დიქტოფონი ჩავრთე და მასთან საუბარი გავაბი:

— **რაზე ზიხარ?**

— მე კი ვიცი, რაზეც ვზივარ და შენც იცი, ვინცა ვარ. შენ რა გგონია, ვერ შევამჩნიე, დეპარტამენტის თანამშრომელმა ჩემზე რომ მიგითითა — ეგ არის ზონის მაყურებელიო. ისიც ვიცი, ჯიბეში დიქტოფონი რომ გაქვს. მაგას ვჭამ მე? პირდაპირ გეტყვი, ელენე თევდორაძის ბევრი არაფერი მჯერა. ეგ მანახა ერთი ჩემს დღეში და მერე როგორ წავიდოდა „სროკის“ მოსახდელად ხონში, მაგასაც ვნახავდი. კომუნისტებმა ვერ გააკეთეს იმ კოლონიაში წყალი და ესენი რისი გამკეთებლები არიან. ორმოდან ამოღებულ წყალს გვასმევდნენ ხონში და მთელ ზონაში კუჭაშლილები დავრბოდით. მაგრამ რას იზამ, ძალა აღმართს ხნავს. ისე, უნდა გითხრა, რომ შენმა კოლეგებმა ძალიან დაგვწყვიტეს გული, როცა იმის მტკიცება დაიწყეს, თითქოს ზონაში ნარკოტიკები შედის და ამის გამო არ მიდიან ხონის კოლონიაშიო. ჯერ კარგად გაიგონ და მერე დაწერონ.

მოულოდნელად ქობალიას გვარი ამოიძახეს. „ქობალია, სვეშჩამი, სად ხარ, ბიჭო! ლოთი, მოდი, კაცო, რას გვაგვიანებ?“, შესძახეს ყაზარმის წინ სკამზე ჩამომჯდარ ლოთი ქობალიას — „თუ ძმა ხარ, ჩემი საქმე გვერდზე გადადე, მე-ბოლოში გამომიძახეთ“, —გასძახა ლოთიმ ბადრაგის ბიჭებს. მას თხოვნა შეუსრულეს და არც არავის გაუპროტესტებია. ქობალიამ ჭკუა იხმარა — ზედმეტად რამდენიმე საათი სპეცმანქანაში და მერე ასევე დახუთულ სპეცვაგონში ჯდომას, ჩრდილში, სუფთა ჰაერზე ჯდომა ამჯობინა. მისკენ გავეშურე. ლოთის გვერდით ვიღაც ქალბატონი მოკალათებულიყო. ახლოს მისულმა მასში ქობალიას მეგობარი ჟურნალისტი შევიცანი, რომელიც გამოსამშვიდობებლად მისულიყო.

— **როგორ გრძნობთ, ბატონო ლოთი, თავს გამგზავრების წინ?**

— შესანიშნავ ხასიათზე ვარ. აბა, რა იქნება, ზუსტად იქით მივყავართ, სადაც მშობლიური ქარის ქროლვას უფრო ვიგრძნობ. იქიდან გვირაბის გათხრა ნამდვილად არ დამჭირდება. ტყე-ტყე გავიქცევი. ჩემი ბიჭები სულ ტყეში არ არიან? მომაკითხავენ და წამიყვანენ, — ჩანდა, ქობალია მართლაც კარგ გუნებაზე იყო.

— **რამდენი წელი დაგრჩათ „პანსიონატში“ დასასვენებლად?**

— ვერ გავიგე, კაცო. ცხრა წელიწადია ვზივარ. ოცი მქონდა მოსჯილი. ახლა მეუბნებიან, კიდევ ოცი გაქვს დარჩენილიო. მაგ ოხრებმა არითმეტიკა არ იციან. მიმატებენ და მიმატებენ. მომიმატონ! შეწყალებას მაინც არ მოვითხოვ ზოგიერთებივით. პატიებას მხოლოდ ღმერთს ვევედრები. პრეზიდენტი ციხიდან იმას უშვებს, ვინც სჭირდება ან ვისაც დიდი მფარველი ჰყავს. ანარქისტი მახნო ხომ გაგიგია, სწორედ მახნოსავით იცავს პრეზიდენტი თავის ყაჩაღებს და ბანდიტებს...

ლოთის დროებით დავემშვიდობე და ზონის ეზოს შორეულ კუთხეში, იუსტიციის სამინისტროს სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების რაზმის შავფორმიან, კბილებამდე შეიარაღებულ მებრძოლებისკენ ავიღე გეზი.

— **თქვენ აქ რისთვის მოგიყვანეს? პატიმრები ხომ თავის ნებით მიდიან.**

— თავი დაიზღვია ხელმძღვანელობამ. რა იცი, რა მოუვა პატიმარს თავში...

## მგზავრობა ეტაპით

ორიოდ საათში ყველა პატიმარი სპეცმანქნებში იყო განთავსებული. ჭარელაშვილმა სპეცრაზმს და საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებს მათი მატარებლის ვაგონებში გადაყვანა უბრძანა. მძღოლებმა მანქანის ძრავები აამუშავეს. კოლონიის მთავარი რკინის კარი გაიღო და კოლონა მატარებლის ვაგონებისკენ გაეშურა, რომელიც იქვე, ავჭალის ბავშვთა კოლონიის წინ მდებარე სარკინიგზო ხაზის წინ ჩამოეყენებინა ელმავალს. მე სპეცრაზმელების მანქანაში მომათავსეს. სპეცრაზმელებს კოლონის გაცილების დროს ნაქსოვი ნიღბები ჰქონდათ ჩამოფარებული სახეზე და იმ სიცხეში ისეთ დღეში იყვნენ, ჩემს მტერსაც არ ვუსურვებ. ავჭალის კოლონიიდან ორიოდ კილომეტრში ორი სპეცვაგონი გვიცდიდა. მანქანის მძღოლებმა ვაგონის კართან ისე მჭიდროდ მიაყენეს მანქანები, რომ მანქანიდან გადმოსული პატიმარი პირდაპირ ვაგონში ხვდებოდა. სპეცრაზმელებმა ობიექტს ალყა შემოარტყეს, ასე რომ, პატიმრის გაქცევა გამორიცხული იყო. პატიმრების ვაგონებში გადაყვანა რამდენიმე წუთში დამთავრდა. გამცილებელმა ბადრაგმაც თავისი ადგილი დაიკავა ვაგონში. ელმავალი ვაგონებს ჩაება და თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგურისკენ წაიყვანა, რათა შემდეგ სამოქალაქო სამგზავრო ვაგონებისთვის ჩაებათ. მე და სპეცრაზმელები სადგურისკენ მანქანებით გავეშურეთ.

პატიმრების ერთი კოლონიიდან მეორეში სპეცვაგონებით გადაყვანა, ანუ იგივე ეტაპირება, მით უმეტეს, ზაფხულში, ნებისმიერისათვის სულიერი და ფიზიკური გამძლეობის გამოცდაა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეტაპი პატიმრებისათვის ჯოჯოხეთია. პატიმრების ვაგონს ერთი მხრიდან მთლიანად ყრუ კედელი აქვს. მეორე მხარეს, მართალია, ფანჯრები აქვს, მაგრამ ის მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრზე იწევა. ვაგონის ერთი მესამედი ბადრაგის კუპეებს უკავია. დანარჩენი კუპეები, რომლებიც რკინის ბადეებითაა გამოყოფილი დერეფნისაგან, ხოლო ერთმანეთისაგან ყრუ კედლით, პატიმრებისთვისაა განკუთვნილი. თითოეულ კუპეში ცხრა-ათი პატიმარი მოათავსეს. ასე რომ, როცა თითო ვაგონში 60-60 პატიმარი და საბადრაგო სამსახურის 10-10 თანამშრომელი მოთავსდა, რამდენიმე წუთში სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ თბილისის რკინიგზის სადგურსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გაუქმებულია სასმელი წყლის ონკანები და ე.წ. სოკოები, რათა სადგურზე განთავსებულმა ჯიხურებმა რაც შეიძლება მეტი გამაგრილებელი სასმელი გაყიდონ. ვაგონში კი ისეთი ცხელი წყალია, რომ მისი დალევა უაზრობაა. პატიმრისათვის რამდენიმეწუთიანი შვება ეტაპის ტუალეტში გაყვანაა. სანამ სამოც პატიმარს ტუალეტში სათითაოდ გაიყვანენ, პირველი პატიმარი კვლავ ტუალეტში გაყვანას ითხოვს, მაგრამ ეს მისთვის წარმოუდგენელი პრივილეგიაა, ზოგი ვერ ითმენს და... სწორედ ამიტომაც, ვაგონში აუტანელი სუნია. პატიმრების საცოდაობას ვეღარ გავუძელი, პლასტმასის ბოთლებით რამდენიმე რეისი გავაკეთე, მაგრამ რამდენიმე ლიტრი წყალი რას უშველიდა 117 პატიმარს? თითქმის ოთხი საათი ვუცდიდით ფოთი-ქუთაისის მატარებლის შემადგენლობაზე მიბმას. როგორც იქნა, მატარებლის გასვლის დროც მოვიდა და ოდნავ გაღებული ფანჯრებიდან მაცოცხლებელი ჰაერი შემოვიდა, მაგრამ არა იმდენი, რომ რომელიმე პატიმარს ჩემთან საუბრის თავი ჰქონოდა. თუმცა ზესტაფონს რომ გავცდით, პატიმარმა თამაზ ნინიკაშვილმა ასეთი რამ მითხრა: „როცა შავი ზონა ეტაპით გადაჰყავთ, მათთვის სადგურებზე არც გამაგრილებელი სასმელების, არაყისა და ნარკოტიკების ყიდვაც არ არის პრობლემა. ჩვენთვის კი წყალიც არ არსებობს. როგორც ჩანს, დეპარტამენტმა სადგურის პოლიცია გააფრთხილა, რომ სავაჭრო ჯიხურები დაეკეტათ...“

დილის ხუთ საათზე უკვე ქუთაისში ვიყავით — ხუთი სპეცავტომანქანით დაგვხვდნენ კოლონიის თანამშრომლები. როგორც კი ირიჟრაჟა, სიცხისა და უჰაერობისაგან დაოსებული, სანახევროდ გონდაკარგული პატიმრები ვაგონებიდან სპეცავტომანქანების რკინის ფურგონებში გადმოიყვანეს. რადგან მანქანა ცოტა იყო, ბადრაგი ცდილობდა თითოეულ მანქანაში რაც შეიძლება მეტი პატიმარი მოეთავსებინა. ეს კი მათ პროტესტს იწვევდა: „რას შვრებით, კაცო, გვახრჩობთ? მეტი აღარ ეტევა ამ დედა...“ პასუხად გაისმოდა: „ეს ორი კაციც დაიმატეთ, ცოტაც გაუძელით და წავალთ.“ ერთ-ერთი ბადრაგის თქმით, „როგორც სპეცავტომანქანებში, აგრეთვე სპეცვაგონებში ინსტრუქციით მკაცრადაა განსაზღვრული, თუ რამდენი ადამიანის გადაყვანა შეიძლება და ჩვენ ეს ინსტრუქცია ერთხელაც არ დაგვირღვევია(!)“.

კოლონამ გეზი ხონისაკენ აიღო. ქუთაისი-ხონის საავტომობილო გზის ნახევარი ისეთია, რომ თამამად შეიძლება იმერეთის ავტოინსპექციამ ამ გზის ნაპირებზე ახალი საგზაო ნიშანი გააკეთოს წარწერით: „ფეხმძიმე ქალებისა და სუსტი კუჭის პატრონების ამ გზით მგზავრობა აკრძალულია“. ხონიდან შვიდ კილომეტრზე კოლონია მდებარეობს. იქ მხოლოდ გრუნტის გზით თუ მიხვალ და შესაბამისად, თითოეულმა მგზავრმა რამდენიმე ასეული გრამი მტვერი ჩავყლაპეთ.

## ხონში „წითელი ზონა“ დაბრუნდა

საათნახევრიანი მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, ჩავედით. კოლონიის სრული შემადგენლობა, კოლონიის უფროსის, ამირან ლიპარტელიანის მეთაურობით, გამოგვეგება. სიცხისა და უჰაერობისგან შეღონებული პატიმრები მანქანის კედლებზე აბრახუნებდნენ და სასწრაფოდ მანქანებიდან გადმოყვანას და ზონაში შესვლას მოითხოვდნენ. სწორედ ამიტომ ბადრაგის ხელმძღვანელობამ, კოლონიის

> შეწყალებას მაინც არ მოეითხოვ ზოგიერთებივით. პატიებას მხოლოდ ღმერთს ვევედრები. პრეზიდენტი ციხიდან იმას უშვებს, ვინც სჭირდება ან ვისაც დიდი მფარველი ჰყავს. ანარქისტი მახნო ხომ გაგიგია, სწორედ მახნოსავით იცავს პრეზიდენტი თავის ყაჩაღებს და ბანდიტებს...

უფროსობასთან შეთანხმებით, პატიმრების თვლით და არა სახელობითი მიღება გადაწყვიტა. პატიმრებით დატვირთული პირველი მანქანა ზონის კარებთან მიაყენეს. ბადრაგმა და კოლონიის თანამშრომლებმა კვლავ ცოცხალი კედელი აღმართეს და კარები გააღეს. მანქანიდან გადმოსული, უჰაერობისაგან გალურჯებული პატიმრები ძლივს იდგნენ ფეხზე. თუმცა რამდენიმე წამი საკმარისი შეიქნა, რომ სუფთა ჰაერზე გონს მოსულიყვნენ. როგორც ავჭალის კოლონიაში გამომშვიდობებისას, აქაც კოლონიის ზოგიერთი თანამშრომელი და კოლონიის უფროსი პატიმრებს ხვევნა-კოცნით ხვდებოდა, როგორც დიდი ხნის უნახავ მეგობრებს და იქვე, ზერელედ, მაგრამ მაინც ჩხრეკდნენ. დაახლოებით ნახევარ საათში პატიმრებით გაივსო ზონა.

მე პაატა მხეიძისგან მონიჭებული უფლებებით ვისარგებლე და ზონაში თანმხლები პირის გარეშე შევედი. კოლონიის ეზო პატიმრების ბარგით იყო გავსებული. ავჭალის კოლონიიდან პატიმრებს თავისი ბარგი-ბარხანა წინა დღით რამდენიმე სატვირთო ავტომობილით ხონში გამოეგზავნათ. რას არ ნახავდით აქ — ხის საწოლებს, რკინის სეიფებს, ტელევიზორებს, იმპორტულ ლეიბებს, ტანსაცმელს და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს. პატიმრები თავიანთ ბარგს თავს დასტრიალებდნენ. ზოგს პირდაპირ ეზოში გაეხსნა ფუთები და მწარედ იგინებოდნენ.

— ამათი დედა ვატირე, სად არის ჩემი ახალი შარვალი და ტუფლები, ვინ მომპარა.

— ჩემი ტელევიზორი რაღა იქნა?

— ჩემი ბარგი საერთოდ დაიკარგა. ეს რა არი, კაცო, ბადრაგმა გაგვქურდა.

— აბა, ვინ იზამდა. ალბათ ჩვენი ბარგი უჩვენოდ „დაშმონეს“ და რაც კარგი და ღირებული იყო, სახლში წაიღეს.

— წაიღეს კარგია, ძმაო. ეთხოვათ ამ გოთვერნებს და ისე ვაჩუქებდი. რას მპარავდნენ.

— ეე, ოდეკოლონები და იმპორტული პირის საპარსი მომპარეს და ტელევიზორსა და ვიდეოზე იტყოდნენ უარს? ა, ძმაო, ჟურნალისტი ხომ ხარ, ხედავ როგორ გაგვქურდა იმ ხალხმა, რომლებიც გვიცავს, — ისმოდა პატიმრების უკმაყოფილო შეძახილები. ნელ-ნელა მდგომარეობა მწვავდებოდა. მალე ყველაფერი შეიძლება ბუნტით დამთავრებულიყო, მაგრამ საქმეში ზონის მაყურებელი ჩაერია. მან პატიმრების დამშვიდება შეძლო და აღუთქვა, რომ ყველაფერს გაარკვევდა. სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის უფროსის მოადგილის ზაზა მესხის განცხადებით, წინა დღეს დეტალურად გაიჩხრიკა პატიმართა ბარგი, საიდანაც უამრავი ცივი თვითნაკეთი იარაღი ამოიღეს — კერძოდ, ფოლადის „შტირები“, ბებუთები და ხანჯლები; ხოლო დაკარგული საყოფაცხოვრებო ნივთების შესახებ ზაზა მესხმა არაფერი იცოდა.


სპეცრაზმი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს პატიმრების ვაგონებში ჩასხდომის პროცესს

(გაგრძელება იხ. გვ. 10)



# „მარიოტი“ „შავებს“ წილს არ უხდის...“

## — რაღას ჩალიჩობ, შეირგე რა, რაც ხუთ წელიწადში იშოვე...

გასულ კვირას სასტუმრო „მარიოტთან“ უკვე მესამედ, დაცვის თანამშრომლებმა დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს. ახლაც და ადრეც, გავრცელდა ვერსია, რომ აფეთქებები „მარიოტის“ ბიზნესს უკავშირდებოდა; თუმცა, სასტუმროს ხელმძღვანელობამ აღნიშნული ვერსია კატეგორიულად უარყო. რესპონდენტი, რომლის თხოვნითაც მის ვინაობას არ ვასახელებთ, ამბობს, ეს მინი-ტერაქტები იმას უკავშირდება, რომ „მარიოტი“ „შავებს“ წილს არ უხდისო. რაკი ჩვენმა რესპონდენტმა „შავები“ და „წილი“ ახსენა, ვთხოვეთ მოეთხრო იმ კავშირებზე, რომელიც არსებობს „შავებს“, ბიზნესმენებს და, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას შორის. მით უმეტეს, რომ იგი ამ სამთაგან, ერთ-ერთი სფეროს წარმომადგენელია.

— საერთოდ, რაც უფრო არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა ქვეყანაში, მით მეტია „მოთხოვნილება“ „შავებზე“. ბიზნესმენებს სჭირდებათ ისინი. დაახლოებით 10 წლის წინ და მერეც, როცა „მხედრიონი“ თარეშობდა, „შავები“ ყველა ბიზნესმენს მოგების 30%-ს სთხოვდნენ და იღებდნენ კიდეც. სადღეისოდ 30%-იანი სტანდარტი უკვე აღარ არსებობს. ყველაფერი კონკრეტულ პიროვნებაზე, საქმესა და პირობებზეა დამოკიდებული. სანაცვლოდ ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენელი თავის თავზე იღებს მთელ რიგ ვალდებულებებს.

**— რა შედის ამ ვალდებულებებში?**

— რეკეტის თავიდან აცილება, ასევე რესტორნის, სასტუმროსა და კაზინოს მფლობელის უსაფრთხოება; ობიექტზე არ უნდა იყოს კონფლიქტები, ქურდობა, შეტაკება, მით უმეტეს, შეიარაღებული. ერთი სიტყვით, არ უნდა დაუშვან ის, რაც სასტუმროს თუ კაზინოს რეპუტაციას შელახავს. თუმცა, ყველა ეს ფუნქცია შავ სამყაროს აღარ აკისრია. იგი გაცილებით საპასუხისმგებლო, უფრო სერიოზულ თამაშში ჩაერთო — ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. შეიძლება ითქვას, რომ დღეს „შავი“ ერთგვარი შუალედური რგოლია მთავრობასა და ბიზნესმენს შორის. ამიტომაც არის, რომ ძველი თაობის „შავები“ ახალი თაობის კოლეგებს არ ცნობენ.

**— რა იგულისხმება ხელისუფლებასთან ურთიერთობაში?**

— თუნდაც ის, რომ ხელისუფლებისთვის საინტერესო პირის ამა თუ იმ სასტუმროში მოთავსების შემდეგ, ისინი შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით მოიპოვებენ საჭირო ინფორმაციას, ისმენენ ყველაფერს — დაწყებული სატელეფონო საუბრებიდან... შემდეგ კი ცნობები მიდის დაინტერესებულ ჩინოვნიკთან ან მსხვილ ბიზნესმენთან. ასეთი რამ ხდება არა მარტო სასტუმროებში, არამედ ელიტარულ რესტორნებშიც. კაზინოებში კი — ნაკლებად.

**— და მფლობელებმა იციან, რომ მათი სასტუმრო თუ რესტორანი ისმინება?**

— უმეტეს შემთხვევაში იციან. საქმე ის არის, რომ დაპირისპირება არასოდეს ყოფილა და არც ახლა არის (ყოველ შემთხვევაში, აშკარა) მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ხელისუფლებას, ბიზნესმენებსა და შავ სამყაროს შორის. არსებობს დაპირისპირება ჯგუფებს და არა სფეროებს შორის. გაიხსენეთ თუნდაც ის, რომ ქურდის ინსტიტუტი კომუნისტებმა შემოიღეს და დაამკვიდრეს.

**— დღეს რომელი ჯგუფები უპირისპირდებიან საქართველოში ერთმანეთს?**

— ნუ მიწყენთ, მაგრამ თქვენ, ქართველებს, ზომიერების გრძნობა გღალატობთ (მიხვდით, ალბათ, ჩემი რესპონდენტი ქართველი არ არის — ქ.ბ.). თქვენთან იცით რა სახის დაპირისპირება ხდება? — ხელისუფლებიდან წასულები უპირისპირდებიან თავიანთ ყოფილ პოსტებზე მოსულებს. ისინი ვერ ეგუებიან გავლენის დაკარგვას და ყოველმხრივ ცდილობენ ახალ კადრს სახელი გაუტეხონ, სერიოზული პრობლემები შეუქმნან, მოუწყონ თავდასხმა, გადმოიბირონ მისი ერთგული ხალხი, შეაგროვონ კომპრომატები და ა.შ. ამისთვის შეკრულები არიან როგორც ბიზნესმენებთან, ისე „შავებთან“. სულ მიკვირს, -5 წელი რომ თანამდებობა გაქვს და მილიონებს იშოვი, როცა წახვალ, რაღას ჩალიჩობ მერე? შეირგე რა, ის ფული!

**— ხელისუფლების რომელი შტო თანამშრომლობს ყველაზე აქტიურად „შავებთან“?**

— ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: სასტუმრო-კაზინოებისა და რესტორნების უმეტესობას ფლობენ კანცელარიის მაღალჩინოსნები, პარლამენტარები და გავლენიანი პოლიტიკური ფიგურები და საერთოდ, ის პირები, რომელთაც პოლიტიკური ამბიციები აწუხებთ. არ აქვს მნიშვნელობა, მუშაობენ თუ არა ამჟამად თანამდებობაზე. მათი უმეტესობა ყოფილი დიდჩინოსანია და ისევ ძველებური „მადა“ აქვს.

**— ამბობენ, რომ ძალოვანი სამინისტროებიც აქტიურად თანამშრომლობენ „შავებთან“.**

— ძალოვნები ამ მხრივ ყველაზე დიდ გასაჭირში არიან. მათ ყოველგვარ კრიმინალურ ქმედებაზე პასუხი უნდა აგონ. არადა, თბილისში თითქმის ყველა გახმაურებული დანაშაულების უკან ხელისუფლების პირველი პირები ან მათი გუნდის წევრები დგანან.

საერთოდ „შავების“ თვისებრივი ცვლილებები დიდ ზეგავლენას ახდენს მათ ხელისუფლებასთან ურთიერთობებზე. ჩემი აზრით, ძალოვნები დღეს მხოლოდ წვრილფეხა აგენტებს სჯერდებიან. „შავები“ კი ფეხს მყარად იკიდებენ როგორც ლეგალურ ბიზნესში, ასევე ხელისუფლებაშიც. თუმცა ნაკლებსაპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, თვითონ გააკეთეთ დასკვნა, „შავს“ კანცელარიასა და პარლამენტთან სიახლოვე ურჩევნია თუ უშიშროებასა და შსს-თან?!

**— სასტუმროებისა და კაზინორესტორნების დაახლოებით რამდენი პროცენტი „მეგობრობს“ კრიმინალებთან?**

— ჩემი აზრით, ნახევარზე მეტი.

**— დანარჩენი?**

— დანარჩენები მსხვილი ბიზნესმენები არიან და არ სჭირდებათ „დახმარებები“: მაგალითად, პატარკაციშვილს, ჭყონიას და ლეკიშვილს „შავები“ სულ არ აინტერესებთ. ყოველ შემთხვევაში, თავიანთ ფულში ცხვირს არ ჩააყოფინებენ.

**— „მარიოტის“ შემთხვევაში რასთან ან ვისთან გვაქვს საქმე?**

— დეტალებს ვერ დაგიკონკრეტებთ. თუმცა, გეტყვით, რომ ისინი „უპატრონოები“ არ არიან და არც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გაუჭირდებათ მფარველის პოვნა.

*ქეთი ბერეკაშვილი*


საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა. 2. ჟურნალისტიკა.
3. ქართული ენა-ლიტერატურა. 4. უცხოური ენები - ინგლისური. გერმანული. ფრანგული. რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
6. ფინანსები და საბანკო საქმე. 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია.
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია.
9. ისტორია და რელიგიის ისტორია.
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება.
11. ფიზიკა და მათემატიკა. 12. ქიმია და ბიოლოგია.
13. სკოლამდელი აღზრდა.
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა. მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).

☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.


# „რუსებმა სომხები საქართველოს წინააღმდეგ ვერ დარაზმეს...“

## ქალბატონების ზურგს ამოფარებული ხელისუფლება...

გასულ კვირას საკუთარი თვალით ვნახე და დავრწმუნდი, რომ ნინო ბურჯანაძე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მოუცლელი ქალია. ინტერვიუსთვის დათქმულ დროზე მისულს, პარლამენტის სპიკერის მისაღებში (იმავე დროისთვის დაბარებული) ფრიად შთამბეჭდავი კონტინგენტი დამხვდა — ჩალმით თავდამშვენებული აზერბაიჯანელი შეიხი ამალითურთ და ქართული მართლმადიდებლობის დამცველი, დეპუტატობაზე დროებით უარნათქვამი გურამ შარაძე. ამ დროს დელიკატურად შეგვახსენეს, — 1 საათში პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტს უნდა ესტუმროსო. შევფიქრიანდი, მაგრამ უმალ თავი დავიმშვიდე, ალბათ, ქალბატონმა სპიკერმა უკეთ იცის თავისი შესაძლებლობების შესახებ, ეგებ მოასწროსმეთქი, მართლაც, ქალბატონმა ნინომ ყველაფერი მოასწრო — ერთ საათში მუსლიმან შეიხსაც მოუსმინა, მართლმადიდებელ შარაძესაც და „კვირის პალიტრასაც“. „კვირის პალიტრის“ გამო პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტთან სულ რაღაც 10 წუთით დაიგვიანა.

ნინო ბურჯანაძის ბოლოდროინდელ განცხადებებს ბერლინში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე რუსების დელეგაციის გვარიანი შეშფოთება მოჰყვა. ისიც ითქვა, როცა ქართველი სპიკერი აფხაზეთის მოსახლეობის „გარუსების“ რუსულ, ახალ ანექსიურ მოდელზე საუბრობდა, გენადი სელეზნიოვი სიმწრისაგან მუშტებს იქნევდაო. მას „ჩამჭრელი“ კითხვაც კი დაუსვამს ბურჯანაძისთვის, სიტყვა „ანექსიის“ განმარტება უთხოვია. პასუხი არაორაზროვანი ყოფილა — ამ ტერმინის მნიშვნელობა მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში ვისწავლეო... ბუნებრივია, თბილისში დაბრუნებულ ნინო ბურჯანაძესთან საუბარი სწორედ ბერლინური პერიპეტიებით დავიწყეთ.

**— ქალბატონო ნინო, როგორც შევიტყვეთ, რუსებთან ბრძოლა მხოლოდ ტრიბუნაზე კი არა, კულუარებშიც გქონიათ.**

— კულუარებში მართლაც უმძიმესი ბრძოლა მიმდინარეობდა. ველოდი, რომ რუსეთის დელეგაცია შეშფოთდებოდა და შეწუხდებოდა იმ პრობლემატიკით, რომელიც ჩვენ დავსვით, მაგრამ ასეთ მწვავე რეაგირებას ვერ წარმოვიდგენდი. სამწუხაროდ, რუსეთის დელეგაციამ ჩვენთან საუბარს კულუარული მუშაობა არჩია, საკითხის ჩასაგდებად. მაშინ, როდესაც საქართველოს დელეგაცია ცდილობდა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი (რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება აფხაზეთის მოსახლეობისთვის) საერთაშორისო არენაზე გაეტანა, რუსეთი ყველა ღონეს ხმარობდა, დაებრკოლებინა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე ამ საკითხზე მსჯელობა. ჩვენ ლამის 52 სახელმწიფოს წარმომადგენელს ველაპარაკეთ და შევძელით რეალურად დაგვენახვებინა მათთვის ჩვენი პრობლემა. მიუხედავად უზარმაზარი წნეხისა, რუსეთმა ვერ შეძლო საკითხის ჩაგდება.

**— კონკრეტულად ვისზე ახორციელებდა წნეხს რუსული მხარე?**

— რუსეთის დელეგაცია მუშაობდა თავის ტრადიციულ პარტნიორ დსთ-ის ყოფილ სახელმწიფოებთან. ის მათგან ძალზე მკვეთრად და რადიკალურად მოითხოვდა საქართველოს წინააღმდეგ მიეცათ ხმა. ნიშანდობლივია, რომ სომხეთის დელეგაციამ, რომელსაც ახლო სტრატეგიული ურთიერთობები აქვს რუსებთან, არ დაუჭირა მათ მოთხოვნას მხარი, საქართველოს წინააღმდეგ რუსებთან დიალოგის გზით. ჩვენი მცდელობის შემდეგ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურ ჯგუფს, რომელიც აფხაზეთის საკითხზე მუშაობს, ამ საკითხის შესწავლა დაევალა.

ამ საკითხის საერთაშორისო გახმაურება ჩვენთვის მომგებიანი იყო. უპირველესად იმიტომ, რომ მსოფლიოს თანამეგობრობამ კიდევ ერთხელ დაინახა რუსეთის უსამართლო ქმედება, დაანახვა ის საშიშროება, რაც ხდება აფხაზეთში. ვფიქრობ, ასეთი საერთაშორისო რეზონანსის შემდეგ, რუსეთს გაუჭირდება ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების გადადგმა. მით უმეტეს, ვიცი, ცალკეულ პოლიტიკურ წრეებში იყო საუბარი და აფხაზების წაქეზება რეფერენდუმის ჩატარებაზე.

**— საინტერესოა, სანკტ-პეტერბურგის დახურული შეხვედრის დეტალები, რომელზეც რუსეთის და ამიერკავკასიის სახელმწიფოების წარმომადგენლებს პირისპირ გქონდათ საუბარი.**

— ამ შეხვედრების ძალზე კმაყოფილი ვარ, მისი ფორმატი, 4 სპიკერის პირისპირ საუბარი, მეტი გულახდილობის საშუალებას იძლეოდა. იქ მართლაც მწვავე საკითხები დაისვა, მით უმეტეს, რომ დაზღვეული ვიყავით მათი აჟიტირებისგან. რაკი შეხვედრა დახურული იყო, დეტალებზე ვერაფერს ვიტყვი, თუმც არ არის ძნელი გამოსაცნობი, რაზე ვისაუბრებდით. მნიშვნელოვანია, რომ მომავალი შეხვედრა თბილისში იქნება და მასზე მირონოვი კონკრეტული ნაბიჯებით აპირებს თავის მოწონებას.

**— საერთაშორისო მოვლენებიდან საქართველოს შინაპრობლემებზე გადმოვიდეთ. პარლამენტში თქვენი და ავთანდილ ჯორბენაძის წაკამათება სახელისუფლებო შტოებს შორის დაპირისპირებად აღიქვეს.**

— არ არის დღეს ისეთი ვითარება, რომ სახელისუფლებო შტოებს შორის დაპირისპირების დრო გვქონდეს. მაგრამ მიმაჩნია, რომ სამართლიანი კრიტიკა ადამიანებმა სწორად უნდა აღიქვან. ნამდვილად ვერ გავუმართლებ იმედს მათ, ვისაც ჰგონია, რომ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად თვალს დავხუჭავ და არ გავაკეთებ მძაფრ განცხადებებს.

**— ჯორბენაძესთან ინციდენტის შემდეგ პარლამენტში თქვენი მისამართითაც გაისმა მკვეთრი განცხადებები. პარალელურად, მამათქვენის საქმიანობაზეც გაკეთდა რაღაც მინიშნებები... არ გგონიათ, რომ ეს გეგმაზომიერად მოხდა?**

— ვეჭვობ, ეს ბატონი ავთოს ინიციატივით მომხდარიყო. ვფიქრობ, რომ იმ პირებს, რომელთაც ეს ჩაიდინეს, სურდათ თავი მოეწონებინათ სახელმწიფო მინისტრისა და პრეზიდენტისთვის. არადა მათ, რომელთაც თავგამოდებით დაიცვეს ბატონი ავთო პარლამენტში, ცუდი სამსახური გაუწიეს მას.

ის სხდომა ძალზე კორექტულად მიმყავდა. ალბათ უფრო მკაცრიც უნდა ვყოფილიყავი, რათა ველარ გაებედათ ისეთი კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა.

**— ბოლო დროს თქვენ არაერთხელ ახსენეთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ე.ი. უკვე ხედავთ ამის აუცილებლობას?**



— ვადამდელი საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნები არ არის ქვეყნის სტაბილურობის გარანტი. ხშირად ვეუბნები კოლეგებს — თუ გაცილებით ქმედითუნარიანები არ ვიქნებით, მოსახლეობისთვის სათქმელი არაფერი გვექნება-მეთქი. როცა ხალხი ითხოვს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, ხომ უნდა მქონდეს არგუმენტი, რომ პარლამენტი ასრულებს თავის ფუნქციას და ამის მოთხოვნა არ არის საჭირო.

**— „კვირის პალიტრის“ რუბრიკაში „ფოტოანტიკვარი“ თქვენი ფოტოა, ხელში თეთრი ძაღლი გიჭირავთ, ვინ გაჩუქათ „ბელკა“?**

— ჯერ დაბადებული არ ვყოფილვარ, როცა ჩემს მშობლებს მოუყვანიათ. უნდა გენახათ, რამხელა ტრაგედია იყო ჩემთვის „ბელკას“ სიკვდილი, მთელი დღე ეზოში, ჭიშკართან ვიჯექი და ვტიროდი.

**— ზოგჯერ მარგარეტ ტეტჩერს გადარებენ (ეტყობა, თქვენც მოგწონთ ქალბატონი მარგარეტი, თაროზე მის წიგნს ვხედავ). რკინის ლედი მეუღლეზე განსაკუთრებულად ზრუნავდა, ზოგჯერ ინგლისის პრემიერი ოფიციალურ შეხვედრას ტოვებდა, რომ შინ დაბრუნებულიყო და ქმრისთვის სადილი მიერთმია. თქვენ თუ ხართ ასეთი მზრუნველი მეუღლე?**

— დიდი პატივია ჩემთვის მარგარეტ ტეტჩერთან შედარება, თუმც ვფიქრობ, გადაჭარბებულია ჩვენ შორის მსგავსებებზე ლაპარაკი. ის უნიკალური პიროვნება იყო. ისე მეც ვცდილობ, ჩემს მეუღლეს არ მოვაკლო ყურადღება, მაგრამ დროის დეფიციტის გამო, ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ.

**— როცა თქვენ არ გცალიათ, ბატონი გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეზე ვინ ზრუნავს?**

— დედაჩემი.

P.S. გემრიელ ლუკმასავით ინტერვიუს დასასრულისთვის ერთი კითხვა შემოვინახე — ხშირად უწევს თუ არა პარლამენტის თავმჯდომარეს პრეზიდენტის დაცვა? კითხვა „ნაციონალების“ წინასაარჩევნო კლიპის შემდეგ გამიჩნდა, როდესაც პრეზიდენტი ზურგს აქცევს პენსიონერს და პარლამენტის თავმჯდომარე კი არ იბნევა, პრეტენზიები ჩემთანო, მიმართავს მოხუცს, მაგრამ იგი დაუსმელი დამრჩა. თუმცა არც ქალბატონი სპიკერის სავარაუდო პასუხის გამოცნობაა ძნელი. გვინდა კი ისეთი ხელისუფლება, ქალბატონების ზურგს რომ ეფარება?..

*[illegible] როკაძე*

# რა მოხდა 19 ივლისს „თავდაცვაში“?

მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალ ეშელონებში არსებული დაპირისპირება (რაზეც „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ვწერდით) საზოგადოებისთვის გამხდარიყო ცნობილი.

იმისთვის, რომ სუბიექტურობა არავინ დამწამოს, ვიცე-პოლკოვნიკ ნიკა ჯანჯღავასთან პირადი დაპირისპირების გამო, რაც ერთი წლის წინ, მუხროვანის მოვლენებისადმი მიძღვნილ სტატიას მოჰყვა, ზოგიერთ საინტერესო დეტალს გვერდს ავუვლი; მაგრამ ვეცდები, მოვლენების რეალური სურათი წარვუდგინო მკითხველს.

18 ივლისს, საღამოს, თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ხელი მოაწერა ბრძანებას ვიცე-პოლკოვნიკ ჯანჯღავას სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის დროებით შემსრულებლის თანამდებობიდან განთავისუფლებაზე.

წესით, ჯანჯღავა მეორე დილას, 9 სთ-ზე უნდა გასცნობოდა ამ ბრძანებას თავდაცვის სამინისტროს მეოთხე სართულზე, ტრადიციულ ყოველკვირეულ ბრიფინგზე, რომელსაც გენშტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი ატარებს.

ჯანჯღავას ნაცვლად ბრიფინგს მისი ოფიცერი დაესწრო, რომელმაც განაცხადა, ვიცე-პოლკოვნიკი შეუძლოდ გახლავთო.

არადა ამ დროს ისანში, „კომანდო“-ს ბატალიონის ტერიტორიაზე ნიკა ჯანჯღავას ჟურნალისტები ჰყავდა შეკრებილი და უხსნიდა იმ გარემოებებს, რამაც იგი აიძულა თავდაცვის სამინისტრო თავისი სურვილით დაეტოვებინა. საგულისხმოა, რომ მასთან ერთად იმყოფებოდა კოჯრის და „კომანდო“-ს ბატალიონებიდან მოსული 102 ოფიცერი და ზემდეგი. ისინი, ჯანჯღავას განთავისუფლების შემთხვევაში, პატაკების დაწერას და არმიის მიტოვებას აპირებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ „კომანდო“-ს ბატალიონში შეკრებილნი მოითხოვდნენ თავდაცვის მინისტრის მისვლას, ბოლოს, ჯანჯღავას მოუწია თევზაძესთან ხლება სამგორში, სახმელეთო ჯარების შტაბში.

როგორც ჯანჯღავა ამბობს, საუბარი არ შედგა. ლაპარაკობდა მხოლოდ მინისტრი. კომპრომისი გამოირიცხა — ჯანჯღავა ტოვებს არა მარტო თანამდებობას, არამედ საერთოდ თავდაცვის სამინისტროს (თუმცა, მინისტრის ბრძანებით, იგი კადრების განკარგულებაშია გადაყვანილი), ხოლო პატაკებდაწერილ ოფიცრებსა და ზემდეგებს ეძლევათ დრო, ან გადაიფიქრონ, ან გაჰყვნენ თავიანთ ლიდერს.

სწორედ ასე ჩანდა მოვლენების ელვისებური განვითარება 19 ივლისს, მთელი დღის განმავლობაში.

თუმცა მანამდე კულუარებში მოხდა ბევრი საინტერესო, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი მოვლენა.

18 ივლისს, შუადღისას, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ამოწმებდა იაღლუჯის პოლიგონს, თუ რამდენად მზად იყო იგი „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მესამე ეტაპის — ტაქტიკური სწავლების დაწყებისთვის. სწორედ იაღლუჯზე მოხდა მორიგი სიტყვიერი შეჯახება ვიცე-პოლკოვნიკ ჯანჯღავასა და გენშტაბის უფროს ფირცხალაიშვილს შორის. სავარაუდოდ, გადაწყვეტილება, ჯანჯღავას თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ თევზაძემ ფირცხალაიშვილთან ერთად იმავე საღამოს მიიღო. შესაძლოა თევზაძისა და ფირცხალაიშვილის გუნდებს ერთმანეთი გულზე მაინცდამაინც არც ეხატებოდეთ, მაგრამ ჯანჯღავაზე მათ ერთნაირი შეხედულება აღმოაჩნდათ. ფირცხალაიშვილი თუ გენშტაბის სხვა გენერლები თავდაცვის მინისტრის ხელქვეითი სპეციალური დანიშნულების ძალების მეთაურ ჯანჯღავაზე კბილებს დიდი ხანია ილესავდნენ, მაგრამ თევზაძის ფავორიტს ვერაფერს უბედავდნენ. მოწმე გახლავართ ამგვარი შემთხვევისა: რამდენიმე წლის წინ, დუშეთის პოლიგონზე, გენერალმა ბაიაძემ შენიშვნა მისცა მაიორ ჯანჯღავას — ქუდის გარეშე სამხედრო სალმის მიცემა არ შეიძლებაო, რაზეც საკმაოდ უკმეხი პასუხიც მიიღო, მაგრამ მინისტრის ფავორიტს ვერაფერი უთხრა...

საინტერესოა, რის გამო გაწირა მინისტრმა თევზაძემ ჯანჯღავა?

თამამად შეიძლება ითქვას — რომ არ ყოფილიყო თევზაძე, არ იქნებოდა ჯანჯღავაც.

თავდაცვის სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსად გამწესებულმა თევზაძემ კალთა გადააფარა ჯანჯღავას, რომელსაც მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ ზურგი შეაქცია (სხვათა შორის, მაშინ თანავუგრძნობდით ახალგაზრდა ოფიცერს) და ისიც, იძულებული გახდა, საზღვარგარეთ წასულიყო. თევზაძემ, გამინისტრების შემდეგ (1998 წლის გაზაფხულზე), ჯანჯღავა იხმო და საგანგებო დანიშნულების ძალების ჩამოყალიბება დაავალა. განვლილ ოთხ წელიწადში ჯანჯღავას სამხედრო კარიერა გასაოცარი სისწრაფით წარიმართა და მან ვიცე-პოლკოვნიკის წოდებაც დროზე ბევრად ადრე მიიღო. სპეცდანიშნულების ძალები გახლდათ მინისტრ თევზაძის საყვარელი „შვილობილი“, რომლისთვისაც არაფერს იშურებდა და ხშირად სხვა ნაწილების ხარჯზეც. ყოველივე ამან კი სხვა მეთაურების უკმაყოფილება გამოიწვია და ხელი შეუწყო თავდაცვის სამინისტროს ოფიცრებს შორის დაპირისპირებას.

სამი კვირის წინ, ამერიკიდან, მორიგი სასწავლო ტურიდან ახალდაბრუნებული ჯანჯღავა თევზაძემ სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა, შემდეგ კი ასევე მოულოდნელად გაათავისუფლა.

რა მოხდა?

სპეცდანიშნულების ძალების ოფიცრებისა და ზემდეგების მიერ თავიანთი ლიდერის ჯანჯღავას სოლიდარობის მიზნით 19 ივლისს დაწერილ პატაკებს წინ ასეთივე პატაკების მთელი დასტა უძღოდა, ოღონდ მისი ავტორები სახმელეთო ჯარების, ზოგიერთი ბრიგადისა და ბატალიონის ოფიცრები გახლდნენ. მათ პატაკებში სრულიად საპირისპირო ეწერა —



ნიკა ჯანჯღავა კუს ტბაზე ვარჯიშის დროს

თუკი ჯანჯღავას დანიშნავთ სახმელეთო ჯარების სარდლად, მაშინ ჩვენ დავტოვებთ არმიასო.

მინისტრმა თევზაძემ სათითაოდ განიხილა ეს პატაკები და შეიძლება მათი გავლენის და სხვა მიზეზების გამოც (როგორც ამბობენ, 19 ივლისის მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჯანჯღავამ ერთ-ერთ ბატალიონში სახალხოდ განაცხადა, — თავდაცვის სამინისტროს მთელ ხელმძღვანელობას, მინისტრის ჩათვლით, კორუფციაში აქვს ხელი გარეული და არმიის შექმნაზე საერთოდ არ ფიქრობენო) გადაწყვიტა ჯანჯღავას განთავისუფლება.

ვიცე-პოლკოვნიკ ჯანჯღავას თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ძირითადად სამ ბრალდებას უყენებს: სამსახურებრივი მოვალეობის გადაჭარბება, არაჯანსაღი გარემოს შექმნა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის გარშემო და, უმთავრესი — სამსახურებრივი ინფორმაციის გავრცელება.

ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს ბოლო ბრალდებაა. როგორც ამბობენ, სწორედ ჯანჯღავამ მისცა ინფორმაცია პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს და შესაძლოა „ახალ მემარჯვენეებსაც“, იმის შესახებ, რომ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა შეიძლება ჩაშლილიყო კონტრაქტების დროულად გაუფორმებლობის გამო. ამ კომიტეტის სხდომაზე პოლიტიკოსებმა კარგად შეაფუცხუნეს მინისტრი თევზაძე და მისი გუნდი, რასაც, ეტყობა, საპასუხო რეაქციაც მოჰყვა.

თავდაცვის მინისტრს მიაჩნია, რომ 19 ივლისს ჯანჯღავას საპროტესტო გამოსვლები ან მისი მიამიტობის ბრალია, ანდა მას სხვები მართავენ. ორივე შემთხვევაში თევზაძე თავის გადაწყვეტილებას სწორად მიიჩნევს.

კულუარებში დადის ხმები, რომ ჯანჯღავას ასეთი არაორდინარული ნაბიჯი ეროვნული გვარდიის სარდალ კობა კობალაძის ფაქტორმაც განაპირობა. ანუ ერთ მინისტრს ორი ფავორიტი ერთდროულად ვერ ეყოლებოდა!

ასეა თუ ისე, გაგრძელდა სახიფათო ტენდენცია, რომელსაც, სხვათა შორის, ორი წლის წინ, გარკვეულწილად, სწორედ კოჯრის სპეცდანიშნულების ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა ჩაუყარეს საფუძველი, როდესაც 66-მა ადამიანმა თვითნებურად მიატოვა ნაწილი.

ბედის ირონია კი ის გახლავთ, რომ ერთი წლის წინ, 25 მაისს სწორედ ჯანჯღავასა და მის „კომანდო“-ს ჰქონდა გადაკეტილი მუხროვანისკენ მიმავალი გზა და არ უშვებდნენ ამბოხებულ გვარდიელებთან მიმავალ ჟურნალისტებს. ერთი წლის შემდეგ კი იგივე ჯანჯღავა უკვე თავად იწვევს სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ჟურნალისტებს, რათა დაასწროს მინისტრის ბრძანების გამოქვეყნებას და თავისი სურვილით დატოვოს არმია.

სანამ თევზაძე იქნება მინისტრი, ჯანჯღავა არ დაბრუნდება შეიარაღებულ ძალებში — ამ მკვეთრი განცხადების შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ ვიცე-პოლკოვნიკი ჯანჯღავა შეიძლება თავდაცვის მინისტრად დაბრუნდეს არმიაში. ეს პირობა მას ამერიკელებმა მისცესო.

ძნელი სათქმელია, მართალია თუ არა ეს ხმები, მაგრამ ჯანჯღავას, ისევე როგორც სპეცდანიშნულების სხვა ოფიცრების წასვლა, ქართული არმიისთვის დიდი დანაკლისი იქნება. სხვა თუ არაფერი, მათ მომზადებაზე უზარმაზარი თანხებია დახარჯული (უფრო ამერიკული თუ თურქული, ვიდრე ქართული) და მათი მომზადების დონეც საკმაოდ აღემატება ჩვეულებრივი ქვეითი ჯარისკაცებისას. საოცარია, ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ოფიცერი, რომელსაც მართლაც საინტერესო მოსაზრებები აქვს (ოღონდ მათ განხორციელებას დიდი დრო და, რაც მთავარია, გამოცდილება სჭირდება), ვერ შეეწყო ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებულ ორ თავდაცვის მინისტრს — ვარდიკო ნადიბაიძესა და დავით თევზაძეს.

მთავარია, ყველამ დაიცხროს ამბიციები და თვალებში ჩახედოს სინამდვილეს — არმია, ისევე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოება, მძიმედაა ავად და მის გადასარჩენად ერთობლივად არის საჭირო ქმედითი და შეიძლება კატეგორიული ზომების მიღება, თორემ ერთხელაც იქნება, უკმაყოფილო იარაღიანი სამხედროების გამოსვლა გადაიყოლებს მთლიანად საქართველოს.

ერთ რამეში ვიცე-პოლკოვნიკი ჯანჯღავა მართალია — თავდაცვის სამინისტროში მძლავრად აქვს ფესვები გადგმული კორუფციასა თუ სხვა დანაშაულს.

# შეიარაღებული ჩეჩნები პანკისიდან სამშობლოში ბრუნდებიან?



ფოტო ავტორისა

ლაპარაკობენ, — პანკისს თავშეფარებული ჩეჩნების დიდი ნაწილი ტოვებს ხეობას და მთის ბილიკებით სამშობლოში ბრუნდებაო.

ძნელი სათქმელია, პანკისში რაიმე საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებას შეუშინდნენ თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე ასეულმა შეიარაღებულმა ჩეჩენმა (მათ შორის სხვა ეროვნების ჩრდილოკავკასიელმაც) დატოვა ან ტოვებს პანკისის ხეობას.

უფრო სარწმუნოა, რომ უღელტეხილებზე თოვლის დადნობის შემდეგ დასვენებული და ძალამოკრებილი ჩეჩნები უბრუნდებიან მშობლიურ ტყეებს, რათა პარტიზანული ბრძოლა გააგრძელონ რუსეთის ფედერალური ძალების წინააღმდეგ.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელები არწმუნებენ პრეზიდენტ პუტინს, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი საიმედოდაა გამაგრებულიო, მაგრამ გამოცდილ გამყოლებს თითქმის უხიფათოდ შეუძლიათ გადაიყვანონ შეიარაღებული ჩეჩნები სამშობლოში.

მესაზღვრეები გულმოდგინედ დარაჯობენ საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთს და თითქმის უყურადღებოდ რჩება მაცდუნებელი დაღესტნისა და ინგუშეთის მიმართულებები, საიდანაც დაუბრკოლებლად მოხვდებიან იჩქერიაში.

შეიარაღებული ჩეჩნები სწორი ტაქტიკით მოქმედებენ — პანკისის ხეობას მცირე, რამდენიმეკაციან ჯგუფებად ტოვებენ, რაც უადვილებთ ბილიკებით საზღვრის გადავლას. თანაც მთებში მოძრავი მცირე ჯგუფების აღმოჩენა შვეულმფრენებიდან ჭირს.

რას მისცემს ყოველივე ეს საქართველოს და რა პოზიცია შეიძლება დაიკავოს მისმა ხელმძღვანელობამ?

ერთი რამ უტყუარია: რუსეთის ოფიციალური უწყებები, და განსაკუთრებით რუსული მასმედია, კვლავ საქართველოს დააბრალებს, — თქვენი ტერიტორიიდან შემოდიან „ბოევიკებიო.

ასეა თუ ისე, პანკისის ხეობაში ნამდვილ ლტოლვილებთან ერთად აღმოჩნდნენ შეიარაღებული პირებიც (სხვადასხვა ინფორმაციით, 700-დან 2 ათასამდე), რომელთაგან ბევრს რუსეთის პროკურატურა თუ ინტერპოლი დღესაც ეძებს.

მოსკოვსა და ვოლგოდონსკში მომხდარ აფეთქებებში ეჭვმიტანილი ადამ დოკუშევი, რომელიც ურეკში დააკავეს, სულაც არ უნდა იყოს ის უკანასკნელი დამნაშავე, რომელსაც რუსი გამომძიებლები გამწარებული ეძებენ. სავარაუდოა, რომ ისინი ქართველ კოლეგებს კიდევ წარუდგენენ გრძელ სიას იმ ხალხისას, რომლებიც შესაძლოა, პანკისში იმალებოდნენ.

და, საქართველოს ხელისუფლებაც, ადრე თუ გვიან, იძულებული გახდება (ისევე, როგორც პრეზიდენტმა შევარდნაძემ აღიარა პანკისში შეიარაღებული ჩეჩნების, ხოლო შემდგომ — თავად რუსლან გელაევის ყოფნა), ან თავად ქართული სპეცსამსახურების ხელით აიყვანოს ეს პირები (ისე, პანკისში შეიარაღებული ჩეჩნის დაჭერა ურეკის ოპერაციაზე ბევრად რთული და საშიში იქნება), ან ისევ რუსულ სპეცსამსახურებს მიანდოს ეს საქმე.

სანამ უცხოელი „კომანდოსები“, სულ ერთია, რუსები თუ ამერიკელები, დაიწყებენ ქართულ მიწაზე — პანკისის ხეობაში სპეცოპერაციებს, იქნებ სჯობდეს, იქ შეფარებულმა შეიარაღებულმა ჩეჩნებმა ისევ სამშობლოში უშველონ თავს?! რა თქმა უნდა, ასე სჯობს მათთვისაც, საქართველოსთვისაც და ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობებისთვისაც.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ნიუანსი: შეიძლება ჩეჩენმა მებრძოლებმა გამოზამთრება ისევ ბევრად უსაფრთხო პანკისში მოინდომონ.

ასეთ შემთხვევაში კი, ოფიციალურმა თბილისმა კვლავინდებურად აღარ უნდა გადმოაკვეთინოს უცხო ტომის შეიარაღებულ რაზმებს საქართველოს საზღვარი.

ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, რათა საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ქართველი მესაზღვრეების დასახმარებლად გადასროლილ იქნეს დამატებითი ძალები. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ისინი თავდაცვის სამინისტროდან იქნებიან, სხვა წყაროების მიხედვით კი, შინაგანი ჯარების დანაყოფები. დამატებითი ძალები დადგებიან მესაზღვრეების უკან და გააკონტროლებენ იმ ხეობებს (შეიძლება მდინარეების — ალაზნისა და სამყურისწყლის სათავეებს), საიდანაც გზა პანკისის ხეობისკენ მიდის.

ძნელი სათქმელია, რა გამოვა აქედან, მაგრამ მართლაც აღარ შეიძლება გაგრძელდეს საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული დაჯგუფებების თავისუფლად ნავარდი, თითქოს რუსული სამხედრო ბაზები არ გვყოფნიდეს...

## არც ისე სამხედრო თემები

# ქალთა ზონაში სიგარეტს დაამზადებენ?

ე.წ. „წითელ ზონასთან“ დაკავშირებული მოვლენები ძალიან დაძაბულად წარიმართა. თავის დროზე, ხონის კოლონიიდან ავჭალის №9 ზონაში გადმოყვანილი პატიმრები (სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლები) უკან დააბრუნეს, რამაც მათი, შეიძლება ითქვას, კანონიერი პროტესტი გამოიწვია, რადგან ხონის კოლონიაში ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები არ არის. არის მხოლოდ ტექნიკური წყალი, ხოლო სასმელი — კასრებით მოაქვთ, ისიც ხანდახან.

იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ცნობით, უნდა შეაკეთონ ავჭალაში, ამასწინანდელი მიწისძვრით დაზიანებული ყოფილი „წითელი ზონის“ შენობა-ნაგებობები და იქ მსჯავრდებული ქალები გადაიყვანონ.

არსებობს ამ აურზაურის სხვა, არაოფიციალური ვერსიაც: ქალთა კოლონიას ესაზღვრება ფირმა „სამგორის“ ფაბრიკა, რომელიც სიგარეტ „პირველს“ აწარმოებს. ზოგი ამბობს, ქალთა კოლონიის ავჭალაში გადატანის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიას პრივატიზების წესით, მიიერთებს ფირმა „სამგორი“ და იქ ახალ საწარმოს გახსნის.

ამ საქმიდან ყველაზე დაზარალებულნი „წითელი ზონის“ ყოფილი ბინადარნი აღმოჩნდნენ, რომლებიც დააბრუნეს ხონის კოლონიაში, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია.

(ვრცლად იხ. გვ. 6,10)

# პიტერ შოუ სვანეთის კოშკით ტკბება, ოღონდ... შიგნიდან?!

დიდბრიტანელი ბიზნესმენის გახმაურებულ გატაცებასთან დაკავშირებით გავრცელდა საინტერესო ვერსია, რომლისაც თითქმის სჯერათ მათ, ვისაც დიდი ხნის ურთიერთობა აქვთ სამართალდამცავებთანაც და „შავ სამყაროსთანაც“.

მათი აზრით, შოუს მოტაცების ოპერაცია ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული და, თუმცა გამტაცებლები პოლიციის თანამშრომლებს გადაეყარნენ, წარბიც არ შეიხარეს და აუღელვებლად განაგრძეს გზა. ეს შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ მათ მანამდეც არაერთხელ ჩაუდენიათ ასეთი „საქმე“ დღისით, მზისით, შუა ქალაქში, დაუსჯელობის იმედით; აქედან გამომდინარე, ისინი ყოფილი ან სულაც მოქმედი სამართალდამცავები არიან.

როგორც ამბობენ, პიტერ შოუს გატაცების მოტივი შეიძლება უფრო პოლიტიკური იყოს, ვიდრე ფულის გამოძალვა.

ასევე, არ არის გამორიცხული ერთგვარი შურისძიების ფაქტორიც. ზოგიერთი ვერსიით, პიტერ შოუს, თურმე არაერთი მტერი გაუჩენია ცნობილი ქართველი ბიზნესმენ-პოლიტიკოსების სახით, რადგან ამ უკანასკნელთა საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი დარტყმა მიუყენებია.

განსაკუთრებით გამოყოფენ ორს, ტომით სვანს, რომელთაგან ერთი მოღვაწეობს საქართველოში, ხოლო მეორე — საზღვარგარეთ.

იმასაც ამბობენ, პიტერ შოუ არც პანკისშია და არც თბილისში, არამედ სვანეთში, რომელიღაც კოშკშია გამომწყვდეული და იქიდან სევდიანად გაჰყურებს კავკასიონის თოვლიან ქედებსო...

# ჰექსოგენის სურნელი თბილისის ცენტრს არ სცილდება

## „ჯოჯოხეთის მანქანები" ჯერ დასაშინებლად გამოიყენება. რა იქნება მერე?

თბილისის ცენტრში, უკვე მესამედ, ერთსა და იმავე ადგილზე, 9 აპრილის სახელობის პარკში, აღმოჩენილი ასაფეთქებელი მოწყობილობა სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ სასტუმრო „მარიოტის" ხელმძღვანელობა დაბეჯითებით უარყოფს ამ აფეთქების კავშირს მათ საქმიანობასთან, საზოგადოებაში, თვით სპეცსამსახურებშიც კი ეჭვობენ, რომ სასტუმროს მახლობლად მომხდარ აფეთქებებს გარკვეული „მიმართულება" გააჩნია — „მარიოტის" ნორმალური მუშაობისთვის ხელის შეშლა. თუმცა, ამ სტატიის მიზანი არ არის იმ „ბიზნეს-ომების" განხილვა, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

ამ ბაღში ბოლო ხანს ორი აფეთქება მოხდა, ხოლო 15 ივლისის ღამეს აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნივთიერება (ის „მარიოტის" დაცვის სამსახურმა იპოვა, რაც, გარკვეულწილად, მეტყველებს იმაზე, რომ სასტუმროს ხელმძღვანელობამ იცის, რას უფრთხოდეს და რატომ).



აფეთქებისას წარმოქმნილი ნამსხვრევების დამჭერი კევლარის „ქვაბი"

წინა ორი შემთხვევის შემდეგ ზუსტად ვერ დადგინდა ასაფეთქებელი ნივთიერებების ქიმიური შემცველობა. სპეცსამსახურები ვარაუდობდნენ, რომ ეს იყო 500 გ ამონიუმის გვარჯილა.

15 ივლისს, ბაღში ნაპოვნი 2,7 კგ-მდე ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოჩნდა ტროტილის, ჰექსოგენისა და ამონიუმის გვარჯილის ნარევი. აქედან ყველაზე ძლიერი ჰექსოგენია, მასზე 1,5-ჯერ ნაკლები აფეთქების ძალა აქვს ტროტილს, ხოლო ამონიუმის გვარჯილით უფრო სუსტ აფეთქებებს ახორციელებენ.

კონტეინერს, რომელშიც ასაფეთქებელი ნივთიერება იყო, საბედნიეროდ, ამფეთქი არ ეკეთა, თორემ 2,7 კგ ნარევის აფეთქებას პირველზე უფრო მძიმე შედეგი მოჰყვებოდა.

სისხლის სამართლის საქმე საბოტაჟის მუხლითაა აღძრული, მაგრამ საფიქრელია, რომ მისი მომწყობები უფრო ვიღაცის დაშინებას ცდილობდნენ. თუმცა ეს სულაც არ არის დამამშვიდებელი, რადგან ხომ შესაძლებელია, ხვალ მსგავსი რამ ხალხმრავალ ადგილას და თანაც „პიკის" საათებში ჩაიდინონ.

საგულისხმოა, რომ ბაღიდან ასაფეთქებელი ნივთიერების ამოღებას ათობით ადამიანი, მათ შორის ტელეკამერიანი ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ, რაც დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, რადგან კონტეინერის რენტგენულ გაშუქებამდე ზუსტად არავინ იცოდა, რა ტიპის ამფეთქი ეყენა მას — დისტანციური მოქმედების ამფეთქის ამუშავებას კი უთუოდ მოჰყვებოდა დიდი მსხვერპლი.

ამასთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ ერთი ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც 1993 წლის 14-16 მარტს სოხუმზე შეტევისას მოხდა: გუდაუთის ბომბორას სამხედრო აეროდრომიდან აფრენილმა რუსულმა Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებმა სოხუმში საავიაციო ბომბები (სავარაუდოდ, ФАБ-500) ჩამოყარეს. მათგან ათი არ აფეთქდა, რომელთა გასანაღმად თორმეტი კაცი გაემართა — რვა მენაღმე და ოთხი ჟურნალისტი (ბევრ მათგანს ამ სტატიის ავტორი ჯერ კიდევ ცხინვალის ომიდან კარგად იცნობდა). ჟურნალისტები ვიდეოკამერით აფიქსირებდნენ მენაღმეების მუშაობას. ავიაბომბის ამფეთქის მოხსნისას იგი მოულოდნელად აფეთქდა და ყველა იქ მყოფი დაიღუპა.

ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ გაირკვა, რომ აფეთქება გამოიწვია „ცვალებადი შენელების ელექტრონულმა საავიაციო ამფეთქმა" АВПЗЭ-მ. იგი ორი სქემით მოქმედებს — საათის და ხელშეუხებლობის მექანიზმით. გაფრენამდე, აეროდრომზევე აყენებენ იმ დროზე (2-128 სთ-ის შუალედში), როდესაც უნდა იმოქმედოს ამფეთქმა. გარდა ამისა, მის კონსტრუქციაში გათვალისწინებულია ორი ბურთულოვანი ელექტროჩამრთველი — ბომბის განძრევისთანავე ეს ბურთულაკები გადაადგილდება, შეიკვრება ელექტრონრედი და ბომბი ფეთქდება.

სწორედ ასე მოხდა ის ტრაგიკული აფეთქება. ბედის ირონიით, ეს ამფეთქი თავის დროზე ქართველმა კონსტრუქტორებმა დაამზადეს თბილისში, ТОНИЭТИ-ის ინსტიტუტში (დღევანდელი „დელტა").

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ნებისმიერი ასაფეთქებელი მოწყობილობა ძალიან საშიშია სიცოცხლისათვის და მასთან ახლოს დგომა (როგორც ეს თბილისის ცენტრში, ბაღში, მოხდა) დაუშვებელია (გაიხსენეთ ამგვარივე ტრაგიკული შემთხვევა თბილისის ცენტრალურ ფოსტაში, სადაც უშიშროების ორმა თანამშრომელმა გამნაღმველთა ჯგუფის მოსვლამდე გახსნა საეჭვო ამანათი).

15 ივლისს აღმოჩენილი კონტეინერი სპეცსამსახურმა მშვიდობიანად გაიტანა ქალაქგარეთ. მაგრამ ამფეთქიანი (რაც უთუოდ უნდა გამოჩნდეს რენტგენულ სურათზე) „ჯოჯოხეთის მანქანის" დაძვრა ან ადგილზევე განაღმვა ძალზე სახიფათოა, რადგან მას, სოხუმის ტრაგიკული შემთხვევისა არ იყოს, შეიძლება ხელშეუხებლობის მექანიზმიანი ამფეთქი ეყენოს.

სხვა ქვეყნებში განსანაღმად საგანგებო რობოტებს იყენებენ. ჩვენი მძიმე რეალობიდან გამომდინარე კი, უფრო მისაღები იქნება საშიშ ნივთზე სპეციალური ე.წ. „ქვაბის" დახურვა და ისე აფეთქება. ეს „ქვაბი" ნამსხვრევშემაერთებელი ნაჭრის (უმთავრესად კევლარის) მრავალი ფენისგანაა გაკეთებული და აფეთქებებისგან წარმოქმნილი ნამსხვრევების 90%-ს „შთანთქავს". გარეთ გამოსული 10% კი 2-3 მ-ში უკვე სიცოცხლისათვის საშიში აღარ არის. აფეთქების ტალღას კი ანეიტრალებს „ქვაბის" შიგნით შეფრქვეული სპეციალური ემულსია.

აჯობებს, თუ ყოველივე ამის ცოდნა ან პრაქტიკაში გამოყენება არ დაგვჭირდება, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ აფეთქებების საშიშროება საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში შესაძლოა გაიზარდოს.

# არსენალი „მუმუ" ქართულად

თანამედროვე ომებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოულოდნელობის ეფექტს, რომელიც შენიღბული მოქმედებით მიიღწევა; მოწინააღმდეგის პოზიციაზე ისე ხდება აფეთქებები, რომ იგი გასროლის ხმას და, ბუნებრივია, მომზადებასაც ვერ ასწრებს.

მაყუჩიანი პისტოლეტები თუ ავტომატები იარაღის ძალზე გავრცელებულ სახეობად იქცა და უპირველესად საამისოდაც გამოიყენება.

კონსტრუქტორებმა შექმნეს სხვა იარაღის ეფექტიანი უხმაურო სახეობები. ამ საქმიანობაში ერთ-ერთი პირველი ადგილი ქართველ ინჟინრებს უკავიათ.

უხმაურო ნაღმსატყორცნების შესახებ მკითხველს პირველად ამ ორიოდე წლის წინ ვუამბეთ. მას შემდეგ მისმა კონსტრუქტორმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა **გერმანე ხიტალიშვილმა**, რომელიც სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში" მოღვაწეობს, თავისი „პირმშო" მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და „მუმუ" შეარქვა.

ქართული „მუმუ" ნამდვილად ამართლებს სახელს — გამოირჩევა სროლის ძალზე დაბალი ხმით — იგი სულ 25-30 დეციბელია, რაც ავტომატის ხმაზე თითქმის 4-ჯერ ნაკლებია.

ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოწინააღმდეგის ზურგში ოპერაციის ჩატარებისას. აქედან გამომდინარე, „მუმუ", პირველ რიგში, სპეცდანიშნულების სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფებისთვის არის აუცილებელი.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც თითქმის ყოველთვის ხდება ჩვენში, არც „მუმუს" გასჩენია თანამოძმეები. არა იმიტომ, რომ სპეცრაზმელებს არ მოეწონათ, პირიქით, მათ ძალიანაც უნდათ, შეიარაღებაში „მუმუ" ჰქონდეთ, მაგრამ არ არის სახელმწიფო შეკვეთა ამ ძალზე ეფექტურ და, რაც მთავარია, წმინდა ქართულ იარაღზე.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ „მუმუ" ნამდვილად სიახლეა და მისით ბევრი დაინტერესდა, ოღონდ არა საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობიდან, არამედ საზღვარგარეთ.

**ჩვენი დოსიე: ჩვეულებრივი ნაღმსატყორცნებისგან განსხვავებით, „მუმუს" სროლის სულ სხვა, ორიგინალური მეთოდი გააჩნია. ჩვეულებრივ ნაღმსატყორცნში ლულის პირიდან აცურებენ ნაღმს, რომელსაც სტაბილიზატორზე დენთიანი ნაჭრის ტომსიკები აქვს ჩამოცმული. ნაღმსატყორცნის ლულაში ჩაცურებისას ნაღმის კაფსულა ეჯახება ნემსს, ფეთქდება და ინიცირებას უკეთებს ტომსიკებში მოთავსებულ დენთს. აფეთქებისას წარმოქმნილი აირის წნევა ნაღმს ლულიდან გამოტყორცნის, ხოლო ასევე ლულის პირიდან დიდი სიჩქარით გამოსული აირები წარმოშობენ ხმაურს.**

გერმანე ხიტალიშვილმა „მუმუ" შემდეგნაირად „ჩააჩუმა" — ამ კომპლექსში მთავარი კომპონენტი არა ნაღმსატყორცნი, არამედ თავად ნაღმია და გასასროლი დენთიც მასშია მოთავსებული. ინიცირებისას აფეთქებული დენთის აირები ელვის უსწრაფესად გადააადგილებენ ნაღმის კუდში მოთავსებულ სპეციალურ დგუშს. წარმოიშვება ამომგდები ძალა, ხოლო გაფართოებული აირი ნაღმში რჩება და გარე ატმოსფეროში არ გამოდის, შესაბამისად, არც სროლის ხმა ისმის.

„მუმუ" 5 კგ-ს იწონის და მისი ტარება ერთ მებრძოლსაც არ გაუჭირდება. თითოეული, 60 მმ კალიბრის ნაღმის წონა კი, დაახლოებით 1 კგ-ია. მისი სროლის მაქსიმალურმა სიშორემ შეიძლება 500 მ-საც მიაღწიოს, ხოლო მინიმალური — 50 მ-მდეა. ნაღმის აფეთქებისას წარმოქმნილი ნამსხვრევები 6-10 მ რადიუსში სასიკვდილო ძალას ინარჩუნებს. ნახევარმეტრიანი „მუმუთი" წუთში 20-30 გასროლის მოსწრება შეიძლება. „მუმუს" სასროლი მექანიზმიც აქვს, რაც საშუალებას იძლევა, იგი დატენილი შევინახოთ.

გასაგები მიზეზების გამო, „მუმუს" სხვა, ტაქტიკურ-ტექნიკურ წვრილმანებზე აღარ შევჩერდებით, მაგრამ ნათელია, რომ იგი შენიღბვის მაქსიმალური ეფექტის მქონე ეროვნული წარმოების იარაღის ნიმუშია და საერთაშორისო დონეს შეესაბამება. ფრანგებს გააჩნიათ დაახლოებით ანალოგიური პრინციპით მოქმედი უხმაურო ნაღმსატყორცნი, მაგრამ იგი 600-გრამიან ნაღმებს მხოლოდ 400 მ-მდე ისვრის, „მუმუს" ორჯერ მძიმე ნაღმი კი 500 მ-ზე სწვდება.

კონსტრუქტორმა ხიტალიშვილმა უნებურად მეორე კურდღელიც დაიჭირა — სროლის ტრაექტორიაზე ფრენისას (გამოცდების მოწმენი ირწმუნებიან, მხოლოდ მცირე შრიალი ისმოდაო) ნაღმის ჩაკეტილი კონტურიდან დგუშს მაინც ეპარება აფეთქებული დენთის აირი, რომელიც წარმოქმნის ე.წ. აირგენერატორის ეფექტს, რითაც უმჯობესდება თავად ნაღმის ფრენის აეროდინამიკა და სროლის მანძილიც იზრდება.



ნაღდი ქართული, უნიკალური იარაღის ნიმუშით დაინტერესდნენ დიდი ბრიტანეთი და ისრაელი, ოღონდ ისინი მზა პროდუქციის შესყიდვას ითხოვენ. ერთმა თურქულმა საშუამავლო ფირმამ 22 ათასი „მუმუს" შეკვეთაც მოიწადინა. ერთი შეხედვით ეს ჩვენს ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, რადგან მზა „მუმუების" ექსპორტი მნიშვნელოვანი მოგების გარანტიას იძლევა.

მაგრამ რად გინდათ, სახელმწიფოს ეს არ აინტერესებს, ხოლო ის გენერლები, რომლებიც „მუმუს" გასაღებაზე უნდა ზრუნავდნენ, უფრო მომგებიან საქმიანობას მისდევენ და საზღვარგარეთიდან მოძველებული იარაღის შემოტანაზე მეტად ფიქრობენ, ვიდრე ეროვნული საიარაღო კონსტრუირებისა და, რაც მთავარია, წარმოების განვითარებაზე.

„მუმუს" გამოყენება სხვა სახითაც შეიძლება: უხმაურო ნაღმის თავზე ამფეთქის ნაცვლად მოთავსებული ჩვეულებრივი ხელყუმბარა ანდა ნაპალმით სავსე „კოკა-კოლის" პლასტმასის ბოთლი დაცემის ადგილას ცეცხლის ძლიერ კერას გააჩენს.

საგამოცდო სამუშაოების დასამთავრებლად კიდევ 70-80 ნაღმის გასროლაა საჭირო. მოსამზადებელია ინსტრუქციები „მუმუს" ბრძოლაში გამოყენებისა და ექსპლუატაციის შესახებ. ყოველივე ამას კი 10-15 ათასი ლარი სჭირდება, დაახლოებით იმდენი, რასაც ზოგიერთი მინისტრი ხარჯავს ბიუჯეტიდან საზღვარგარეთ ერთი მივლინების დროს.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## „სკორპიონი" დიდ ბრიტანეთში გააფრინეს

18 ივლისს ინგლისში გაფრინდა თანამედროვე Су-25КМ „სკორპიონის" ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი, რომელმაც ფარნბოროს საერთაშორისო ავიაკოსმოსურ გამოფენაში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

შარშან „სკორპიონმა" თავი გამოიჩინა საფრანგეთში, ლე ბურჟეს ამგვარ გამოფენაზე და დიდი ინტერესიც გამოიწვია. დიდ ბრიტანეთში მისი მორიგი გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე ალბათ ხელს შეუწყობს „სკორპიონის" პოპულარიზებას, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნების თვალში, ვისაც მოძველებული Су-25-ები ჰყავთ დარჩენილი შეიარაღებაში და მათი მოდერნიზება სურთ. ლე ბურჟესგან განსხვავებით, „სკორპიონი" ფარნბოროში სადემონსტრაციო ფრენებს არ შეასრულებს და მხოლოდ სტატიკურ გამოფენაზე იდგება. დიდ ბრიტანეთში გაფრენამდე „სკორპიონმა" დასავლეთ საქართველოში, ყულევის პოლიგონზე შეასრულა საგამოცდო ფრენების მორიგი ეტაპი — ფუგასური ФАБ-250 ტიპის საავიაციო



ბომბები ზუსტად ჩამოყარა სამიზნეზე. ინგლისში „სკორპიონი" ებრაული ფირმა „ელბიტის" შეფ-პილოტმა იეჰუდა შაფირმა გადააფრინა.

## „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მესამე ეტაპს მესაზღვრეებიც შეუერთდებიან

„წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართველ მესაზღვრეებსაც და თავდაცვის სამინისტროსაც. ამის თაობაზე „კვირის პალიტრა" უკვე წერდა, მაგრამ ფინანსური თუ ბიუროკრატიული დაბრკოლებების გამო, მესაზღვრეების ამ პროგრამაში ჩართვა ჭიანურდებოდა.

მართალია, „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მეორე ეტაპზე — საშტაბო სწავლება — თავდაცვის სამინისტროს 70 ოფიცერთან მესაზღვრეების 20 წარმომადგენელი (ისევე, როგორც შინაგანი ჯარების, უშიშროებისა თუ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა) გადის მომზადებას, მაგრამ სათუო რჩება ამ პროგრამის მესამე ეტაპში (ტაქტიკური მომზადება) ქართველი მესაზღვრეების ჩართვა.

საქმე ის არის, რომ საშტაბო მომზადება მინიმალურ ხარჯებს მოითხოვს და არც ოფიცრების ანაზღაურება იზრდება. ტაქტიკური მომზადების ეტაპში მონაწილეებს კი 380 (ჯარისკაცებისთვის) — 650 (ბატალიონის მეთაურისთვის) ლარამდე ექნებათ ხელფასი, რაც მნიშვნელოვანი სტიმული უნდა გახდეს მათთვის. როგორც ახლახან გაირკვა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მესამე ეტაპში მესაზღვრეების ერთი ასეულის ჩაბმის შესახებ. ტაქტიკურ მომზადებაში სულ მესაზღვრეების ოთხი ოცეული მიიღებს მონაწილეობას — თითო ოცეული თავდაცვის სამინისტროს ყოველ ბატალიონთან ერთად ჩაებმება სწავლებაში. სულ ამ სწავლებას 160-180 მესაზღვრე გაივლის, რომელთაც იგივე პირობები ექნებათ, როგორიც თავდაცვის სამინისტროს მებრძოლებს. ამასთან დაკავშირებით, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის კადრების სამმართველო მსურველებს მოუთმენლად ელის, მათთან სპეციალური კონტრაქტის დადებას აპირებს და თითოეულ ჯარისკაცს თვეში 400 ლარამდე ჰპირდება.

## სეპარატისტები პარტიზანების დასახვედრად ემზადებიან

იმდენი ვიძახეთ, 1-ელი აგვისტოდან აფხაზეთში პარტიზანულ მოძრაობას ფართო მასშტაბით გავშლითო, რომ სეპარატისტებმა რუს, ე.წ. სამშვიდობო ძალებთან ერთად უკვე დაიწყეს დასახვედრად მზადება.

ბოლო დროს შეიმჩნევა აფხაზების შეიარაღებული რაზმების გადაჯგუფება კოდორის ხეობის ზემო ზონის მისადგომებთან (რასაც თავად სეპარატისტები სამხედრო სწავლებების გამართვით ამართლებენ), აგრეთვე რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" ჯავშანტექნიკის ინტენსიური გადაადგილება, რაც, რუსი სამხედროების თქმით, მორიგი როტაციის პროცესით აიხსნება. ასეა თუ ისე, ნათელია, რომ სეპარატისტები უკვე ემზადებიან ქართველი პარტიზანების აგვისტოდან შესაძლო გააქტიურებისთვის. არადა ამ გააქტიურებას დაჟინებით მოითხოვს აფხაზეთის ლეგიტიმური (დევნილობაში მყოფი) ხელისუფლება — აფხაზეთში ქართველების გარეშე ნორმალური ცხოვრება არ უნდა დავუშვათ, — აცხადებენ ისინი.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

*დიდი ხნის წინ გურიაში მცხოვრებ, ვაჟკაცობით გამორჩეულ ძმებ ქალავანიძეებს ბატონი შემოაკვდათ და მისი სახლეულის რისხვას გადარჩენილებმა მეზობელ სამეგრელოში, დადიანს შეაფარეს თავი. რამდენიმე წლის შემდეგ დადიანს გურიელი ეწვია სტუმრად და ძმები იცნო – ჩემიაო, – უთხრა მასპინძელს. – არა, ჩემიაო, – უპასუხა დადიანმა. ქალავანიძეებმა, რა ნახეს ამ ჩემია-არაჩემიაობით, ორი მთავრიდან არც ერთი არ აპირებდა მათ დათმობას, თათრულად გადაულაპარაკეს ერთმანეთს – ვეჯი ეთ, ანუ ჩქარა გავეცალოთ, ჩქარა წავიდეთ აქედანო და ნოქალაქევის ტყისთვის მიეციათ თავი. იმ ადგილებში კი დღესაცაა სოფელი ვეჯიეთი. ძმებს კი გვარებად – ერთს ჩემია, ხოლო მეორეს არაჩემია შერჩათ და დღემდე ამ გვარებით ცხოვრობს მათი შთამომავლობა.*

## სოხუმი, სექტემბერი, 1993 წელი

3 სექტემბერს, რუსეთის გოსდუმაში ასეთი განცხადება გააკეთა მარშალმა კოლესნიკოვმა — „ჩერეზ დვა-ტრი დნია სოხუმი პადიოტ", — ამის შემდეგ კიდევ უფრო დაიბნენ ისედაც უთავბოლოდ მოქმედი ქართული საბრძოლო შენაერთები. სახელმწიფოს მეთაურმა მოსახლეობას მოუწოდა — ვისაც სამშობლოსთვის შესტკივა გული, მისი ადგილი ახლა სოხუმშიაო და ბიჭებიც დაიძრნენ.

თვითმფრინავი მეორე დღეს უნდა გაფრენილიყო. იმ ღამით კი მალხაზ ჩემიამ სიზმარში გარდაცვლილი დედა იხილა — ნუ წახვალ შვილო, იქ მოგკლავენო, — უთხრა მშობელმა. — ახლა უკან დახევა ლაჩრობად ჩამეთვლება, მაინც უნდა წავიდე, დედა. — მაშინ შევარდნაძის სიახლოვეს იტრიალე და ტყვია არ მოგეკარება, შვილო, — დაარიგა და გაცლა დააპირა. — მალე დავიბრუნებთ სოხუმს, დედა? — დაადევნა შვილმა. — კარგა ხანს ველარ დაიბრუნებთ სოხუმს, შვილო, — იყო პასუხი. გამოღვიძებული მალხაზი თავს საყვედურობდა:

— რატომ გადავწყვიტე, რომ სოხუმი დავკარგეთ. თუ ასეა, რაღად მივდივარ მის დასაცავად. მერე რა, რომ კოლესნიკოვის განცხადება მუქარად გაისმის. აგერ, ხვალ ჩავფრინდებით აფხაზეთში და კუდით ქვას ვასროლინებთ რუსსაც და ჩეჩენსაც. ბოლოს და ბოლოს, ქართველები ვართ და გმირ წინაპართა სისხლი გვიდუღს ძარღვებში...

სხვებიც იმავეს ფიქრობდნენ, მაგრამ ამაოდ, — იმედის გარდა, არც ტაქტიკური მოქმედების გეგმა ჰქონდათ და არც უნარიანი მეთაურები ჰყავდათ. ერთადერთი მებრძოლი სარდალი გია ყარყარაშვილი, სადღაც გაგრის იქით ჩარჩა და ღმერთმა იცოდა მხოლოდ, ცოცხალი გამოაღწევდა თუ არა იქიდან. აქ კი ისეა ყველაფერი არეული, ძაღლი პატრონს ველარ ცნობს. უკან, ზურგში ხან კანონიერი პრეზიდენტის გვარდია უტევს ახალდაბას, ხანაც „ხუნტის" ჯარები (ასე იხსენიებდნენ ზვიადისტები სამთავრობო ნაწილებს). არადა, ამის გარეშე სოხუმის დამცველებს ვერაფრით მიეშველებოდნენ. გაავფთრებით იბრძოდნენ გამსახურდიას გვარდიელები. გავიდნენ კიდეც ხიდგალმა, ისის იყო რკინიგზის ვაგზალი უნდა დაეკავებინათ და ერთბაშად ტყვიის წვიმა წამოვიდა უკნიდან.

— დელფინი, დელფინი, ლომი-2 ვარ, ვინაა ეს, უკნიდან რომ მესვრის, გაგვაგებინეთ რა ხდება — იმავე წამს ზურგიდან ნასროლი ტყვიები რამდენიმე კაცს ერთდროულად ცელავს.

— ხუნტის ლეკვები გვესვრიან, მაგათი ... ნუ ისვრით, თქვენი დედა... — და მალხაზიც მთელი ძალით ჩაჰყვირის რაციას, — რას აკეთებთ, ხალხო? გვარდიელებმა სადაცაა გაარღვიეს კორიდორი, თქვენ უკნიდან ესვრით, რას სჩადიხართ, პატრონი არა გყავთ?! სროლა წყდება, მაგრამ შეტევის ჟინიც ჩაცხრა და ახალდაბა მაინც ვერ გაარღვიეს. იგივე მდგომარეობაა აჭუბჟასთან. სოხუმი დახმარების გარეშე დარჩა. მართალია, სამხედრო ხელმძღვანელობა თითქმის არ ჩანს, მაგრამ პატრიოტთა პატარ-პატარა ჯგუფები მაინც ორგანიზებულად იბრძვიან. აგერ, ახლაც, ოცამდე სამხედრო პოლიციელმა მესამედ აიღო ფილიას ქუჩა სოხუმში, მაგრამ შენარჩუნებას ვერ ახერხებენ, რადგან ალარავინაა, ამ ბიჭებს რომ ჩაენაცვლოს და ზურგი გაუმაგროს. სახლის კუთხეს ამოფარებული ორმეტრიანი ამიდ აბილუევი თავისიანებს უყვირის — გელა, ოტარ, გოგა, ბიჩო, დაცექი, თუ არა მაღლა სნაიპერი გასროლებს და ვსიო. აქეთ მოხოხე, ჩემთან! — ბურიატია, იმიერბაიკალში ცხვარს აძოვებდა ზაფხულობით. კაცი წლის სარჩოს შოულობდა ამ საქმიანობით. შინ კი ცოლმა საყვარელი გაიჩინა და შემოდგომაზე მუცელგამობერილი დაუხვდა ქმარს. ბევრი არ უფიქრია, ნაჯახს წამოავლო ხელი და საყვარლიანად საიქიოს გაისტუმრა ორივე. მერე დიდხანს იხდიდა სასჯელს „მზიურ საქართველოში". სამაგიეროდ, ქართველები მის სამშობლოში ითვლიდნენ პატიმრობის დღეებს. ერთი სიტყვით, საქართველოში არეულობის დაწყება ამიდის გათავისუფლებას დაემთხვა.

— არსად წასასვლელი არ მაქვს, ბორის, თუ შენ რაზმში ამიყვან, გაჩვენებ, რომ ერთგულება შემიძლია, — ალალად სთხოვა ბორია ივანოვს, იმხანად სამხედრო პოლიციის უფროსს, ერთგულ კაცს, რომელსაც ჯერ კიდევ პატიმრობისას იცნობდა, რადგან ივანოვს მანამდე მსჯავრდადებულთა კოლონიებთანაც ჰქონდა საქმე. მართლაც, ბურიატს სიტყვისთვის არ უღალატია. დღესაც გააფთრებით იბრძოდა ამიდი, მაგრამ როცა მესამედ მოუწია ამ ქუჩის აღება, მიხვდა, წყლის ნაყვა იყო ყველაფერი, — ეს ომი თავიდანვე წაგებული ჰქონდათ ქართველებს.

და არა მარტო იმიტომ, რომ ღალატს ჰქონდა ადგილი, რაზეც აქ დაუფარავად ლაპარაკობდნენ, მისი აზრით, უმთავრესი ის ქაოსი და ტოტალური უდისციპლინობა გახლდათ, რაც დაწყების პირველივე დღეებიდან თან სდევდა ამ ომს. აბა, ასე ბრძოლა ვის გაუგია? — არც მეთაური, არც ბრძანება, არც ზურგი, არც არტილერია, ასე ვერც ერთ ბრძოლას ვერ მოიგებ, — ფიქრობდა მეცხვარე ამიდი, რომელსაც არც ომი ესწავლებოდა, რადგან მართალია დიდი ხნის წინ, მაგრამ თავის თავზე ჰქონდა ნაწვნევი დამანსკის ბრძოლები ჩინეთის საზღვართან. ფიქრიდან ხმაურმა გამოარკვია, ზემოდან რომ მოდიოდა, მაიმუნების საშენიდან. რამდენიმე ათეულობით ქართველი მებრძოლი თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა. ამიდმა მხოლოდ ის გაარკვია, რომ მათ შეუმჩნევლად წამოჰპარვოდა მტერი. მაგრამ ის კი ველარ გაეგო, რატომ იყო, რომ დღისით, მზისით ასე „შეუმჩნევლად" ეპარებოდნენ ქართველებს. ზურგში დადევნებული ტყვიები უმოწყალოდ ცელავდა ბიჭებს. უკან დახევაც არ იციან ამ საცოდავებმაო, — გაიფიქრა და ავტომატის ჯერით გადაუკეტა გზა თავისიანების მდევრებს. ერთიანად მტვერში ამოგანგლული გაქცეულები კი გზადაგზა ყრიდნენ იარაღს და ისეთი ოსტატობით ევლებოდნენ შემხვედრ ლობეებსა და რკინის მესრებს, კაცი იფიქრებდა, მთელი სიცოცხლე ამ საქმით ყოფილან დაკავებულებიო. მერე და მერე, როცა ზემოდან მეტის-

რომლებიც ორი სატვირთო გაზიკით მოძრაობდა, ახლაღა გააცნობიერა, რომ ალყაში აღმოჩნდა. ამასობაში მანქანები გზადაგზა აკრეფილი დაჭრილი მეომრებით აივსო. საბედნიეროდ, მალხაზს კარგად ახსოვდა, რა ადგილებში გადმოიყვანა კოდორის დელტის თავთხელებში სამასი კაცი და ტექნიკა გია ყარყარაშვილმა. უიარაღო და უკავშირო ორმა მანქანამ ოცდაათამდე დაჭრილითა და ექვსი ოფიცრით ამ გზით გამოაღწია მარყულიდან, გვერდი აუარა აფხაზებისგან გამაგრებულ ახალდაბასა და აჭუბჟას და ის იყო, საავტომობილო ტრასაზე უნდა გამოსულიყვნენ, რომ... — რომელი ხართ თქვენ, გაჩერდით და არ გაინძრეთ, თორემ დაგხოცავთ სუყველას. კანონიერი პრეზიდენტის სახელით გელაპარაკებით!!!

ბიჭოს! ეს რაღა უბედურებაა ახლა, აქ, როცა აფხაზებს დაუძვრნენ, როცა თავი სამშვიდობოს იგრძნეს, ქართველები ემუქრებიან დახოცვით. განა არ იცოდნენ, რომ ამ მხარეს პრეზიდენტის გვარდია ძარცვავდა და ატერორებდა უკან დახეულ ნაწილებს. ამის გამო იყო სვანეთის უღელტეხილებს რომ მოაწყდა ლტოლვილი მოსახლეობაც, მაგრამ ამას აქამდე თითქოს არაფრად აგდებდნენ, რაკი მტერს გაერიდნენ, ახლა კი... მალხაზმა ნებისყოფა მოიკრიბა — ვინაა თქვენი მეთაური? — ვინაა და აგერ ის, აქეთ რომ მოდის დაცვის თანხლებით, გოჩა ჰქვია, არაჩემიაა გვარად.

აქამდე არასოდეს გახსენებია მალხაზს ბაბუის



# ძმათა შთამომავალნი ერთმანეთს კაცობას აფიცებდნენ...

## აფხაზეთის ომის ფრაგმენტები...

მეტად იმძლავრა ტყვიების წვიმამ, ამიდმა თვალით ანიშნა თავისიანებს და რამდენიმე კაცმა სროლით ორგანიზებულად დაიხია უკან. და ის იყო, მოსახვევს უნდა გასცლოდნენ, რომლის შემდეგ შედარებით დაცული იქნებოდნენ მტრის ტყვიებისაგან, რომ ერთბაშად შეტორტმანდა ორმეტრიანი გოლიათი. წამიც და ავტომატი გაუვარდა ხელიდან. მერე კი ასფალტს დაასკდა მძიმე სხეულით. იმწუთში სიკვდილზე არავის უფიქრია. ოთხმა კაცმა მომენტალურად დაითრია ამიდის ცხედარი. ამავე დროს რამდენიმე მებრძოლმა ავტომატების ჯერი მიუშვა მდევრებს...

იმავე დღეს, 24 სექტემბერს, მინისტრთა საბჭოს შენობა დაიკავეს აფხაზებმა და მათ მხარდამხარ მებრძოლმა რუსულმა თუ ჩეჩნურმა შენაერთებმა. შენობაში კი ათობით ქართველი იყო, ჟიული შარტავას მეთაურობით. ვიღაცას ეყო ვაჟკაცობა, თავის თავზე აელო ბრძოლა და ქართველებმა იმდენი მოახერხეს, რომ ნახევარ საათში გაწმინდეს ორასმეტრიანი მონაკვეთი, რომელიც ამ შენობიდან აშორებდა მათ ნაწილებს. მართალია, მტერი განუწყვეტლივ ისროდა, მაგრამ ბევრმა მოახერხა შენობიდან თავის დაღწევა. სათითაოდ, გადასარბენებით, ტყვიის წვიმაში იკვლევდნენ გზას თავისიანებისკენ. ერთი პირობა, შარტავა და მისი მხლებლებიც გამოჩნდნენ შენობის ზღურბლზე, მაგრამ ისევ შიგნით შებრუნდნენ. არადა, შეეძლოთ სხვებისთვის მიებაძათ. მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, გმირი შეგნებულად დარჩა მტრისგან ალყაშემორტყმულ შენობაში.

მალხაზს აქამდე არ გახსენებია თავისი სიზმარი, მაგრამ ისე მოხდა, რომ აფხაზეთის ომის ყველაზე მძიმე, ბოლო სამი დღე მისდა უნებურად შევარდნაძის გარემოცვაში გაატარა. ოცდაშვიდში სოხუმი დაეცა. ოცდარვაში, დილის ოთხ საათზე, სახელმწიფოს მეთაური გამოაცილეს და გამთენიისას აღმოაჩინეს, რომ კავშირგაბმულობის ექვსკაციანი შენაერთი, რომელშიც მალხაზიც შედიოდა, თითქმის მარტოდმარტო მიეტოვებინათ დამარცხებულ სოხუმში. შენაერთის ხელმძღვანელი ნუგზარ კაიშაური კი მაინც თავს იკლავდა, ვიდრე ჩემი გენერლების ბრძანებას არ მივიღებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო. მან არ იცოდა, რომ გენერლებმა იმ ღამით თავიანთ ტანკებს გადაასწრეს და მართალია, იარაღაყრილები, მაგრამ ახლა უკვე ენგურსგაღმა, სამშვიდობოს იყვნენ. არადა, ამ ლოდინში მაჭარკიდან სვანეთის მიმართულებით გადასასვლელი სომხურ ბატალიონს დაეკავებინა. აფხაზები იდგნენ ოჩამჩირის მიმართულებით მიმავალ გზაზეც. ექვსეულმა,

მიერ მონათხრობი ლეგენდა თავისი გვარის წარმოშობის შესახებ, მაგრამ ახლა ერთბაშად აღიდგინა ამ ლეგენდის ყველა დეტალი და ნათესავივით მიმართა დამხვდურს: — გოჩა, ძმაო, შენი მოგვარე ვარ მე და არც შევარდნაძეს ვემსახურები და არც გამსახურდიას. აქ ვისაც გვხედავ, საქართველოს პატრიოტები ვართ ყველანი. მანქანებში ოცდაათამდე დაჭრილი გვიწევს. ახლა შენ კაცობაზეა, თუ იარაღს არ აგვყრი, სიკვდილამდე შენი მადლობელი ვიქნები, მით უმეტეს, რომ ალბათ მალე დავბრუნდებით უკან და დაგვჭირდება, — უთხრა და თვალებში ჯიქურ შეხედა.

— გაატარეთ, — ეს ერთადერთი სიტყვა უთხრა თავისიანებს არაჩემიამ. კაცმა, რომელმაც შესაძლოა არც იცოდა თავისი გვარის წარმომავლობის შესახებ. იქნებ უბრალოდ ქართულმა სისხლმა უყივლა იმ ერთადერთ შემთხვევაში, როცა გაუძარცვავად გამოატარეს ჩვენი მგზავრები.

### მოთხრობის ფინალი, რომელიც შეიძლებოდა უფრო ტრაგიკულად დასრულებულიყო

— მომილოცავს, გადარჩენილხართ, — ალალად შევაგებე მალხაზს.

— მოსალოცი კი არა, ათასგზის მადლობელი დავრჩებოდი, იმ ჩემს ბიძაშვილს იარაღი რომ აეყარა ჩემთვის.

— როგორ, მერე თავმოყვარეობა? ღირსება?

— რა თავმოყვარეობასა და ღირსებაზეა ლაპარაკი. რაც მერე გადამხდა, ღირსებასა და თავმოყვარეობას კი არა, ჩემს თავისუფლებასაც დაემუქრა და მხოლოდ იმის წყალობით გადავრჩი, რომ ვიღაც ღვთისნიერი აღმოჩნდა თბილისის პროკურატურაში. ექვსი თვის ჩამოსული ვიყავი სოხუმიდან, პოლიცია რომ მომადგა — იარაღი გქონიაო. — კი, ბატონო, ჩემი ფულით ნაყიდი ავტომატი მაქვს, აბა, აფხაზეთში ცარიელი ხელით ხომ არ ვიომებდი-მეთქი. დამიჭირეს და საკანში შემაგდეს. ათას დოლარს თუ არ მოიტან, ხუთ წელიწადს გაყურყუტებთო, მითხრეს. ასე უმწეოდ და დამცირებულად თავი არასოდეს მიგრძნია. კიდევ კარგი, იმ დროს უკვე იმ ხნისა გახლდით, ვერ გამასულელეს. პირტიტველა, 17-17 წლის ბიჭებს კი ქურდობისა და ყაჩაღობისაკენ უბიძგებდნენ: ფული მოგვიტანეთ, თორემ ციხეში ჩაგყრითო. მერე ასე ნაშოვნ ფულს ართმევდნენ და იმ დანაშაულისათვის იჭერდნენ, რომლისკენაც თავად აქეზებდნენ.

**ვაჟა გავაშელი**

# ხონის კოლონიაში გინესის რეკორდების წიგნში შესატანი ჭა ითხრება



პატიმრების ბარგიდან ბევრი ნივთი უკვალოდ აორთქლდა

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

ზონაში უკვე თავს შინაურულად ვგრძნობდი. პატიმრების უმრავლესობა სახელითაც მომმართავდა და მესალმებოდა. მკვლელებში, ბანდიტებში, ტერორისტებსა და ნარკოტიკების გამსაღებლებში თავს უშიშრად ვგრძნობდი და მათთან ერთად ვათვალიერებდი ასე თუ ისე გარემონტებული კოლონიის შენობა-ნაგებობებს. უპირველესად, წყლის პრობლემით დავინტერესდით. ტექნიკური წყალი კოლონიაში მართლაც გაუყვანიათ და მას საქაჩით რამდენიმე კილომეტრიდან ტუმბავენ. ელექტროდენი რომც არ იყოს, ტექნიკური წყლის მარაგისათვის 80-ტონიანი რეზერვუარებიც დაუდგამთ. რაც შეეხება სასმელ წყალს, იგი ბიდონებით მოაქვთ.

— ეს არის თქვენი პირობა, სასმელი წყალი იქნებაო? — ჰკითხეს პატიმრებმა კოლონიის უფროსს ამირან ლიპარტელიანს.

— ნუ გეშინიათ. ზონის გარეთ ჭას ვთხრით — უკვე 28 მეტრზე ვართ ჩასულები და სადაცაა წყლამდეც მივალთ.

საუბარში ლოთი ქობალია ჩაერია, რომელიც ისევ ხუმრობის ხასიათზე იყო.

— ბიჭო, გვირაბების და ჭების თხრას შენ მასწავლი? აგერ არ ვარ სპეციალისტი? 28 მეტრზე რომ ჩასულხარ, ახლა ცოტა გვერდით უნდა გაუხვიო და წყალი თუ არა, გვირაბი მაინც გამოგივა. კიდევ რამდენი უნდა თხარო? ამხელა სიღრმეზე წყალი რომ არ ამოვიდა, ხომ უნდა მიხვდეთ, იქ წყალი არ არი და სხვაგან უნდა გათხაროთ.

— ლოთი, შენ ხუმრობის ხასიათზე ხარ. მე კი გეუბნები, გეოლოგები ამბობენ, 35 მეტრზე წყალი იქნებაო. ახლა ცოტა მუშაობა გაჭირდა. ამ სიღრმეზე მუშებს მტვერსასრუტით ვაწოდებთ ჰაერს, თანაც მალე იღლებიან და ნელა მუშაობენ, მაგრამ წყალი მალე იქნება.

— აბა, ჩვენ მსოფლიოში ყველაზე ღრმა ჭის პატრონები ვიქნებით და გინესის რეკორდების წიგნშიც შევალთ. მერე ჭას უცხოეთიდან გრანტებს გამოუგზავნიან და წავა „გულაობა". იცოდე, წილში ვარ, — თავისას არ იშლიდა ქობალია.

კოლონიის საცხოვრებელი კორპუსი კარგად იყო გარემონტებული. ჭერსა და იატაკზე ახალი ფიცრები დაეგოთ. ყველა ფანჯარა შეემინათ. თუ ხონში დენი იქნება, ჩვენც გვექნება, არადა გენერატორები გვაქვს და ჩავრთავთო, ამშვიდებდნენ პატიმრებს. პატიმრებს კი არც ამ დაპირებისა სჯეროდათ — „გენერატორებს კი ამუშავებთ, ბენზინი თუ გექნათ." როგორც პატიმრებმა მითხრეს, თექვსმეტი თვის უკან, როცა ხონიდან ავჭალაში გადმოუყვანიათ, აქ გაცილებით უკეთესი საცხოვრებელი პირობები ყოფილა. პატიმრებზე დიდი შთაბეჭდილება არც აბანოს, სამპარიკმახეროსა და სამრეცხაოს არ მოუხდენია. არც სასადილოს გარემონტებული შენობით მოხიბლულან, რომელიც იმ დღეს რატომღაც არ მუშაობდა და პატიმრები მშივრები დაეხეტებოდნენ ზონაში. კოლონიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა, პატიმრებისთვის ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო რომ დაგვეხვედრებინა, მაინც უკმაყოფილო იქნებოდნენო. „პატიმრების საყოფაცხოვრებო პირობებზე რომ ზრუნავთ, ერთი კოლონიის თანამშრომლების საყოფაცხოვრებო პირობებით დაინტერესდით. რაც თავი მახსოვს, ცხელი წყალი შინ არასოდეს მქონია. მაგათ მხოლოდ თავისუფლება სურთ და ჩადენილ დანაშაულზე პასუხისგება აღარ უნდათ."

P. S. თითქმის ყველა პატიმარი, ვისაც კი ვესაუბრე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავს დამნაშავედ არ გრძნობს. პატიმრების განცხადებით, მათი სისხლის სამართლის საქმეები გამომძიებლების, პროკურორების და მოსამართლეებისგან არის შეთითხნილი და თითქოს სინამდვილეში მათ კაცი არასოდეს მოუკლავთ, არც ვინმე დაუყაჩაღებიათ და არც ნარკოტიკები გაუყიდიათ. „ჩვენ, ყველანი, უმეტესობა მაინც, არაფრის გულისთვის ვიხდით ათ და ოცწლიან სასჯელებს. ჩვენი ბრალი მხოლოდ ის არის, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს და კანონიერი ხელისუფლების სიყვარული არ გვაპატია და ამისთვის ციხე-კოლონიებში გამოგვამწყვდია." სტატიას ნოდარ დუმბაძის სიტყვებით დავამთავრებ: „მე იმდენად წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი სისხლიანი ძალადობისა და იმდენად დიდ დანაშაულად და ცოდვად მიმაჩნია ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინება, მისთვის ღვთის მიერ მინიჭებული და ნაბოძარი სიცოცხლიდან თუნდაც ერთი მზიანი დღის წართმევა, რომ ჩემთვის მხოლოდ ერთი არჩევანია და სხვა არჩევანი არ არსებობს... თუმცა არ არსებობს ქვეყნად სულიერი, რომელსაც პატიმარზე უფრო სჯეროდეს სასწაულის."

**ზვიად ჩაკვეტაძე**

# „ეფ-ბი-აი“ სანაიას ბინაში სხვა პიროვნებების ყოფნასაც ადასტურებს?!

გენერალურმა პროკურატურამ გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით ამერიკის დაზვერვის ფედერალური ბიუროდან შვიდი დასკვნა მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ ეს დასკვნები საქმის გამოძიებას და ხურცილავას ბრალეულობას ეჭვქვეშ აყენებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოდან გაგზავნილი დნმ-ის (ბიოლოგიური ანალიზი) ნიმუშები ხურცილავას დნმ-ს არ დაემთხვა. სამაგიეროდ, აღმოჩენილია ორი, გამოძიებისთვის უცნობი პიროვნების დნმ; არადა, როგორც ჩანს, ძიება „ეფ-ბი-აის“ დასკვნას მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს და უახლოეს დღეებში გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს დამთავრებულად გამოაცხადებს. საქმეს, რომელიც ცხრა ტომისგან შედგება, რაიონული სასამართლო განიხილავს და ხურცილავას განზრახ მკვლელობის მუხლით გაასამართლებენ. არსებობს ინფორმაცია, რომ თავად ხურცილავას ახლობლები გულდამშვიდებულნი არიან და დარწმუნებულნი, რომ ხურცილავას სასამართლო დარბაზიდან გაუშვებენ, რადგან ის მკვლელი არ არის. თავად გიორგი სანაიას მეუღლე და ადვოკატი ხათუნა ჩხაიძე ამ საქმეს გაუხსნელად მიიჩნევს და სასამართლოზე მის ძიებაში დაბრუნებაზე იზრუნებს. „კვირის პალიტრა“ **ხათუნა ჩხაიძეს** გაესაუბრა.

— **რამდენადაც ვიცი, ფედერალური ბიუროს დასკვნით უკმაყოფილო ხართ. რა არის ამის მიზეზი?**

— უკმაყოფილო არ ვარ. უბრალოდ, აღვნიშნავ: ამერიკაში ექსპერტიზა იმიტომ დაინიშნა, რომ ჩვენთან ვერ ატარებენ დნმ-ის და მიკრონაწილაკების გამოკვლევას. მიკრონაწილაკებში შედის ტანსაცმლის მტვერი იმ ნივთებზე, რომელსაც ადამიანი ეხება, ანუ ამის შედეგად დგინდება, იყო თუ არა ეს პიროვნება დანაშაულის ადგილზე. იქ გამოიკვლიეს ხურცილავასა და გელაშვილის დნმ-ც, მაგრამ მათი დნმ-ები არ აღმოჩნდა არც ჩვენს სახლში და არც გიოს მანქანაში.

— **ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ მკვლელობის ღამეს აღნიშნული პიროვნებები ბინაში არ იმყოფებოდნენ?**

— დნმ-ით და მიკრონაწილაკებით თუ ვიმსჯელებთ, ასეა, მაგრამ ხურცილავას თითის ანაბეჭდი აღმოჩენილია ლუდის ბოთლზე, რომელიც ბინაში იპოვეს; უცნაური კი ის გახლავთ, რომ ამავე ბოთლზე დატოვებული ნერწყვი რომელიღაც სხვა პიროვნების დნმ-ია, რომელიც არ ეკუთვნის არც ხურცილავას, არც გიოს და არც გელაშვილს.

— **ე.ი. იმ ღამეს ხურცილავას გარდა ბინაში სხვა პიროვნებაც იმყოფებოდა? ან კიდევ, ხომ არ მოხდა გამოძიების დროს გაყალბება და ხურცილავას ბოთლზე უბრალოდ, ხელი მოაკიდებინეს?**

— რაც ჩემი თვალით არ მინახავს, ვერ ვიტყვი, მოხდა თუ არა გაყალბება, მაგრამ თუ იყო გაყალბება და ეს დამტკიცდება, ნებისმიერმა პირმა პასუხი უნდა აგოს. მტკიცებულების ფალსიფიკაცია სისხლის სამართლის დანაშაულია, მით უფრო, თუ ამას აკეთებს თანამდებობის პირი ან გამომძიებელი.

— **თქვენი აზრით, იმ ღამეს სხვა პიროვნება იმყოფებოდა ბინაში?**

— აშკარად გამოჩნდა სხვა დნმ, რომელიც დაცული და შენახულია. ამერიკელებმა მომართეს საქართველოს პროკურატურას, რომ თუ გამოჩნდება სხვა ეჭვმიტანილი, მიაწოდონ მისი ნიმუშები, რათა ის აღმოჩენილი გაურკვეველი პიროვნების დნმ-ს შეადარონ.

— **გამოდის, რომ „ეფ-ბი-აიმაც“ ეჭვქვეშ დააყენა ხურცილავას მონაწილეობა?**

— მოგეხსენებათ, დასკვნას ექსპერტი ამზადებს. შეკითხვა — იმყოფებოდა თუ არა ხურცილავა ბინაში, ექსპერტების წინაშე გამოძიების მხრიდან არ ყოფილა. მათ დაევალათ სახლში აღმოჩენილი დნმ-ს შედარება ხურცილავას დნმ-სთან და არ დაემთხვა... გარდა ამისა, მკვლელობის ადგილას და გიოს მანქანაში ამოჩენილი თმის ღერები ასევე არ დაემთხვა ხურცილავასა და გელაშვილის თმის ღერებს. ასევე აღმოჩენილია დნმ სიგარეტის ნამწვავზე, რომელიც უცნობ პირს ეკუთვნის.

— **ე.ი. ბინაში ორი პიროვნების დნმ აღმოჩნდა, რომელიც დღეს გამოძიებისა და საზოგადოებისთვის უცნობია?**

— დიახ. ჩემთვის ყველაზე საკვირველი, იცით, რა არის? ლუდის ბოთლზე თუ არის ერთი პირის თითის ანაბეჭდი, რატომ არ არის იმავე ბოთლზე იმავე პიროვნების დნმ?! გარდა ამისა, თუ მკვლელი მიდის სახლიდან, მიაქვს მასრა, გასაღები და ა.შ., რატომ ტოვებს იმ ბოთლს, რომლიდანაც „მიირთმევდა“ ლუდს.

— **რას ნიშნავს ეს?**

— ეს არის ის, რომ ჩვენ არაფერი ვიცით. თუკი რაიმე ეჭვი არსებობდა შეკვეთილი მკვლელობის შესახებ, ამ ყველაფერმა უფრო გაამიღრმავა.

— **გამოდის, რომ „ეფ-ბი-აის“ დასკვნამ გამოძიების ვერსია თავდაყირა დააყენა...**

— აქ არის ძალიან დიდი ქაოსი. გამოძიება უკვე ლაბირინთებში დაიკარგა. ისე, თუ ვიფანტაზიორებთ, ხომ შეიძლება, რომ ვილაცამ სიგარეტის ნამწვავი შეგნებულად დააგდო. გასაღები ხომ იყო მკვლელის და შემკვეთის ხელში?! მათ ჰქონდათ საშუალება ყველაფერი აერიათ და თავდაყირა დაეყენებინათ ბინა კვალის დაფარვის მიზნით. ეს ეჭვები კი მოდის იქიდან, რომ ხელისუფლების კონკრეტული სტრუქტურა, რომელიც ამ საქმეს იძიებს, თვითონ გვაძლევს საფუძველს, ყველაფერი დავუშვათ.

— **ასეთ ქაოსურ სიტუაციაში სასამართლოზე როგორც ადვოკატმა, რა უნდა დაამტკიცოთ, თუ ხურცილავას ბრალეულობა ეჭვქვეშ არის, თქვენ რა პოზიცია უნდა დაიკავოთ?**

— მე დავამტკიცებ, რომ დანაშაული არ არის გახსნილი, არ უპოვიათ კონკრეტული პირები — ვინც მოიპარა გასაღები, ვინც შეუკვეთა და ვინც შეასრულა. ვფიქრობ, საქმის ძიებაში დაბრუნებას მოვითხოვ.

— **ასეთი შუამდგომლობის დაყენება ახლაც შეგიძლიათ — რომ ძიება გაგრძელდეს...**

— კი, მაგრამ იმედი არ მაქვს, რომ ჩემს შუამდგომლობას პროკურატურა გაითვალისწინებს.

— **როდესაც „ეფ-ბი-აის“ დასკვნა გადმოგცეს, სადაც უცნაური დეტალები აღმოჩნდა, რა გითხრეს გამომძიებლებმა?**

— ყველა ამას მეკითხება. რაც არ უნდა მითხრან, მათი არ მჯერა. თვითონ საქმე ბევრი მტკიცებულებით აქვთ გამყარებული სათავისოდ. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი „ეფ-ბი-აის“ დასკვნა კი არ არის, არამედ ხურცილავას აღიარებითი ჩვენება, მასრა და გასაღები. მინდა გითხრათ, რომ როგორც კი მათ მასრა და გასაღები დაგვანახვეს, იმ დღესვე გაიყინა ეს საქმე. ეგ იყო და ეგ. მეტი არაფერი გაუკეთებიათ.

— **საერთოდ, ხდება ხოლმე, რომ როდესაც გახმაურებული მკვლელობაა, ოჯახის წევრებს ურეკავენ. ხომ არ ყოფილა ამ ხნის განმავლობაში ანონიმური ზარი მკვლელობის შესახებ?**

— ჩემთან არ ყოფილა, ისე, იყო. ვერ გეტყვით, რა ინფორმაცია იყო, თუმცა მე მნიშვნელოვნად არ ჩამითვლია.

*მარინა მამისაშვილი*

# ქართველი პოლიციელის ამერიკული თავგადასავალი...

## „მაპატიეთ, შაბათს სექსის დღე მაქვს და ვერ დაგეხმარებით“

ბოლო დროს ხშირად შევნატრით უცხოელ „თანაადამიანებს“ და მათ თანამოქალაქეობასაც ხშირად ვნატრობთ. მაგრამ რატომღაც გვავიწყდება, რომ არც ევროპა და არც ამერიკა ქვეყნიერებაზე დღევანდელი სახით არ გაჩენილა. წესრიგი და კეთილდღეობა (რომელიც სხვათა შორის, იქაც პირობითი ხასიათისაა) დროთა განმავლობაში, საკუთარი შრომითა და გარჯით შექმნეს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შეერთებული შტატებისა თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ფორმირების პროცესში არც სავალუტო ფონდი არსებობდა და არც მსოფლიო ბანკი, კრედიტები და ტრანშები რომ გამოეყო... ამჯერად ერთი ჩვეულებრივი, ქართველი პოლიციელის შესახებ გვსურს მოგითხროთ, რომელიც ანტიტერორისტული კამპანიის წყალობით ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციაში, სტაჟირებაზე მოხვდა და გარკვეული პერიოდის მანძილზე ამერიკელი პოლიციელის ცხოვრებით ცხოვრობდა. **მალხაზ კობახიძე** ბევრ საინტერესო ამბავს გვიყვება, საიდანაც მხოლოდ ერთ ალოგიკურ დასკვნას გამოიტანთ — ამერიკელი პოლიციელები არც ისეთი კარგები და ამავე დროს, არც ისეთი ცუდები ყოფილან. იგივე შეიძლება ითქვას იქაურ კრიმინოგენულ ვითარებაზეც...

— ამერიკაში, ნიუ-მექსიკოს შტატში ვიმყოფებოდი. მიუხედავად იმისა, რომ შტატის პოლიციის სტუმრებად ვითვლებოდით და თვითონაც პოლიციელები ვიყავით, ძალიან გაგვიკვირდა, როდესაც ჩასვლისთანავე, აეროპორტში დაგვირიგეს ფურცლები, სადაც ლაკონიურად იყო ჩამოწერილი, რა ითვლებოდა მათ შტატში კანონდარღვევად და რა — არა.

— **ძალიან ბევრი აკრძალვა იყო?**

— საქმე რაოდენობა კი არ არის, არამედ თვითონ აკრძალვებია. მაგალითად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ის იყო, რომ იკრძალებოდა ინტიმური კავშირი შტატის მცხოვრებ ქორწინებამდელი ასაკის ქალთან. ამ დანაშაულისთვის შტატის კანონმდებლობა სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებდა. საქორწინო ასაკად კი იქ 21 წელი ითვლება... ასეთი კონსერვატიულობა საქართველოში გაზრდილ ადამიანსაც კი გამიკვირდა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ამ შეზღუდვის გამო გოგონები ხშირად ყალბ მართვის მოწმობებს აკეთებენ (ეს დაახლოებით 30 დოლარი ჯდება). იურიდიულად, მართვის მოწმობა ამერიკაში ჩვეულებრივ პირადობის მოწმობასთან არის გათანაბრებული და თუ პოლიციელი ახალგაზრდა წყვილს საეჭვო „დანაშაულზე“ წაასწრებს, სრულწლოვანების დასამტკიცებლად ამ საბუთს იშველიებენ.

— **ასე რომ, მართვის მოწმობის უგამოცდოდ „გაიმასქნება“ ამერიკაში უფრო იაფი ყოფილა?!**

— ამას მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მიზნით აკეთებენ, თორემ ყალბი მოწმობით საჭეს რომ მიუჯდე, ორ კილომეტრსაც ვერ გაივლი. პოლიციის ყველა მანქანაში სპეციალური კომპიუტერებია დამონტაჟებული — მართვის მოწმობას მეტროს ბარათის მსგავსი მაგნიტური ზოლი აქვს. გაატარებენ კომპიუტერის სკანერზე და ზუსტად ერთ წუთში აჩვენებს ამომწურავ ინფორმაციას — დაწყებული ფოტოსურათებით, ოჯახური მდგომარეობით და დამთავრებული იმით, სად რა დაგიშავებია... მაგრამ უცნაური ის არის, რომ თუ მანქანით მგზავრობისას ყალბ მოწმობას აღმოგიჩენენ, მოგიბოდიშებენ — შტატის პოლიციის სახელით პატიებას გთხოვთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ხდება ასეთი ფაქტები, თქვენ მოგატყუეს, ასეთი საბუთით ვერ ისარგებლებთო. მერე ჩამოგართმევენ, გაგატარებენ კომპიუტერში და გაგიშვებენ.

— **როგორი რეჟიმით მუშაობენ?**

— საპატრულო მანქანები მთელი დღის მანძილზე მოძრაობენ. შეიძლება, ერთი ადგილიც ჰქონდეთ მიჩენილი, თუ იქ რაიმე მნიშვნელოვანი კვანძი ან კრიმინოგენულად საშიში ზონაა. სხვათა შორის, საპატრულო მანქანით მხოლოდ ერთი პოლიციელი მოძრაობს. მაგრამ თუ რაიმე სერიოზული დააფიქსირა და თვითონ ვერ გასწვდება, დამხმარე ძალის მოსვლას წუთები სჭირდება. კიდევ ერთი რამ არის საინტერესო — ყველა საპატრულო მანქანას წინა, საქარე მინაზე მინიატურული ვიდეოკამერა და ხმის ჩამწერი აქვს დამონტაჟებული, რომელიც მთელი დღის მანძილზე მუშაობს და ყველაფერს იწერს. იქაური წესით, დამრღვევ მანქანას რომ აჩერებს, პოლიციელმა თავისი ავტომობილი უკნიდან უნდა მიაყენოს. აქედან გამომდინარე, ვიდეოკამერა აფიქსირებს პოლიციელის ყველა მოძრაობას — როგორ ესაუბრა მოქალაქეს, მიაყენა თუ არა შეურაცხყოფა, ცუდად ხომ არ უპასუხა და ა.შ. დღის ბოლოს კი ამ ფირს სპეციალური განყოფილება ნახავს და პოლიციელის დოსიეში შენიშვნები შეაქვს მის უნარზე, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რა მომენტში ვერ მოიქცა ინსტრუქციის შესაბამისად და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს იმისთვის კეთდება, რომ ნაკლოვანებების გამოსწორებაზე შესაბამისმა სპეციალისტმა იზრუნოს — ფსიქოლოგი იქნება ეს, სროლის ინსტრუქტორი თუ იურისტი.

**ყველა საპატრულო მანქანას წინა, საქარე მინაზე მინიატურული ვიდეოკამერა და ხმის ჩამწერი აქვს დამონტაჟებული, რომელიც მთელი დღის მანძილზე მუშაობს და ყველაფერს იწერს. აქედან გამომდინარე, ვიდეოკამერა აფიქსირებს პოლიციელის ყველა მოძრაობას — როგორ ესაუბრა მოქალაქეს, მიაყენა თუ არა შეურაცხყოფა, ცუდად ხომ არ უპასუხა და ა.შ.**




— **ამერიკის პოლიცია საშინელ პირობებში ყოფილა — მისი ყოველი ნაბიჯი თუ იწერება და იხმინება...**

— არც მთლად ასეა საქმე. იქ პოლიციას წარმოუდგენლად დიდი უფლებები აქვს. პირველ ტრენინგზე, საეჭვო პირთან მოქმედების წესებს გავდიოდით. ინსტრუქტორი გვეუბნება, თუ გაჩერებული მოქალაქე ოდნავ, სიტყვით ან მანერით მაინც შეგეწინააღმდეგათ, უნდა ესროლოთო. თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი, ეს როგორ, ჩვენი კანონებით ქუჩაში სროლაც კი არ შეიძლება, დამნაშავემ რომც გვესროლოს-მეთქი. პირდაღებული დარჩა — თქვენ ან ძალიან კარგად გექნებათ საქმე, ან ძალიან ცუდადო. ამერიკელ პოლიციელს თუ სახით არ მოეწონე, შეუძლია, ქუჩაში მუხლებზე დაგაყენოს, ან სულაც გზაზე გაგაწვინოს და გაფორთხიალოს...

— **საერთოდ, მძღოლთან მოქცევის ინსტრუქცია როგორია?**

— საპატრულო მანქანა უკან მიჰყვება და მეგაფონით სთხოვს გაჩერებას. რომ გააჩერებს, უკნიდან მიადგება. პოლიციელი მანქანაში რჩება და გაჩერებულ მძღოლს მეგაფონითვე უბრძანებს, გაშლილი ორივე ხელი ფანჯრიდან გადმოყოს. მერე პოლიციელი ნელა მიუახლოვდება, თან ცალი ხელი იარაღზე უდევს და მძღოლს მართვის მოწმობას გამოართმევს, რომელსაც თავის კომპიუტერზე გაატარებს. თუ ყველაფერი წესრიგშია, უბრუნებს და უშვებს. მთელი ამ ხნის მანძილზე მძღოლს ხელები ფანჯრიდან უნდა ჰქონდეს გადმოყოფილი, თორემ ოდნავი მოძრაობაც კი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ პოლიციელმა სროლა აუტეხოს...

— **აბა, დამნაშავეს რაღას უზამენ...**

— ეს უკვე მთელი ისტორიაა. ჩვენ გვაჩვენებდნენ ყოველდღიურ ვიდეოჩანაწერებს, სადაც ასეთი კადრები იყო ასახული — პოლიციელი უკვე იარაღს უმიზნებს გაჩერებული მანქანის მძღოლს და უბრძანებს, მანქანიდან გადმოვიდეს. თანაც, ხელები კვლავ ფანჯრიდან უნდა ჰქონდეს გადმოყოფილი და კარიც გარე სახელურით უნდა გააღოს. ამასობაში პოლიციელი დახმარებას გამოიძახებს. მის მოსვლამდე დამნაშავე ან მუხლებზე დგას, ან პირქვე წევს ასფალტზე. არათუ განძრევა, ხმაც რომ ამოიღოს, პოლიციელს სროლის უფლება აქვს...

— **კორუფციაზე რას იტყვი?**

— ამერიკის პოლიციაში? რა ვიცი, ტაქსის მძღოლებს საგანგებოდ ჩამოვუგდებდი ხოლმე ამაზე ლაპარაკს — პოლიციელები ფულს თუ გართმევენ-მეთქი. ძალიან ბევრსო, დაიწყებდნენ წუწუნს. ესე იგი, კორუფციაა-მეთქი? და აქ უკვე ვეღარ იგებდნენ, რაზე ვლაპარაკობდი, — მათთვის პოლიციელი და ქრთამი წარმოუდგენლად შეუთავსებელი ცნებებია. მაგრამ ამ ყველაფრის ფონზე იმანაც გამაოცა, რომ ამერიკელ პოლიციელს არც ისე მაღალი ხელფასი აქვს — საშუალო ანაზღაურება 2.500 დოლარია. ეგ არის, კვირაში სამი დღე ისვენებენ და მკაცრად განსაზღვრული რვასაათიანი სამუშაო აქვთ. გარდა ამისა, პოლიციელს 15 წლის შემდეგ უფლება აქვს პენსიაზე გავიდეს და ხელფასის 80% ენიშნება. შეღავათები აქვთ გადასახადებსა და კრედიტის გამოტანაზე.

— **ამერიკის პოლიციაში მუშაობის დაწყება ძნელია?**

— საკმაოდ იოლია. სრულწლოვან ამერიკელს საბუთები შეაქვს პოლიციის აკადემიაში, სადაც სწავლა უფასოა და ექვსი თვე გრძელდება. მაგრამ ამ ექვსი თვის განმავლობაში სამი საგამოცდო ეტაპია გასავლელი და აკადემიას შემსვლელთა მხოლოდ მესამედი თუ ამთავრებს.

— **ზოგადად, ამერიკული ცხოვრების სტილზე რას იტყვი?**

— რა გითხრა. პირადად მე, იქაურმა ცხოვრების წესმა საბჭოთა კავშირი მომაგონა — ოღონდ მორალური შეზღუდვების გარეშე. ვერ წარმოიდგენთ, როგორაა დაპროგრამებული იქაური ხალხი. სხვანაირად ვერც შეძლებენ. საკმარისია, სამსახური დაკარგო, ან სადმე რამე ჩაიდინო, რომ ყველაფერი პირამიდასავით ინგრევა და ქუჩაში ცარიელ-ტარიელი აღმოჩნდები. ყველას ყველაფერი აქვს, ოღონდ ყოველდღიურ სამუშაო რუტინაში უნდა იყო ჩაბმული... ერთი კვირის ჩასულიც არ ვიყავი, ჩვენს ერთ-ერთ ამერიკელ მასპინძელს ვთხოვეთ, შაბათს მუზეუმში გამოგვყოლოდა. მთელი სერიოზულობით გამოგვიცხადა რამდენიმე კაცს, მაპატიეთ, შაბათს ცოლთან სექსის დღე მაქვს და ვერ დაგეხმარებითო...

— **როგორ ფიქრობ, საქართველოს პოლიციას თეორიულად მაინც აქვს იმის შანსი, რომ ამერიკის პოლიციის დონეს მიუახლოვდეს?**

— რა თქმა უნდა. თუ მატერიალური ბაზა და მისი შესაბამისი პირობები იქნება. ამერიკაში ყოფნისას, ერთი თვის მანძილზე სამი ათას ტყვიას ვისროდი. ამერიკელი პოლიციელისთვის ეს ჩვეულებრივ ნორმატივად ითვლება. საქართველოში ვარჯიში კი არა, შეიძლება თვეში ერთხელ, ქორწილში, ჰაერში ისროლოს ვინმემ... საპატრულო მანქანებზე, კომპიუტერებსა და ვიდეოკამერებზე აღარაფერს ვამბობ... აღარც იმას მოვყვები, რომ ამერიკაში თითოეულ განყოფილებას არათუ მანქანები, არამედ რამდენიმე ვერტმფრენიც ემსახურება...

*დაჩი გრძელიშვილი*

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი
Programming Development Institute
აცხადებს მიღებას 2002-2003 ს.წ.
✓ პროგრამირების ფაკულტეტზე
სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი.
✓ უცხო ენების ფაკულტეტზე.
✓ ინსტიტუტთან არსებული მეორადი კურსები:
- პროგრამული ენები: Turbo pascal; Delphi; C; C++; SQL; Java... (სწავლის ხანგრძლივობა 10 თვე).
- დიზაინური პროგრამები; WEB-გვერდის დამზადება.
- ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების კურსი აუდიო-ვიდეო მასალების თანხლებით (სწავლის ხანგრძლივობა 6 თვე).
საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7. ცეკავშირის შენობა. V სართული. №544. ტელეფონი: 999911
E-mail: kiber@www.com

# საქართველოზე უზომოდ შეყვარებული გერმანელი ობერმაისტერი

ჰერ და ფრაუ ვინბერგენებმა საქართველო უკვე დატოვეს და გერმანიის პატარა, ლამაზ ქალაქში — კეტვიგში დაბრუნდნენ... ამჯერად ისინი სტუმრად იყვნენ ჩამოსული. საქართველოდან წასვლა კი ჰერ და ფრაუ ვინბერგენებს ყოველთვის უჭირთ და ამიტომ არც ნოსტალგიაა მათთვის უცხო...

ფრაუ ვინბერგენი სინამდვილეში თბილისელი ნინო შატბერაშვილი გახლავთ — თბილისის პანტომიმის თეატრის მსახიობი, ამჯერად ესენის თეატრში განაგრძობს მოღვაწეობას, მისი მეუღლე — დირკ ვინბერგენი კი დიუსელდორფის აეროპორტში ობერმაისტერი — საზღვრის დაცვის პოლიციის ერთ-ერთი დიდჩინოსანია.

რამდენიმე წლის წინ დირკი საქართველოში მივლინებით გამოუგზავნიათ საგარეო საქმეთა სამინისტროდან (სამივლინებო ვადა კარგა ხანია გაასრულა). ერთხანს აქ გერმანიის საელჩოში უმუშავია დაცვის უფროსად. ბინა სოლოლაკში დაუქირავებია და აღფრთოვანებულა ამ სახლის დიასახლისით — ქალბატონი დოდოთი. ქალბატონი დოდო ინგლისური ენის სპეციალისტი გახლავთ. რადგანაც დირკმაც შესანიშნავად იცის ინგლისური ენა, ურთიერთობა სულაც არ გასჭირვებიათ და მალე დამეგობრებულან კიდეც....

ერთ მშვენიერ დღეს ქალბატონმა დოდომ დირკი ოჯახში მიიწვია და თავისი მეუღლე და ორი ქალიშვილი გააცნო. დირკი მაშინვე მოხიბლულა ნინოთი... მაგრამ რამდენიმე დღეში ნინო ბონში გამგზავრებულა სწავლის გასაგრძელებლად, დირკი კი საქართველოში დარჩენილა...

გერმანიაში დაბრუნებულმა დირკმა მაშინვე მიაკითხა ნინოს... სულ მალე მისი მშობლებიც მიიწვია კეტვიგში და... ყველაფერი ქართული ტრადიციისამებრ მოხდა — ნიშნობა... ქორწილი... ტრადიციული სადღეგრძელოები...

დირკი თბილისში, შატბერაშვილების ოჯახში გავიცანი. გამაოცა მისმა ქართული ცხოვრების წესმა — ქართულმა მასპინძლობამ, სადღეგრძელოებმა... მართალია, ქართული ჯერჯერობით უჭირს, მაგრამ ყველაფერი ესმის და სერიოზულად აპირებს ჩვენი ენის სრულყოფილად შესწავლას... როცა გერმანიიდან სამშობლოში რამდენიმე კვირით დაბრუნებული რეზო ჩხიკვიშვილი ინსტრუმენტს მიუჯდა, დირკმა მელოდიას წამსვე ხმა ააყოლა — „შენი თვალები ზღვის ფერია...“ მერე დიდხანს ამტკიცებდა, გერმანიისა და საქართველოს ჰიმნების პირველი ტაქტები ძალიან ჰგავს ერთმანეთსო... როგორც ამიხსნეს, დირკი გერმანიაში ჩასული ქართველების პირველი მოსარჩლე და მფარველი ყოფილა... ინტერვიუს დროს ისეთი გატაცებით ლაპარაკობს ჩვენს სამშობლოზე, როგორც საკუთარზე.

— რამდენიმე წლის წინ, დეკემბრის თვეში ჩამოვედი და რაც




პირველად თვალში მომხვდა ის იყო, რომ ირგვლივ უჩვეულო სიბნელე იდგა. ერთადერთი განათებული ადგილი აეროპორტი იყო...

მეორე დღეს პირველი ქართველი გავიცანი, ჩემი ახლანდელი სიდედრი — ქალბატონი დოდო, შემდეგ კი რამდენიმე მეზობელი. გამაოგნა მათმა სტუმართმოყვარეობამ, სითბომ, სიკეთემ... პირველივე დღეებში ვისწავლე რამდენიმე ქართული სიტყვა — გამარჯობა, ნახვამდის, მადლობა, არაფრის... და ასე შემდეგ...

**— გერმანელები პუნქტუალობით გამოირჩევით, ქართველები კი — პირიქით... როგორ შეეგუეთ ამას?**

— ამასთან შეგუება თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ თანდათან, როცა ქართველების ხასიათს გავეცანი, შევეცადე გამომეთვალა თქვენი პუნქტუალობის ხარისხი — როცა დროს დავთქვამდით, ვიცოდი, რამდენი საათით გვიან შედგებოდა ესა თუ ის შეხვედრა მაგალითად, დღეს სტუმრებს ექვსი საათისთვის ველოდებოდით, მე კი დარწმუნებული გახლდით, რომ ყველანი დაახლოებით რვის ნახევრისთვის მოხვიდოდით.

**— ჩვენში პოლიციელი თითქმის ყოველთვის ასოცირდება იარაღთან, სიმკაცრესთან, თქვენ კი ასეთი ღიმილიანი და მხიარული ხართ. როგორ ათავსებთ ხასიათს თქვენს პროფესიასთან?**

— სხვათა შორის, გერმანიაშიც იმავე ასოციაციას იწვევს პოლიციელი... მაგრამ ჩვენ მხოლოდ კანონის მიხედვით ვმოქმედებთ... აქ კი ხშირად წავწყდომივარ აშკარა დარღვევას. მაგალითად, რამდენჯერ მინახავს, მძღოლებს დაურღვევიათ საგზაო წესები და შემდეგ ფულით მოუგვარებიათ საქმე. ამას გერმანიაში არ დაუშვებენ... გერმანელ პოლიციელებს მაღალი განათლების სისტემა გვაქვს და კანონები ზედმიწევნით კარგად ვიცით. ასე რომ, მართალია მხიარული ხასიათი მაქვს, მაგრამ, როცა სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებ, მაშინ მთავარია კანონი.

**— საქართველოში მუშაობის დროს რაიმე დაბრკოლება ხომ არ შეგხვედრიათ?**

— ჩვენს მანქანას აქ წითელი, ანუ დიპლომატის ნომრები ჰქონდა, — ამიტომ არავინ მაჩერებდა. სხვათა შორის, გერმანიაშიც ასეთი წესია — დიპლომატების გაჩერების უფლება არავის აქვს, ისინი ხელშეუხებლები არიან. ერთხელ, მახსოვს, შევარდნაძის კორტეჟს უნდა გაევლო და გზა გადაკეტეს. ჩვენც გაგვაჩერეს... არადა, საქმეზე გვაგვიანდებოდა. საკმარისი აღმოჩნდა ჩვენი კონსულის ერთი ზარი — ამ ფაქტით განრისხებულმა ისეთი საყვედურები უთხრა პოლიციის უფროსს, რომ მას დარწმუნებული ვარ — არასოდეს დაავიწყდება... ამის შემდეგ აღარაფერს დაუბრკოლებივარ საქართველოში... თუ ეს კიდევ გამეორდა, გერმანიაშიც მოუხსნიან ქართველ დიპლომატებს ხელშეუხებლობის გარანტიას...

**— საქართველოზე უზომოდ ხართ შეყვარებული... საიდან დაიწყო ეს ყველაფერი?**

— უპირველესად ჩემი კეთილშობილი მეზობლებისგან... მერე აქ ერთ ქართველ ახალგაზრდას დავუმეგობრდი, რომელიც თურქეთის საზღვარს იცავდა. მან მაჩვენა და შემასწავლა ყველაფერი, რაც საჭირო იყო და რაც არ იყო საჭირო... უამრავი რამ მომეწონა, საოცრად მხიბლავს თქვენი ტრადიციები — გერმანიაში, ჩემს სახლშიც ხშირად იშლება ქართული სუფრა — ქართული ღვინით და კერძებით... მომწონს ქართული სიმღერები, ქართული ლიტერატურა, საქართველოს ბუნება...

**— და ალბათ ამიტომ მოიარეთ მთელი საქართველო...**

— რა თქმა უნდა... აღფრთოვანებული ვარ ვარძიით, იყალთოთი, ალავერდით, გრემით... რაჭაშიც ვიყავი, სვანეთშიც, კახეთშიც.... იმ დროს, როცა ჩვენი დიპლომატების შესვლა არ შეიძლებოდა აფხაზეთში, მაინც წავედი და ვნახე სოხუმი... თითქმის არც ერთი კუთხე არ გამომიტოვებია... საოცარია, რა ბუნება გაქვთ... რა კეთილები და სტუმართმოყვარეები ხართ...

**— ვიცი, რომ ბევრ რამეზეც გტკივათ გული...**

— მართალია... ძალიან მინდა, რომ საქართველო სულ მალე ევროპული დონის ქვეყნად გადაიქცეს, ხალხმა დროულად და საკმარისი რაოდენობით მიიღოს ხელფასები და პენსიები... ჩვენში მოხუცები საკუთარი პენსიით მშვენივრად ცხოვრობენ... მინდა დალაგდეს და სტაბილური გახდეს სიტუაცია... დასუფთავდეს ქუჩები, ხალხს ჰქონდეს წყალი, შუქი, გაზი... თქვენს კულტურასა და ხელოვნებაზე უფლება არ მაქვს ვილაპარაკო — ისეთ მაღალ დონეზეა ყველაფერი, მაგრამ რაც შეეხება ეკონომიკას... ვერაფრით ვხვდები, რატომ არ იყენებთ იმ უამრავ ბუნებრივ რესურსს, იმ უძვირფასეს წიაღისეულს, ჰაერს, წყალს, კურორტებს, რითიც მდიდარი ხართ. თქვენს ადგილას სხვა ქვეყანა აყვავდებოდა... თუმცა, იმედი მაქვს, ეს დროც დადგება... და კიდევ იმის იმედი მაქვს, რომ სრულყოფილად შევისწავლი ქართულს, კვლავ ჩამოვალ აქ სამუშაოდ და ჩემს თუნდაც უმნიშვნელო წვლილს შევიტან თქვენი ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში...

*ეკა მახარაშვილი*

# გოგია-კუკარაჩა, ტყვეობიდან დახსნილი ჩიტები და პატარა სანდრო...

ანდრო მეზობლის ბიჭებმა გამაცნეს. ერთმანეთს ასწრებდნენ ლაპარაკს და კარგა ხანს ვერ გამაგებინეს, რამ გამოიწვია მათი აღფრთოვანება. რა ჩიტებივით ჟღურტულებთ-მეთქი, — გამეცინა, რადგან მათი ჟრიამული სწორედ გაზაფხულზე ახმიანებული ჩიტების ჟღურტულს ჰგავდა. იმ ჟღურტულს, სიგიჟემდე რომ მიყვარს და სიცოცხლესთან ერთად მთელ ქვეყნიერებას მაყვარებს...

— იქ, ბაზრის წინ, ერთი ბიჭი ჩიტებს ყიდის, ნაირ-ნაირ ჩიტს.. ზოგი ისეთი ლამაზია, ისეთი, რომ... ჩვენი ტოლი ბიჭია, სანდრო ჰქვია... იმ ჩიტებს სულ თვითონ იჭერს!...

ჩემი „ინფორმატორების“ ასაკი 10-12 წელიწადს არ აღემატებოდა და პირველად არც დავიჯერე — ასე პატარას როგორ უნდა დაეჭირა ჩიტები, ან რატომ უნდა გაეყიდა?

მერე კი პატარების ნებას დავყევი (ერთხმად მიმტკიცებდნენ: არ ინანებთ, თუ წამოხვალთ, იქნებ ჩიტებიც იყიდოთო!) და „ჩიტების გამყიდველის“ გასაცნობად წავედი.

ვიცოდი, პატარა ბიჭს ეგზოტიკური ფრინველები არ ეყოლებოდა დაჭერილი, თუმც კი, რაც ვნახე, არც იმას მოველოდი. რატომღაც მეგონა, ძირითადად, მტრედები ეყოლებოდა...

წნელებით მოწნულ გალიაში კი ისეთი ჩიტუნები ვნახე, კარგა ხანს მეც ისევე გაოგნებული და პირდაღებული ვიდექი, როგორც ორი და სამი წლის პატარები, რომლებიც დაჟინებით სთხოვდნენ უფროსებს: „გვიყიდე რა, გვი-ყი-დეე!“ ... ერთი გაჯიუტებული ბიჭის ღრიალი კი მთელ ქუჩას ესმოდა, რომლის დედა მხრებს უხერხულად იჩეჩდა: „აბა, რად მინდა ეგ ჩიტები, ან როგორ მოვუარო, თორემ ისე იაფია, ყველას ვიყიდდი!“...

სიტუაცია მოულოდნელად განიმუხტა, როცა თავშეყრის ადგილზე პოლიციის მანქანა გაჩერდა და იქიდან გადმოსულმა წესრიგის დამცველებმა სიტუაციის გარკვევა სცადეს...

მობუზულმა და შეშინებულმა გამყიდველმა გალია მაღლა ასწია და დარცხვენილმა თქვა: „ჩიტებს ვყიდი, არ მომიპარავს, თავად დავიჭირე — ზოგი ლარი ღირს, ზოგიც 50 თეთრი!..“

— სულ რამდენია?!

მერე რაც მოხდა, ლამაზი ფილმის სიუჟეტს უფრო წააგავს და გულწრფელად თანავუგრძნობ ყველას, ვინც იმ კადრებს ვერ შეესწრო...

— ყველა ჩიტს ვყიდულობ! — ხმამაღლა გამოაცხადა პოლიციელმა და სიჩუმე მოითხოვა. ბავშვებიც გაიტრუნნენ, ზოგი გაიბუტა კიდეც გულდაწყვეტილი...

პოლიციელმა გალიის კარი გააღო და ერთი ჩიტი მუჭში მოიმწყვდია. „ბოლოქანქარაა... შიშით ისე უფართხალებს გული, საცაა გაუსკდება, ამისი ტყვეობაში ყოფნა არ შეიძლება. დაიჭი!“ — მიმართა ყველაზე პატარას, რომელმაც ხელები კი გაუწოდა, მაგრამ ჩიტის შეხებაზე ისე დაფრთხა, მუჭი გაშალა და ისე გაქრა ჩიტუნია ჰაერში, თვალიც ვერავინ მოჰკრა.

— ძალიანაც კარგიო! — გაეღიმა პოლიციელს. ახლა დანარჩენები უფრო დიდებს დააჭერინა და ბავშვებს მიმართა: „ახლა ერთად გავუშვათ ეს ჩიტები, დაგვლოცავენ და ბედნიერები ვიქნებითო!..“ წინააღმდეგობა არავის გაუწევია და ჰაერში აფრთხიალდნენ ბოლოქანქარები, გულწითელები და სხვები, რომელთა სახელები არც კი ვიცი...

— თქვენ კუკარაჩა ხართ?! — მივუბრუნდი ბავშვებზე არანაკლებ ბედნიერ პოლიციელს, დუმბაძისეულ გმირს ბევრი რამით რომ მივამსგავსე...

— არა, გოგია ვარ, მესხიშვილი. ჩიტებიც სიგიჟემდე მიყვარს და ბავშვებიც! — გამიღიმა და გამყიდველს მიუბრუნდა, ათლარიანი ჩაუდო ხელში: „ხომ საკმარისიაო?!“ მერე მანქანაში ჩაჯდა — „დაიშალეთო!“ — გადმოგვხედა „წარბშეკრულმა“ და წავიდა.



სამაგიეროდ, ასევე ღიმილადქცეული „ჩიტების გამყიდველი“ დარჩა ჩემთან, რომელიც ჩემს ნაცნობ ბიჭებთან ერთად კაფეში დავპატიჟე და აი, რა გავიგე მისგან: „12 წლის გავხდი ახალ წელს, სანდრო მქვია. მე სოხუმში დავიბადე. ომის დროს პატარა ვიყავი, მამამ ჩამოგვიყვანა ქუთაისში და დაგვაბინავა, მერე ომში წავიდა და... აღარ დაბრუნებულა! ბებიამ და ბაბუამ შავები ჩაიცვეს — ნახეს ის ბიჭები, მამასთან ერთად რომ იბრძოდნენ: ჩვენ თვალწინ დაიღუპა გივიკო, მაგრამ ისეთი ცეცხლის წვიმა იყო, მიცვალებული ვერ გამოვიყვანეთ, თავადაც ძლივს გამოვასწარითო! — უთქვამთ.

დედამ არ დაიჯერა... ავად გახდა და საავადმყოფოშიც იწვა ძალიან დიდხანს — ფსი-ქი-ატ-რი-ულ-ში (რატომღაც დამარცვლით თქვა სანდრომ!)... ახლაც ელოდება მამას, არ მიჰყვება სოფელში ბებიას — გივი რომ მოვა და შინ არ დავხვდები, ეწყინებაო, ამბობს!.. ერთხელ ძალით წაიყვანეს და იმდენი იტირა, ცუდად გახდა, სულ სახლში ზის ხოლმე. გვერდიდან არ მიშორებს, სულ მეფერება და მამაზე მელაპარაკება: „ისე ძალიან ვუყვარვართ, აუცილებლად მოვა, გაათავისუფლებენ სოხუმს და აუცილებლად დაბრუნდებაო. მე ვიცი, რომ მამა მოკვდა და ვერასოდეს დაბრუნდება, მაგრამ დედას არ ვუკამათები... მეშინია: ასე მგონია, რომ დაიჯეროს, მამა მკვდარია, ისიც მოკვდება!..

— სკოლაში დადიხარ, სანდრო?

— კი, მეშვიდე კლასში ვარ. ადრე უფრო კარგად ვსწავლობდი, ახლა ცოტა მეზარება, მაგრამ სკოლას მაინც არ მივატოვებ. ექიმი გავხდები — ფსი-ქი-ატ-რი (რატომღაც ისევ მარცვლავს სიტყვას!) და დედას მოვარჩენ!

— ჩიტებს როგორ იჭერ?

— ბაბუამ მასწავლა, კაკანათი გამიკეთა და ისე ვიჭერ! (სანდრომ გულდასმით აგვიხსნა კაკანათის გამართვის და ხმარების წესი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ვერაფერი გავიგე)...

— ხშირად ყიდი ჩიტებს?!

— ახლა ძალიან ბევრნი არიან და ბევრსაც ვიჭერ, შაბათკვირაობით ვყიდი ხოლმე.

— ფული რისთვის გინდა?

— ვაგროვებ. უკვე 47 ლარი მაქვს... მეტი მექნებოდა, მაგრამ ზოგჯერ ტკბილეულს ვყიდულობ.

— ფული რისთვის გინდა?

— კომპიუტერი უნდა ვიყიდო, ჩემი მეზობლის ბიჭებს აქვთ და ხშირად მეც მათამაშებენ, ძალიან მიყვარს. მამა რომ მყავდეს, აუცილებლად მიყიდდა, დედამ თქვა: რომ ჩამოვა, აუცილებლად გიყიდის, დაიკოსაც გიყიდის — სახელიც შერჩეული გვაქვს, მარიამს ვარქმევთო!... ძალიან მეცოდება დედა, იცით, როგორ უყვარს მამა?!

სანდროსთან საუბარმა დამასევდიანა. აფხაზეთმა ისევ მტკივნეულად შემახსენა თავი...

შინ წამოსული კი, იცით, რაზე ვფიქრობდი?! — აი, ის ჩიტები, გოგია-კუკარაჩამ რომ იხსნა ტყვეობიდან, სოხუმშიც ჩაფრინდებიან ალბათ... აფხაზეთში დაღუპულთა ჩიტებად ქცეული სულები კი სად დაფარფატებენ ნეტავ?!

*ინგა ჯაყელი*

## რას გვეტყვი, მამაო?

**— თითქმის ყოველ წუთს მახსოვს, როგორ უნდა იცხოვროს მართლმადიდებელმა ქართველმა, ამ დროს კი თავად არ ვიცავ მარხვას და მაქვს დანაშაულის გრძნობა, რომ რაღაცას ისე ვერ ვაკეთებ, როგორც მომეთხოვება. ჩემი აფორიაქება იმის ბრალი ხომ არ არის, რომ არ მყავს მოძღვარი?**

— თქვენს კითხვაში თვით არის პასუხი — თქვენ უკვე იცით ზუსტად, რაც უნდა გააკეთოთ — უნდა იყოლიოთ მოძღვარი და იცხოვროთ ეკლესიურად, რათა არ შეგაწუხოთ სინდისის ქენჯნამ, რაც ყველაზე მეტად უქმნის დისკომფორტს ადამიანს.

**— ჩვენ გარშემო მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც მორწმუნეებად მიიჩნევენ თავს, რადგან მარხულობენ და, ამავე დროს, ცხოვრების წირს, აგებულს ჰედონიზმის, ანუ სიამოვნების პრინციპზე, არ იცვლიან. შეიძლება თუ არა, სხეულით მარხულობდეს ადამიანი და სულს კი ვნებათა სათარეშოდ იხდიდეს?**

— ცნობილია, რომ მარხვის მეოხებით — ხორციელი თავშეკავებით — ადამიანი განიწმენდს საკუთარ სულს. მაგრამ მარხვა ამაოა, თუ ვნებების აყოლით წაბილწავთ იმ სამყოფელს, სადაც უფლის ერთგული ადამიანის არსებაში უნდა მკვიდრდებოდეს სულიწმიდა.

**— ძალიან მიჭირს ვნებების დაოკება, როდესაც ლამაზ ქალს ვხედავ, ან მისი სახე და სხეული წარმომიდგება გონებაში. ვიცი, რომ წარმოსახვითი ვნება ჩადენილ მრუშობას უთანაბრდება. როგორ შემიძლია დავძლიო მსგავსი საცდური?**

— როდესაც ქალთა საზოგადოებაში მოხვდებით, ეცადეთ, თავი მაქსიმალურად შეიკავოთ ფრივოლური საუბრისაგან, უხერხული მოძრაობებისაგან და ვნებისმიერი მიმიკებისაგან. ხოლო, თუ თქვენ წარმოსახვა აღგაგზნებთ, აზრთა დემონური მდინარება შეგიძლიათ მოიზღუდოთ პირჯვრის წერით. ხორციელი და წარმოსახვითი ვნებიანი ჟინისაგან თავდასაღწევად, სასარგებლოა ყველაფერში კეთილგონიერი ზომიერება. მაგრამ, უმთავრესია, ყოვლადძლიერ უფალს სთხოვოთ, დაგიფაროთ ამ საშინელი საწადლისაგან. ადამიანი თავად, საკუთარი ძალით ვერასოდეს აღმოიფხვრის ავხორცობის ვნებას. მაგრამ ამ საკითხში გამოჩენილი ჩვენი ნების ურყევობით და ლოცვით, კეთილმოწყალე უფალი თავისი მადლმოსილებით დაგვიცხრობს მსგავს გზნებებს.

**— დამმატყუს ნათლიად. ნათლობის დღეს შევნიშნე, რომ დედათა წესი მქონდა. ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში. ნათლულის ოჯახთან მომერიდა გამხელა და იძულებული გავხდი, საერთოდ არაფერი მეთქვა ამის შესახებ. ლმერთს კი გულში შეწყალებას ვევედრებოდი. გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორ მოვიქცე ცოდვის მოსანანიებლად და ხომ არ იქნება ეს საშიში ჩემი ნათლულისათვის?**

— მღვდრობითი სქესის ყველა წარმომადგენელს უნდა ახსოვდეს, რომ დედათა წესის დროს ქრისტიანულ საიდუმლოებაში მონაწილეობა ყოვლად დაუშვებელია! თქვენს ნათლულს არაფერი დაუშავდება, თქვენ კი მოძღვართან აუცილებლად უნდა თქვათ ამ ჩადენილი ცოდვის შესახებ აღსარებაში და მოინანიოთ.

**— ვარ დასაქორწინებელი. მყავს საცოლე და სურვილი მაქვს, ვიქორწინო მაისის თვეში, მაგრამ მრევლში მიიჩნევს — მაისში ქორწილი არვარგა — მაისი თვითონ ყვავის და მაისში დაქორწინებულნი ვერ გაიხარებენო. რამდენად მართალია ეს?**

— თუმცა ჩვენი პასუხი მაისში ვეღარ მოგისწრებთ, ჩვენს მკითხველს მაინც ვუპასუხებთ, რომ ყოველივე, დაკავშირებული მაისის თვის აკრძალვებთან საქორწინო საიდუმლოს შესრულების საკითხში, შორს არის მართლმადიდებლურ წესჩვეულებათაგან და ხალხურ ცრურწმენას განეკუთვნება.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „ჯაფარიძე მექრთამე და მატყუარაა“
# „მეფარიძე ცნობილი ცილისმწამებელია“

კომუნისტების დროინდელი, პოპულარული და ლოზუნგად ქცეული ფრაზა: „ტყე შეუნახე შვილებსა“, დღეს მისმა „რემიქსულმა“ ვარიანტმა შეცვალა — „ტყე გაუჩეხე შვილებსა“. ჩვენი ხეტყის „ქომაგი“ „მამები“ ამ „გარემიქსების“ გამო მოულოდნელად ანტიკორუფციული თორმეტკაცას ბრჭყალების მსხვერპლნი გახდნენ. მოულოდნელად იმიტომ, რომ თითქმის არარავის სჯეროდა, თუ ამ მარადიული თემის ირგვლივ ვინმე კონკრეტული დამნაშავეების გამოვლენასა და დასჯაზეც იფიქრებდა. ჩანს, დღეს ეს მომენტი დადგა. ანტიკორუფციული ბიუროს ვერდიქტის თანახმად, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს გივი ჯაფარიძესა და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანს თანამდებობებს დაატოვებინებენ!

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ წყნეთის ტყე-პარკის უკანონო ჭრის შესახებ პირველად მიშა სააკაშვილი ალაპარაკდა და მაშინ, ვაკის არჩევნების წინ გვარიანი ქულებიც ჩაიწერა. მერე, აქაოდა, მოსახლეობაზე ეს თემა კარგად „მოქმედებსო“, სააკაშვილს თბილისის მერი ვანო ზოდელავაც აჰყვა. აქა-იქ რამდენიმე „ენჯეომაც“ გაიფხაკუნა, მაგრამ... ბოლოს ყველაფერმა „მშვიდობიანად“ ჩაიარა. მოგვიანებით ამ საკითხს წყნეთის სატყეო მეურნეობის უფროსის, სააკაშვილის მიერ „წყნეთის ფეოდალად“ მონათლული შოთა მეფარიძის სავარძელიც შეეწირა, მაგრამ... დაბა წყნეთში ტყე-პარკის უკანონო გაჩეხის ფაქტები არათუ შემცირდა, არნახულად გაიზარდა.

## ვინ „შეჭამა“ (გაჩეხა) ტყე?!

ამ ობობას ქსელში რეალურად მილიონობით დოლარი ტრიალებს, ფულს კი სწორედ ის „მამები“ იდებენ ჯიბეში, რომლებსაც ვითომდა თავიანთი შვილებისთვის „ტყე უნდა შეენახათ“(?!) ერთ-ერთი ასეთი „ქომაგი მამა“, თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილი უფროსი შოთა მეფარიძე ამ ბოლო დროს თავის ყოფილ შეფს, ძველ ძმასა და მეგობარს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს გივი ჯაფარიძეს დაუპირისპირდა.

**შოთა მეფარიძე:** — ჯაფარიძისთანა მექრთამე და მატყუარა კაცი არ მინახავს. ყველაფერი გაყიდა, მანეთისთვისაც კი უკან არაფერზე იხევს...



გივი ჯაფარიძე

— **ჯაფარიძე იმავეს თქვენზე ამბობს...**

— რაო? მაგ ტყუილებისთვის უნდა მომკლა, მაგრამ... წადით, იკითხეთ სასოფლოში, სადაც ლექციებს კითხულობდა... სტუდენტებისგანაც კი 5-5 მანეთს იღებდა ქრთამად. მაგან ჩემზე რა უნდა ილაპარაკოს?

— **თქვენ ხომ მეგობრები იყავით, რატომ დაუპირისპირდით ერთმანეთს?**

— რატომ და ტყეების გაყიდვა მოინდომა მაგ უნამუსომ, მე კი საშუალება არ მივეცი. რომ დაინახა, ხელს ვუშლიდი, მითხრა, — სხვა სამსახურში გადაგიყვანო. ვუპასუხე, — არსადაც არ გადავალ, სადაც ვარ, იქ დავრჩები-მეთქი.

— **როგორც ჩანს, თქვენ და ჯაფარიძემ რაღაც ვერ გაიყავით...**

— რა მქონდა მაგასთან გასაყოფი? ის კი არა, მეუბნებოდა, — შოთა, მოდი, წილში ჩაგსვამო...

— **უარი უთხარით?**

— ჯაფარიძესთან არასოდეს წილში არ გავსულვარ. პირიქით, ყოველთვის ხელს რომ ვუშლიდი, იმიტომაც ამითვალწუნა. მე დოკუმენტები მაქვს, ჰაერზე კი არ ვლაპარაკობ!

## დოკუმენტები ჯაფარიძესაც აქვს

გივი ჯაფარიძე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ 1996 წელს დაინიშნა. მეფარიძის მსგავსად იგი დღემდე მშვიდად იჯდა სავარძელში. არაერთგზის ამოქექილი უკანონობისა და აქცია-მიტინგების მიუხედავად, ჯაფარიძეს ვერავინ ეხებოდა! როგორც ამბობენ, მას საკმაოდ სერიოზული „კრიშა“ იცავდა ყოფილი შს მინისტრის კახა თარგამაძის სახით. თარგამაძე ჯაფარიძის სიძე (დისშვილის ქმარი) გახლავთ და, მოგეხსენებათ, ჩვენთან ნათესაურ ტრადიციებს რაოდენი ყურადღება ექცევა. მას შემდეგ, რაც თარგამაძე „ჩამოალაბორანტეს“, როგორც ჩანს, დღის წესრიგში მისი ცოლის ნათესავის მოხსნის საკითხიც დადგა. თუ ანტიკორუფციულ ბიუროს არ ჩავთვლით, დღეს ჯაფარიძის ერთადერთი ოპონენტი შოთა მეფარიძეა, კაცი, რომელმაც თავისი უფროსის მიერ წარმოებული მაქინაციების შესახებ ყველაზე კარგად უწყის. თუმცა მეფარიძეს არც თავად ჯაფარიძე ჩამორჩება და ისიც საბუთებს აფრიალებს... კომპრომატების ომი გრძელდება.

**გივი ჯაფარიძე:** — შოთა მეფარიძე არის კაცი, რომელიც წლების მანძილზე ყველას უჩიოდა, იგი საქვეყნოდ ცნობილი ცილისმწამებელია.

— **თქვენ რატომ გიპირისპირდებათ?**

— იმიტომ, რომ სამჯერ გავათავისუფლე თანამდებობიდან. ბოლოს, ამ წლის თებერვალში, დავატოვებინეთ სამსახური. სწორედ ამის გამოა გამწარებული. 80 წლის კაცია, პენსიონერი, მეტი საქმე არა აქვს, დგას და სისულელეებს ლაპარაკობს.

— **მეფარიძე ამბობს, ტყეების გაყიდვა უნდოდა და იმიტომ დავუპირისპირდიო...**

— არ დაიჯეროთ! მეფარიძე არ იყო, თავის ცოლზე, შვილზე და ნათესავებზე რომ გააფორმა ნაკვეთები? ცოლი მეხანძრედ გააფორმა და მარტო მის სახელზე სამი ნაკვეთი აქვს გაცემული. ახლა აქეთ გვედავება.

— **წყნეთში თქვენს სიდედრზეც არის მიწის ნაკვეთი გაფორმებული...**

— ეს ფართობი 1995 წელსაა გამოყოფილი. მაშინ სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარედ არ ვმუშაობდი. ამ პროცესში არ ჩავრეულვარ.

— **გამოდის, უდანაშაულო ხართ?**

— თუ სადმე ნახავთ ჩემს ხელმოწერას ფართობის შერჩევაზე ან გაცემაზე, თანახმა ვარ, ხვალვე გადავდგე თანამდებობიდან, მაგრამ... გარწმუნებთ, არაფერ შუაში ვარ. ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში წყნეთში არც ერთი გოჯი მიწის ნაკვეთი არ გამოყოფილა, ყველაფერი მეფარიძის დროს გაიყიდა.

— **ამბობენ, რომ დღემდე გმფარველობდათ კახა თარგამაძე — თქვენი ოჯახის უახლოესი ნათესავი.**



შოთა მეფარიძე

— კახა თარგამაძე მართლაც ჩვენი ნათესავია, მაგრამ მე ამ თანამდებობაზე ჩემი ბიოგრაფიით მოვედი. არავის რეკომენდაცია არ მჭირდებოდა.

— **დღეს, როცა თარგამაძე თანამდებობაზე აღარ არის, საკუთარი თავის დაცვა შეგიძლიათ?**

— დიახ, შესანიშნავად.

## „ეს სისტემა კორუფციის ბუდეა“

ანტიკორუფციულ საბჭოში ეჭვი არ ეპარებათ, რომ მათი რეკომენდაციის საფუძველზე ამ ეტაპზე თანამდებობას აუცილებლად დატოვებენ სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე გივი ჯაფარიძე, თბილისის სატყეო მეურნეობის უფროსი სპარტაკ ჩიტაძე, თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კოტე შენგელია და თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი ლოლაშვილი. დანარჩენებს, ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, თბილისის მერს, გარდაბნის გამგებელს და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს მიეცათ ორკვირიანი ვადა... თუ ამ ხნის მანძილზე ისინი თავიანთ ვალდებულებებს არ შეასრულებენ, ზემოხსენებულ ჩინოსანთა გზას გაუყვებიან.

**კახა უგულავა,** ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი: — ეს თემა, სიმართლე რომ გითხრათ, ხალხს უკვე მობეზრდა. ბევრი ამით დივიდენდებს იწერს, ბევრს კი ანგარიშსწორების ფაქტორი ამოძრავებს. დავიწყეთ საკითხის შესწავლა და აღმოჩნდა, რომ სისტემა კორუფციის ბუდეა.

— **რატომ გამოიყენა ანტიკორუფციულმა საბჭომ ერთ-ერთ მტკიცებულებად იმ პირის (მეფარიძის) არგუმენტები, რომელზეც საქმეა აღძრული სწორედ კორუფციის ბრალდებით?**

— იმიტომ, რომ სწორედ მეფარიძე არის სახე იმისა, რაც სატყეო დეპარტამენტში რეალურად ხდება. ჯაფარიძეც და მეფარიძეც წლების მანძილზე შეხმატკბილებულად მუშაობდნენ ამ სისტემაში და „საქმესაც“ ერთად აკეთებდნენ. მეფარიძის საბუთებით არ გვიხელმძღვანელია, უბრალოდ ის რაღაცებში დაგვეხმარა, მაინც სპეციალისტია და თანაც ბევრი რამ იცის.

— **გაჩნდა ეჭვი, რომ ანტიკორუფციული საბჭო მორიგ პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს...**

— ეს გახლავთ სწორედ საზოგადოებრივი დაკვეთა და არა პოლიტიკური. ჩვენთვის მთავარია ფაქტები. ფაქტი კი ერთია — იჩეხება ტყის მასივები და ამაზე პასუხს არავინ აგებს. ბოლოს და ბოლოს, უნდა შევქმნათ იმის პრეცედენტი, რომ საქართველოში დამნაშავეები ისჯებიან.

*ხათუნა ყვირალაშვილი*





ნუ გაუშვებთ შანსს მოიგოთ შესანიშნავი პრიზები „მაგნა კლასიკისაგან“

თამაშდება:

500 მაისური. 250 ზურგჩანთა. 50 ფოტოაპარატი. 25 სიდი ფლეიერი და რაც მთავარია. 2 სუპერპრიზი - ავტომობილები „შკოდა ოქტავია“. გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად შეავსეთ ბილეთი და 2002 წლის 1 აგვისტომდე მოათავსეთ გათამაშების საფოსტო ყუთებში ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან გამოაგზავნეთ ფოსტით: თბილისი, 380060, სააბონენტო ყუთი „110 მაგნა“. გათამაშების ბილეთები შეგიძლიათ მიიღოთ სავაჭრო ობიექტებში.

საფოსტო ყუთების მისამართები:

1. ვაგზლის მიმდებარე ტერიტორია. სიგარეტის საბითუმო ვაჭრობა - საწყობი „ელიზი“
2. კანდელაკის ქ. №3 (საბურთალოს ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) - სუპერმარკეტი
3. გორგასლის ქ. №1 - სურსათის მაღაზია
4. მეტეხის ქ. №14 - სურსათის მაღაზია
5. მე-3 მასივი. მე-7 კვარტ. ვარკეთილის ბაზრობის ტერიტორია - სავაჭრო კომპლექსი
6. გლდანი. მე- 3-4 მიკრო-რაიონებს შორის - მარკეტი „აისი“
7. დიღმის მასივი. მე-4 კვარტ. მე-4 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია - მარკეტი
8. თემქა. მე-10 კვარტ. 28-ე კორპ. - სურსათის მაღაზია
9. თამარაშვილის ქუჩის შესასვლელის მიმდებარე ტერიტორია - სურსათის მაღაზია
10. ნიკოლაძის ქ. №5 - სუპერმარკეტი „ფიქრის გორა“
11. აბაშიძის ქ. №39 - საოჯახო სამზარეულო
12. კოსტავას ქ. №75 - სურსათის მაღაზია
13. ქ. რუსთავი. თოდრიას ქ. №21 - სურსათის მაღაზია
14. ქ. ქუთაისი. რუსთაველის ქ. №157 - სურსათის მაღაზია
15. ქ. ფოთი. ფარნავაზის ქ. აგრარული ბაზრის ტერიტორია. სიგარეტის განყოფილება

რაც უფრო მეტ შევსებულ ბილეთს გამოაგზავნით, მით უფრო მეტი შანსი გექნებათ მოიგოთ პრიზები „მაგნა კლასიკისაგან“! დამატებითი ინფორმაცია იხილეთ გათამაშების ბილეთებზე ან დაუკავშირდით გათამაშების ორგანიზატორ სარეკლამო სააგენტოს "ქედი/მაკენ-ერიქსონი". ტელ.: 391 491

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.

პასიური მოწევა საშიშია ჯანმრთელობისათვის.

ხატაბი მოკლეს. ბასაევი, სულ ცოტა, თორმეტჯერ მაინც გადმოვარდა ცხენიდან ალყიდან გამოსვლისას. თუ გავიხსენებთ, რომ ის მძიმე ავადმყოფია და თან ცალი ფეხიც მოკვეთილი აქვს, მივხვდებით, რომ რუსეთის საწინააღმდეგოდ აღარც დივერსიების დაგეგმვის და აღარც ბრძოლის თავი აქვს. ამ კაცის დაჭერა მხოლოდ როგორც ტერორიზმის სიმბოლოს განადგურება იქნება და მეტი არაფერი. მაგრამ რაღა ვუყოთ აჩემეზ გოჩიაევს? ჯანმრთელი და საღ-სალამათი, მშვენივრად გრძნობს თავს პანკისის ხეობაში. ეს ის ვაჰაბიტი, დივერსანტი და მკვლელია, 1999 წელს მოსკოვსა და ვოლგოდონსკში სახლები რომ ააფეთქა.

რუსეთის №1 მტერი. მიეცით რუსეთს!

სწორედ გოჩიაევი გახლავთ ყარაჩაელ ვაჰაბიტთა იმამი, მისი ხელქვეითები კი ხატაბის გვარდიის წევრები არიან.

სწორედ გოჩიაევი ამზადებდა ამბოხებას ყარაჩაეთ-ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში.

სწორედ ისინი არიან დაბუდებულნი პანკისის ხეობის სოფლებში და ტერაქტებს გეგმავენ. ჩვენ ვიცით, სად არის ახლა გოჩიაევი — რომელ სოფელში, რომელ სახლში. საკითხავია, ამ დროს რა უნდა უქნას რუსეთმა საქართველოს, რომელიც ვერა და ვერ იმეტებს კაცს, ვინც ასეულობით რუსი გაგზავნა საიქიოში? დაბომბოს, ისე, როგორც ამერიკამ ავღანეთი? თალიბებიც ხომ ვერ იმეტებენ უსამა ბინ ლადენს...

ამერიკამ მშვენიერი მაგალითი მისცა მსოფლიოს იმისა, თუ როგორ უნდა ებრძოლო იმ ქვეყნის რეჟიმს, ვინც ტერორისტებს


აჩემეზ გოჩიაევი

შინაური საქმეაო.

საქართველოსი გამკვირვებია — ვერც თვითონ ერევა ტერორისტებს და არც ჩვენ გვიშვებს, საქმეს მივხედოთ. იქნებ რუშაილომ ხეირიანად ვერც აუხსნა ქართველებს, რომ გოჩიაევი არც ჩეჩენია, არც ქისტი. იგი ყველასთვის უცხოა და საშიშიც, ამიტომ არ გამოიწვევს მისი რუსეთისთვის გადაცემა სამოქალაქო ომს.

მოგვეცით ყაჩაღი...

მაგრამ რუშაილომ ეს ვერ აუხსნა საქართველოს და ურთიერთობა უფრო დაიძაბა. თითქოს ვიღაც მიზანმიმართულად უბიძგებს რუსეთს საბედისწერო ნაბიჯისკენ. ვინ?

არის რამდენიმე დეტალი.

ის, რომ მოსკოვის აფეთქებებს ყარაჩაელი გოჩიაევი ხელმძღვანელობდა, უსათუოდ უნდა სცოდნოდა მაშინდელ ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის დეპუტატს ბორის ბერეზოვსკის და ფრიად გასაკვირია, რომ სწორედ ბერეზოვსკი, სწორედ ახლა ცდილობს კვალის აბნევას და ხელს აფარებს ბოროტმოქმედს. დამთხვევაა თუ...

საკვირველია ისიც, რომ თბილისში დაფუძნებული ბერეზოვსკის მარჯვენა ხელი ბადრი პატარკაციშვილი შევარდნაძის უახლოესი კაცია, დიდი გავლენა აქვს მასზე და ეტყობა, სწორედ მისი გამოისობით უყურებს




იფარებს. რა გარანტიაა, რომ რუსეთის რადიკალური ძალები არ უბიძგებენ რუსეთს არასწორი ნაბიჯისკენ?

ავღანეთის დაბომბვის შემდეგ თალიბების რეჟიმი კი დაეცა, მაგრამ ბინ ლადენი ცოცხალი დარჩა.

მგონი, რუსეთს შევარდნაძის დაცემა არ უნდა, მას მხოლოდ გოჩიაევი უნდა. ჰოდა, მოგვეცით, რა...

რუსეთის თავდაცვის საბჭოს მდივანმა ვლადიმირ რუშაილომ საქართველოში ვერაფერს მიაღწია და ხელებს ასავსავებს — ქართველებს რუსების სპეცოპერაციები პანკისში არ სჭირდებათ. დაუჟინიათ, ეს ჩვენი

ამრეზით შევარდნაძე რუსეთს. ამიტომაც არ ემეტება რუსეთისთვის გოჩიაევი...

დაბოლოს, საქართველოდან დაბრუნებული „პირში ჩალაგამოვლებული" რუშაილოც ხომ ბორის ბერეზოვსკის მეგობარი და ხელდასხმულია!

ნუთუ ისინი ამღვრევენ წყალს რუსეთსა და საქართველოს შორის?

ნუ ეთამაშებით რუსეთს!

მიეცით გოჩიაევი!

*რუსტამ არიფჯანოვი*
*გაზ. „ვერსიის" მთ. რედაქტორი*

## მისი სახლიც იციან, კარიც და... ტუალეტიც

რუსეთის №1 მტერი აჩემეზ გოჩიაევი მოსკოვში აფეთქებების შემდეგ ჯერ ყარაჩაეთ-ჩერქეზეთს აფარებდა თავს, მერე თავის ბანდიტებთან ერთად, საქართველოს გზას დაადგა. უღელტეხილზე კინაღამ გაიყინნენ, მაგრამ რომელიღაც სახელმწიფო სტრუქტურის შეეულმფრენმა სულზე მიუსწროთ და ქუთაისში გადაიყვანა... მალე პანკისის ხეობაში ამოჰყვეს თავი. რამდენიმე თვეა, გოჩიაველები ძალას იკრებენ, ჭრილობებს იშუშებენ და ახალ ოპერაციებს გეგმავენ.

ზუსტად არის ცნობილი, სად ბინადრობს აჩემეზ გოჩიაევი — პანკისის ხეობაში, სოფელ ხალაწანში. ისიც ვიცით, ვის სახლში ცხოვრობს და სად არის იქ ტუალეტი — იმ შემთხვევისთვის, თუ რუსეთის სპეცსამსახურები მთავარსარდლის იდიომატური გამოთქმის ასრულებას მოინდომებენ...

სხვადასხვა ვერსიით, რუსეთმა უკვე ჩააყენა დამატებითი სამხედრო ძალები ჯაირახის ხეობასა და ინგუშეთში, ითუმ-ყალეს სასაზღვრო ჯარიც გააძლიერა, მაგრამ საქართველოსთან შეუთანხმებლად მის ტერიტორიაზე ვერავითარ ოპერაციას ვერ ჩაატარებს. უდავოა, რომ თუ პანკისის ხეობის წმენდა ჩატარდა, გამოყენებული იქნება ავიაცია, რომელიც სოფლებს დაბომბავს, სოფლებს, სადაც 7 ათასი ჩეჩენი და არაბი ბოევიკია. ხანდახან მათ მასხადოვიც სტუმრობს.

დაიბომბება თუ არა საქართველოს ტერიტორია — მარტო საერთაშორისო სამართლის საქმე როდია. სანამ აჩემეზ გოჩიაევი ცოცხალი და თავისუფალია, ჩეჩნეთში ომს დამთავრება არ უწერია.

და თუ საქართველოს მთავრობას დამოუკიდებლად არ შეუძლია ამ პრობლემის გადაწყვეტა, ალბათ ხელი უნდა გავუმართოთ...

ედუარდ შევარდნაძე რუსეთს ამ საკითხის გადაწყვეტას მხოლოდ მოსახლეობის აღწერით სთავაზობს. რუსეთის საზოგადოებას კი გოჩიაევი და ძმანი მისნი უნდა — ცოცხალი თუ მკვდარი, ხოლო როგორ და რა გზით — სხვა საკითხია.

*გაზეტა.რუ*

## საქართველოს გავლით არაბები ევროპაში გარბიან



საქართველოში ყალბი პასპორტებით შედიან არაბული ქვეყნებისა და ავღანეთის მოქალაქეები, რათა აქედან ევროპაში გადავიდნენ.

— ყალბი ქართული პასპორტები შავ ბაზარზე 10.000 დოლარი ღირს, — თქვა საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ, — სომხეთიდან საქართველოში ყალბი ირანული პასპორტებით ჩამოვიდა ავღანელთა ჯგუფი, რომელიც მაშინვე დავაკავეთ. ისინი აპირებდნენ დროებით ჩვენთან დაბინავებას. ამ პერიოდში შეიძენდნენ საჭირო საბუთებს და შემდეგ გააგრძელებდნენ გზას ევროპისკენ.

ქართველი სამართალდამცავები გულმოდგინედ იძიებენ, აქვთ თუ არა დაკავებულებს საერთო ავღანურ ტერორისტულ დაჯგუფებებთან. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სხვა ოფიციალური პირები, ცდილობენ, დაარწმუნონ ვაშინგტონი, რომ პანკისის ხეობაში არ არიან „ალ ქაიდას" წევრები.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ საქართველოში რამდენიმე ჯგუფი ამზადებს ყალბ დოკუმენტებს. ფასი თამაშობს 5.000-დან 10.000 დოლარამდე — ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში აპირებს მავანი გამგზავრებას.

ბატონმა ხაბურძანიამ განაცხადა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ქალაქში რეიდები ჩატარდა. გამოირკვა, რომ ყალბი საბუთებით ვაჭრობას ეწევიან თბილისში აკრედიტებული უცხოეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებიც.

*ვაშინგტონ თაიმსი*



## დიდი კავკასიის ყველაზე კრიმინალური ხეობა



რუსეთისთვის „პანკისის ხეობა" ასოცირდება ჩეჩენ ბოევიკებთან, არაბებთან და ხალხის გატაცებასთან. იქაური სოფლები შავ დღეში არიან: სოფელ **წინუბანში** შესვლა შეუძლებელია. ქართველი პოლიციელები ამბობენ, იქ უცხოები არ უყვართო. როგორც გაირკვა, თავად ისინიც ოსურ სოფელ **კუწახტას** იქით ველარ მიდიან.

სოფელ **წინუბანში** დახურული ტიპის მუსლიმანური სასულიერო სასწავლებელია (მედრესე). იქვე, არსენა ცხოვრებოვის (ოსი, რომელსაც სახლის „გაყიდვა" აიძულეს) ყოფილ სახლში არაბი ბოევიკების 30-კაციანი ბაზაა, რომელსაც 0,7 ჰა უკავია და გარს 3-მეტრიანი გალავანი აკრავს.

სოფელ **ხალაწანში**, საიდანაც ოსური მოსახლეობა გარეკეს, რუსლან გელაევს სახლი აქვს. იქ 30 ბოევიკი ცხოვრობს, მათ შორის აჩემეზ გოჩიაევი. სოფელს 50 არაბი იცავს. ზემო ხალაწანს 15, ხოლო შუა ხალაწანს 20 არაბი გუშაგობს. ამ სამ სოფელში გელაევს 700 ბოევიკი ჰყავს. სოფლის გარეუბანში სპეცრაზმების საწვრთნელი ბაზაა.

სოფელ **ომალოში**, ალხანაშვილის სახლში, კარგა ხანს ცხოვრობდა გელაევი. წინწილაშვილთან კი მასხადოვი, რომელმაც შემდეგ დატოვა პანკისი. ამავე სოფელშია ნარკოვაჭრების ცენტრი.

სოფლები: დუისი, ჯოყოლო და ბირკიანი პრაქტიკულად გაერთიანდა. **დუისში** განყოფილების გახსნას ქართული პოლიცია ვერ ახერხებს. პოლიციელის ხელფასი 60-70 ლარია, რაც ავტომატურად იწვევს მექრთამეობას, ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ხელის შეწყობას და სხვა უწესობას. აქ გახნილია ციხე და ორი მედრესე, რომელთაც არაბები აკონტროლებენ (60-80 კაცი). აქვეა ბოევიკთა ძირითადი მასა — 6 ათას კაცამდე.

**ჯოყოლოში** არაბული მედრესე და ვაჰაბიტური მეჩეთია, **ბირკიანში** — ბოევიკთა ოპერატიული შტაბია თანამგზავრული და რადიოკონტროლის კავშირგაბმულობის სისტემით. ყველაფერ ამას ჩეჩენ-არაბთა შერეული ჯგუფი იცავს.

ქართულ სოფელ **ყვარელწყალშიც** ძალადობაა. ბანდიტები ფშაველებს ფულს ართმევენ, პირუტყვს სტაცებენ და ხალხს აბუჩად იგდებენ. სოფელ **დედისფერულში** მხოლოდ 18 ქართული ოჯახია დარჩენილი. 3 წელია იქ არც სინათლეა და არც ტრანსპორტი დადის. პანკისის ხეობაში კიდევ ორი სუფთა ქართული სოფელია — **საკობიანო** და **ბაყილოვანი** და ისინიც გამუდმებული ტერორის ქვეშ იმყოფებიან. რუსლან გელაევს ამ სოფლებისთვის სტრატეგიული როლი აქვს მიკუთვნებული.

ინგრევა და ნადგურდება ქრისტიანული ეკლესიები და ძეგლები, ღვთისმშობლის ტაძარი — ყვარელწყალში, თორღვას ციხე — პანკისში, წმინდა გიორგის ტაძარი დედისფერულში და სხვ.

გაუსაძლისი მდგომარეობით შეწუხებული ქართული და ოსური მოსახლეობა მისიონერებს სთხოვენ დახმარებას. პანკისში დიდი გავლენა აქვს მოპოვებული ე.წ. ახალ სამოციქულო ეკლესიას, რომელსაც რეზიდენციები აქვს თბილისის ავლაბრისა და დიდუბის რაიონებში. გერმანელმა მღვდელმა რამდენიმე კაცი მონათლა კიდეც თავისი ადათით, მაგრამ „ახალმოქცეულთა" უმრავლესობა აღიარებს, რომ ამ ახალ ეკლესიაში მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებისთვის დადის, რომელსაც ბარაქიანად არიგებენ გერმანელები. რა ვქნათ, ჩვენც ხალხი ვართ და გვშიაო, — ამბობენ ფშაველები.

ბოლო აღწერით, პანკისში ოფიციალურად 7.148 ლტოლვილია ჩეჩნეთიდან. ისინი კომპაქტურად დასახლდნენ დუისში, ჯოყოლოში, ომალოსა და შუა ხალ... ანში, გამოდევნეს ადგილობრივი მოსახლეობა ბირკიანიდან და წინუბნიდან. ისინი რეგულარულად იღებენ ჰუმანიტარულ დახმარებას, მაგრამ არ ჰყოფნით, რადგან უდიდესი ნაწილი შავ ბაზარზე იყიდება. არავაინახურ მოსახლეობას კი კაციშვილი არ ეხმარება და „ახალი სამოციქულო ეკლესიის" გერმანელი მისიონერების იმედზეღა არიან. განგაშის შემთხვევაში ბოევიკები ხეობის ქვედა ნაწილში ჩადიან და პოზიციებს იმაგრებენ ქართულ სოფლებში — საკობიანოსა და ბაყილოვანში, ოსურ სოფელ კუწახტაში, მდინარე ალაზანზე კი სოფელ წინუბანში.

*ნეზავისიმაია №143*

## იოსებ ორჯონიკიძე: სამართლიანობისა მჯერა

**გთავაზობთ ამონარიდს მოსკოვის მერის მოადგილის იოსებ ორჯონიკიძის ექსკლუზიური ინტერვიუდან**



**— ბატონო იოსებ, თქვენზე მეორე თავდასხმის შემდეგ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ათასნაირ ვერსიას აგებენ იმის თაობაზე, თუ რატომ მოხდა ეს თავდასხმები. თქვენ კი დუმხართ.**

— თავდასხმიდან 10 დღის განმავლობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჩემი გვარი დაახლოებით 3 ათასჯერ მოიხსენიეს, 200-ზე მეტი წერილი დაიბეჭდა და 70 ტელერეპორტაჟი გაკეთდა. ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუბლიოვოს გზატკეცილზე მომხდარი ამბავი არაერთგზის გაიმეორეს მსოფლიოს თითქმის ყველა საინფორმაციო სააგენტოებმა. ვინც კარგად მიცნობს, ჩემგან სხვას არც ელოდა.

ალბათ არ ღირს იმაზე ლაპარაკი, რომ ნებისმიერ საინფორმაციო საშუალებებზე გასვლა ჩემს ოპონენტებზე ნაკლებად არ შემიძლია, მაგრამ ეს არ მჭირდება. იმ დღეებში მხოლოდ ერთი განცხადება გავაკეთე — მზად ვარ ძიებასთან სათანამშრომლოდ-მეთქი. არ ვაპირებ ხალხმრავალი პრესკონფერენციების გამართვას, არ მინდა საკუთარი პრობლემებით ისედაც დამძიმებული ხალხი ზედმეტად ავაფორიაქო. ჩემზე თავდასხმების დროს ბევრი სამხილი დარჩა — მოწმეები, მანქანა, იარაღი, გვამი... და თუ ყველაფრის მიუხედავად დანაშაული ბოლომდე ვერ გაიხსნა, მძიმე განცდა დამეუფლება.

გულახდილად გეტყვით: ჩემს აზრებს რუსეთის პრეზიდენტს გავუზიარებ, წერილი უკვე დაწერილი მაქვს და საიმედო ხელშია, ინსტრუქცია ახლავს — როდის და რა შემთხვევაში უნდა გაიგზავნოს. ალბათ საქმე აქამდე არ მივა, მჯერა სამართლიანობისა.

**— ამას წინათ, გამოქვეყნდა თქვენი მოვალეობების 27-პუნქტიანი ნუსხა. მათ შორისაა უდიდესი პროექტები. მაგალითად, „მოსკოვი-სიტი", სათამაშო ბიზნესი. რატომ იტვირთეთ ამდენი რამ, რაში გჭირდებათ?**

— მე კი არ მჭირდება, ქალაქს სჭირდება. ბევრს ალბათ ჰგონია, რომ „მსუყე ლუკმის" ხელში ჩაგდებას ვცდილობ. მე არ განვკარგავ არც მიწას, არც ქონებას არც სავაჭრო ცენტრებისათვის, ბაზრებისათვის, ელიტარული საცხოვრებელი სახლებისათვის ვანაწილებ ადგილებს, არ ვხელმძღვანელობ არც ერთ მაკონტროლ[illegible] ორგანოს, მხოლოდ იმ საქმიანობას ვ[illegible], რომელსაც სხვები ხელს არ ჰკიდებენ.

ალბათ ჩემთვის უფრო ადვილი იქნებოდა, საქმეები სხვებისათვის გამენაწილებინა, თავიდან მომეშორებინა ზედმეტი ტვირთი, მაგრამ თუ რამე შემეშლება, მარტო მე კი არ დამადანაშაულებენ, არამედ ჩემს ყველა თანამემამულეს. მიჯობს, საქმე ნელა გავაკეთო, მით უმეტეს, რომ მოსკოვი არაფერს წააგებს.

ჩემი მიზანია ვიმუშაო ისე, რომ ჩემი მოვალეობის სფეროში დანაშაულისათვის ადგილი არ დარჩეს. თუ თითოეული ადამიანი ასე იშრომებს და სხვის უბედურებას საკუთარი ცოდვების ფარად არ გამოიყენებს, მესამედ თავს აღარ დამესხმებიან...

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №156*



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვინიოსნობენ

**5 წლის კოკა დევიძე** ჩაფიქრებული შესცქერის ბოთლს და 3 წლის სოსოს ეუბნება:

— ეს ბოთლი მე უნდა დავლიო, იმიტომ რომ ზედ კოკა-კოლა აწერია, მეც ხომ კოკა ვარ.

სოსო გაკვირვებული დააცქერდა ბოთლს და სიხარულით წამოიძახა:

— არა, ჩემო კაკუჩა, ეს ბოთლი ჩემია, ამ ბოთლს „სოსა-სოლა" აწერიაო და ბოლომდე დალია.

***

**პატარა ნიკოლოზის (ზოზოს)** მშობლები სამოგზაუროდ გაემგზავრნენ. ზოზო ბებოსთან დატოვეს. მეორე დღეს დიდ ბებოსთან წაიყვანეს, სადაც პატარა ზოზო ცხოვრობს. აქ თავისი მეგობარი ბინგო (კავკასიური ნაგაზი) დაინახა, რომელსაც ცხვირი გამოეყო ჭიშკრის ღიობში და მოწყენილი ჩანდა.

— შენც დაგტოვა მამიკომ, ბინგო? — ჰკითხა ზოზომ თავის ბომბორა მეგობარს.

***

**პატარა გვანცა კაპანაძე** დედამ დასაჯა და ოთახში მარტო დატოვა. გვანცა ტირის და თან ამბობს:

— სხვა დედიკო, მოდი, რა მომეფერე.

***

**4 წლის ხატიას** ბებომ ნაყინის ჭამა აუკრძალა, ყელი გეტკინებაო. განაწყენებულმა გოგონამ დედას სამსახურში დაურეკა და ჰკითხა:

— დედიკო, მანდ ნაყინიან ცივ ყავას გასმევენ?

— კი, მასმევენ, რატომ მკითხე? — მიუგო დედამ.

— რა ვიცი, მე აქ მარტო ნაყინსაც არ მაჭმევენ, — შესჩივლა ხატიამ.



მოძებნე ქვემოთ მოცემული დეტალები ნახატში

Ⅰ რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ ტყის მხლის სახელს.

Ⅱ





იპოვე ორი ერთნაირი სარკის ნატეხი






რომელი გვირაბიდან გამოვიდა ავტომრბოლელი?

Ⅲ



რომელია გარეცხილი მაისურის ორეული?

## ქიავორდი

| საქართველოს საზღვაო ქალაქი | ორთვლიანი ტრანსპორტი, რომელსაც გამოგონება აღარ სჭირდება | მოხარშული ცომის პატარა ნაჭრები | მუსიკოსთა სამოსი | სამი რუსულად |
|---|---|---|---|---|

| აკაკის „გამზრდელის" პერსონაჟი | „...ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი" | ჯაყოს ეროვნება | ბავშვების ექიმი | იალქანი ანუ ... | მწვანე ბოსტნეული |
|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალო-სალალო"

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 31-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

გვერდი მოამზადა მზია ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## როლის სათამაშოდ ჩამოველი!..



70-იანი წლებია. საქართველოს ტელევიზიაში ვმუშაობ. იყო ასეთი გადაცემა — „გზებსა და გზაჯვარედინებზე", რომლის წამყვანიც გახლდით. ამ გადაცემაში მაყურებელს მარტო ავარიებისა და ავტოსატრანსპორტო წესების დარღვევის შესახებ როდი ვაცნობებდით, არამედ მძღოლისა და ინსპექტორის ერთმანეთისადმი „კეთილი დამოკიდებულების" პოპულარიზაციასაც ვეწეოდით.

... საახალწლო გადაცემას ვამზადებთ. სტუდიაში თენგიზ ჩანტლაძე მოვიწვიეთ, — ცნობილი იუმორისტი-პაროდისტი. გვინდა რაიმე მხიარული სიუჟეტი გამოგვივიდეს და გაგვახსენდა ჭიათურელი კოლორიტი მძღოლის, ჟორია ერგემლიძის ხუმრობები.

და მართლაც, საახალწლოდ მაყურებელმა ჩემს გადაცემაში იხილა სიუჟეტი, რომლის დიალოგიც წესრიგის დამრღვევ ჟორიასა და ავტოინსპექტორს შორის ასეთი იყო:

— რატო გამოიარე, ჟორია, წითელზე?

— არ გამომივლია, ბატონო!

— რაფერ არ გამოგივლია, ჩემი თვალით დაგინახე!

— კაი ახლა, შე ჩემანალა, არ იყო ძაან წითელი!..

სიუჟეტში ჟორიას მე „ვასახიერებდი", ავტოინსპექტორს — განუმეორებელი თენგიზ ჩანტლაძე.

უნახავს ეს გადაცემა „მართალ" ჟორიას და ნამეტანი გამეხარდაო, უთქვამს.

ამ ამბის შემდეგ ზუსტად ერთი წელი გადის და ტელევიზიიდან გამოვდივარ, ისევ საახალწლო გადაცემის სამზადისში ვარ. ვხედავ, კიბეებთან ჟორია დგას.

— რამ ჩამოგიყვანა, ჟორია, ამ საახალწლოდ ტელევიზიაში-მეთქი.

— რავა რამ ჩამომიყვანა, ჩემო ვაჟა, შარშან შე რო ითამაშე ჩემი როლი, წელს აღარ შეგაწუხებ, ჩემო ბატონო, მე თვითონ ვითამაშებო!..

(ჟორია დარწმუნებული იყო, რომ ყოველ ახალ წელს უნდა გასულიყო ეთერში მისი ხუმრობები).

*ვაჟა გავაშელი, თბილისი*

## ტაქსისტი „დონჟუანის" მარცხი

ამას წინათ თბილისში ტაქსით ვმგზავრობდი: მძღოლი ენაწყლიანი გამოდგა და შუა საუბარში სადაურობა მკითხა. ქარელის ხსენებაზე უცნაურად გაიღიმა და აი, რა მომიყვა:



— ადრეულ წლებში, კაი ჯეელი ბიჭი რომ ვიყავი, კლიენტებმა ქარელში გაყოლა მთხოვეს. გარიგების თანახმად, მათთვის საღამომდე უნდა დამეცადა და უკან, თბილისში ჩამომეყვანა. ადგილზე ჩასულს მთელი დღე რა უნდა მეკეთებინა და ქარელის ქუჩებში გავედი, იქნებ ერთიორი კაპიკი აქაც ვიშოვო-მეთქი...

დავდექი თუ არა ტაქსების გაჩერებაზე, ერთი ტანკენარი, მოხდენილი ქალი მოვიდა ქოლგით ხელში, რატომლაც ყურადღებით ამათვალიერა და ზედმეტად განაზებული ხმით მითხრა:

— ხაშურში მინდა წასვლა, ოღონდ, ჯერ აბანოში შევიაროთო!..

ამის გაგონებაზე ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა და მაშინვე ფართოდ გავუღე წინა კარი...

... დეკოლტე კიდევ უფრო უსვამდა ხაზს ქალის სილამაზეს, მოკლე კაბა მუხლებს ვერ უფარავდა. ჰოდა, ვიდრე აბანოსთან მივიდოდით, თავი ვერ მოვითოკე და ამ ციდან ჩამოსულ ფერიას მუხლებზე მოვუთათუნე ხელი, თან მოფერებით ჩავჩურჩულე:

— ცოლ-ქმრად გავასაღოთ თავი, თორემ ნომერში ერთად არ შეგვიშვებენ-მეთქი...

სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, ქოლგა შიგ ცხვირპირში მომხვდა, ერთხელ, მეორედ... დაბნეულმა მანქანა მივატოვე, მაგრამ ქალი მაინც არ მომეშვა, გათახსირებულოს ძახილით სულ ქუჩა-ქუჩა მდია და იმდენი მირტყა, სანამ ახალთახალი ქოლგა ნაწილებად არ დაიშალა.

როგორც იქნა, ხელიდან დავუსხლტი. საჭეს ვეცი და თბილისისკენ ისე მოვუსვი, შეპირებული კლიენტები აღარც გამხსენებია...

*გულიანად ვიცინე — აბანო ხომ სოფლის სახელწოდებაა ქარელის რაიონში, რაც მოგვიანებით ჩვენს „დონჟუანსაც" შეუტყვია, მაგრამ რაღა დროს!..*

*შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი*

## ერთბაშად ხომ არ მოვაჭრიდიო?



ჩემი ბორჯომელი მამიდაშვილი მიშიკო, რომ იტყვიან, ნადირობის თავგადაკლული მოყვარულია. სკოლის დამთავრების ატესტატი არ ჰქონდა აღებული, მონკავშირის წიგნაკი რომ ჩაიჯიბა და პაპამისის ორლულიანი თოფიც „გადაიფორმა". მაგრამ რად გინდა, მეძებარი არ ჰყავდა და ვერა და ვერ ჩაიგდო ხელში კარგი ჯიშის ძაღლი.

ბოლოს, როგორც იქნა, გაუმართლა, ერთმა თბილისელმა ძმაკაცმა პოინტერის ყავისფერი, ძალიან ლამაზი ლეკვი ჩაუყვანა საჩუქრად. თანაც უთხრა, წმინდა სისხლისაა და ამასთან ერთად ბორჯომის ტყეში რომ სანადიროდ წახვალ, ჩათვალე — პირველი მონადირე ხარო.

თუმცა, მიშიკო უამისოდაც პირველ მონადირედ თვლიდა თავს.

ჰო, მართლა, მეგობარმა მიშიკოს ისიც უთხრა, — პოინტერს კუდი ნადირობისას ხელს უშლის და უნდა მოაჭრაო.

მიშიკოს დარდით არ დაეძინა იმ ღამეს. ეცოდებოდა პატარა ყავისფერი პოინტერი, ახალი პატრონის დანახვას მხიარული წკმუტუნით და კუდის ქიცინით რომ ხვდებოდა და აღარ იცოდა, რა ექნა, მოეჭრა თუ არა კუდი საცოდავი ლეკვისთვის.

ბოლოს, მაინც მონადირის „ალღომ" გაჭრა და დილით პოინტერის კუდს რამდენიმე სანტიმეტრი მოაკლდა! ორიოდე საათის შემდეგ, მიშიკომ „დაასკვნა", რომ ლეკვს ისევ გრძელი კუდი ჰქონდა და ისევ ორიოდე სანტიმეტრი მოაჭრა გაზონების სასხლავი მაკრატლით (მეზობელი მებაღისგან ითხოვა). შუადღისით, მეზობელმა ლეკვი რომ დაინახა ჩემი მამიდაშვილის ეზოში, წამოიძახა, — კაი მეძებარი დადგება, ოღონდ კუდი აქვს გრძელიო! და ისევ მოაკლდა რამდენიმე სანტიმეტრი პოინტერის „განწირულ" კუდს.

მოკლედ, სხვადასხვა ობიექტური თუ არაობიექტური მიზეზის „წყალობით" ლეკვს ექვსჯერ გაუკეთა კუდის „ამპუტაცია" მზრუნველმა პატრონმა.

როცა ყველაფერი გაიგეს და მიშიკოს უსაყვედურეს, — არ გეცოდებოდა მაინც, ამდენჯერ რომ მოაჭერი კუდიო?! — მონადირემ მშვიდად უპასუხა

— რომ მეცოდებოდა, იმიტომ მოვაჭერი ნაწილ-ნაწილ, აბა, იმხელა კუდი ერთბაშად რომ მომეჭრა, ლეკვი ვერც გადაიტანდაო!..

*მიშიკოს ბიძაშვილი თბილისიდან*

## აღარ იმღეროთ — რა!!!



ჟურნალ „ნიანგის" თანამშრომლებმა ქეიფი გადაწყვიტეს და რესტორან „მტკვარს" მიაშურეს. გახურდა ქეიფი, ცოტა ხანში კალმოსნებს სიმღერა მოუნდათ და „ამღერდნენ" კიდევაც.

ვიღაც ინკოგნიტოს მიერ გამოგზავნილი 10 ბოთლი ღვინო მოართვეს იუმორისტ მწერლებს.

— ვისგანაა აგი? — იკითხა ზაურ ბოლქვაძემ.

— სამი მანეთი მაჩუქეს, არ გაამხილოო, — მოახსენა ოფიციანტმა.

„ნაჩუქარს კბილი არ ესინჯება" და შეირგეს. უფრო მოერიათ სიმღერის „ჟინი" და უფრო აღრიალდნენ. ოფიციანტი მკვირცხლად მოვარდა და ხელსახოცზე წაწერილი „უსტარი" გადასცა ნიანგელებს — მეზობელი „კუპედან": „ოღონდ მეტი აღარ იმღეროთ და 10 ბოთლ ღვინოს კიდევ გამოგიგზავნით, ჩემს ბიჭებს ნუ დამიყრუებთ...

თქვენი ანზორ ერქომაიშვილი".

*მურმან მერკვილიშვილი, თბილისი*

## მხიარული ტესტი მათთვის, ვისაც გაზეთის კითხვა უყვარს ან... არ უყვარს, ან კიდევ უყვარდა...



**1. ჯიბურში აღმოაჩინეთ საინტერესო გაზეთი. თქვენ:**

ა) ყიდულობთ ამ გაზეთს (7 ქულა).

ბ) ყიდულობთ იმ გაზეთს (7 ქულა).

გ) ჩაიფიქრებთ რაიმეს (7 ქულა).

**2. შეყვარებული გჩუქნით გაზეთს. თქვენ:**

ა) წაიკითხავთ დაუყოვნებლივ (7 ქულა).

ბ) ამ გაზეთს სხვა გაზეთში გაახვევთ და შინ წაიღებთ (7 ქულა).

გ) ჩაიფიქრებთ რაიმეს (7 ქულა).

**3. ქუჩაში პოულობთ დაგდებულ გაზეთს. თქვენ:**

ა) აიღებთ და წაიკითხავთ (7 ქულა).

ბ) არ აიღებთ და ისე წაიკითხავთ (7 ქულა).

გ) ჩაიფიქრებთ რაიმეს (7 ქულა).

**4. შინ კითხულობთ გაზეთს და ბავშვი გიშლით ხელს. თქვენ:**

ა) ეტყვით: „რავა არაფერი გაინტერესებს!" (7 ქულა).

ბ) ეტყვით: „რავა ყველაფერი გაინტერესებს!" (7 ქულა).

გ) გაუშვებთ ბავშვს მეზობელთან ხახვის სათხოვნელად (7 ქულა).

**5. თქვენს საფოსტო ყუთში პოულობთ გაზეთს. თქვენ:**

ა) ამბობთ: „ო, აქ არ ყოფილა! მომკლა ამის ძებნამ!" (7 ქულა).

ბ) შეიფერებთ, რომ გაზეთი მოგივიდათ და ყუთიდან ამოიღებთ (7 ქულა).

გ) არ წამოეგებით ფოსტალიონის ანკესზე (7 ქულა).

**6. დაპატიჟებული ხართ წვეულებაზე. თქვენ:**

ა) წაიღებთ გაზეთს (7 ქულა).

ბ) გაზეთს მეზობელთან დატოვებთ (7 ქულა).

გ) წვეულებიდან წამოიღებთ გაზეთს (7 ქულა).

**7. წარმოიდგინეთ, რომ 76 წელია და ყიდულობთ გაზეთს. თქვენ:**

ა) ამ დროს გეძახით ავთანდილოვიჩი: „არ მითხრა ახლა, გაზეთს ვყიდულობო!" და იხოცებით სიცილით (7 ქულა).

ბ) ფული გაკლდებათ, მაგრამ გამყიდველი ისე გაძლევთ, რადგან მაშინ... გაგება იყო, სიყვარული და ჩახუტება (7 ქულა).

გ) 76 კი არა, 77 წელია (7 ქულა).

...თუ თქვენ დააგროვეთ 49 ქულა, მაშინ გიყვართ გაზეთის კითხვა და არა მარტო კითხვა, მგონი, თქვენ გაზეთის ყიდვისას გამყიდველმა, ხურდის ნაცვლად, პატარა გაზეთი რომ მოგცეთ, არც ამაზე იტყვით უარს.

...თუ თქვენ დააგროვეთ მაინც 49 ქულა, მაშინ თქვენ მეოცნებე ხართ და ალბათ, ხშირად აღმოგხდებათ ხოლმე შემდეგი: „აუ, ახლა კაი გაზეთს კი იყიდდა კაცი!"

...თუ მაინც თქვენსას არ იშლით და მაინც 49 ქულა დააგროვეთ, მაშინ იყიდეთ გაზეთი — ერთი თქვენთვის, ერთიც ოჯახში ან თუნდაც წვეულებაზე წასაღებად.

*ტესტი თქვენთვის შეადგინა ზაქრო ინწკირველმა*

## მკითხველის — საყვარელი ანეკდოტი

სვანი კონსერვატორიაში აბარებს. საქმე უკვე „ჩაწყობილია".

ეუბნებიან, აბა ახლა შებრუნდი, კლავიშს თითს დავაჭერთ და გამოიცანიო.

ნოტის აღებისთანავე სვანი გახარებული მივარდა ერთ-ერთ გამომცდელს:

— შენ იყავიო!

*გია პატარიძე, თბილისი*





ჭიჭიკია მეზობელს ეუბნება:

— გივია, შენ რო გხედავ, სულ კაკოიე მახსენდება!

— რატომ, ძმაო!

— რაღა რატომ, იმასაც 20 ლარი აქვს მოსაცემი და გადამიყოლა კაცი!

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

DURA LEX SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი N13 22.07.2002

ლელა მაისურაძე

# პარტნიორობა მშვიდობისათვის

## არის თუ არა ადვოკატურა სასამართლო პროცესის შემადგენელი ნაწილი?



ამა თუ იმ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ადვოკატები ხშირად მოსამართლეებს მიკერძოებასა და ზეწოლაში ადანაშაულებენ. ეს კი, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აღნიშნავს, მთლიანობაში იმ რეფორმირებული სასამართლოს პრესტიჟზე არცთუ ისე დადებითად მოქმედებს, რომლის შემადგენელი ნაწილიც ადვოკატები თავად არიან. — თუ არ იქნება სასამართლოს მიმართ ნდობა, ამით ადვოკატებიც დაზარალდებიან, — აცხადებს ლადო ჭანტურია, რომელიც ქცევის ერთიან წესებზე შეთანხმებისათვის მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის დიალოგის დაწყების მომხრეა. როგორ შეხვდებიან ამ იდეას თავად ადვოკატები, ხომ არ შეზღუდავს მოსამართლეთა მხრიდან შეთავაზებული თამაშის წესები ისეთ კონსტიტუციურ უფლებას, როგორიც აზრის გამოხატვის თავისუფლება არის, რას ფიქრობენ ამ საკითხზე უცხოელი ექსპერტები და, საერთოდ, დაიწყება თუ არა დიალოგი მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის, — ამ საკითხების კომენტირება თავად ლადო ჭანტურიას ვთხოვეთ:

გაგრძელება
იხ. მე-18 გვერდზე

სისხლის სამართლის ქრონიკა

მეგი ცანავა

# „მცემდნენ, შეურაცხყოფას მაყენებდნენ, მაგრამ დანაშაული მაინც არ დავიბრალე“

2000 წლის 23 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ფილარმონიასთან შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ავტომანქანა „ტოიოტა ჯიპ ლექსუსი“ გააჩერეს. გაჩერების საბაბი, როგორც თავდაპირველად აცხადებდნენ, საგზაო წესების დარღვევა გახდა: ჯიპის მძღოლი წითელ შუქნიშანთან არ შეჩერდა და ამიტომაც გადაწყვიტეს მისი საბუთების შემოწმება. ასეც მოიქცნენ, თუმცა, მძღოლი საბუთების შემოწმების შემდეგ აღარ გაუშვიათ, რადგან პოლიციის მტკიცებით, დაკავებულს უკანონოდ და დაუდგენელი პირებისგან შეძენილი უნებართვო ცეცხლსასროლი იარაღი და ათი ცალი საბრძოლო ვაზნა აღმოაჩნდა. მძღოლს, ნუგზარ ბოჭორიშვილს პროკურატურამ ბრალდება შესაბამისი მუხლით წაუყენა, მაგრამ სასამართლოში საქმე სულ სხვა მიმართულებით შეტრიალდა:

ბოჭორიშვილს თავი დამნაშავედ არც პოლიციის სამმართველოში უცნია, არც პროკურატურის ოქმებზე მოუწერია ხელი და საერთოდაც, სასამართლო პროცესზე აცხადებდა, რომ ცხოვრებაში იარაღი არასოდეს ჰქონია, ე.წ. ნივთმტკიცებები კი მას პოლიციელებმა „ჩაუდეს.“

„როცა გამაჩერეს, ავტომანქანიდან გარეთ არ გადმოვსულვარ, პოლიციელები თავად ჩამისხდნენ მანქანაში, მომთხოვეს საბუთები, შემდეგ კი მითხრეს — სამმართველოში უნდა გამოგვყვე, რაღაც საკითხი გვაქვს გასარკვევიო. როცა მივედით, მაგიდაზე იარაღი დამიდეს და დოკუმენტი შეადგინეს, თითქოს იარაღი მე მეკუთვნოდა,“ — განაცხადა პროცესზე ბოჭორიშვილმა. „თანხაც, რომელიც ჯიბეში მქონდა, პირველად სამმართველოში წარვუდგინე მათ... მცემდნენ, შეურაცხყოფას მაყენებდნენ, მაგრამ იარაღის ტარება მაინც არ დავიბრალე,“ — დასძინა მან.

მართალია, პოლიციელები საპირისპიროს ამტკიცებდნენ, მაგრამ მათი ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავი აღმოჩნდა. ერთგან ამტკიცებდნენ, რომ მანქანას დაბურული შუშები ჰქონდა და ამის გამო გადაწყვიტეს მისი შემოწმება, ზოგან აცხადებდნენ, რომ სურდათ დაედგინათ ავტომანქანა გატაცებული ხომ არ იყო, ზოგან კიდევ ამბობდნენ, რომ ბოჭორიშვილმა ავტომანქანიდან გადმოსვლისას, მაისური შეისწორა, რამაც ეჭვი დაბადა, ამ უკანასკნელს იარაღი ხომ არა აქვსო.

გარდა ამისა, დაკავებისას დარღვეული იყო კანონით გათვალისწინებული პროცესუალური ნორმები. ჩხრეკის ოქმებზე დაფიქსირებულ გვარებს შორის კი პოლიციასთან დაახლოებული, საქმის შედეგით დაინტერესებული ვინმე კაზანჯიდი აღმოჩნდა.

საბოლოოდ, სასამართლომ 2001 წლის 25 ივნისის განჩინებით, ბოჭორიშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტა და ის უდანაშაულოდ ცნო.

# „ნაპირების დაცვა“ სასამართლოში

ავთანდილ თავართქილაძის გამოგონება „ნაპირების დაცვის ნაგებობა“ 1990 წლით თარიღდება, „ნაპირების დაცვის ნაგებობა ცარიელი კედლით“ კი — 1991 წლით.

ორივე გამოგონებაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის საპატენტო უწყებამ დადებითი გადაწყვეტილება გამოიტანა და ორთავეს საავტორო უფლება მიანიჭა მეორე გამოგონებაზე ბატონი ავთანდილი პატენტის მფლობელადაც ცნეს, რის შესახებაც ავტორს შეტყობინება გაეგზავნა, თუმცა, პატენტის გაცემა იმის გამო ვერ მოესწრო, რომ სსრკ დაიშალა.

დამოუკიდებელ საქართველოში კი პატენტის მიღებისთვის ავთანდილ თავართქილაძეს „საქპატენტის“ ნაცვლად, საოლქო სასამართლოში სიარული მოუხდა.

იმის გამო, რომ „საქპატენტმა“ უარი უთხრა თავართქილაძეს პატენტების გაცემაზე, საოლქო სასამართლოში შეტანილი სარჩელით თავართქილაძემ ორივე გამოგონებაზე საქართველოს პატენტი ითხოვა. „საქპატენტის“ წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო, რადგან მისი თქმით, საქართველოში მოქმედი კანონის მიხედვით, „საქპატენტს“ არა აქვს უფლება, გასცეს პატენტი სსრკ-ის საავტორო მოწმობით ან პატენტით დაცულ გამოგონებებზე.

მას შემდეგ, რაც საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა თავართქილაძის სარჩელი, გამომგონებელი უზენაეს ინსტანციას მიადგა. უზენაესმა სასამართლომ კი „საქპატენტს“ ორი კვირის ვადაში, გამოგონებისათვის „ნაპირების დაცვის ნაგებობა“, პატენტის გაცემა დაავალა. თავართქილაძის მეორე გამოგონებაზე პატენტის გაცემა უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

სამართალი საზღვრებს გარეშე

მაია ოქრუაშვილი

# რომაული არდადეგები

ბატონი ოსუ 1982 წლიდან 1989 წლამდე პერუჯიაში, ქალაქ ტერონტოლაში ცხოვრობდა. მასთან ერთად ცხოვრობდა ნიგერიის მოქალაქეც, რომლის წინააღმდეგაც 1988 წელს ნარკოტიკების უკანონო შენახვისთვის სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და 7 წელი მიუსაჯეს. 1988 წლის 13 ნოემბერს ბატონი ოსოს ბინა გაჩხრიკეს, რის შედეგადაც ნარკოტიკები აღმოაჩინეს. ოსუს წინააღმდეგაც იმავე ბრალდებით აღიძრა საქმე, თუმცა, იგი მოგვიანებით არეზოს ოლქის სასამართლომ გაამართლა და საცხოვრებლად გერმანიაში გაემგზავრა. საქმის აღძვრის დროს ბატონმა ოსუმ საკონტაქტოდ მისი მეგობრების საცხოვრებელი მისამართი მიუთითა. გერმანიაში წასვლისას კი, არ შეატყობინა სათანადო ორგანოებს მისამართის შეცვლის შესახებ.

რამდენიმე ხნის შემდეგ (თარიღი დაუდგენელია) პროკურორმა გამამართლებელი განაჩენი გაასაჩივრა. 1989 წლის 10 ივლისს ფლორენციის სააპელაციო სასამართლომ უწყება გაუგზავნა ბატონ ოსუს, თუმცა სასამართლოს კურიერმა ის ვერავის ჩააბარა, რადგან ბატონი ოსუ მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. როგორც შემდგომ გაირკვა, ამ განაჩენის შესახებ არ შეატყობინეს ბატონ ოსუს მეგობარს, რომელიც ამ საქმეში საკონტაქტო პირად იყო მითითებული.

6 წლის შემდეგ, როცა ბატონი ოსუ იტალიაში არდადეგებზე მიდიოდა, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, იგი საზღვარზევე დააპატიმრეს. ბატონმა ოსუმ, საკასაციო სასამართლოს 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, გასაჩივრებისთვის ვადის გაგრძელება მოითხოვა, თუმცა ეს მოთხოვნა მას არ დაუკმაყოფილეს.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ დაადგინა, რომ პირის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ყველას აქვს უფლება „მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ." „ყველა ბრალდებულს აქვს უფლება, მიეცეს ადეკვატური დრო და საშუალება, რომ მოემზადოს დაცვისათვის".

სასამართლომ იტალიიის მთავრობას მატერიალური ზარალისთვის — 4,937 ევროს, ხოლო სასამართლოს ხარჯებისათვის 9,752 ევროს გადახდა დააკისრა.

სისხლის სამართლის ქრონიკა

მაია აბულაძე

# პროკურატურამ დააბრალა, უზენაესმა გაამართლა



ახლახან უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარემ, გიორგი ქიიავამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება გამოიტანა. მან განაჩენის გამოცხადების დასრულებისთანავე შვიდი განსასჯელი უდანაშაულოდ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა. განსასჯელები სამხედრო კურსანტები იყვნენ. მათგან ოთხს ბრალად ედებოდა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობა. საქმე ქუთაისის რეგიონულმა სამხედრო პროკურატურამ გამოიძია და სასამართლოს კიდევ ერთი გაუხსნელი საქმე გადაულოცა, რომელიც იმდენად სუსტ მტკიცებულებებს ეყრდნობოდა, რომ სასამართლომ განსასჯელთა ბრალი ვერ ცნო.

წინასწარი გამოძიების მიხედვით, 2000 წლის 10 ივნისს თბილისი-ფოთის მატარებლით ან გარდაცვლილი ვიქტორ ბიჩუკი თავის კურსელებთან და ნაცნობებთან ერთად მგზავრობდა. ისინი ვაგონში სვამდნენ და როცა სასმელი გაუთავდათ, ბიჩუკს ალკოჰოლის მოტანა დაავალეს. მაგრამ მან იუარა, ფული არ მაქვსო, რისთვისაც სცემეს, შემდეგ კი მოძრავი მატარებლიდან გადააგდეს. ამ პერიოდში, გამოძიების მტკიცებით, მატარებელი სოფელ ძირულას უახლოვდებოდა. ძირულას სადგურზე კი კურსანტები მატარებლიდან ჩამოვიდნენ, უკან გაბრუნდნენ, გვამი იპოვეს და იქვე ხეზე ჩამოკიდეს, რათა თვითმკვლელობის იმიტირება მოეხდინათ.

სასამართლომ, რომელმაც პროკურატურის ეს ინტერპრეტაცია არ გაიზიარა, განაჩენში მიუთითა, რომ მატარებელი იმ ღამეს ძირულაში საერთოდ არ გაჩერებულა. განსასჯელთა ნაწილი იმ ღამეს მატარებლით მგზავრობას საერთოდ უარყოფდა. თითოეული მათგანი ალიბს იშველიებდა და ჩვენებაში მიუთითებდა, თუ იმ ღამეს ვინ სად იყო. სასამართლომ ყველა ის მოწმე დაჰკითხა, ვისაც განსასჯელთა ალიბის დადასტურება შეეძლო. ჩვენებები ერთმანეთს დაემთხვა. რამდენიმე განსასჯელი კი ბიჩუკთან ერთად მართლაც მგზავრობდა. თუმცა, ისინი კატეგორიულად ამტკიცებდნენ, რომ არც დაულევიათ, არც უჩხუბიათ, დაიძინეს და როცა გაიღვიძეს, ბიჩუკი მატარებელში აღარ იყო. გამოძიებით არც გარდაცვალების დროა დადგენილი, ვინაიდან ექსპერტიზამ გვამის ხრწნის გამო გარდაცვალების დროის დადგენა ვერ შეძლო. ბიჩუკის ხეზე ჩამოკიდებული ცხედარი კი იმავე წლის დეკემბერში იპოვეს. მას თავის ქალისა და ცხვირის ძვლები აქვს ჩამტვრეული. განსასჯელები გამოძიების პირველივე დღიდანვე უარყოფდნენ მკვლელობას. სასამართლომ საბოლოოდ ბიჩუკის სიკვდილში განსასჯელთა მონაწილეობა არ ცნო, პროკურატურის უხარისხოდ გამოძიებული და მწირი მტკიცებულებები ვერ გაიზიარა და უკლებლივ ყველა განსასჯელი გაამართლა.

# პარტნიორობა მშვიდობისათვის

(დასაწყისი იხ. მე-17 გვერდზე)

**— რამდენად წამოვლენ დიალოგზე თავად ადვოკატები? ხომ არ აღიქვამენ ამას სასამართლოს მხრიდან გარკვეულ ზეწოლად?**

— ამიტომაც გვჭირდება დიალოგი. ალბათ, პროცესში უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან, ჩავატარებთ სემინარებს. აუცილებელია ურთიერთობის რაღაც წესების ჩამოყალიბება.

**— მაგრამ ხომ შეიძლება, ადვოკატებმა ჩათვალონ, რომ მათ აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას ართმევენ?**

— არა, აქ ლაპარაკია წმინდა კოლეგიალურ ურთიერთობებზე და არა სიტყვის თავისუფლებაზე. სიტყვის თავისუფლებას არავინ არავის ართმევს.

**— მაგრამ ადვოკატი იტყვის, რომ მისი კომენტარი ამა თუ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მისეული შეფასებაა და მისი აზრით, სასამართლო იყო არაობიექტური. აქედან გამომდინარე, ისინი ქცევის ერთიანი წესების დადგენას რამდენად დათანხმდებიან?**

— არ ვიცი, ვნახოთ. პრინციპში, მოსამართლეები და ადვოკატები კოლეგები ვართ.

**ლევან ალაფიშვილი,**
ადვოკატი

— როცა რაღაც ერთიანი ქცევის წესების შემოღებაზეა საუბარი, პირველ რიგში, ეთიკური ქცევის წესი ადვოკატისთვის აბსოლუტურად სხვაგვარია. იგი არსებითად განსხვავდება სამოსამართლო ეთიკისგან. მეორეც, მოსამართლე საჯარო მოსამსახურეა. მე, როგორც ადვოკატი კი, თავისუფალი პროფესიის პირი ვარ. ასე რომ, ერთიანი ეთიკა მოსამართლისა და ადვოკატისთვის ვერანაირად ვერ დამკვიდრდება. ადამიანური ეთიკა და შეფასების მომენტები ორმხრივი შეიძლება იყოს, მაგრამ მაშინ მოსამართლეც უნდა აცნობიერებდეს, რომ ადვოკატი მას არ გააკრიტიკებს, თუ კანონიერ, დასაბუთებულ გადაწყვეტილებას გამოიტანს და პროცესს ისე წარმართავს, რომ ეჭვის საფუძველი არავის დარჩება. თუ ერთი პატარა კითხვის ნიშანიც გაჩნდება, არათუ ადვოკატს, არამედ პროცესის ნებისმიერ მონაწილეს გაუჩნდება ეჭვი და, შესაბამისად, ეჭვზე მოსაზრების გამოთქმა ისეთი აბსოლუტური უფლებაა, რომელსაც ვერავინ შეზღუდავს.

**— ანუ, თქვენ აპრიორი აცხადებთ, რომ ადვოკატები ამ დიალოგზე არ წამოვლენ?**

— არ მესმის, რაზე უნდა ვისაუბროთ, — რომ გადაწყვეტილება კანონიერი და დასაბუთებული უნდა იყოს და მოსამართლე სწორედაც რომ სამოსამართლო ეთიკით შეზღუდვის ფარგლებში უნდა უძღვებოდეს პროცესს, არ უნდა იყოს მიკერძოებული ერთი მხარის მიმართ ან გამოთქმებით არ უნდა შეურაცხყოფდეს რომელიმე მხარეს? ჩვენ მოწინააღმდეგე მხარეს ვერანაირად ვერ შეურაცხვყოფთ ეთიკურად, ვერც მოსამართლეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონით დავისჯებით.

**— მაგრამ თუნდაც განაჩენი კანონიერი და დასაბუთებული იყოს, პრაქტიკაში ხშირია, როცა წაგებული მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებს და მას არაობიექტურობაში სდებს ბრალს.**

— აქ ეთიკა არაფერ შუაშია. ამ შემთხვევაში, მოქმედებს კონსტიტუცია — აზრის თავისუფლება. მას ასე მიაჩნია, ეს შეფასების მომენტია. პროცესს ორი მხარე ჰყავს. მოწინააღმდეგე მხარე შეიძლება თვლიდეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულიც არის და კანონიერიც. ამ დროს კი შეიძლება ორივე მხარე ცდებოდეს რაღაცაში. ასე რომ, შეფასება და აზრი ვერ შეიზღუდება. ვფიქრობ, ყოველივე ამას მოსამართლეების და ადვოკატების მენტალურად მომზადება სჭირდება. თუმცა, მოსამართლეს გაცილებით მეტი მოეთხოვება, რადგან იგი სახელმწიფოს სახელით მელაპარაკება. მოსამართლე შინაგანად უნდა იყოს გაწონასწორებული. მე დაცვის ტაქტიკასა და საშუალებებში არანაირად არ ვარ შეზღუდული, ყველაფერი ისედაც კანონით მაქვს დადგენილი.

**— სამაგიეროდ, აზრის გამოხატვაში მოსამართლეები არიან შეზღუდულნი. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მათ კომენტარის ან თუნდაც ადვოკატების, ან სხვათა შეფასებებზე „თავის მართლების" უფლება არ აქვთ.**

— არა, აზრის გამოთქმა მოსამართლეს გადაწყვეტილების გამოტანამდე ეკრძალება, თორემ არა ერთი მოსამართლის კომენტარი მახსოვს უკვე გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და აბსოლუტურად მართებულადაც განუცხადებიათ, რომ ასე ვთვლიდი გადაწყვეტილებაში და ახლაც იმავეს ვიმეორებო. მოსამართლის აზრი აისახება გადაწყვეტილებაში, ის არანაირად არ არის შეზღუდული, თავისივე გადაწყვეტილებიდან ციტირება მოახდინოს.

**ქეროლაინ კლარკ ქემპელი,**
ამერიკის იურისტთა ასოციაციის რეგიონული დირექტორი

— ვფიქრობ, საინტერესო პროექტია, რადგან ამერიკაში ამგვარი ჯგუფები არსებობს. მასში გაერთიანებულნი არიან როგორც მოსამართლეები, ასევე ადვოკატები და მასმედიის წარმომადგენლები. მთავარი არსი რაღაც წესების შემუშავება კი არა, ის არის, რომ მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის გარკვეულწილად ურთიერთგაგება უნდა არსებობდეს და საერთო პრინციპები ჩამოყალიბდეს, რაზეც ისინი ნებაყოფლობით დათანხმდებიან.

როცა ადვოკატი აკრიტიკებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, უფრო მართებულია, თუ მისი კრიტიკა იურიდიულად დასაბუთებულ მოსაზრებას დაეფუძნება. თუ ადვოკატს სასამართლოს გადაწყვეტილება არაობიექტურად მიაჩნია, მან უნდა დაასაბუთოს, რატომ ფიქრობს ასე და შესაბამისი ფაქტები დაასახელოს. პროცესზე ერთი მხარე ყოველთვის წაგებულია. ბუნებრივია, იგი უკმაყოფილო რჩება, ამიტომაც ეცდება, გააკრიტიკოს სასამართლო და არაობიექტურობაში დასდოს ბრალი, მაგრამ თუ ადვოკატი მოსამართლეს აკრიტიკებს ფაქტებით და მოჰყავს შესაბამისი მტკიცებულებები, რა თქმა უნდა, ასეთი კრიტიკა კონსტრუქციული სახით მისაღებია.

სასამართლო დარბაზებში

სოფო ბუკია

# აგრარული უნივერსიტეტის შენებას რა უნდა

საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელმწიფო სახაზინო საწარმო „მშენებელმა" საოლქო სასამართლოში აგრარულ უნივერსიტეტსა და ფინანსთა სამინისტროს მილიონ ექვსას ცხრამეტი ათასს რვაას სამოცდაექვსი დოლარის გამო უჩივლა.

სარჩელის საფუძველი მოსარჩლეს და მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება გახდა, რომლის თანახმად, „მშენებელს" აგრარული უნივერსიტეტის სასწავლო საწარმოო და საცხოვრებელ კორპუსებში სამშენებლო, სამონტაჟო და რეკონსტრუქციის სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა. ჩასატარებელ სამუშაოთა ღირებულება 900 ათას ლარად განისაზღვრა. „მშენებელი" სამუშაოებს მას შემდეგ შეუდგა, რაც ფინანსთა სამინისტროსგან დასტური მიიღო — ბიუჯეტში ამ მიზნით 600 ათასი ლარი არის გათვალისწინებულიო. თუმცა, პირობა პირობად დარჩა, „მშენებელს" შესრულებული სამუშაოებისთვის გასამრჯელო სრულად არ მიუღია.

დავალიანებას ყოველ გადაცილებულ დღეზე ჯარიმაც დაემატა და საბოლოოდ, მან მილიონ-ნახევარ დოლარს გადააჭარბა. საოლქო სასამართლომ მოვალედ მხოლოდ აგრარული უნივერსიტეტი ცნო და დავალიანება მხოლოდ მას დააკისრა.

# სამინისტროს გაუქმებული უზენაესმა აღადგინა

თელავის №10 ექსპერიმენტული სკოლა 1990 წელს თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით გაიხსნა.

განათლების სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტზე რიცხული სკოლა, რომელიც ერთ-ერთი პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებელ შენობაში განლაგდა, 1991 წელს დაამტკიცა. 1998 წლამდე, ვიდრე თელავის რაიონულმა გამგეობამ სასწავლებელი არ გააუქმა, მას პრობლემები არ შეპქმნია. გაუქმების მიზეზად სკოლის შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დარღვევები, მოსწავლეთა სიმცირე, სკოლის არასწორი რეგისტრაცია დასახელდა. სკოლა განათლების სამინისტრომაც შეამოწმა, დარღვევები მათაც აღმოაჩინეს, თუმცა აღნიშნეს, რომ ისეთი სერიოზული არაფერი იყო, სკოლას ფუნქციონირება რომ შეეწყვიტა. მაშინ თელავის გამგეობის დადგენილება სკოლის გაუქმების შესახებ გამგეობის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებად შეფასდა. განათლების სამინისტროს დასკვნაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ *„მიუხედავად ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ზეწოლისა, 1998-99 სასწავლო წელს სკოლამ მაინც განაგრძო ფუნქციონირება 62 მოსწავლით"*.

თუმცა, განათლების სამინისტროს ამგვარი კეთილგანწყობა მოგვიანებით შეიცვალა და 1999 წელს თელავის გამგეობის დაჟინებული მოთხოვნა სკოლის გაუქმების შესახებ სამინისტრომაც გაიზიარა. როცა რაიონულ სასამართლოში ვერაფერს გახდა, თელავის №10 ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი სკოლის აღდგენის მოთხოვნით, თბილისის საოლქო სასამართლოს მიადგა. საოლქომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოგვიანებით სარჩელი უზენაესი სასამართლოს სახელზე დაიწერა. აქ კი მოსამართლე ტაბუცაძემ დაადგინა, რომ 62 მოსწავლითაც კი თელავის №10 სკოლის ფუნქციონირება მიზანშეწონილი იყო.

# ადვოკატი ადვოკატის წინააღმდეგ

ზურაბ ბერიძე გორის იურიდიული კონსულტაციის გამგის თანამდებობიდან ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. კაჭახიძემ ერთპიროვნული ბრძანებით გაათავისუფლა. გათავისუფლების საფუძველი „თავმჯდომარის სიტყვიერი განკარგულება" იყო. ათ დღეში საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილებით, ბერიძე მეორედ გაათავისუფლეს იმავე თანამდებობიდან, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა სასამართლოს მიმართა. სარჩელში ბერიძემ მიუთითა, რომ არც ერთპიროვნულ ბრძანებაში, არც ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილებაში არ ყოფილა მითითებული ნორმა, რომლის საფუძველზეც იგი გაათავისუფლეს.

ადვოკატი ზურაბ ბერიძე თანამდებობაზე აღადგინეს, მაგრამ არა ადვოკატთა კოლეგიის კეთილი ნებით, არამედ კრწანისი-მთაწმინდის მოსამართლის, ციცინო კვატაშიძის გადაწყვეტილებით.

# ვიზა სამზარეულოში სასამართლოს თანხმობით



გ. კ.-ს საკუთარი რძალი ტუალეტით და სამზარეულოთი სარგებლობას უკრძალავდა.

გორგასლის №103-ში სამოთახიანი კომუნალური ბინა ქალბატონმა გ-მ და მისმა მეუღლემ 1984 წელს მიიღეს. 1997 წელს, როცა ქალბატონ გ-ს მეუღლე გარდაეცვალა, მისი წამებაც სწორედ მაშინ დაიწყო. მტარვალად კი საკუთარი რძალი მ. გ. მოევლინა. ერთ ოთახში მცხოვრებ ქალბატონ გ. კ-ს სხვა ოთახებში გადაადგილების უფლება ჩამორთმეული ჰქონდა, მას სამზარეულოში და ტუალეტშიც კი არ უშვებდნენ. თანაც რძალი ხშირ-ხშირად ჩასჩიჩინებდა, რომ მისთვის ეს ერთი ოთახიც ზედმეტი იყო. რძალ-დედამთილის კონფლიქტის მოგვარებაში მთელი სანათესავო ჩაერთო. მაგრამ უშედეგოდ. ერთხელაც ასეთი სამშვიდობო მისიით რძალთან მოსალაპარაკებლად მისულან ნათესავები. რძალს კი პოლიციაში დაურეკავს და განგაში შეუქმნია, არიქა, ყაჩაღები დამესხნენ თავს და მიშველეთო. შეიარაღებული ოპერმუშაკები ექვსი მანქანით წამის უსწრაფესად გორგასლის ქუჩაზე გაჩენილან... „თვით უბნის ინსპექტორიც კი დაიღალა ჩვენი კონფლიქტით", — მიუთითა ქალბატონმა გ.-მ კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში შეტანილ სარჩელში. მან საკუთარ სახლში სარგებლობის უფლებით ორ სულზე, მისთვის და მისი ქალიშვილისთვის ფართის გამოყოფა და ასევე ტუალეტში და სამზარეულოში შესვლის ნებართვა ითხოვა. მოსამართლე ჯალიაშვილმა მოსარჩლის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა.

# საქმეზე გადაწყვეტილება ქუთაისის საოლქო სასამართლომ გამოიტანა

„სასამართლო ქრონიკის" 17 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „თავისუფალი სიტყვა და ქუთაისური სამართალი", რომელშიც მკითხველს გაზეთ „P.S"-სა და ქუთაისის ვიცე-მერს შორის წარმოშობილი სასამართლო დავის შესახებ მოვუთხრეთ.

ამ პუბლიკაციის შემდეგ ჩვენ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა მამალაძემ წერილით მოგვმართა და სავსებით სამართლიანად, რედაქციის მიერ ამ პუბლიკაციაში დაშვებულ ფაქტობრივ უზუსტობაზე მიგვითითა. კერძოდ, სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება ვიცე-მერის სასარგებლოდ, რაც თბილისის საოლქო სასამართლოში გასაჩივრდა. მაშინ როცა აღნიშნული გადაწყვეტილება თავდაპირველად ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო და სააპელაციო წესით, ქუთაისის საოლქო სასამართლომ განიხილა. თავის მხრივ, ქუთაისის საოლქო სასამართლომ თავდაპირველი განაჩენი გააუქმა და საქმე გაზეთ „P.S"-ის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ პუბლიკაციაში ობიექტურად არის გადმოცემული თავად სასამართლო დავის არსი, ჩანართის რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს დაშვებული უზუსტობისათვის.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩანართის რედაქცია აქტიურად თანამშრომლობს გაზეთ „P.S"-ის ჟურნალისტებთან და ჩვენთვის კარგად არის ცნობილი სამოქალაქო პროცესების ის დინამიკა, რომლითაც ქუთაისი გამოირჩევა. ჩვენი დაინტერესება ამ კონკრეტული სასამართლო საქმით, სამართლებრივი პროცესების მხარდაჭერის სურვილით იყო ნაკარნახევი და სიამოვნებით ვიღებთ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წერილში გამოთქმულ წინადადებას კონსტრუქციული თანამშრომლობის შესახებ.

რედაქცია

# გადახდა უნდა ვალსაო

მარიამ მამაგულაშვილმა გივი გოდერძიშვილს 5.080 დოლარი ასესხა. თან მკაცრად გააფრთხილა, სამ თვეში თანხა უკან დამიბრუნეო. სამი თვე მალე გავიდა და ქალბატონმა მარიამმაც ვალი მოიკითხა. ბატონი გივი მევალეს სახლში არ დახვდა და მისი ადგილსამყოფელი ვერც ოჯახის წევრებისგან შეიტყო. უგზო-უკვლოდ დაკარგვამდე გოდერძიშვილს ჯანთიაშვილისგანაც უსესხებია 6.350, ხოლო გურჯიძისგან — 2.540 დოლარი.

ქალბატონმა მარიამმა კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიმართა, გოდერძიშვილმა კეთილი ინებოს და ვალი დაგვიბრუნოსო. თუ ფული არა აქვს, ბინა გაყიდოსო, მიუთითა სარჩელში მოსარჩელემ. სასამართლოზე გოდერძიშვილი არ გამოცხადდა. მოსამართლემ დააკმაყოფილა მოტყუებული გამსესხებლის მოთხოვნა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება დაბრუნებულმა გოდერძიშვილმა სასამართლოში გააპროტესტა და გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. თუმცა, სასამართლომ მისი განცხადება უსაფუძვლობის გამო არც განიხილა. გოდერძიშვილმა კერძო საჩივარი დაწერა და საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამდეც მიაღწია, თუმცა მისი საჩივარი არც აქ განიხილეს, რის შედეგადაც 5.080 დოლარის დაბრუნების საკითხი კვლავ ძალაში დარჩა.

მაზიანე



# მეინარის ანდერძი მეინარის მკვდარისთვის

საფრანგეთის სასამართლოს არ დაუმტკიცებია ახირებული ანდერძის ქაღალდი ქველ-მოქმედის მეინარისა. ამ ანდერძში მთელი შეძლება მეინარისა იმავე მეინარის მკვდრის გვამს ეძლევა. მთელი შენობა ისევე უნდა დარჩენილიყო, საქონელი რიგიანად და წესიერად უნდა შეენახათ. უმთავრეს დარბაზში გვამის დასასვენებელი ადგილი უნდა გაემართათ. მამულის გამგეს ანდერძის ქაღალდით დანიშნული ჰქონდა თურმე და სიკვდილამდე უნდა მიცემოდა წელიწადში 10.000 მანეთამდე. მოსამართლეს თურმე გასცინებია ამ კაცის ზნეზე და უარით გაუსტუმრებია მისი მოთხოვნა.

„ივერია", 1875 წელი





# მგლების საწამლავი შეყვარებულისთვის

სოფელ ტორში ერთი მეტად შემზარავი ამბავი მომხდარა: აქაური ტყის უფროსის გრიგოლი შჩედლოვსკის სახლში, დეკემბრის რიცხვებში, მისმა ცოლის დამ მარიამ უსპენსკაიამ, გასათხოვარმა ქალმა, მოიწამლა თავი. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, შჩედლოვსკის სახლში ჰქონდა ყუთში დაკეტილი სტრიხნინი (ღორთველის შხამი) მგლების მოსაწამლად. როცა შჩედლოვსკი და მისი ცოლი შინ არ იყვნენ, მარიამ უსპენსკაიამ გააღო ყუთი, ამოიღო საწამლავი, გახსნა ჭიქაში და დალია. მარიამი მალე გარდაიცვალა. მოწამლულს წერილი დაუგდია. თურმე უბედური უიმედოდ ყოფილა შეყვარებული. მეტისმეტი და უილბლო სიყვარული მომეძალა, რადგან ის კაცი ჩემს გულს პასუხს არ აძლევს, მეტი მოთმენა ვერ შემიძლიანო...

ეს საქმე მთავრობამდე მივიდა. ექიმებმა გახსნეს გვამი და შეამოწმეს, რომ საბრალო მართლაც საწამლავისგან იყო მკვდარი.

„ივერია", №272, 1898 წელი

# ქმარი გაიძვერა მოაშიკის წინააღმდეგ

ერთი ახირებული შემთხვევა მომხდარა ამას წინათ ინგლისის პატარა ქალაქში: ერთს დარბაისელ მდიდარი ვაჭრის ცოლს ვიღაც უცნობი ყმაწვილი კაცისგან წიგნი მოსვლია, რომელშიც კრძალვით სწერდა, რომ დიდი ხანია შენი გულისთვის ვკვნესი, შენი სიყვარული მკლავსო; შემომითვალე, იმედი უნდა მქონდეს თანაგრძნობისა, თუ ასე უნდა ვიხრუკებოდეო. ვაჭრის ცოლი სუსტი გულის ქალი იყო. თუმცა პირველად ეწყინა, როგორ გამიბედა ამ ყმაწვილმა სიყვარულის გამოცხადებაო; მაგრამ ბოლოს შეიბრალა და პასუხი მისწერა, რომელშიც ჯერ ჰკიცხავდა თავხედობისთვის და ბოლოს კი იმედს აძლევდა და თავის სიყვარულსაც უცხადებდა. ამ ნაირად ამ ორ ადამიანს შორის მიწერ-მოწერა გაიმართა. ბოლოს ყმაწვილმა კაცმა მისწერა, რომ თუ გიყვარვარ, იმით დამიმტკიცებ, რომ 200 მანეთს გამომიგზავნიო. ქალმა გაუგზავნა. მეორედ 500 მანეთი ითხოვა და როცა ქალმა უარი შეუთვალა, ამან მოსწერა, რომ თუ ახლავე არ გამომიგზავნი, შენს ქმარს უჩვენებ შენგან მოწერილ წიგნებსაო. ქალს შეეშინდა და თვითონ გამოუტყდა ყველაფერში ქმარს, რომელმაც უჩივლა ამ გაიძვერა მოაშიკეს. სასამართლომ ყოველივე გამოიძია და ქმრის საჩივარი გაითვალისწინა.

„ივერია", 1888 წელი

# თორმეტი შვილი მოტყუებით

ეს საქმე აგერ რამდენიმე წელიწადია ბარნფელდის სასამართლოში ირჩევა და თურმე მხოლოდ ეხლა გარდამწყდარა. ვიღაც ბატონი ბული დაჰპირებია ვინმე ლიდემანს, რკინის გზის სადგურზე მომუშავეს, — რომ ჩემს ამ-და-ამ მამულს გითავაზებ, თუ თორმეტი შვილი მოგეცაო. როგორც კეთილ-სინდისიერს გერმანელს შეეფერება, ლიდემანი მართლაცდა ცდილა და თორმეტი შვილი მისცემია. ბულს ბოლო დროს უარი უთქვამს თავის დანაპირებზე, — არ მოგცემო. გულ-მოდგინე ლიდემანს ეს უარი ბულისა ძალიანა სწყენია და სასამართლოში საჩივარი შეუტანია. იქაურ სოლომონ ბრძენებს ბევრი უფიქრიათ, ბევრი უხეთქიათ თავი ამ საქმის გარდასაწყვეტად და ბოლოს მოდავეთათვის ასეთი რჩევა მიუციათ: მოდი ბულმა უარი თქვას დანაპირებ მამულზე და ამის მაგიერ ლიდემანს, 2,250 მანეთი გარდაუხადოსო, რადგან მართლაც-და ცდილა, თორმეტი შვილი მისცემია და ამოდენა ოჯახს დიდი გაძღოლა უნდაო. თორმეტი შვილის მამას გამოუანგარიშებია 2,250 მანეთი კაცის თავზე რა გამოვაო და ცუდი ანგარიშიც არ მოსვლია. თითო ყმაწვილზე 187 მანეთი და 50 კაპიკი გამოსულა. ამ ანგარიშის შემდეგ ლიდემანი დათანხმებულა მორიგებაზე.



მოამზადა სოფო ბუკიამ

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14
ტელ.: 935841, 922914 ფაქსი: 920596
E-mail: alpeonline@gol.ge, http:// www.samartali.ge

ALPE

# სადედამთილო ხელებს უკოცნიდა — ცოდვამოუნანიებელს ნუ გამიშვებ იმ ქვეყნადო...

ქალბატონმა ლიზიკომ გაიგო თუ არა, რომ მის ერთადერთ ვაჟს „შეუფერებელი" ოჯახიშვილი შეუყვარდა, გადაწყვიტა, შოთიკოსთვის ჩამოეცილებინა ის „ცინგლიანი" გოგო. ბიჭი თავდაპირველად ლიზიანდებოდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ხელი ჩაიქნია. მამამ დაარიგა: ხომ გაგიგია, შვილო, ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო. გულს ნუ უღალატებ, დედაშენს კი ყურადღებას ნუ მიაქცევ. ინსტიტუტში ჩაირიცხეთ და ცალკე გაცხოვრებთო.

ქალბატონმა ლიზიკომ იგრძნო, „მაშველი" მომაკლდაო და ქუთაისიდან მარტოხელა და იხმო.

ლიზიკო ჩხეიძე ერთ საღამოს ეწვია ინგას ოჯახს და მკაცრად გამოუცხადა, — სად თქვენ და სად — ჩვენო... ბატონი გიორგი, ანუ „შავი მუშა" დაპირდა გაკაპასებულ სტუმარს, რომ ყველაფერს ვიღონებ და ჩემს ქალიშვილს არ გაგაკარებთო.

სკოლის დამთავრების მერე, ინგა ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, შოთიკო — ვერა. მზრუნველმა დედამ და დეიდამ — ბიჭმა წელი რატომ უნდა დაკარგოსო და მოსკოვში ჩააბარებინეს გამოცდები. აფორიაქებული შოთა მამამ დაამშვიდა: პირველი კურსი დახურე და საზაფხულო არდადეგებზე რომ ჩამოხვალ, აღარავის დაეკითხო, მოჰკიდე ინგას ხელი და მოიყვანეო.

შოთა დღეგამოშვებით ურეკავდა ინგას და მოსკოვურ შთაბეჭდილებებს უზიარებდა. დედის რჩევა — თვალს წყალი დაალევინეო, — თანდათან ჭკუაში დაუჯდა, რადგან თვლიდა, რომ ინგა, ადრე თუ გვიან, მაინც მისი ცოლი გახდებოდა. შოთიკომ თვალსაც „დაალევინა წყალი" და გულსაც და სულსაც. მის კურსზე ბევრი ქართველი სწავლობდა. მალე „საძმოც" შეკრეს. ჰოდა, „ძმებმა" ურჩიეს, ერთ ქალთან მეგობრობა გიჯობს, აქეთ-იქით წანწალსო. ის ერთი კი, მაინცდამაინც ქართველი აღმოჩნდა. დედით რუსი, თბილისში დაბადებულ-გაზრდილი, მართლაც მშვენიერი გარეგნობის გოგო. ნინოსთან დროს კი ატარებდა შოთიკო, მაგრამ ინგა არ ავიწყდებოდა, ის კი არა, ნინოსაც არ უმალავდა, რომ ინგა მისი საცოლე იყო. ნინოს უყვარდა შოთიკო. ოღონდ ვაჟი მის გვერდით ყოფილიყო, თუნდაც დროებით და ყველაფერზე თვალს ხუჭავდა.

საახალწლოდ სტუმრად ჩასულ ქალბატონ ლიზიკოს თვალში მოხვდა მისი შვილისა და ლამაზი ნინოს ურთიერთობა. ოღონდ ინგა ჩამოეშორებინა და, ნინო კი არა, მგონი, ქუჩის ქალის რძლობაზეც დათანხმდებოდა. ნინოს მიეფერა, — ძალიან მომწონხარ სარძლოდო, — უთხრა და შესთავაზა, — შოთიკოსგან ბავშვს თუ გააჩენ, მაშინვე ხელს მოგაწერინებთო. სიხარულით ცას ეწია ნინო, სადედამთილო იმედიანად გამოისტუმრა თბილისში...

ნინო გვიანლა გამოუტყდა ბიჭს, — შენგან შვილს ველოდებიო. კინაღამ გაგიჟდა შოთიკო, საერთოდ აღარ უნდოდა ნინოს დანახვა, მაგრამ ვერც ინგას გაუმხილა, რაც დაემართა. ახლა ნინოს მამა და ბიძა ჩაერივნენ საქმეში — ამ სირცხვილს ჩხეიძეებს არ შევარჩენთო. სხვა გზა არ იყო, მამამ შოთიკოს უთხრა, — კარგი იყო, არ მომხდარიყო ეს ამბავი. ინგამ და ნინომ რომც მოგიტევონ, ღმერთი არ გაპატიებს... ბავშვზე უარის თქმა ვაჟკაცს არ შეეფერება, მოაწერე ხელი ნინოსთან, გვარი მიეცი პატარას და მერე თუ მიხვდები, რომ არ გეცხოვრება მასთან და ინგამაც გაპატია, მოიქეცი ისე, როგორც გული გიკარნახებსო.

მალე პატარა ნატაშა დაიბადა.

ნინომ თანდათან ხასიათი შეიცვალა, ჯიუტი გახდა, ისე იოლად აღარ ეთანხმებოდა ქმარს, როგორც ადრე... ინგა კი თბილისში იტანჯებოდა. მართალია, რამდენჯერმე დაურეკა შოთიკომ, მაგრამ მშობლებმა ტელეფონს არ გააკარეს ქალიშვილი, აღარც გოგო შეეწინააღმდეგა... მხოლოდ და, ქეთინო, არიგებდა, — გულს ნუ აიყრი შოთიკოზე, აპატიე. ვიცი, ვერ გაძლებთ უერთმანეთოდო...



გავიდა სამი წელიწადი. შოთიკო „საძმომ" საბოლოოდ მიიჩნია სანდო კაცად და ერთი მდიდარი მოსკოველი ებრაელის გაქურდვის გეგმა გააცნო. ადამიანი მაშინ დგამს საბედისწერო ნაბიჯს, როცა მისთვის ყველაფერი სულერთია და... შოთიკო დათანხმდა.

ებრაელი შინ მოულოდნელად დაბრუნდა და თავს წაადგა მძარცველებს. შეხლა-შემოხლაში შემოაკვდათ, ფული, ოქროულობა და ძვირფასი აპარატურა კი წაიღეს... მალე საქმე გაიხსნა და ქართველთა „საძმო" აიყვანეს. რვიდან ხუთი ქართველი იყო. ბანდის თავკაცს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, დანარჩენებს — 12-12 წელი.

შოთიკოს დაპატიმრებამ თავზარი დასცა მის მშობლებს. ქალბატონმა ლიზიკომ მაინც არ მოისვენა — ინგას ოჯახს დაურეკა და ისევ მათ დასდო ბრალი! ინგას მშობლებმაც ამოიღეს ხმა — რაც გინდოდათ, ის მიიღეთ, ჩვენ თავი დაგვანებეთო.

მალე ნინოს მშობლები გაიყარნენ. დედამ შვილს ჩააკითხა მოსკოვში და ურჩია, გაეპყროდა „აზიატსა" და „ბანდიტ" ქმარს. შოთიკომ უმალ გამოუგზავნა თანხმობა ცოლს. შოთიკოს მამა შვილის დაპატიმრებიდან ოთხი თვის მერე ინფარქტით გარდაიცვალა, მას დეიდა, ქალბატონი გულიკოც მიჰყვა და დარჩა ლიზიკო ეულად...

ინგამ ძალიან განიცადა შოთიკოს ამბავი. მერე დაენანა მარტოდ დარჩენილი ქალი, დაივიწყა ძველი წყენა და ყოფილ სადედამთილოს შინ ესტუმრა. ამდენმა დარდმა ქალბატონი ლიზიკო უფრო გააკაპასა. ინგას დანახვაზე აკივლდა — შენი ბრალია ყველაფერი. როგორ ბედავ ჩემთან მოსვლასო. ინგა ატირებული გამობრუნდა უკან.

გავიდა კიდევ სამი წელი. ინგას ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ ყველას უარს ეუბნებოდა. ვაჟისგან ალსარებითი ბარათი უკვე მიღებული ჰქონდა. ინგა ბავშვების აღზრდაში ეხმარებოდა დას და მოთმინებით ელოდა შოთიკოს გათავისუფლებას.

კიდევ ორმა წელმა ზლაზვნით ჩაიარა, შოთიკო წერილებით ეხმაურებოდა ინგას.

ცუდი ამბავი მოვიდა მოსკოვის ოლქის კოლონიიდან — ზონის დათვალიერება-ჩხრეკისას შოთა ჩხეიძეს ნარკოტიკი უპოვეს ქურთუკის ჯიბეში და ოთხი წელი დაუმატეს. ამ ამბავმა საბოლოოდ მოტეხა ქალბატონი ლიზიკო. შვილის ნახვის იმედი წაერთვა. სულ მარტო დარჩა. ლოგინად ჩავარდნილი ტირილით ათენ-აღამებდა. მერე მეზობელს სთხოვა, ინგა მომიყვანეო. ინგამ უყოყმანოდ გასწია უბედური დედისკენ. ხელები დაუკოცნა ლიზიკომ, — შენმა ცოდვამ დამსაჯა, თუ შეგიძლია, მაპატიე, ორიოდე დღის სიცოცხლე დამრჩენია და იმ ქვეყნად ცოდვამოუნანიებელს ნუ გამიშვებო. სხვა არაფერი უთხოვია მისთვის ლიზიკო ჩხეიძეს, მაგრამ ინგა მაინც გადავიდა მასთან საცხოვრებლად. ყველა განცვიფრებული იყო ინგას საქციელით, ყველაზე მეტად კი — ქალბატონი ლიზიკო. იგი შვილზე დარდმა საბოლოოდ მიაჯაჭვა ლოგინს. სიკვდილის წინ ინგას შესთხოვა, — შოთიკოს დაელოდეო.

გათავისუფლებულმა შოთიკომ თბილისს მოაშურა...

ინგა და შოთიკო დღეს ერთად არიან. ჰყავთ თორმეტი წლის ვაჟი და, ბევრი ტკივილისა და დავიდარაბის მიუხედავად, მაინც ბედნიერად გრძნობენ თავს, რადგან საოცრად უყვართ ერთმანეთი, — მითხრა ქალბატონმა ქეთევანმა, ინგას დამ.

სწორედ მან მიამბო ეს ამბავიც.

*მარინა ბაბუნაშვილი*

რჩევები დიასახლისთათვის

# რა როგორ შევინახოთ?



ტროპიკული ხილი (მანგო, კივი, ბანანი) ვერ იტანს სიცივეს. 13°C-ზეც კი ქერქზე უჩნდება მუქი ლაქები, ამიტომ იგი უნდა შევინახოთ გრილ და ბნელ ადგილას.

მხოლოდ ძალიან მწიფე პომიდვრის მოთავსება შეიძლება მაცივარში. კიტრსაც არ უყვარს სიცივე, მაგრამ არც სითბოს მოყვარულია. კარტოფილი დიდხანს ინახება ბნელ და გრილ ადგილას, თანაც ისეთ სათავსში, რომელიც კარგად ნიავდება. ლობიო ჩავყაროთ ქაღალდის პარკში და შევინახოთ სარდაფში ან გრილ ადგილას. ბადრიჯანი მაშინვე დაილაქება, თუ ტემპერატურა 6°C-ზე დაბლა დაეცა. ამიტომ მასაც ადგილი საკუჭნაოში უნდა მივუჩინოთ და არა მაცივარში.

მწვანე ლობიო, მუხუდო, კენკრა, კურკოვანი ხილი და სტაფილო ვიტამინების დიდ ნაწილს ინარჩუნებენ მაცივრის საყინულეში, -15-20°C-ზე. ვახსოვდეთ: არ შეიძლება გავყინოთ ყურძენი, თესლიანი ხილი, სალათის ფოთლები, ბოლოკი და კომბოსტო.

მაცივარში, ბოსტნეულის განყოფილებაში, 6-8°-ზე უნდა მოვათავსოთ სალათები და ბოსტნეული, ოღონდ ხილისაგან განცალკევებით.

ისპანახი ორ დღეში კარგავს C ვიტამინის 25%-ს, -20°C-ზე კი 50%-ს: სალათი შევინახოთ მაცივარში შეუფუთავად. ბრიუსელის, ყვავილოვანი და ჩინური კომბოსტო მაცივარში რამდენიმე კვირა ინახება პლასტიკატის პაკეტებით. სტაფილო გავახვიოთ ცელოფანის პარკში და ისე შევინახოთ.

-6-8°C-ზე უნდა შევინახოთ ვაშლი, ატამი, მსხალი. კარგია, თუ მათ ჩავაწყობთ ცელოფანის პარკებში. ალუბალი დიდხანს არ ინახება, ამიტომ უმჯობესია შევინახოთ საყინულეში ულუფებად დანაწილებული და სურვილისამებრ გავალხოთ.

ფორთოხალი და ანანასი საერთოდ არ ინახება მაცივარში



ამას წინათ, ქალის თეთრეულის ჩვენებაზე მაკა ასათიანმა განაცხადა, ლამაზი საცვლები იმისთვის უნდა ჩაიცვა, ვისაც ეპრანჭებიო. ტელეფონით რამდენიმეს დავუკავშირდი და ვკითხე – ქალის როგორი ჩაცმულობა იქცევს თქვენს ყურადღებას და რომელ ქალს ისურვებდით გვერდით თქვენივე მოწონებული სამოსით?

# რაც გინდათ ჩაიცვით, ოღონდ არ გასუქდეთ

***გოგა (28 წლის):*** —თუ ქალი ლამაზი არ არის, რაც გინდა ჩააცვი, თუნდაც უკანასკნელი მოდის ტანსაცმელი, თვალს არ მიიზიდავს. როცა ლამაზ ქალს დავინახავ ლამაზი კაბით, სულ მაინტერესებს, რა აცვია იმ კაბის ქვეშ. „ბუტიკში" შესულს, თვალი გამირბის ხოლმე ქალის თეთრეულისკენ — ხან ვის წარმოვიდგენ ამ ლამაზ-ლამაზ რაღაცებში გამოწყობილს და ხან ვის. გემრიელად გარუჯული და თეთრმაქმანებიან საცვლებში გამოწყობილი კლაუდია შიფერი რომ დამადგეს ერთ საღამოს თავს ჩემს საძინებელში, შეიძლება გავრეკო. რა გინდოდათ, კაცო, რას მერჩოდით, საღერღელი ამიშალეთ (იცინის).

***ლუკა (19 წლის):*** — კაი გამოგონებაა „ტოპები" და მოკლეწელიანი ჯინსები. გოგოს რომ ეგ აცვია და ჭიპი უჩანს, ვაფრენ. მაგარია რა. ჩემს ცოლს ვეხვეწები, სულ მაგ სტილში გეცვას-მეთქი. თუმცა, ახლა ფეხმძიმედაა. მუცელი რომ გაეზრდება, კაი ხანს მომიწევს ლოდინი, ჩემთვის სასურველ ფორმაში გამოწყობილი რომ ვნახო.

***გერონტი (67 წლის):*** — ახლა ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ჩემი ცოლი რას ჩაიცვამს. წინათ კი რაღა დაგიმალოთ და ჩაუცმელი უფრო მომწონდა (იცინის). ისე კი, ახლა ქალები სულ გახდილები დადიან, თუმცა ეგეც უხდებათ. რაც გინდათ ჩაიცვით, ოღონდ არ გასუქდეთ, ბაბუ. მსუქანი ქალი არ მომწონს.

***ავთო (37 წლის):*** — მაგარი რომანტიკოსი ვარ და ოცნება მიყვარს, ამიტომაც, როცა ჩემი ცოლი შინ არ არის, ჩემს საძინებელში ხან ვინ „მომყავს" და ხან ვინ. გუშინ, მაგალითად ნაომი ქემფბელი „იყო" ჩემთან. ზურმუხტისფერი სიფრიფანა პენუარი ეცვა და ისე აელვებდა თვალებს, რომ... რა ხართ ეს ქალები? ასე. ოცნებაში მაკა ასათიანიც ხშირად მყავს ხოლმე სტუმრად. მაგარი ქალია. მაგის ქმარმა რომ გამიგოს, დუელი არ ამცდება ალბათ.

***ზვიადი (42 წლის):*** — ვგიჟდები საქორწინო კაბებზე. ამიტომაც ოთხი ცოლი გამოვიცვალე უკვე, ყველას ულამაზესი საქორწინო კაბა ჩავაცვი და იცით, რას ვაკეთებდი? ჯვარს რომ დავიწერდი, ერთი-ორი კვირის შემდეგ ხელს ვაწერდით „მმაჩშიც". სულ ორჯერ დავიწერე ჯვარი. ოთხჯერ მოვაწერე ხელი და სამჯერაც განვქორწინდი. მეოთხე ცოლთან ქორწინების მე-5 წლისთავი მისრულდება და მალე აუცილებლად თავიდან გადავიხდი ქორწილს და ახალ საქორწინო კაბასაც ჩავაცმევ.

*ესაუბრა*
*ეკა ლომიძე*

# ეფექტური ნიღბები

**მაღაზიებში დავეძებთ ხოლმე ისეთ საშუალებებს, რომლებიც შეუნარჩუნებს ჩვენს კანს ახალგაზრდობასა და სილამაზეს და არც კი დავფიქრებულვართ, რომ არანაკლებ ეფექტური ნიღბების მომზადება შეგვიძლია ხილისაგან, წელიწადის ნებისმიერ დროს. კოსმეტიკური თვალსაზრისით გამოდგება როგორც ახალი, ისე გაყინული ნაყოფი.**



**ლიმონი.** მისი მთავარი ღირსებაა C ვიტამინი, რომელიც ათეთრებს კანს და ამცირებს ფორებს. თუ სახის კანი უფერულია — მიიღეთ ყოველდღე უზმოზე ნახევარი ლიმონის წვენი 1 ს/კ თაფლით.

**ფორთოხლის ქერქს** დაასხით რამდენიმე ს/კ გამთბარი მცენარეული ზეთი, დააცალეთ გაიჟღინთოს და შემდეგ ჩაყარეთ სავსე აბაზანაში. ეს ძალიან ახალისებს კანს და აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას.

ბოლო ხანებში **ყურძენი** ძალიან პოპულარული გახდა კოსმეტოლოგებში. გთავაზობთ მის ნიღაბს. დაჭყლიტეთ ყურძენი, დაამატეთ 3ს/კ ზეითუნის ზეთი და წაისვით სახეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ და წაისვით მკვებავი კრემი.

**ვაშლში** ბევრია სასარგებლო მინერალური მარილები, რომელთაც ბაქტერიციდული ზემოქმედების უნარი გააჩნიათ. ამიტომაც ვაშლი რეკომენდებულია გაღიზიანებული და მზეზე დამწვარი კანის სამკურნალოდ. წმინდად გახეხეთ ვაშლი, დაუმატეთ 1 ს/კ ხაჭო, დაიდეთ გაღიზიანებულ კანზე და 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ მინერალური წყლით.

**გრეიპფრუტი** ყველა ციტრუსზე მეტ ფერმენტს შეიცავს. აი, თმისა და სახის კანის მოვლის რეცეპტიც: გამოწურეთ ერთი გრეიპფრუტი, დაამატეთ მდუღარე წყალი და გაიწმინდეთ სახე, ასევე გადაივლეთ თმაზე.

## ჩვენ გვწერენ

გამოხმაურება „კვირის პალიტრაში" (№27) გამოქვეყნებულ წერილზე „სულ მოვიშვიშე ახლობლებსაც მობეზრდები"

# ქალბატონო ლიანა!

დამთრგუნა თქვენმა მონაყოლმა. მართლაც ძალიან რთულია პასუხის მიღება კითხვაზე, „რატომ იჩაგრებიან კეთილი ადამიანები", მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენნაირი კეთილი ადამიანი არ დაიჩაგრება.

იქნებ, რატი ძლიერ გააბოროტა დედამისის თავგადასავალმა. ბიჭია და შერცხვებოდა. თან უბანში ეცოდინებოდათ ეს ამბავი. იგი იმასაც შეიტყობდა, რომ მამამისმა სხვა კაცთან შეუსწრო დედამისს. ოღონდ, გთხოვთ ისე არ გაიგოთ, თითქოს მე რატის გაბოროტებას თქვენი ოჯახის მიმართ ვამართლებდე... პირიქით, ვგმობ...

ქალბატონო ლიანა, მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენნაირი კეთილი და გულისხმიერი ადამიანები კვლავ დადიან ამ გაბოროტებულ ქვეყანაში და გთხოვთ, გულს ნუ აიცრუებთ სიკეთის თესვაზე.

P.S. *ვიცი, რთულია ახლა თავის იმით დამშვიდება, რომ ღმერთი დაგიფასებთ თქვენს სიკეთეს, მაგრამ თქვენი სულის სიმშვიდისათვის დაეხმარეთ ობოლ ბავშვებს.*

*ქეთი, 15 წლის*

# ფლირტი — კარიერის გზა



ამერიკელი ქალები თვლიან, რომ ფლირტი სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, რადგან ის საკუთარ თავში დასარწმუნებლად საუკეთესო საშუალებაა. გამოკითხულ ქალთა უმრავლესობას ზომიერი ფლირტი ხელს უწყობს, იყოს მომხიბლავი, მოწესრიგებული.

სოციოლოგი ნიკოლ ფაიზერი, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩატარებულ კვლევას, ამბობს: ქალი „ზრუნავს არა მხოლოდ სამსახურზე, არამედ ოჯახზეც, ამიტომ ძალზე გადატვირთული და გადაღლილია, ხოლო ფლირტი ცოტა ხნით მაინც აგრძნობინებს თავს ქალად".

ფლირტი კარიერისკენ მიმავალი შესანიშნავი გზაც არის.



უცხოელი კოლეგებისაგან განსხვავებით, პოპულარული მომღერალი მაია ჯაბუა ზაფხულის თაკარა დღეებს მალიბუსა და იამაიკის პლაჟების ნაცვლად მცხეთაში, კახიანების აგარაკზე ატარებს თავის განუყრელ მეგობართან, ეკა კახიანთან. მის ნებისმიერ უცხოელ კოლეგას შეშურდება მცხეთურ ეგზოტიკურ „პლაჟზე“ ნებივრობა. გაგიკვირდათ, არა? სად მცხეთა და სად პლაჟი? ყველაფერს გაიგებთ. მომღერალი, რომელმაც ახლახან დაამთავრა ახალი სიმღერის ჩაწერა და კვლავ ემზადება ეკა კახიანის მორიგი სიმღერის ჩასაწერად, მცხეთაში „გაქცევის“ წინ ვინახულე.

# ველი კრიტიკას პროფესიონალებისაგან...

**— მაია, ნიკა მემანიშვილის იუბილეზე ისეთი ნორჩი და პატარა ჩანდით, მეგონა, ჩემ წინ „მზიურის“ წევრი გოგონა იდგა და პიონერულ სიმღერას იმღერებდა. როგორ ახერხებთ თქვენ და ეკა კახიანი თინეიჯერული იერის შენარჩუნებას?**

— მაშინ, ნიკას დაბადების დღეზე, ბავშვობაში დაბრუნება არ გამიჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის და „მზიურის“ ფორმები აღარ არსებობს. კარადაში ერთი მოკლე შავი კაბა მეკიდა, ჩამოვხსენი, ჩავიცვი, კიკინა გავიკეთე და ისევ „გავბავშვდი“. იმისათვის, რომ თინეიჯერული იერი შევინარჩუნდეს, განსაკუთრებულს კი არა, საერთოდ არაფერს ვაკეთებ.

**— სამოსის არჩევისას თუ ყოფილხართ ოდესმე ვინმესგან შეზღუდული?**

— არასოდეს. უბრალოდ, ისე არ ჩავიცვამ, რომ ვინმე შოკირებული აღმოჩნდეს. ჩემს ხასიათში არ არის, რომ სამოსით ვინმეს ყურადღება მივიქციო. ხასიათი ცვალებადი მაქვს და განწყობის შესაბამისად ვიცვამ. თანაც, აუცილებლად კომფორტულად უნდა ვგრძნობდე თავს.

**— უფრო პრაქტიკული ხართ თუ ცაში ფრენაც გიყვართ?**

— ხშირად ვოცნებობ, მაგრამ რეალური მეოცნებე ვარ. ღრუბლებში არც ბავშვობაში მიფრენია და რაც არასოდეს ამისრულდება, იმაზე არც ვიოცნებებ.

**— ქართულ შოუბიზნესში საკმაოდ მომრავლდნენ ვარსკვლავები. შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს „ვარსკვლავად“ ქცევის რეცეპტი?**

— ეს არ არის რთული. ქარხანასავით კარგად აწყობილი ინდუსტრიული მექანიზმია მოსკოვშიც და ჩვენთანაც. ვარსკვლავების მკეთებლები არსებობენ იქაც და აქაც. შეიძლება ფინანსები და რაღაც ნიუანსები იყოს განსხვავებული, მაგრამ მაინც ერთი მანქანა ქედავს ვარსკვლავებს.

**— ამბობენ, რომ საქართველოში „ვარსკვლავობისთვის“ ისიც კი კმარა, თუ რომელიმე პოპულარულ გადაცემაში დიდი ინტერვიუთი გარეკანზე ფოტო დაიბეჭდება.**

— ასეც არის. ერთი რამ არ მომწონს — ქართული მასმედია ჯერ ქმნის შოუბიზნესის ვარსკვლავებს, მერე კი იწყებს მათ ლანძღვა-გინებას, გაქილიკებას. შემდეგ რატომღაც იბადება კითხვა, საიდან გაჩნდნენ ეს ვარსკვლავები? ეს ხალხი მათ შექმნეს და სხვაგან ნუღარ ეძებენ მიზეზებს. დღეს „ვარსკვლავი“ ვერ გახდება ვერავინ, თუ მას არ აიტაცებენ ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზია, რადიო. მასმედია ჯერ აფეტიშებს ვიღაცას, მერე კი, როცა აღმოაჩენს, რომ ის ვიღაც იმდენი ყურადღების ღირსი არ ყოფილა, იწყებს მის ლანძღვა-გინებას. ასეთი რამ არ შეიძლება. თუ რაღაც მოსაწონი არ არის, საჭიროა კრიტიკა, ოღონდ არა დილეტანტის მიერ. ველი კრიტიკას პროფესიონალებისგან.

**— დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება კვდება და ასპარეზს იკავებს „ვარსკვლავური ამბიციები“.**

— იცით, დღეს თუ ისე ჩანს, რომ „ვარსკვლავი“ უფრო მეტია, ვიდრე ხელოვანი, ეს იმას ნიშნავს, რომ იოლია იყო „ვარსკვლავი“ და ძნელი — ხელოვანი. ესეც ღმერთის ნებით ხდება — რაც ფასეულია, არ შეიძლება ძალიან ბევრი იყოს. კანონზომიერება არ ირღვევა, ნიჭიერი ხალხი კვლავ იბადება და მიუხედავად ცხოვრებაში არსებული სირთულეებისა, ისინი თავის სიტყვას მაინც იტყვიან. ნიჭი საოცარი რამაა, მას წინ ვერაფერი დაუდგება, რადგან იგი ზეციდან მოდის.

**— მაია ჯაბუა — მძღოლს პოლიციელებთან ხომ არა აქვს პრობლემები?**

— მშვიდობიანი დამოკიდებულება გვაქვს, თუმცა ხანდახან ვარღვევ წესრიგს — თბილისში არის ისეთი მონაკვეთები, სადაც მანქანის შორ მანძილზე მოტრიალება არის საჭირო, მე კი იქვე ჩავუხვევ ხოლმე. ერთხელ კიდეც გამაჩერეს ასეთ დარღვევაზე. მითხრეს — ან ჯარიმას გადაიხდი, ან მართვის მოწმობას ჩამოგართმევთო. გავჯიუტი და ჯარიმა არ გადავიხადე, მართვის მოწმობაც ვერ ჩამომართვეს.

**— რატომ, ვინმეს სახელი ხომ არ უხსენეთ?**

— არა, უბრალოდ ძალიან გავჯიუტდი.

**— ჯარიმის ნაცვლად სიმღერა რომ მოგთხოვონ?**

— არ ვიმღერებ. ულტიმატუმებს ვერ ვიტან, ძალიან ჯიუტი ვარ.

**— თბილისურ ხვატს როგორ უძლებთ, თავს რით იქცევთ?**

— სიცხე ძალიან მიყვარს, ახლა ჩემი ამინდებია. ტელევიზორს კატეგორიულად არ ვუყურებ. ყველა ინფორმაცია რომ ჩემს ტვინში გავატარო და ვინერვიულო, ცხოვრება აღარაფრად ეღირება. საინფორმაციო გადაცემებს ძალიან ცუდი ფორმა აქვს. პოლიტიკოსებმა ერთმანეთთან დაპირისპირების უღირსი მეთოდები აირჩიეს. ჯერ ის არ მესმის, ამ ხალხს რატომ სძულთ ასე ერთმანეთი, ცალ-ცალკე რომ უსმინო — ყველას უნდა საქართველოს და ქართველი ერის ბედნიერება, არადა, როგორ შეიძლება ასე გაბოროტებულმა და კომპლექსიანმა ადამიანმა ვინმე გააბედნიეროს, მით უმეტეს, ერი? ამხელა კაცები როგორ უღირსად „უშვებენ“ ერთმანეთს ხალხის გასაგონად... რატომ უნდა ვუყურო ამას? ერთხელ ვცხოვრობ ქვეყანაზე და ასეთები არ არიან იმის ღირსი, რომ თუნდაც წუთი დავუთმო მათ. თუ რაიმეს გაკეთება უნდათ ქვეყნისთვის, გააკეთონ. კაცი ღირსეული უნდა იყოს და ყურადღებასაც მივაპყრობ.

**— მაინც სად აპირებთ ამ თქვენთვის საყვარელი ზაფხულის გატარებას?**

— ჯერ ეკასთან ვარ მცხეთაში, აგარაკზე, სადაც ძალიან კარგად ვერთობით, ჩვენც და ჩვენი შვილებიც. ყველას კი ერთი რამ გვაერთიანებს — ვამთავრებთ დიდი აუზის მშენებლობას და ერთი სული გვაქვს, როდის ავავსებთ. ეს იმედა ბაბუას დიდი საჩუქარია.

**— მართალია, საინფორმაციო გადაცემებს არ უყურებთ, მაგრამ „ძილის წინს“ ალბათ ეკას ხათრით მაინც ადევნებთ თვალყურს.**

— თუ მაგ დროს ტელევიზორთან ვარ, ვერთობი. მართლა ეკას ხათრით უფრო ვუყურებ. იმედია, სხვები არ მიწყენენ, ყველა ძალიან მიყვარს.

**— თავად ხომ არ გიფიქრიათ მსახიობობაზე?**

— ბავშვობაში ვფიქრობდი, მაგრამ მამაჩემის სურვილით დასავლეთევროპული ენების სპეციალისტი გავხდი.

**— და კიდევ, მომღერალი...**

— და კიდევ — მომღერალი.

# — ისეთი ყვავი ვიყავი, ყველა ჩემს მხარეზე იყო...

*დაკარგა თუ არა მერაბ სეფაშვილმა თავისუფლება? თუ მღერის ვინმეს მოსაწონად რომანსებს? ისევ თვლის თუ არა ფონოგრამის პრობლემას შოუბიზნესის ნომერ პირველ პრობლემად, და კიდევ ბევრ სხვა რამეს შეიტყობთ პოპულარული მომღერლის ინტერვიუდან, რომელსაც „არტ-იმედში“ შევხვდი. მერაბი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შესანიშნავ ფორმაში ჩანს (გარეგნულად და სიმღერით რომ ფორმას არასოდეს კარგავს, თქვენც კარგად იცით) და ცოტა არ იყოს, ეჭვიც კი მეპარება, რომ მისი სცენაზე გამოჩენის შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი გავიდა.*

## ცხოვრებაში თამაში რთულია

**— პოპულარობა არც მანამდე გაკლდათ და სხვა რა მოგიტანათ „არტ-იმედმა“?**

— მომეცა საშუალება მხოლოდ ჩემი საქმე ვაკეთო, ანუ არ ვიფიქრო, იმ კვირაში, ერთი ან ექვსი თვის შემდეგ როგორ დავგეგმო ჩემი საქმე. ამაზე კომპანიამ უნდა იზრუნოს. რამდენადაც ვიცი, უკვე მრავალ საინტერესო პროექტზე მუშაობენ, მე კი სტუდიაში ვარ, ვუშვებ ახალ ალბომს, გამოდის ახალი კლიპი...

**— რომელიც „უცნობთან“ ერთად გადაიღეთ.**




— დიახ. ბასას რეჟისორობით და, ვფიქრობ, მას სულ მალე ნახავს მაყურებელი.

**— ამ კლიპის გადაღებას უსიამოვნებები ახლდა თურმე...**

— მე არ შევსწრებივარ, მაგრამ მართლა ცუდი რამეები მოხდა — მოიპარეს „უცნობის“ მერსედესი, რომელიც მგონი, დღემდე ვერ იპოვეს. გადამღები ჯგუფი კი ერთგან, სახლის პატრონმა, მიუხედავად შეთანხმებისა, სახლში არ შეუშვა და თუ გადაღება უნდა დაწყებულიყო ღამის 10 სთ-ზე, დავიწყეთ ორზე.

**— თავისუფალი ადამიანი ხართ? ყოველთვის თვითონ განაგებთ საკუთარ თავს?**

— ამ კითხვას რამდენიმე პასუხი აქვს: თავისუფალი ადამიანი ვარ, როგორც ნებისმიერი შემოქმედი, რადგან თუ თავისუფალი არ იქნები, ღირებულს ვერაფერს შექმნი. ისე, გააჩნია, რას ვიგულისხმებთ თავისუფლებაში. აბსოლუტურად თავისუფალი ვერავინ იქნება. ადამიანები მეტ-ნაკლებად რელიგიურები ვართ და ამიტომ ყველას რაღაცის გვჯერა, გვეშინია და ეს უკარგავს კაცთა მოდგმას ცუდის გაკეთების უფლებას. შემოქმედებაში კი შეზღუდული ადამიანი ვერაფერს შექმნის. საქართველოში ზოგჯერ არსებული პრობლემების მიუხედავად, ალბათ, ყოველთვის იყვნენ თავისუფალი ადამიანები, რომლებიც ნამდვილ ხელოვნებას ქმნიდნენ.

**— ხომ არ გეჩვენებათ, რომ დღეს ნამდვილ ხელოვნებაზე მეტად ვარსკვლავური ამბიციებით შეპყრობილი არაპროფესიონალები ჩანან.**

— იცით, მთლიანად ქვეყანაში, ნებისმიერ სფეროში ნორმაზე მეტი დილეტანტია და ეს იწვევს უგემოვნობის გამეფებას ანუ იმას, რაც თქვენ ახლა თქვით. თუ ნამდვილი ხელოვნება დღეს ნაკლებად ჩანს, ეს ყველას და მათ შორის მასმედიის პრობლემაც არის. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტი პროფესიონალი გამოჩნდება ჟურნალში, რადიოში, ტელევიზორში, მეტად შეეტყობა ცხოვრებასაც.

**— ამბობენ, რომ სპორტის სასახლეში კონცერტს დისკოთეკა ჰქვია, ნამდვილი კონცერტი კი ფილარმონიაში შეიძლება გაიმართოს მხოლოდ. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**



— მე არ მინდა, ეს ორი დარბაზი ერთმანეთს დავუპირისპირო. იმას ვიტყვი, რომ აბსოლუტურად განსხვავებული სპეციფიკა აქვთ. მაღალი კლასის მუსიკოსი რეპერტუარს შეარჩევს ასე — რა იმღეროს ფილარმონიაში და რა სპორტდარბაზში. მსმენელის მოტყუება არსად არ შეიძლება. მთავარია, გასცე ის ენერგია, რასაც სიმღერის შესრულების მომენტში გრძნობ. აღარ მინდა ახლა ფონოგრამების პრობლემაზე საუბარი.

**— რატომ, ეს ხომ მნიშვნელოვანი თემაა?**

— გეთანხმებით და თანდათან სულ მიივიწყეს ეს პრობლემა. როგორც ჩანს, არაფერი შეცვლილა. ვფიქრობ, ერთი შეჯანჯღარება კიდევ საჭიროა, არა მარტო იმათთვის, ვინც ფონოგრამით მღერის, არამედ მომავალი თაობებისთვის, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიზარდონ ცუდ მაგალითზე. ამ პრობლემის მოუგვარებლად, შოუბიზნესის განვითარებას საქართველოში თუ სჭირდება 5 წელი, დასჭირდება 50 წელი.

**— მერაბ, ადრე, კარგა ხნის წინ, ანსამბლ „ივერიაში“ მღეროდით. ეს დღეს ბევრმა თქვენმა თაყვანისმცემელმა არ იცის.**

— ეს დიდი ისტორიაა. „ივერიის“ ყველა წევრთან დღემდე მომყვება ურთიერთობა. ანსამბლი, რომელიც მალე იუბილეს იზეიმებს, ყოველთვის ჰგავდა ერთ დიდ, თბილ ოჯახს და ასეთად რჩება. ძალიან მცირე ხნით ვიყავი მათთან. ეს იყო დაახლოებით 1984 წელს.

**— „ჩხიკვთა ქორწილში“ თქვენი გამოჩენა ყვავის როლში იმ თბილ ოჯახთან დაბრუნების სურვილმაც ხომ არ გამოიწვია?**

— ჩემი „გაყვავება“ შეთანხმების დონეზე მოხდა. ეს ჩემთვის საინტერესო შემოთავაზება იყო. იცით, როგორი ყვავი ვიყავი? მთელი დარბაზი ჩემკენ იყო, ჩხიკვ ქეთევანს უყვიროდნენ — გაჰყევი, გოგო, გაჰყევიო.

**— ცხოვრებაში თუ გიმღერიათ არა ჩხიკვისთვის, არამედ მშვენიერი გოგონასთვის, რომ მისთვის თავბრუ დაგეხვიათ, მოსწონებოდით?**

— ნაკლებად ვცდილობდი, რომანსები მემღერა თავის მოსაწონებლად. პიროვნული თვისებებით უნდა მოეწონო ადამიანს, თორემ სიმღერით ადვილად შეიძლება შეუყვარდე ვიღაცას. ცხოვრებაში თამაში რთულია, რაც ხარ, ის უნდა იყო.

**— მახსოვს, ადრე მითხარით, ძალიან ხიფათიანი ვარო. უახლოეს პერიოდში რაიმე თავგადასავალი ხომ არ გადაგხდენიათ?**

— ღმერთმა დამიფაროს (მაგიდაზე აკაკუნებს)! ყველაფერი რიგზეა ჯერჯერობით, თუმცა, ორი თვის წინ სახლში უზარმაზარი აკუმულატორი ამიფეთქდა და კინაღამ თავი წამაცალა, ლამის შევეწირე ელექტროენერგიის პრობლემას, რომლის გამოც ტელევიზორის ჩასართავად სახლში აკუმულატორი მივიტანე.

**— მერაბ, როგორც შარშან, წელსაც თბილისში ატარებთ ზაფხულს. არ მიდიხართ ზღვაზე. რადიაციის ხომ არ გეშინიათ?**

— იცით რა? ძირითადად სულ ზაფხულში მიწევს სტუდიაში მუშაობა. თბილისის ზღვაზე, კუს ტბაზე რომც ავიდე, უამრავი ნაცნობი შემხვდება, დავიღლები... ამიტომაც, თუ არ ვმუშაობ, ძირითადად, შინ ვარ.

*გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ*

# იცით თუ არა, რომ ძველად ქართველები... დაფრინავდნენ?



ყაზბეგი. 1946 წ. კაპიტონ ნაჭყებია ყაზბეგელებთან ერთად თვალს ადევნებს „მარჭიხოლის" (აფრანავის) დაშვებას მაღალი მთიდან

ფრანგების მიერ „ერისიონზე" გადაღებული კლიპით გულმოცემული არქიტექტორი ოთარ ნაჭყებია გვაცნობს მამის, კაპიტონ ნაჭყებიას მიერ მოთხრობილ „ლეგენდას".

გენერალი კაპიტონ ნაჭყებია თავადაც კაცი-ლეგენდა გახლდათ. იგი, ქართული მილიციის კომისარი, კურირებდა 1943 წელს, თეირანში, „დიდი სამეულის" შეხვედრის დაცვასა და პირად კომუნიკაციებს, შექმნა კავკასიის დამცველ ეგერთა კორპუსი, აალორძინა ქართული საცხენოსნო კულტურა და ააშენა დელისის იპოდრომი...

ამ მართლაც საოცარმა ადამიანმა მფრინავ ქართველებზე ლაპარაკის ნება შვილს XX საუკუნის გასვლის შემდეგ დართო...

— ჩვენი მთიანი ქვეყანა უდიდესი საბრძოლო ტრადიციებისაა, — გვიამბობს ბატონი ოთარი, — საქართველოს განგებამ სამიწათმოქმედო და სამომთაბარეო სამყაროს გამმიჯნავის როლი არგუნა და საერთაშორისო მისიაც დაგვაკისრა — ვყოფილიყავით ცივილიზაციის დარაჯნი. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ საბრძოლო ხერხებისა და ხრიკების არსენალში გვქონდა სიმაღლიდან ხტომა, მთიდან ან ალყაშემორტყმული ციხიდან სწრაფდაშვება და თვით ფრენაც (რომ თუნდაც ერთი მოზარდი მაინც დასხლტომოდა მტერს, რომ კვლავ ებარტყა ჯიშს), როგორც ერთ-ერთი საჭირო და აუცილებელი ატრიბუტი. ამგვარი ხერხები სხვადასხვა ხალხის ეპოსშიც არის ასახული, გავიხსენოთ, თუნდაც იკაროსის და დედალოსის მითი. მამაჩემი ეთნოლოგიური კვლევისას მეტწილად ეყრდნობოდა ცნობილი ეთნოგრაფების, მამა-შვილ ბესარიონ და რაფიელ ნიჟარაძეების, ალექსი რობაქიძის გამოკვლევებსა და თავის საგვარეულოში უხვად შემორჩენილ მითებსა და ლეგენდებს. 1934-39 წლებში მან ირანში, ეგვიპტესა და თურქეთში იმოგზაურა და ეთნოგრაფისა და ნატურალისტის სტატუსის „შეთავსებაც" მოუხდა თავის ძირითად პროფესიასთან. ამის გამო, დედაჩემი, ბოლნისელი გერმანელი ქალი, ლუიზა-შარლოტე, ეხუმრებოდა კიდეც — რა გიყო სტალინმა ამ ორმეტრიან კაცს, ხელში პეპლების საჭერი დაგაკავებინაო. იმ დროს უცხოეთში მოგზაურობის შესაძლებლობა მეცნიერებს არ ჰქონდათ. ამიტომ სიამოვნებით ასრულებდა უფროსი მეგობრების — შალვა ნუცუბიძის, ნიკო კეცხოველის, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი ჩუბინაშვილის და სხვათა სამეცნიერო დავალებებს. მრავალმხრივი განათლება (16 ენა იცოდა, აქედან 12 — კავკასიური) შესაძლებლობას აძლევდა, შეესწავლა უძველესი ქვეყნების კულტურა და შეეჯერებინა იგი ქართულთან. მამა-ბატონის თქმით (სხვაგვარად მისთვის არასოდეს მიგვიმართავს), იბერებს „დელტაპლანი" ოდითგან ჰქონდათ. იგი თვალის დახამხამებაში იკვრებოდა სამწყემსო კვერთხებით, რომლებსაც თავსა და ბოლოში კავისებური კაუჭი ჰქონიათ. ამ კვერთხს **ქა**-ს ეძახდნენ. მისი მეშვეობით დიდ მტაცებელსაც კი იოლად უგრეხდნენ კისერს. ქიისგან სამკუთხა, ექვსკუთხა, რვაკუთხა **მარჭიხოლი** (ლაზურად — მერცხალი) იკვრებოდა. კვერთხებით შეკრულ ჩარჩოზე — **მარ**-ზე, თხლად მოთელილი ნაბადი ან აბრეშუმი (აჟრაშუმი) იყო გადაკრული. **შუმი** მეგრულად ნიშნავს სმას, **შუმილი** — ლოთს, ლაზურად კი — გაბედულს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ლოთი (ლოტი) იმ მფრინავს ეწოდებოდა, ვინც ამგვარ კონსტრუქციას მართავდა.



მარჭიხოლი

„პილოტის კომბინეზონის" ამოცნობა არ გაგვიჭირდება „ხორუმის" და „განდაგანას" მოცეკვავის ბანდაჟური ტიპის სამოსში, „ჩაქურაში", რომელსაც უკან, საჯდომზე, მეტად უცნაური, გამობერილი ბალიშის ფორმა, ხოლო სახსრებთან — სამკლავურები და სამუხლეები აქვს დატანებული. ისინი უთუოდ დამჭერის როლს ასრულებდნენ და უზრუნველყოფდნენ „რბილ დაშვებას". ამავე ცეკვის შემსრულებელთა ილეთებშიც პირდაპირ არის ასახული ფრენის და მისი უზრუნველყოფისათვის საჭირო რხევითი მოძრაობები — ბუქნი, გასმა, მხრების რხევა, კოშკის მსგავსი კონსტრუქციის შეკვრა „ხორუმში" სამი მოცეკვავის მიერ მხრებზე შედგომით და სხვ. უძველეს **„აფრანავში"** „მფრინავი" ისე ჯდებოდა, როგორც ფუტკარი ფიჭაში — იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოზარდი ან მჩატე ადამიანი.

— **სხვა ერთა სამოსშიც თუ დარჩა რაიმე მინიშნება?**

— როგორ არა. ბერძნული სამეფო გვარდიის საპატიო ყარაულს, რომელსაც ევზონი ჰქვია, მეტად უცნაური, ტურისტებისათვის სასეიროდ ქცეული, ბალერინას „პაჩკის" მსგავსი ქვედაბოლო აცვია. ასევე ღიმილის მომგვრელია შოტლანდიელთა გოფრირებული „კილტი", ესპანელ გრანდთა უზარმაზარი ქაბოები და ბოლოს, ცირკის კლოუნთა ტანსაცმელი. იბადება კითხვა, ხომ არ არის ეს უძველესი დაკეცილი პარაშუტი? ასეა, — იცინოდა მამა, — ცირკშიც უხვად არის „მფრინავი ცივილიზაციის" ნაშთებიო.

— **რა იყო მიზეზი, რომ აღნიშნული კონსტრუქციის შესახებ დღემდე არავინ არაფერი იცის?**

— „სეკრეტომანია" (თუმცა ფრენა ყოველთვის სამხედრო საიდუმლოება იყო) და კიდევ ის, რომ აღნიშნულ კონსტრუქციას ისრაელის სახელმწიფოს დროშაზე გამოხატული სიმბოლოს ფორმა ჰქონდა, რომელსაც იმ დროს აზვირთებული ანტისიონისტური ტალღის გამო, ისეთივე ამრეზით უყურებდნენ, როგორც სვასტიკას თუ დოლარის ნიშანს. არადა „მაგენდავითი" ანუ დავითის ვარსკვლავი ქართველთათვის სულაც არ არის უცხო — იგი დღესაც ამშვენებს ჩვენი მღვდელმსახურების წმინდა სამოსს ზურგის მხარეს, ბეჭებზე...

რაც შეეხება „მარჭიხოლს" ანუ „აფრანავს", მას ფარდა II მსოფლიო ომმა ახადა — კაპიტონ ნაჭყებიამ პირველივე წუთებიდან დაიწყო მისი გამოცდა და დანერგვა — კავკასიონი ისევ დასაცავი იყო. იგი შეუვალ ციხესიმაგრედ უნდა ქცეულიყო. იქმნებოდა ეგერთა კორპუსი, ალპურ რაზმებში ეწერებოდნენ სტუდენტები, მასწავლებლები, კავკასიონის უმაღლეს წერტილებში ეწყობოდა „ДОТ"-ები (Долговременная огневая точка). იქ მყოფ მსროლელს კი, თუ მტერი აღმოაჩენდა, „მარჭიხოლის" მსგავსი „აფრანავი" უთუოდ გამოადგებოდა და, თვითმხილველთა თქმით, გამოადგათ კიდეც.

**„აფრანავი"** ბამბუკისა და მწვანე აბრეშუმის „პლაშჩპალატკისგან" დამზადდა. იგი გამოსცადეს კავკასიონის მსგავს გარემოში, ბაკურიანში — ტრამპლინის მიდამოებში, სპეცდანიშნულების ალპური რაზმების მოსამზადებელი სკოლის ბაზაში. ზაფხული იყო, ამიტომ თოვლის მაგივრობა თივამ გასწია, რომელზეც 12 წლამდე ასაკის ბაკურიანელი ბიჭები ჩამოსრიალდნენ. მათ შორის იყო შემდგომში ცნობილი მოთხილამურე მიშა გავა.

„მარჭიხოლით" ფრენის ცდები ომის შემდგომაც გრძელდებოდა ჯერ ყაზბეგში (1947 წ.), შემდეგ თბილისში (1949 წ.), ყოფილი ველოტრეკის ტერიტორიაზე. მას ოლქის მთავარსარდლობა ესწრებოდა არმიის გენერალ ტიულენევის მეთაურობით. მათი მიზანი იყო „აფრანაოსნობის" სპორტულ სამხედრო-გამოყენებით დარგად ჩამოყალიბება. საოჯახო არქივში ამის დამადასტურებელი ფოტოებიც მაქვს, რომლებიც თავად გადავიღე „არალეგალურად": გენერალი ტიულენევი და სამხედრო მფრინავთა უმაღლესი ეშელონის ელიტა თვალყურს ადევნებენ „ქართული „დელტაპლანის" გამოცდას, რომელსაც რუსებმა „ლასტოჩკა" დაარქვეს.

იმავე დროს ყაზბეგში მიმდინარეობდა შეჯიბრი ცხენბურთში. ფოტოზე მკაფიოდ მოჩანს ქარის მიმართულების გასარკვევად აშვებული ფრანი, ხალხი მთისკენ იყურება, საიდანაც ის-ისაა დაეშვა კაპიტონ ნაჭყებიას ძმობილის, ხევისბერ აკია არაბულის 10 წლის ვაჟი, რომელსაც მიჰყვა მისი ხნის ჭინჭარაული.

— **„დედამოსკოვი" როგორ უყურებდა ქართველების ფრენას?**

— ვიდრე კრემლში „ჩვენი კაცი" გვყავდა, დადებითად. ერთ-ერთ ფოტოზე სწორედ ის მომენტია ასახული, როდესაც მოსკოვში, „სტანცია პლანერნაიაზე" მარშალმა ბუდიონმა მოიწონა და მწვანე შუქი მისცა ამ წამოწყებას. თუმცა... ეს „მწვანე შუქი" მხოლოდ სტალინის გარდაცვალებამდე უნათებდა მას გზას. „პლანერნაიაზე" ცდების დროს თავი ისახელა ლეგენდარული ცხენოსნის, ცეკვე ძიძიგურის 15 წლის ვაჟმა მურიკო ძიძიგურმა და ეს დაუფასდა კიდეც — სტალინის ვაჟმა, ვასილმა იგი ეიზენჰაუერის მიერ ნაჩუქარი ამერიკული ბომბდამშენის საჭესთან დასვა.

სახელმწიფოს სათავეში ხრუშჩოვის მოსვლამ ყველაფერს ტაბუ დაადო და უკვე მცირე ზომის მოდელების აგებით „ვიქცევდით თავს" — ნატურალური ზომის რვაქიმიანი „მარჭიხოლიც" კი დავამზადეთ, მაგრამ...

— **ფრენის მსურველი ვერ ნახეთ?**

— ფრენის მსურველს რა დალევდა?! ნება არ მოგვცეს. 60-იან წლებში, მამაჩემის თხოვნით, ცდები ტარდებოდა სვანეთშიც, სოფელ იფარში. მასში მონაწილეობდნენ ეთნოგრაფები: რუსუდან ხარაძე და ალექსი რობაქიძე. ჩვენ სვანური კოშკის სახურავიდან გავუშვით 40 კგ ტვირთით დატვირთული ფრანი, რომელმაც კარგა მანძილზე იფრინა და ხევში მშვიდობიანად დაეშვა. მამაჩემის აზრით, სვანური კოშკი არა მხოლოდ სამხედრო-საფორტიფიკაციო და ბუნებრივი კატაკლიზმებისგან დამცველი დიდებული საინჟინრო ნაგებობა იყო, არამედ მას უდიდესი სულიერი ღირებულებაც გააჩნდა და მრავალ საიდუმლოს შეიცავდა. ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა, ერთი კი მაინც მინდა აღვნიშნო, უძველეს დროში მტრის შემოსევების დროს სვანური კოშკიდან ფრანის საშუალებით სულიერი მოძღვრის (ანუ როგორც მას უწოდებენ — დადუს) გადარჩენაც ხდებოდა.

ზემოთ ნახსენები მეცნიერები მამას კოლხური ცხენოსნობის აღდგენაშიც დაეხმარნენ. ასე მივიღეთ: ისინდი, ცხენბურთი, თარჩია, ჩოგანბურთი... ამ უკანასკნელში სწორედ ზემოთ ნახსენებ ქიას იყენებენ. უძველესი სემაფორული (პირობითი ნიშნებით საუბარი) ენის, ანუ ჩოგნურის (იგივე ჯოგნური — მას წინათ მეჯოგეები იყენებდნენ საურთიერთობოდ) მეშვეობით დიდ დისტანციაზე მთიდან მთაზე ხდებოდა ინფორმაციის უსწრაფესი გადაცემა, რასაც უთუოდ სამხედრო მიზნითაც იყენებდნენ. მისი ფორმა ქართულ ასოთა მოყვანილობაშიცაა დარჩენილი — ესაა ასო „ქ-ანი" და „ჭ-არი". ქიას კავკასიაშიც იყენებდნენ. მას ქვევიდან ნაბადს აკრავდნენ, რითაც სამკუთხა დელტაპლანის ფორმას იღებდა და ცხენიდან საკმაო მანძილზე აზიდავდა მხედარს. ნაბდით ფრენაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

— **საკითხავია, ქართულ კულტურაში რატომ არ აისახა მითი მფრინავ ქართველზე?**

— ცეკვის ჯადოქარი ვახტანგ ჭაბუკიანი აპირებდა ამგვარი დელტაპლანის მეშვეობით ნახტომის შესრულებას „სინათლესა" და „გორდაში", მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მწვანე შუქი უკვე ბჟუტავდა და მისი ჩაქრობით ბევრი ეროვნული იდეა და წამოწყება დასამარდა.

გენიალური ქორეოგრაფები — ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილიც, რომლებიც მამაჩემის მიერ თეირანში, „დიდი სამეულის" შეხვედრის შემდეგ მოწყობილ ქართული კულტურის ზეიმში მონაწილეობდნენ, კარგად იცნობდნენ მის ნააზრევს და თავიანთ ქორეოგრაფიულ სიუჟეტებში იყენებდნენ კიდეც — სწორედ ნაბდით გადმოუფრინდება ცეკვა „შეჯიბრში" ვაჟი ქალს წყაროსთან, „ხორუმში" კი, მოგეხსენებათ, თითქმის სრულადაა აღდგენილი ის გმირული სულისკვეთება, რომელიც ამ სამოსში გამოწყობილ მებრძოლებს უნდა ჰქონოდათ. სხვათა შორის, რეჟისორი დავით რონდელი, რომელიც მამას გიმნაზიის მეგობარი იყო, ფილმ „მამლუქში" აპირებდა ამ ტრიუკის გამოყენებას, მაგრამ ნება არ დართეს. ფილმის უმეტესი ნაწილი სწორედ თბილისის ჰიპოდრომზეა გადაღებული, სადაც რეჟისორმა უხვად გამოიყენა მამაჩემის მიერ აღდგენილი ძველი ცხენოსნური თამაშები.



ყაზბეგი. 1946 წ. ქარის მიმართულების გასარკვევად გაშვებული ფრანი

კაპიტონ ნაჭყებიას საყვარელი გამოთქმა იყო — ცხენზე, ქართველო, ცხენზე! ჩვენ წმინდა გიორგის ქვეყანაში ვცხოვრობთ და მხედრები უნდა ვიყოთ და არა სახედრებიო.

— **მაშ, ვიფრენთ ისევ ქართველები?**

— რასაკვირველია, „აფრენას" ფრენა არ ჯობია?!

*ქეთევან გურიელი*


# მთავარია, გადადგათ პირველი ნაბიჯი...

უროლოგია მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. პაციენტები, რომელთაც უროლოგიური დაავადებები აწუხებთ, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საერთო რიცხვიდან 38%-ს შეადგენენ.

წინამდებარე ჯირკვალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა მამაკაცის ორგანიზმში. პროსტატა ზომით მცირე, მაგრამ კოლოსალური მნიშვნელობის ორგანოს წარმოადგენს. ის მრავალ სასიცოცხლო პროცესში მონაწილეობს. მასში მიმდინარე ცვლილებები გავლენას ახდენს სპერმატოზოიდების წარმოქმნაზე, ლიბიდოსა და პოტენციაზე. ამგვარი ცვლილებები მეტად მტკივნეულად აღიქმება მამაკაცის მხრიდან და დამანგრეველად მოქმედებს ფსიქიკაზე. ხშირია დეპრესიები, ნევროზები, თვითმკვლელობის მცდელობა.

რა ფაქტორები იწვევს დარღვევებს წინამდებარე ჯირკვალში:

რისკის ფაქტორს წარმოადგენენ ისეთი დაავადებები, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი, სისტემური დაავადებები, ტუბერკულოზი, სისხლძარღვთა ცვლილებები, ამიტომ პროსტატიტის მკურნალობა აუცილებლად უნდა იყოს კომპლექსური. აბსოლუტურად მცდარია მხოლოდ პროსტატიტის მკურნალობა და მისი გამომწვევი მიზეზების იგნორირება.

ანთება ხშირად იწვევს ცვლილებებს წინამდებარე ჯირკვალში. პროსტატის გამომწვევია სხვადასხვაგვარი პათოგენური მიკროორგანიზმები. ეს გართულება საერთო რიცხვიდან თითქმის 28%-ია. სადღეისოდ პროსტატიტის უმნიშვნელოვანესი მიზეზია ქლამიდიოზით დასნებოვნება. ქლამიდიოზი აზიანებს არა მარტო წინამდებარე ჯირკვალს, არამედ ყველა ორგანოს და სისტემას, განსაკუთრებით სახსრებს. ქლამიდიოზით ავადდებიან ქალებიც და ბავშვებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ანტიბიოტიკური მკურნალობა ადრეულ სტადიაში არ არის საკმარისი, ვინაიდან ჩვენ არა მარტო ცვლილებების კორეგირებას ვახდენთ ჯირკვალში, არამედ საჭიროა პაციენტის იმუნური სისტემის ნორმაში დაბრუნება. აქედან გამომდინარე, ორგანიზმს ეძლევა საშუალება, თვითონ მიიღოს მონაწილეობა ანთებითი პროცესის ალაგმვაში.

რაც უფრო ადრეულ სტადიაზეა გამოვლენილი ცვლილებები ორგანოში, მით უფრო იოლი და სწრაფია მისი აღდგენის პროცესი. ამიტომ, ყოველმა მამაკაცმა 40 წლის ზევით, ერთხელ აუცილებლად უნდა ჩაიტაროს კომპლექსური უროლოგიურ-სექსოლოგიური გამოკვლევა პათოლოგიის გამოკვლევის მიზნით ადრეულ სტადიაზე.

ჩვენს კლინიკაში დიდი გამოცდილება გვაქვს წინამდებარე ჯირკვლის მკურნალობასა და მასთან დაკავშირებული დარღვევების გამოვლენაში. მკურნალობა მიმართულია არა მარტო ადგილობრივი პათოლოგიისაკენ, არამედ ორგანიზმის საერთო ჯანმრთელობაზე. კლინიკაში ფართოდ გამოიყენება მაგნიტო-ლაზერული მეთოდი, კვანტური თერაპია, მედიკამენტოზური მკურნალობა ურთულეს მკვდარი ზღვის უნიკალური პრეპარატები, რომლებიც იძლევიან საშუალებას, ზემოქმედება მოვახდინოთ ადამიანის ორგანიზმზე კომპლექსურად, მოვახდინოთ ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზება, ჩავატაროთ დეზინტოქსიკაცია, აღვადგინოთ პაციენტის იმუნური სტატუსი და დავეხმაროთ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში. მკურნალობის პროგრამა ირჩევა ინდივიდუალურად, რაც გვაძლევს საშუალებას მაღალი მაჩვენებლებისა ამ დაავადების მკურნალობაში.

ამგვარად, როგორც ჩვენი გამოცდილება აჩვენებს, წინამდებარე ჯირკვლის და მასთან დაკავშირებული გართულებების მკურნალობა უნდა იყოს დროული, კომპლექსური და ინდივიდუალური. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს კლინიკაში მკურნალობის დადებითი რეზულტატი 95%-ს აღწევს, რაც უდავოდ მაღალი მაჩვენებელია.

„ექიმი გილის" სამედიცინო ცენტრში იციან ძლიერი სქესის სუსტი მხარეები. ამიტომ ქურადღებით ეკიდებიან ყველას, ვისაც დახმარება ესაჭიროება.

ბედნიერებისა და ჰარმონიის მისაღწევად არც ისე ბევრია საჭირო მთავარია გადადგათ პირველი ნაბიჯი...

სამედიცინო ცენტრი

"ექიმი გილი"

☏: 29-05-25 25-27-09

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**მყავს 80 წლის დედა, რომელსაც გამუდმებით აქვს კანის ქავილი. იქნებ ამიხსნათ, რით შეიძლება იყოს ეს გამოწვეული და როგორ შევუმსუბუქო მოხუცს მდგომარეობა?**

*ნაილი ქარდავა*

კანის თითქმის ყველა დაავადებას თან ახლავს ქავილი, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევაში მკურნალობის განსხვავებული მეთოდები გამოიყენება. მოხუცი უპირველეს ყოვლისა უნდა ნახოს დერმატოლოგმა (კანის ექიმმა). გაუკეთდეს სათანადო ანალიზები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, ვისაუბროთ ქავილის მიზეზებზე. თუმცა, კანის დაავადების გარდა, ქავილის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს: კლიმატური ფაქტორი (სითბური ქავილი), ალერგიები, შაქრიანი დიაბეტი და სხვა.

შესაძლებელია, მოცემულ შემთხვევაში საუბარია მოხუცებულთა ქავილზე. ასაკოვან ადამიანებს უსუსტდებათ ფერმენტული სისტემა და ჩნდება ბევრი მეტაბოლიტი (ცხოველმოქმედების პროდუქტი), რომელიც ბუნებრივად უნდა გამოიყოს ორგანიზმიდან, მაგრამ, რაც უფრო მოხუცია ადამიანი, მით ნელა ხდება მეტაბოლიტების გამოყოფის პროცესი, ხოლო ზოგჯერ — საერთოდ არ გამოიყოფა და მაშინ ტოქსინები (შხამები) გროვდება, გადადის სისხლში, აღიზიანებს ნერვულ დაბოლოებებს და იწვევს კანის ქავილს.

თუ მიზეზი მართლაც ესაა, მაშინ ორგანიზმს დახმარება ესაჭიროება. მოხუცმა უნდა მიიღოს ფერმენტები (ფესტალი ან სხვა), რომლებიც აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. აგრეთვე — სორბენტები (აქტივირებული ნახშირი), რომელიც წმენდს სისხლს. გარეგანი ხმარებისთვის რეკომენდებულია საცხი „აურობინი".

მაგრამ მკურნალობა უნდა დანიშნოს ექიმმა, რადგან თვითდიაგნოსტირების დროს ადვილია შეცდომის დაშვება. მაგალითად, მოხუცებულთა ქავილი ძალიან ჰგავს დიურინგის დერმატიტს, რომლის მკურნალობის ტაქტიკაც სრულიად განსხვავებულია.

**სიმსუქნის მკურნალობის დროს ცოტა ხნის წინ ოყნებით ორგანიზმის გამორეცხვა გამოიყენებოდა. ახლახანს ვიყავი დიეტოლოგთან, რომელმაც მითხრა, რომ ეს მეთოდი ახლა აღარ გამოიყენება. გთხოვთ, ამიხსნათ, რატომ უარყვეს დღეისათვის აღნიშნული მეთოდი?**

*თქვენი ერთგული მკითხველი*

გასტროენტეროლოგები თვლიან, რომ გამწმენდი ოყნის რეგულარული გამოყენება გაუმართლებელია და ავადმყოფისათვის ზიანის მოტანაც კი შეუძლია, რადგან ორგანიზმისათვის სასარგებლო მიკროორგანიზმთა უმრავლესობა მსხვილ ნაწლავში ბინადრობს. თუ ოყნით გამოვრეცხავთ მთელ მიკროფლორას, შემდეგ დიდხანს მოგვიწევს მის აღდგენაზე ზრუნვა. ნაწლავური მიკროფლორის დარღვევამ შესაძლოა, იმუნური სისტემის აქტიურობის დაქვეითება და ვიტამინური ცვლის დარღვევა გამოიწვიოს. მათ საყურადღებოდ კი, ვისაც ქრონიკული ყაბზობა (შეკრულობა) აწუხებს, ვიტყვით, რომ თუ ორგანიზმს მიაჩვევთ ოყნებს, ვერავითარი საფაღარათო საშუალება ველარ დაგეხმარებათ ნაწლავის ნორმალური მუშაობის აღდგენაში.

ამდენად, დიეტოლოგის რეკომენდაცია სავსებით მართებულია და ყური უგდეთ მის მითითებებს.

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

## ბალი — სისხლივით წითელი...

დიდხანს მიიჩნევდნენ, რომ ბალი კვებითი და სამკურნალო თვისებებით ჩამორჩება სხვა ხილს. სინამდვილეში კი, მასში ძალიან ბევრი კალიუმია, რის წყალობითაც ის უებარი შარდმდენია, გარდა ამისა, შეიცავს პროვიტამინ A-ს, C და B ჯგუფის ვიტამინებს, ნიკოტინის მჟავას, სპილენძს, თუთიას, კობალტს, კალციუმს, რკინასა და მანგანუმს, ორგანულ მჟავებს. ბალი შეიძლება ჭამონ მათაც კი, ვისაც კუჭის წყლული აწუხებთ. ბლის არჩევისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მუქი ფერისას, რადგან ის უფრო მდიდარია მცენარეული პიგმენტებით, რომელიც ამაგრებს სისხლძარღვებს, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, გარდა ამისა, მასში შემავალი უჯრედისები აუმჯობესებს და აწესრიგებს ნაწლავების მიკროფლორას. ბლის ყუნწის ნახარში შველის სახსრების ტკივილს. რეკომენდებულია მივიღოთ დღეში 0,5 ლ ნახარში. ბალი ზოგად გამაჯანსაღებელი და მასტიმულირებელი საშუალებაა.

*მედიცინა*

## ბარ-ნიჩაბი შესანიშნავი ტრენაჟორია

მეცნიერები ცდილობენ გაიგონ, როგორ ხდება, რომ ის ხალხი, ვინც შრომობს თავის ნაკვეთებში, იუმჯობესებენ ჯანმრთელობას. გამოკვლევებმა დაამტკიცა ბაღის თერაპიის ფენომენის არსებობა და ახლა უკვე ზოგი ექიმი თავის პაციენტს უწერს მიწაზე მუშაობის კურსს, რომლის შემდეგაც მწყობრში დგება წნევა და ქრება ქრონიკული სნეულებები.

გამოკვლევების პირველ სტადიებშივე გაირკვა, რომ მიწასთან ხშირად შეხებას მეტი სიკეთე მოაქვს ორგანიზმისთვის, ვიდრე ყველანაირ ტრენაჟორს. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს ევროპაში მებაღეობა ყველაზე პოპულარული ჰობი გახდა, რომლითაც გატაცებულია ათობით მილიონი ადამიანი, ხოლო ის ტელეგადაცემები, რომელიც მიეძღვნა მებაღეობას, რეიტინგში პირველი ადგილზეა.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ბრიტანეთის საავადმყოფოებში გამოიყენებოდა მკურნალობის კურსი ბაღჩაში, ამას ძალიან დადებითი შედეგი ჰქონდა ფსიქიკურად დაავადებულთა სამკურნალოდ.



უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით ეფექტურია ყვავილების მოვლა-მოშენება და ბოსტნეული კულტურების დარგვა. ვარაუდობენ, რომ მიწასთან და მცენარეებთან შეხება ადამიანს ენერგიით კვებავს.

*ჩასტნაია ჟიზნ №9*




სისხლში შაქრის საზომი აპარატები
სერტიფიცირებულია
სიახლე!!!
კომპლექტი:
აპარატი: 50ც. ტესტ-ჩხირი: ავტოკალამი.
159 ლარად + 25ც. ტესტ-ჩხირი საჩუქრად!
მას „კონტრასტი", ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ენდოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმ-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ნატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აპათია და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


**ხშირად შეხვდებით მეტისმეტად ვიწრო შარვალში გამოკვართულ გოგონებს, რომელთაც სუნთქვაც კი უჭირთ, თან გატაცებით უსმენენ ფლეიერით მუსიკას. მაინტერესებს, ხომ არ არის მავნე ყოველივე ეს?**

*ზეინაბ ირმისელი*

მსოფლიო მოდას არც საქართველო ჩამორჩება. სხვათა კვალდაკვალ, ჩვენმა გოგონებმა ძლიერ შემოტმასნილი, რამდენიმე ზომით პატარა ჯინსის შარვლები ჩაიცვეს. მოდელიერები მათ „მადისციპლინელებს" ეძახიან, რადგან რეგულარული წონის მატარებელი მოდელები თითოეული გრამის მომატებას შარვლის შეკვრის გაძნელების მიხედვით დაუყოვნებლივ გრძნობენ. მაგრამ გამოსავალი არსებობს და ეს ჩვენმა გოგონებმაც კარგად იციან — ტემპერატურის მომატებასაც იწვევს.

გარემო უამრავი სხვადასხვა ტონალობის, სიხშირის, ჟღერადობის ხმითაა სავსე. ადამიანს მხოლოდ გარკვეულ ბგერათა აღქმა შეუძლია. არსებობენ ადამიანები, რომლებიც დაბადებიდანვე მოკლებულნი არიან სამყაროს მოსმენის შესაძლებლობას, რადგან სამშობიარო ტრავმამ, ორსულობის დროს დედის გადატანილმა ვირუსულმა ინფექციამ ან რამე ნივთიერების ინტოქსიკაციამ მათი სასმენი აპარატი სამუდამოდ დააზიანა. შეიძლება ჯანმრთელი, ნორმალური სმენის ადამიანიც დაყრუვდეს სხვადასხვა ასაკში. მიზეზი აქაც საკმაოდ ბევრია. მწვავე ქრონიკული ოტიტი (შუა ყურის ანთება), მენინგიტი, ზოგიერთი ინფექციური დაავადება, მედიკამენტები (გენტამიცინი), მექანიკური ტრავმა და სხვ. ხშირად სიყრუე ასაკთან ერთადაც მოდის, მაგრამ მისი ერთ-ერთი გამომწვევი, რისი თავიდან აცილებაც ყველაზე ადვილია, ძლიერი ხმაურია.

## ჯინსი, „ჯიბის მუსიკა" და... ჯანმრთელობა



„ჯიუტი" შესაკრავის დამორჩილება მწოლიარე მდგომარეობაში. მართალია, ფეხზე მდგომთ, შეიძლება თვალთ დაგიბნელდეთ, მაგრამ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს. ყველას ხიბლავთ აღნაგობით. მხოლოდ ეგ არის — გაწუხებთ ყრუ ტკივილი მუცლის არეში. თუ რამდენიმე კვირის შემდეგ ტკივილი გაძლიერდა და გამონადენიც გაქვთ, შეიძლება მხოლოდ მაშინ დაუკავშიროთ მსგავსი მოვლენები შემოჭერილ შარვალს.

ძლიერ მოჭერილი შარვლით გოგონები მენჯსა და ბარძაყებს „ბოჭავენ". ეს კი განსკუთრებით გარდატეხის ასაკშია საზიანო, რადგან ამ დროს ქალის მენჯის ფორმირება ხდება, რომელიც, ბუნებრივი დანიშნულებით, ნაყოფის ტარებისა და მშობიარობისთვისაა განკუთვნილი, როდესაც მენჯს მსგავს „ყალიბში" სვამენ, მას თავისი კოდირებული ზომების მიღწევა უჭირს, ხოლო ვიწრო მენჯის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ფიზიოლოგიური მშობიარობა შეუძლებელი ხდება და მხოლოდ ოპერაციული ჩარევა — საკეისრო კვეთაა გამოსავალი.

...ზოგჯერ ყრუ ტკივილს მუცლიდან ბგერების გამოცემა ემატება, რამაც თავმოყვარე გოგონა შეიძლება უხერხულობაში ჩააგდოს.. შემდეგ მეტეორიზმიც ვითარდება, რასაც კუჭის მოქმედების დარღვევები და კოლიტის სიმპტომები მოჰყვება. გოგონებს გაკვეთილებზე დიდხანს უწევთ ჯდომა, რაც მუცლის ღრუსა და მცირე ზომის მენჯის ორგანოებში (შარდის ბუშტი, სწორი ნაწლავი, საშვილოსნო) შეგუბებებს იწვევს.

თავის საქმეს ღრმა და მსხვილი ნაკერებიც „აკეთებს". თუ ჯიბის ზომა რამდენიმე სმ-ით მცირეა მენჯის მოცულობაზე, ნაკერები პირდაპირ იჭრება სხეულში და გადახეხილ კანში ინფექციაც ადვილად აღწევს. სხეულში ჩამჯდარ ნაკერებს გარეთა სასქესო ორგანოების ანთების გამოწვევა შეუძლია (მისი სიმპტომებია — გარეთა სასქესო ორგანოების ტკივილი, წვა, შეშუპება), რაც ზოგჯერ სხეულის

ხმაურით გამოწვეულ სმენა დაქვეითებულთა რიცხვს ამ ბოლო ხანებში მელომანებიც მიემატნენ. სასმენი აპარატი ძალიან ფაქიზი ორგანოა, სასმენი ნერვი კი, ყველაზე ნატიფი წარმონაქმნია ამ სისტემაში. ძლიერი ბგერა კი, მას თანდათანობით არღვევს და სმენაც ნელ-ნელა ქვეითდება. დაზიანებული ნერვის აღდგენა ქირურგიული გზით თითქმის შეუძლებელია.

ძლიერი ხმაური სმენის გარდა ნერვულ სისტემასაც აზიანებს. ადამიანს უქვეითდება განწყობილება, მუშაობის უნარი, ტანჯავს უძილობა და ნევროზის სხვა დამახასიათებელი ნიშნები. სმენისთვის ძალიან საშიშია მუსიკის ყურსასმენები. განსაკუთრებით, თუ ადამიანი მუსიკის მაღალ ხმაზე მოსმენის და მით უმეტეს, როკის მოყვარულია. სასმენი აპარატურის სპეციალისტთა მონაცემებით, ფლეიერის ხმას შეუძლია 114 დეციბალს მიაღწიოს, როცა დისკოთეკებზე იგი 80-100 დეციბალის ფარგლებშია. შედარებისთვის — სამჭედლო საამქროში ხმაური 90-100 დეციბალს არ აღემატება.

განსაკუთრებით საფრთხილოა მუსიკის მოსმენა ნებისმიერ ტრანსპორტში და თან სალეჭი რეზინის ღეჭვა, რადგან მგზავრობისას მუსიკის ვიბრაციას ტრანსპორტის ვიბრაციაც ერთვის, ღეჭვითი მოძრაობისას კი, ევსტახის მილი (რომელიც შუა ყურს ხახასთან აერთებს) განუწყვეტლივ იხურება და იხსნება, რაც სმენის ნერვს აზიანებს.

*მაია მუხიგული*


სამედიცინო ცენტრი „მედი"
MEDI
ნაოჭების გასწორება
ჭუჭის კორექცია
მკერდის გადიდება
სახის კანის გაახალგაზრდავება
ლიპოსაქცია
ბლეფაროპლასტიკა
ეპილაცია
თმის გადანერგვა
კონტურული მაკიაჟი

ულტრაბგერითი ლიპოსაქცია
სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
უმტკივნეულოდ
საუკეთესო მეთოდებით







ელ. ყაზბეგის გამზ №1 ტელ: 25 02 02 93 89 75
ელ. ფოსტა: meditb@gol.ge

## ფედერაციული მოლდოვა?

კიშინიოვში გამოქვეყნდა მოლდოვის რესპუბლიკის ფედერაციული მოწყობის პროექტი, რომელიც შეიმუშავეს ეუთოს, რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლებმა — ისინი არიან დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოწესრიგების გარანტები. მოლდოვის პარლამენტის წევრთა უმეტესობამ მოიწონა პროექტი, მაგრამ ლიბერალური პარტიის ვიცე-თავმჯდომარემ ა. ცერანუმ განაცხადა, — კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის კონფლიქტის მოგვარების პროექტი ფედერაციული მოწყობის პრინციპს ემყარება, იგი რუსეთის ინტერესებს ემსახურება და მოლდოვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს ძირს უთხრისო.

კიევში შემუშავებული პროექტის თანახმად, კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის შესაძლო მორიგების შემდეგ, მოლდოვა ფედერაციული რესპუბლიკა გახდება, რომელშიც შევა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები (დნესტრისპირეთი, გაგაუზეთი, შესაძლოა ტარაკლიის რაიონიც, სადაც ბულგარელები ჭარბობენ). თითოეული იხელმძღვანელებს საკუთარი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს მათდამი თანაბარი დამოკიდებულება ექნებათ. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად გამოცხადდება მოლდოვური, დამწერლობად გამოიყენებენ ლათინურ შრიფტს, მაგრამ ფედერაციის ყოველ სუბიექტს უფლება აქვს საკუთარი ენა ოფიციალურთან ერთად დამატებით საურთიერთობო საშუალებად გამოაცხადოს. კიშინიოვის კომპეტენციაში დარჩება საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, თავდაცვის პრობლემები. ახალი პროექტის განხორციელებას მოლდოვის რესპუბლიკის ახლანდელ კონსტიტუციაში შესწორებები მოჰყვება, მაგრამ დნესტრისპირეთს კვლავ ექნება არჩევანის თავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ მოლდოვა რუმინეთთან შეერთებას მოინდომებს.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი* **№27**

## პრეზიდენტი ერზე ზრუნავს

ბოლო ხანს სამხრეთ კორეის ადმინისტრაციისა და მთავრობის ავტორიტეტი მეტისმეტად შელახა პრეზიდენტ კიმ დე ჯუნის



ვაჟებთან დაკავშირებულმა კორუფციულმა და პოლიტიკური ხასიათის სკანდალებმა. პრეზიდენტმა მთავრობის შეცვლა გადაწყვიტა. თანამდებობები დატოვა ექვსმა მინისტრმა და პრემიერმა ლი ჰან დონმა. მის ადგილზე დაინიშნა ქალბატონი ჩან სანი. სამხრეთ კორეის მთავრობის მეთაური პირველად გახდა ქალი. პრემიერი არ არის „ახალი ათასწლეულის მმართველი დემოკრატიული პარტიის" წევრი. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ პრეზიდენტმა გადაწყვიტა, მთავრობა ნეიტრალურ პოლიტიკურ სტრუქტურად აქციოს. მას მეორედ პრეზიდენტად არჩევის შანსი აღარ აქვს, მაგრამ სურს 48-მილიონიან ერს დაუტოვოს მოუსყიდველი პროფესიონალებისაგან შემდგარი ხელისუფლება.

*იზვესტია* **№124**

## პარაგვაი მეტისმეტად აღელვებულია

პარაგვაიში დაძაბულობა კიდევ უფრო გაამძაფრა საგანგებო მდგომარეობის შემოღებამ. ქვეყნის პრეზიდენტმა ლუის გონსალეს მაკიმ განაცხადა, — ამ ნაბიჯის გადადგმა დემონსტრანტებისა და პოლიციის გაუთავებელმა შეტაკებებმა გადაგვაწყვეტინაო. პარაგვაის დედაქალაქის ქუჩებში პოლიციის დამატებითი ძალები შეიყვანეს. ამასთან პრეზიდენტმა ბრძანება გასცა, — დემონსტრანტების დაშლისას უფრო მკაცრად იმოქმედეთო. პრეზიდენტ მაკის მთავრობა აცხადებს, — ქვეყანაში არეულობის თავიდათავია ბრაზილიაში გაქცეული გენერალი ლინო ოვიედოო. 1999 წელს ოვიედო იძულებული იყო, პარაგვაი დაეტოვებინა, რადგან ბრალად დაედო საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი მეტოქის, ლუის მარია არგანას მკვლელობა. ამასთან დაკავშირებულმა მასობრივმა გამოსვლებმა აიძულეს პარაგვაის იმჟამინდელი პრეზიდენტი, რომელიც მფარველობდა გენერალ ოვიედოს, გადამდგარიყო. მის ადგილზე სენატის თავკაცი ლუის გონსალეს მაკი დაინიშნა.

ახლა მანიფესტანტები მის გადადგომასაც ითხოვენ, რადგან მიაჩნიათ, რომ პარაგვაის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მაკის პრეზიდენტობის დროს კიდევ უფრო დამძიმდა.

*ნოვაია გაზეტა* **№29**

## ტყვია პრეზიდენტისთვის



საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულზე ქვეყნის პრეზიდენტი კინაღამ ტყვიის წერა გახდა. თავდასხმა მოხდა დილის ათ საათზე, როცა სამხედრო აღლუმის დროს ჟაკ შირაკის მანქანა შარლ დე გოლის მოედანზე მიემართებოდა. მოკლედ თმაშეკრეჭილმა, ლურჯქურთუკიანმა ახალგაზრდამ, რომელიც ხალხში იდგა, გიტარის შალითაში ჩამალული სანადირო თოფი ამოაძრო და ესროლა პრეზიდენტს, მაგრამ ზუსტად ვერ დაუმიზნა, რადგან ხელი მაყურებლებმა შეუშალეს.

— როცა შირაკის მანქანა გამისწორდა, ჩემს ახლოს, ორ-სამ მეტრში მდგომმა ახალგაზრდა კაცმა პრეზიდენტს თოფი დაუმიზნა. მას მეზობელმა ხელზე დაარტყა და სროლაც გაისმა, — განუცხადა პოლიციას კანადელმა ტურისტმა, რომელიც შვილებთან ერთად იყო მისული პარადის სანახავად.

პოლიციელები ეცნენ ტერორისტს. შემთხ-



ვევის ადგილზე მაშინვე გაჩნდა პრეზიდენტის დაცვა. ქილერი 25 წლის მაქსიმ ბრუნერი აღმოჩნდა. იგი 1997 წლიდანაა პოლიციაში აღრიცხვაზე, როგორც „აქტიური ნაციონალისტი". საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბრუნერმა პირველსავე დაკითხვაზე თქვა, — შირაკის მოკვლა პოლიტიკური მოტივით მინდოდა, რადგან მან საპრეზიდენტო არჩევნები ლე პენს უპატიოსნო გზით მოუგო. როცა მივხვდი, რომ ვერ მოვახვედრე, თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ ხელი შემიშალესო.

პოლიციას მიაჩნია, რომ ბრუნერი ფსიქიკურად გაუწონასწორებელია. ახლა მასთან ფსიქიატრები მუშაობენ.

რაც შეეხება შირაკს, გასროლა არც გაუგია და პარადი ბოლომდე, პროგრამის თანახმად მიიღო, საღამოს კი მეუღლესთან ერთად ელისეს სასახლეში საზეიმო წვეულებას მასპინძლობდა.

*კომსომოლსკაია პრავდა* **№125**

## ევროპის ცას — შენგენის სივრცე

Ту-154-ის ბოინგთან შეტაკებამ არა მარტო შვეიცარიელი დისპეტჩერების ტრაგიკული შეცდომა გამოავლინა, არამედ ევროპულ საჰაერო კონტროლის სისტემაში არსებული სერიოზული დეფექტებიც. თეორიულად ყველა ქვეყანა ვალდებულია, დაიცვას ე.წ. „ევროკონტროლის" სამსახურის მიერ დაწესებული ნორმები, მაგრამ ხშირად ასე არ ხდება — ყოველი ქვეყანა თავის საჰაერო სივრცეს საკუთარი შეხედულებით მართავს. მაგალითად, საფრანგეთში ფრენა უნდა ხორციელდებოდეს 19.500 ფუტის სიმაღლეზე, გერმანიაში — 24.500 ფუტზე. ამიტომაც თვითმფრინავს უხდება სიმაღლის შეცვლა, რაც, რა თქმა უნდა, აძნელებს მის მანევრირებას. სამოქალაქო ლაინერები იძულებულნი არიან, იფრინონ გადატვირთულ ტრასებზე, რადგან სამხედრო თვითმფრინავებს ეკუთვნის საჰაერო გზების მნიშვნელოვანი ნაწილი. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ ევროპაში საჰაერო ნორმებს კონსენსუსის გზით იღებენ, ამიტომაც იძულებულნი არიან, გაითვალისწინონ ისეთი ჩამორჩენილი ქვეყნების მდგომარეობა, როგორიცაა ალბანეთი ან მოლდოვა. სირთულეს იწვევს საზღვრის გადაკვეთისას ლაინერის გადაცემა ერთი ქვეყნის დისპეტჩერიდან მეორისათვის. მაგალითად, თვითმფრინავი, რომელიც ბელგიიდან მიფრინავს, პარიზის აეროპორტში უკვე ფრანგი დისპეტჩერების მითითებით ჯდება. ყველა ქვეყანა განიცდის კვალიფიციური დისპეტჩერების ნაკლებობას. ექსპერტები მიუთითებენ, რომ აუცილებელია ევროკავშირის ფარგლებში არსებული სივრცის კონტროლის რეორგანიზაცია. პროგნოზის თანახმად, უახლოეს ათ წელიწადში საჰაერო მოძრაობის მოცულობა უნდა გაორმაგდეს და თუ არ იქნება მიღებული კარდინალური ზომები, ამას ცუდი ამბები მოჰყვება. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ევროპის ცა ისევ საზღვრებადაა დაყოფილი მაშინ, როდესაც ეს საზღვრები ხმელეთზე კარგა ხანია აღარ არსებობს. ამდენად, ევროპის ცასაც სჭირდება შენგენის სივრცე.

*ნოვიე იზვესტია* **№149**

## აიათოლას ამბოხი



ირანის ლიბერალი პრეზიდენტის მოჰამედ ხათემისა და კონსერვატორ-ფუნდამენტალისტთა შორის (რომლებსაც ხელთ უპყრიათ ისლამური რესპუბლიკის სადავეები), ბრძოლაში მნიშვნელოვანი შემთხვევა მოხდა, რასაც შორს მიმავალი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. 1979 წლის რევოლუციის შემდეგ ლიბერალურ რეფორმებს პირველად დაუჭირა მხარი ერთ-ერთმა უმაღლესმა სასულიერო პირმა, 76 წლის აიათოლა ჯალალედინ თაჰერიმ. ღია წერილში, რომელმაც განაცვიფრა ქვეყანა, აიათოლამ განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად ტოვებს ისპაანის უმაღლესი იმამის პოსტს. იგი ვერ ეგუება კორუფციას, მექრთამეობას, ღარიბებსა და მდიდრებს შორის არსებულ უფსკრულს, იმას, რომ სასულიერო პირები და კონსერვატორები სულ უფრო მეტად ერევიან სახელმწიფო საქმეებში. იგი ადანაშაულებს ქვეყნის სულიერ ლიდერს აიათოლა ალი ჰამენეის და მის გარემოცვას.

მსგავსი სკანდალი ისლამურ ირანში არასოდეს მომხდარა. ქვეყნის კანონების თანახმად, სულიერი წინამძღოლის საჯარო კრიტიკა სახელმწიფო დანაშაულად ითვლება და სასტიკად ისჯება. აქ კი რა მოხდა — უმაღლეს იმამს ვიღაც ლიბერალური იდეებით გატაცებულმა სტუდენტმა ან თავზეხელაღებულმა ჟურნალისტმა კი არ შეჰბედა, არამედ თავად ირანის რევოლუციის ბელადის იმამ ხომეინის მოწაფემ — მხცოვანმა თაჰერიმ.

რეჟიმის იდეოლოგიური საძირკვლის სადარაჯოსთან მდგომმა აიათოლებმა ყველაფერი იღონეს, რომ იმამ თაჰერის ამბოხი თანამემამულეებს არ შეეტყოთ, მაგრამ მეორე დღესვე მთელმა ირანმა გაიგო წერილის შინაარსი. რაკი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ქალაქის — ისპაანის უმაღლესი იმამი აბობოქრდა, ე.ი. ირანში სერიოზული ცვლილებები იწყება და ისლამისტებს, სულიერი ლიდერის ალი ჰამენეის მეთაურობით, ნელ-ნელა ფეხქვეშ მიწა ეცლებათ.

*შტერნი*

## მოკლედ

**ქაშმირში** მომხდარმა ტერაქტმა კვლავ საფრთხის წინაშე დააყენა მშვიდობა სამხრეთ აზიაში. ინდუისტთა კვარტალზე ისლამისტების თავდასხმას 27 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ორ კვირაზე მეტია, **პერუში** ქარბუქი მძვინვარებს. თოვლის საფარი ზოგან ერთ მეტრს აღწევს. უკანასკნელად მსგავსი კატაკლიზმები აქ 8 წლის წინ მოხდა. ქვეყნიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონები, სადაც 32 ათასი ადამიანი ცხოვრობს. სტიქიას უკვე 18 კაცი ემსხვერპლა. 20-გრადუსიან ყინვას ვერ უძლებენ ცხოველებიც. უბედურების ზონაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

**აშშ**-ის დასავლეთ რაიონებში საშინლად ცხელა, ტემპერატურა 44 გრადუსზე მაღალია. კოლორადოს ტყეები ხანძარმა მოიცვა, ქარმა ცეცხლი მეზობელი არიზონისა და კალიფორნიის ტყეებსაც მოსდო, განადგურდა თითქმის 770.000 ჰა ტყე.

ათმა ადამიანმა მიიღო რადიოაქტიური დასხივება **სამხრეთ კორეის** ერთ-ერთ ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ინციდენტის შედეგად.

ასეთი რამ **რუსეთში** თითქმის 100 წელია არ მომხდარა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურის სახელი პირველად მიენიჭა ერთ-ერთ დიდ სამრეკლოს. ასე რომ, ამიერიდან მორწმუნეებს ეკლესიაში „პუტინის" ზარები მოიხმობენ.

**სამხრეთ აფრიკის** რესპუბლიკის აღმოსავლეთ კაპის მთიანეთში უხვი თოვლი მოვიდა. მაშველები ცდილობენ გზების გაწმენდას, მაგრამ გასაჭირში ჩავარდნილ მოსახლეობას ჯერ ვერაფერს შველიან, გადაუღებლად თოვს.

## იასირ არაფატს დაწინაურებას შპირებენ

აშშ-მა მსოფლიოს ოფიციალურად აცნობა, რომ საბოლოოდ ამბობს უარს იასირ არაფატსა და მის გარემოცვასთან კონტაქტზე. „ვფიქრობთ, პალესტინის ავტონომიას მშვიდობიანი ცხოვრებისთვის ახალი ხელმძღვანელობა სჭირდება", — განაცხადა ჯორჯ ბუშმა ნიუ-იორკში ოთხეულის შეხვედრის წინ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აშშ, რუსეთი, ევროკავშირი და გაერო. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის თქმით, შეხვედრის მონაწილეებს ამერიკამ შესთავაზა შემდეგი ფორმულა: იასირ არაფატს უნდა გამოეძებნოს ისეთი საპატიო თანამდებობა, რომელიც მას ხელისუფლების რეალურ ბერკეტებს ჩამოაშორებს. მაგალითად, დაინიშნოს პრეზიდენტად, მაგრამ უფლებამოსილება პრემიერს გადაეცეს. აშშ-ს კარგად ესმის, რომ იასირ არაფატი ნებით ამ წინადადებას არ დათანხმდება, ამიტომ შეხვედრის მონაწილე არაბულ ქვეყნებს — ეგვიპტეს, იორდანიას და საუდის არაბეთს — სთხოვა შუამავლობა.

ვაშინგტონი ვარაუდობს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი ისრაელთან მხოლოდ პალესტინის ახალი მთავრობის შექმნის შემდეგ შეიძლება განახლდეს და მასში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს არც არაფატმა და არც მისმა გარემოცვამ. ბუშის გეგმის თანახმად, ამ მოლაპარაკებების თემა პირველ რიგში უნდა იყოს „პალესტინის დროებითი სახელმწიფოს" შექმნა ავტონომიის ახლანდელ ფარგლებში. პალესტინის საბოლოო საზღვრების საკითხი და სხვა სადავო პრობლემები (იერუსალიმის სტატუსი, ლტოლვილების დაბრუნება და ა.შ.) შემდგომში უნდა გადაიჭრას. დროებითი სახელმწიფოს შექმნის გეგმას მხარი დაუჭირა ნიუ-იორკის შეხვედრის ყველა მონაწილემ, მაგრამ არაფატის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას მხოლოდ ნაწილი მიემხრო. მაგალითად, შეხვედრაზე გამგზავრების წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ივანოვმა განაცხადა, — არაფატი პალესტინელი ხალხის კანონიერი წარმომადგენელია და მოსკოვი კვლავაც გააგრძელებს მასთან დიალოგსო.

თავის მხრივ, არაფატის მრჩეველმა ნაბილ აბუ რუდეინმა თქვა, — თუ ოთხეული აპირებს მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესის განახლებას, მან ხელი უნდა შეუწყოს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციის შესრულებას, რომლის თანახმად, პალესტინიდან დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაყვანილი ისრაელის ჯარიო.

*ნიუ ზუიქი*

## ესპანეთმა კუნძული დაიბრუნა

ესპანეთმა გაეროსა და ნატოს აცნობა, რომ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა აღადგინეს კონტროლი კუნძულ პერიხილზე.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, მაროკოს მეფე მოჰამედ VI-ის ქორწინების საზეიმო ცერემონიის დროს, 12 მაროკოელი ჯარისკაცი ესპანეთის კუთვნილ დაუსახლებელ კუნძულ პერიხილზე გადავიდა და მაროკოს



ესპანურმა ფრეგატმა მაროკოელებზე „სწორი" შთაბეჭდილება მოახდინა

დროშაააფრიალა. ესპანელები თავს კუნძულის (მაროკოელები მას ლეილას უწოდებენ) პატრონებად XVII საუკუნიდან მიიჩნევენ, თუმცა ოფიციალურად ეს მხოლოდ 1956 წელს გაფორმდა.

სადავო კუნძულიდან მაროკოელთა გასაყრელად ესპანეთმა საჰაერო და საზღვაო სამხედრო ძალები აამოქმედა. ესპანეთის მთავრობის მეთაურმა ხოსე-მარია ასნარმა პირადად აცნობა ესპანეთის მეფე ხუან კარლოსს ოპერაციის პერიპეტიები.

პრობლემის დიპლომატიური გზით მოწესრიგების უშედეგო მცდელობის შემდეგ, ესპანელებმა კუნძულის შტურმით აღების სამხედრო გეგმა შეიმუშავეს. ოპერაციის წინ ესპანეთმა მაროკოდან გამოიხმო თავისი ელჩი. მაროკოელ ჯარისკაცებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ისინი ესპანეთის ქალაქ სეუტეში გადაიყვანეს, პერიხილზე კი ესპანეთის შეიარაღებულ ძალთა ქვედანაყოფები განლაგდნენ.

მაროკომ ეს ამბავი გაეროში გააპროტესტა.

*გაზეტა.რუ*

# რას წარმოადგენს ოფშორი



**მთავარია, ნამდვილი მეპატრონის ვინაობა დაიმალოს, ოფშორულ ფირმებს ძირითადად ჩინოსნები ხსნიან**

ანტიკორუფციული ბიურო სენსაციურ მასალებს აქვეყნებს. საქმე ეხება „ფოთის გემთსაშენის" პრივატიზებას, რომელიც კანცელარიის მაღალი რანგის ჩინოსნებმა უკანონოდ ჩაიგდეს ხელში.

1998 წელს „ფოთის გემთსაშენის" აქციათა 99 პროცენტი მართვის უფლებით გადაეცა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ ფირმა „დარლინგუორთ ლიმითიდს" (ოფშორი ინგლისური სიტყვაა — Offshor და ნიშნავს საზღვრებს გარეთ. იგი ძალიან კარგი საშუალებაა კომპანიისთვის, ისე იმუშაოს, რომ მისი რეალური მეპატრონის ვინაობა მთელ ქვეყანაზე ვერავინ გაიგოს). პრივატიზაციის საკონკურსო კომისიაზეც „დარლინგუორთ ლიმითიდი," აბსოლუტურად თავდაჯერებული წარდგა, როგორც ჩვენთვის კარგად ნაცნობი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო-საფინანსო ჯგუფის, „ჰიუნდაის" შვილობილი კომპანია. მაშინ საქმეც ამით დასრულდა. დღეს უკვე ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი კახა უგულავა გამოთქვამს ეჭვს, რომ „ფოთის გემთსაშენის" აქციათა პაკეტი სხვადასხვა მაქინაციით ხელში ჩაიგდო არა მსოფლიოში ცნობილმა კორპორაცია „ჰიუნდაიმ", არამედ საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩამოყალიბებულმა ჯგუფმა. მის ხელმძღვანელად დღევანდელი სახელმწიფო კანცელარიის მაღალჩინოსანი დავით გიორგობიანი გვევლინება, რომელმაც სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების მცირე ნაწილიც კი არ შეასრულა. „დარლინგუორთ ლიმითიდი" ვირჯინიის (ბრიტანეთი) კუნძულებზეა რეგისტრირებული.

ანტიკორუფციულ ბიუროში აცხადებენ, რომ „ფოთის გემთსაშენში" ინვესტორის საქმიანობასთან დაკავშირებით ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. თუ როგორ მოხდა გემთსაშენის პრივატიზება, ამაზე ქონების მართვის სამინისტრომ უნდა გასცეს პასუხი. ვადები შეზღუდულია. ანტიკორუფციული ბიურო პასუხს ერთ კვირაში ელოდება.

## რატომ ირჩევენ ოფშორულ ზონას

ხმელთაშუა ზღვაში მდებარე პატარა სახელმწიფო კვიპროსი დღეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ოფშორულ ანუ თავისუფალ ეკონომიკურ ზონად ითვლება. ბიზნეს-ელიტა, როგორც ირკვევა, უარს არ ამბობს არც უნგრეთის, კანადის, ჩერნოგორიის, ვირჯინიისა თუ ბაჰამის კუნძულების ოფშორულ ზონებზე. ამ ქვეყნებში უცხოური კაპიტალისთვის საკანონმდებლო ოაზისებია შექმნილი. თუკი კომპანია სწორედ ერთ-ერთი ოფშორის (სულ მსოფლიოში 60 ოფშორული ზონაა) შესაბამის იურიდიულ სამსახურში გაივლის რეგისტრაციას, მაშინ მას უფლება აქვს, ამ ქვეყანაში მოქმედი ყველა საგადასახადო სიკეთით ისარგებლოს. აკრძალვა სავალუტო კონტროლზე აქ უზრუნველყოფს საბანკო ოპერაციების საშუალებით მილიარდების ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოძრაობას. ოფშორის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანიები ყველა სახის გადასახადს მხოლოდ ოფშორულ ზონაში იხდიან. ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოები ოფიციალური ხელშეკრულებების საფუძველზე არიან შეთანხმებულები. ასეთი „ორმაგი დაბეგვრის შესახებ ხელშეკრულება" საქართველოსაც აქვს დადებული არაერთ ოფშორულ ქვეყანასთან. ოფშორულ ზონაში, ფაქტობრივად, ორი სახის გადასახადი მოქმედებს: მოგებიდან გადასახადი და გადასახადი დივიდენდებზე. მაგალითად, ჩერნოგორიაში ოფშორული კომპანია გადასახადს მხოლოდ მოგებიდან იხდის და თან 2,5%-ს. კვიპროსში ამ სახის გადასახადი 4,5%-ია. რაც შეეხება თავად ოფშორული კომპანიების ნამდვილ მეპატრონე ქვეყნებს, მათ ისღა დარჩენიათ, მილიარდების უკან მობრუნებას მოთმინებით ელოდონ. ოფშორების მთავარი კოზირი მაინც ინფორმაციის კონფიდენციალურობაა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, დღეს შეიძლება ბევრი ბიზნესმენი არის მზად ძალიან მაღალი გადასახადების გადასახდელად, მაგრამ არა იმისთვის, რომ საჯარო გახადოს ინფორმაცია, თუ ვინ აკონტროლებს რეალურად კომპანიის საბანკო ანგარიშებს, ან ვინ არიან კომპანიის აქციონერები. კვიპროსის კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი სახის ინფორმაციის გამხელა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი ნებართვის შემდეგ. თუმცა, კვიპროსის უმაღლეს მართლმსაჯულებას 1975 წლიდან დღემდე ასეთი ნებართვა არც ერთხელ არ გაუცია.

## „ვაკეთებ ოფშორული კომპანიების რეგისტრაციას"

ერთ-ერთი ფირმის იურისტმა, რომლის ხელშიც არაერთი კომპანია ოფშორულ კომპანიად იქცა, თავდაპირველად თავის საქმიანობაზე საუბარი შორეულ მომავალში გადადო, თუმცა, როცა შევთანხმდით, რომ მის ვინაობას არ გავამჟღავნებდით, ჩვენი საუბარიც შედგა.

— **ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენი ფირმა ოფშორების რეგისტრაციას ფარულად, ასე ვთქვათ, უკანონოდ აკეთებს...**

— არა, რას ბრძანებთ. ჩვენ უკვე ათი წელია ქალაქში ერთ-ერთ პრესტიჟულ ფირმად ვითვლებით. აბსოლუტურად კანონიერად ვმუშაობთ როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ თემაზე, რასაც ოფშორები ჰქვია, ხმამაღლა ლაპარაკი არ მინდა. ეს ხომ ძალიან დიდ ფულს უკავშირდება.

— **მოკლედ რომ ვთქვათ, ფულის გათეთრებას?**

— ოფშორული კომპანიები ფულის გათეთრების ძალიან კარგ საშუალებას იძლევა. პრინციპში, ეს ჩემი საქმე არ არის. მე ყველა კანონის დაცვით ვარეგისტრირებ ფირმას ოფშორულ ზონაში, შემდეგ რა კეთდება ამ არხებით, რამდენად კეთილსინდისიერად იყენებენ ოფშორულ კომპანიებს, მე აღარ მეხება.

— **ვის ეხება?**

— რა თქმა უნდა, სახელმწიფოს.

— **როგორ ხდება ფულის გათეთრება? ალბათ, საკმაოდ რთულ მექანიზმთან გვაქვს საქმე.**

— არა. თავდაპირველად ე.წ. შავი ფულის თავმოყრა ხდება მსხვილ ფინანსურ სისტემაში. შემდეგ მას, სხვადასხვა საბანკო ოპერაციის საშუალებით, რაც შეიძლება მცირე ნაწილებად აქუცმაცებენ და სხვადასხვა ქვეყნის ბანკების ანგარიშზე ათავსებენ. ბოლოს, ამ დანაწევრებულ მილიონებს თავს უყრიან და ფულის რეალურ პატრონს უკვე აღარ უწევს მისი დამალვა. ასეთი ფული ქვეყნებს ხშირად უბრუნდებათ ე.წ. უცხოური ინვესტიციების ფორმით!

— **რამდენად რთულია კომპანიის ოფშორულ ზონაში რეგისტრირება?**

— არც ეს წარმოადგენს დიდ სირთულეს. ხომ წარმოგიდგენიათ, ოფშორულ ზონებში, სადაც საგადასახადო ოპერაციები უმარტივესად ხორციელდება, როგორი მარტივი იქნება კომპანიის რეგისტრირების პროცედურაც. აქ მთავარია სურვილი და ერთ კვირაში კომპანია ოკეანის სანაპიროზე ამოყოფს თავს.

— **რაში მდგომარეობს ამ „ფოკუსის" საიდუმლო?**

— (იცინის) ჩვენს პარტნიორ ფირმებს, რომლებიც სწორედ ოფშორულ ზონებში მოღვაწეობენ, წინასწარ აქვთ შეთვალიერებული ფირმები. ჩვენთან კი, უბრალოდ, მისი ყიდვა ხდება და თან თავის დირექტორიანად, რომელსაც ნომინალური დირექტორი ჰქვია. სწორედ ეს პიროვნებაა პასუხისმგებელი, მაგალითად, იმაზე, რომ მოაგვაროს ურთიერთობები საგადასახადო სამსახურებთან. ეს იმდენად მოსახერხებელი ფორმაა, რომ მასზე უარი, პრაქტიკულად, არავის უთქვამს. ჩვენი კლიენტურის მთავარი მოთხოვნაც ესაა, რომ ოფშორული კომპანიის ნამდვილი მეპატრონის ვინაობა დაფარული იყოს.

— **რაც შეეხება კლიენტებს. ვინ არიან ისინი?**

— უფრო ხშირად სახელმწიფო ჩინოსნები. ჩვენს კლიენტებს შორის პარლამენტარებიც არც ისე იშვიათად ჩნდებიან. მეწარმეები ოფშორებით თითქმის არ ინტერესდებიან. დასკვნა თქვენ გააკეთეთ.

— **დასკვნამდე ერთი დეტალიც დაგვიზუსტეთ: რა ჯდება ერთი ოფშორული ფირმის რეგისტრირება?**

— დღეს ყველაზე ძვირია კვიპროსში რეგისტრირება. ფასი 3-4 ათასი დოლარიდან იწყება, როცა ბაჰამის კუნძულებზე ოფშორული კომპანიის რეგისტრაცია 2000 დოლარადაც არის შესაძლებელი. ამჟამად კვიპროსში შეღწევას ყველა ჩქარობს, რადგან ეს ქვეყანა ევროკავშირში გაწევრების გამო, 2003 წლიდან ახალ საგადასახადო რეჟიმზე გადადის — მოგებიდან გადასახადი 30 პროცენტამდე აიწევს. იმ ოფშორულ კომპანიას, რომელიც ახალი საგადასახადო ნორმების დაკანონებამდე გატარდება რეგისტრაციაში, შანსი ეძლევა ოფშორული ოაზისით ორი წელი ისარგებლოს. ძველ კომპანიებს კი კიდევ ხუთი წელი შეიფარებენ. კვიპროსმა, როგორც ხედავთ, მსოფლიო ბიზნეს-სამყაროს დიდი სიურპრიზი მოუმზადა.

# კანადამ ამერიკას გაუსწრო

The Wall Street Journal სენსაციურ ინფორმაციას აქვეყნებს. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2002-2003 წლებში მსოფლიოს 7 ინდუსტრიულ ქვეყანას (აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, იაპონია, კანადა) შორის ლიდერი ეკონომიკური ზრდის მიხედვით კანადა იქნება. ამ ფაქტმა საერთაშორისო ექსპერტებიც კი გააოცა. კანადა, შარშანდელი მსოფლიო ეკონომიკის საოცარი ჩავარდნის ფონზე, წინ მოულოდნელი სიჩქარით გაიჭრა. ბოლო რამდენიმე თვეში ამ ქვეყანას არნახული მაჩვენებელი აქვს უმუშევრობის დონის შემცირებისა თუ ბინათმშენებლობის მიხედვით, რომ აღარაფერი ვთქვათ, მრეწველობასა და ვაჭრობაზე. აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისში სამუშაო ადგილების რაოდენობა 207 ათასით გაიზარდა. ანალოგიური მაჩვენებელი კანადის ეკონომიკურ ცხოვრებაში 1983 წელსაც დაფიქსირდა. მაშინაც ამ ქვეყანამ საოცარ წარმატებებს მიაღწია.




დღეს უკვე ქრონიკულად მისუსტებული კანადური დოლარიც საკმაოდ მომძლავრდა. ანალიტიკოსების პროგნოზით, წელს კანადის ფედერალური ბიუჯეტის პრეფიციტი (ზედმეტობა ბიუჯეტში) 10 მილიარდი კანადური დოლარი იქნება, ანუ 6,52 მილიარდი აშშ დოლარი. ამ დღეებში კანადამ ასევე დაიბრუნა უმაღლესი საკრედიტო ქვეყნის სტატუსი, რომელიც 1994 წელს საგარეო ვალების გადაუხდელობის გამო დაკარგა. მსოფლიო ექსპერტების გაანგარიშებით კანადის მთლიანი შიდაპროდუქტი მთელი 6%-ით გაიზარდა. ანალიტიკოსების გაოცებას იწვევს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც, რომელიც 3,2 პროცენტს შეადგენს. ამერიკის ეკონომიკამ კი მხოლოდ 2,5 პროცენტით წაიწია წინ. ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ კანადა პოზიციებს არც მომავალ წელს დათმობს. წინასწარი გათვლებით, ამ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ამჯერად 4% იქნება, ხოლო ამერიკის — 3,5%. ახალი წესრიგი შეიძლება დაირღვეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში — საერთაშორისო ექსპერტების ანალიზით, როცა კანადის ექსპორტის 85% ამერიკაში ხორციელდება, ხოლო კანადის წილი თავად ამერიკის იმპორტში მხოლოდ 23%-ია, ამერიკას კანადაზე ეკონომიკური ზეწოლის კარგი საშუალება ეძლევა. გამოიყენებს ამერიკა ამ შანსს? — ამ კითხვაზე პასუხს დღეს მთელი მსოფლიო ელოდება.

*გვერდი მოამზადა ლელა წითლანაძემ*

**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები"**

აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:
• იურიდიული; • ქართული ენა და ლიტერატურა; • ჟურნალისტიკა; • საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; • საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; • ფინანსები და კრედიტები; • საბანკო საქმე; • უცხო ენები; • დაწყებითი განათლების პედაგოგიკა; • სკოლამდელი აღზრდა.
წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით
საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-17 სთ-მდე. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს" სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

**კბილების ფხვნილი და სავლები ლოსიონი**
**გამინფლემი**
უმოკლეს დროში მოგიხსნით ღრძილების გაღიზიანებას, ნებისმიერ დისკომფორტს.
მის: იოსებიძის 53, ჭავჭავაძის გამზ. 20 კაბინეტი „ლუიზოლი"
☎ 37-38-13; 29-19-79

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 20 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2000 |
| ევრო | 2,2200 |
| ინგლ. ფუნტი | 3,4333 |
| რუსული რუბლი | 0,0702 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3360 |

Louise-all **ლუიზოლი**
**ჭარბთმიანობისაგან განკურნება**
სიელიაც შესაძლებელია სათიხმო ჯხემით და ლოსიონით „ლუიზოლი". შედეგად თმა აღ ამოდის.
**უნივერსალური სახის კრემი ნებისმიერი კანისთვის** (ნაოჭები, გამონაყარი, ლაქები).
**თმის ცვენა შეგიჩერდებათ!**
თმა გაგიხშირდებათ სათიხმო საშუალებებით და მასაჟით.
მის: ჭავჭავაძის გამზ. 20 ტელ: 29-19-73
იოსებიძის ქ. №53 ტელ: 37-38-13
კაბინეტი „ლუიზოლი" 10-დან 19 სთ-მდე

„[illegible]" ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
**ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია**
მის: წერეთლის 141 მ. „დიღუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი"

აწარმოებს **ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად**
მის: აკურის ქ. №8 (საორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



## თარაზულად:

5



ცნობების შეგროვება პოტენციური მოწინააღმდეგის საიდუმლოებათა შესახებ



6

უმაღლესი სამხედრო-საზღვაო წოდება



9

პოპულარული ამერიკელი მსახიობი, რომელმაც „ჯენსიაზე" გასვლა გადაწყვიტა

10



ოთარ რამიშვილის „იარაღი"

11

განუხორციელებელი იმედი, ოცნება

15



საერთო საქმიანობით დაკავშირებული ადამიანთა ჯგუფი

17



სერიოზული შინაარსის თეატრალური სპექტაკლი

18



საქალაქო ტრანსპორტი

19



რეჟისორი ქართულ-ფრანგულ-გერმანული ფილმისა „27 მოპარული კოცნა"

20



დიდი სადგურის შენობა

24

ვერტიკალურად მოძრავი მანქანა მრავალსართულიან შენობებში

25



ცივი იარაღი

26



ჯარის სახეობა

29

But as Jan. 1 approaches, financiers know the Germans won't be happy about trading their historically strong Deutsche mark for a sissy currency. So they have a trick up their sleeves. Collectively, Eu-

შეწეული სტრიქონი

32



დასავლური ტიპის უმაღლესი ან საშუალო სასწავლებელი

33



ქალაქი, რომლის ცნობილ სასტუმრო „დორჩესტერში" გადაიღეს კლიპი რობი უილიამსისა და ნიკოლ კიდმანის მონაწილეობით

34



ავსტრიის სამთო კურორტი



35

იდეალური საზოგადოებრივი წყობილების შესახებ ფანტასტიკური მოძღვრების ავტორთა მეტსახელი

## შვეულად:

1



რაიმე ნაწარმოების შემქმნელი

2

მოუვლელი თავლებით ცნობილი მეფე ბერძნულ მითოლოგიაში

3



სასტუმრო რომში, რომელშიც უყვართ მოსვენება კლუნს, კიდმანს, ჰოპკინსს, ნისონს, ფორდსა და კინოს ბომონდის სხვა წარმომადგენლებს

4



ფეხმძიმე

5



მუსიკალური ნაწარმოების კოლექტიური შესრულების ხელმძღვანელი

7



მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტა

8

ზმნის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს დასრულებულია თუ არა მოქმედება

12



კორიდის მონაწილე

13



ბავშვის გასართობი

14



უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი

16



ლონისძიება საქონლის პოპულარიზაციისათვის

21



იაპონური ფირმა, რომლის მიერ შექმნილი მოწყობილობა ატყობინებს ბარმენს ჭიქის შევსების აუცილებლობას

22





ელემენტის ნაერთი რომელიმე ლითონთან

23



თამაში

27



ფსევდონიმი



28

ლექსების ერთობლიობა

30



ტრამვაის წინამორბედი

31



ცინდალი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა" №25 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ნაკრძალი; 6. მოლბერტი; 9. „ამარეტო"; 10. ჰამაკი; 11. ფრანკი; 15. მოლდაველი; 17. ღვინო; 18. ფსიტი; 19. აგარაკი; 20. მერქანი; 24. თეთრი; 25. აგური; 26. ქვაფენილი; 29. ოცეოლა; 32. ტალინი; 33. ნათლობა; 34. „არისტონი"; 35. ფრონტონი.

**შვეულად:** 1. ფრესკა; 2. ალამი; 3. ტორტი; 4. ცენტრი; 5. ნეგატივი; 7. ინოკენტი; 8. არომატი, 12. ნორმატივი; 13. მთვარეული; 14. უნაგირი; 16. მსუნაგი; 21. მედიცინა; 22. ტყემალი; 23. პროგნოზი; 27. ალერსი; 28. ფაგოტი; 30. ვაზნა; 31. ტბორი.

# კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით

(22 ივლისი – 5 აგვისტო)

**22-23-24/VII, თხის რქა** — სარეველების ამოძირკვა, მავნებლების მოსპობა. ნაკელისა და კომპოსტის დაგროვება. სუსტი დეკორატიული მცენარეების თიბვა.

მოერიდეთ გაცივებას, განსაკუთრებით მაღალმთიან კურორტებსა და ზღვაზე. მიუღებელია ბინისა და ლოგინის დიდი ხნით განიავება. ნუ გადატვირთავთ ქვემო კიდურებს, სახსრებს. მოუფრთხილდით კანს, მოარიდეთ მზის რადიაციას და წვიმის წყალს. **23-24** რიცხვებში მოსალოდნელია თავის ტკივილი, უძილობა, ხერხემლისა და ხელ-ფეხის მტევნების ტკივილი — ორგანიზმი კარგად ითვისებს სამკურნალო და კოსმეტიკურ საშუალებებს.

მიირთვით სალათა, თხილი, რძის პროდუქტები და თაფლი.

**25-26/VII, მერწყული** — ნიადაგის თოხნა, კულტივაცია, ხეხილის შემობარვა. ყურადღება მიაქციეთ სახსრებს, სისხლის მიმოქცევის სისტემას, მხედველობის ორგანოს — აუცილებელია დილით და საღამოს სუფთა ჰაერზე გასეირნება. მიიღეთ მცენარეული დამამშვიდებელი საშუალებები. მიზანშეწონილია მკურნალობა და პროცედურები გულზე, ხერხემალსა და დიაფრაგმაზე. ეცადეთ შეინარჩუნოთ წონასწორობა, აგრესიულობა და შური იწვევს დეგრადაციას — აუცილებელია ფიზიკური ვარჯიში. ფიზიკური დატვირთვა შეამცირეთ **2** აგვისტომდე.



მიიღეთ მხოლოდ მცენარეული საკვები და რძის პროდუქტები, მოერიდეთ ხორცისა და ალკოჰოლის მიღებას.

**27-28/VII, თევზები** — მსხმოიარე მცენარეების, ოთახის ყვავილებისა და ნიადაგის რწყვა. ზვინის დადგმა მიზანშეწონილია **8** აგვისტომდე. მიუღებელია ხილის დაკონსერვება და შენახვა.

აუცილებელია ბინისა და ლოგინის განიავება, დილით და საღამოს სეირნობა სუფთა ჰაერზე, სუნთქვითი ვარჯიში, გაუფრთხილდით და ნუ გადატვირთავთ ტერფებს, ხელის მტევნებს, ეს პერიოდი მოქმედებს ლიმფურ და ენდოკრინულ სისტემებზე. საუკეთესო პერიოდია ორგანიზმის გასაკაჟებლად და წყლის პროცედურების მისაღებად. ამ პერიოდში მოსალოდნელია ქურდობა და აგრესია. **27** ივლისი ენერგიის დაგროვების, აღმოცენების, ახალი საქმის წამოწყებისა და ნაყოფიერების დღეა.

აუცილებელია კუჭის განწმენდა. ძირითადად უნდა მიიღოთ მსუბუქი საკვები, ბოსტნეული, ხილი, მაწონი, რუხი ან შავი პური. მოერიდეთ ალკოჰოლს და თამბაქოს.

**29-30-31/VII, ვერძი** — ხორბლის ალება, ბოსტნეულისა და ხეხილის განოყიერება, ხეხილის გასხვლა, გამოთავისუფლებული ნიადაგის დამუშავება. თიბვა, ზვინის დადგმა, ხეებისა და ბუჩქების ამოძირკვა. საწებლის მომზადება.

აუცილებელია ბინის განიავება, ლოგინის გამზეურება, დილით და საღამოს სუფთა ჰაერზე გასეირნება, სუნთქვითი ვარჯიშის ჩატარება. პირველ ყოვლისა, უნდა მოუფრთხილდეთ და არ გადატვირთოთ თავის არე, მხედველობა. **30** ივლისის პირველ ნახევარში მოსალოდნელია ენერგიის მოზღვავება, რასაც დღის ბოლოს შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური და გონებრივი გამოფიტვა. ეს პროცესი შეიძლება მეორე დღესაც გაგრძელდეს. ნუ მიიღებთ ყავას, შოკოლადს, ტკბილეულს. აუცილებელია აბაზანისა და შხაპის მიღება, მოგზაურობა.

ძირითადად იკვებეთ ვეგეტერიანული საკვებით, ხილით და წვენებით.

**1-2/VIII, კურო** — კომპოსტისა და ნაკელის დაგროვება, ნიადაგის მავნებლებთან ბრძოლა: დეკორატიული მცენარეების განოყიერება.

მოკლე დროით გაანიავეთ ბინა და ლოგინი. არ დაძაბოთ ნერვული სისტემა, სმენის ორგანო, ყელის არე და სასუნთქი გზები, პლანეტების უარყოფითი ზემოქმედების გამო მოსალოდნელია თავის ტკივილი, ტკივილი კუჭის არეში — ნუ გადატვირთავთ თირკმელს. ერიდეთ სწრაფ მოძრაობებს. კარგია ერთკვირიანი შიმშილის დაწყება, სასქესო ორგანოებისა და სწორი ნაწლავის მკურნალობა. ამ დღეებში აუცილებლად უნდა ჩაიტაროთ მკურნალობა ხერხემალსა და მენჯ-ბარძაყის არეში.

მიიღეთ ზაფხულის საკვები, რძის პროდუქტები, ნიგოზი, თხილი, თაფლი — მოერიდეთ ალკოჰოლს.

**3-4-5/VIII, მარჩბივი** — ხეხილის, ვაზისა და კარტოფილის შეწამვლა, ბრძოლა მავნებლებთან.

აუცილებელია ბინისა და ლოგინის განიავება, სუფთა ჰაერზე ყოფნა. უნდა მოუფრთხილდეთ მხრებს, ზედა კიდურებს, ფილტვებს და ნერვულ სისტემას. **4** აგვისტოს შეიძლება ენერგიის მოზღვავება, რასაც მოჰყვება მოთენთილობა, თავის ტკივილი და გულ-სისხლძარღვების დაავადება. აუცილებელია ორგანიზმის განწმენდა, აბაზანები, ფიზიკური ვარჯიშები.

სჯობს მიირთვათ მსუბუქი საკვები მცირე ოდენობით და ხშირ-ხშირად. მიიღეთ სამკურნალო მცენარეების ნაყენები.

# შეიძლება თუ არა ვისარგებლოთ წვიმის წყლით



უფროსი თაობის ხალხს ალბათ კარგად ახსოვს, თუ როგორ იყენებდნენ წვიმის წყალს არა მხოლოდ სოფელში, არამედ ქალაქშიც. იქ, სადაც ჯერ არ იყო წყალგაყვანილობა, წვიმის წყალს აგროვებდნენ დასაბანად და სარეცხად. წვიმის წყალი უხეშ თმას რბილს და ბზინვარეს ხდიდა, ასევე დადებითად მოქმედებდა კანზე.

არსებობს მოსაზრება, რომ ეს არის იგივე დისტილირებული წყალი. სინამდვილეში ეს აზრი სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვეულებრივი წვიმის წყლის წვეთი, რომელიც იწონის 50 მგ-ს, ატმოსფეროდან დედამიწაზე დაშვებისას რეცხავს 16 ლიტრ ჰაერს, ხოლო 1 ლ წვიმის წყალი შთანთქავს 300 000 ლიტრ ჰაერის მავნე მინარევს. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად მოხდა წყლის აორთქლება და ღრუბლების წარმოქმნა, ანუ ეკოლოგიურად რამდენად სუფთა იყო ეს ტერიტორია.

ჰაერს უპირველეს ყოვლისა აბინძურებს ტრანსპორტი (ის გამოჰყოფს მხუთავ აირს, აზოტის ჟანგს და გოგირდს), საწარმოები (გამოიყოფა დარიშხანის, ვერცხლისწყლისა და ტყვიის ნაერთები) და სოფლის მეურნეობა ამიაკით, გოგირდნახშირბადით, პესტიციდებით და შხამქიმიკატებით.

ატმოსფეროში გოგირდისა და აზოტის ნაერთი რეაქციაში შედის წყალთან და გარდაიქმნება მჟავად. შემდეგ ეს მჟავა წვიმის სახით მოდის დედამიწაზე. ასე რომ, დღესდღეობით დედამიწაზე მოსული ნალექები მჟავური სახისაა — ასეთი წყლის გამოყენება ნებისმიერი მიზნით, არამცთუ დაუშვებელი, არამედ სახიფათოა. წვიმის წყალმა შეიძლება გამოიწვიოს კანის დაზიანება, რაც ვლინდება კანის სიწითლით, ხოლო კანზე უმნიშვნელო ნაკაწრი შეიძლება წყლულადაც გადაიქცეს.

ამიტომ გარეთ ყოფნისას აუცილებლად იქონიეთ ქოლგა ან საწვიმარი ლაბადა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახლიდან მოშორებით იმყოფებით ბუნებაში, სუფთა ჰაერზე. თუ წვიმამ მოგისწროთ და დასველდით, სახლში მისვლისთანავე უნდა დაიბანოთ თავი და ტანსაცმელი გაავლოთ ჩვეულებრივ წყალში.

რაც შეეხება ნიადაგის რწყვას წვიმის წყლით, ამ შემთხვევაში მიწაში არსებული ნაერთები რეაქციაში შედის მჟავურ წვიმის წყალთან და ანეიტრალებს მის მოქმედებას, რაც შემდგომ მცენარისათვის სასარგებლო ხდება.

# იცით თუ არა, რომ...

...**ბაობაბის** მერქანს ცეცხლი არ ეკიდება.

დაახლოებით საუკუნე-ნახევრის წინ **ნიაგარის ჩანჩქერმა** დენა 30 საათით შეწყვიტა.

როგორც აღმოჩნდა დაბინძურებული ჰაერის ყველაზე კარგი გამფილტრავები არიან **ალვის ხე** (ჩინარი) და ერთწლიანი **მზესუმზირა**.

**აფრიკულ კამეჩს**, რომლის წონა თითქმის ერთი ტონაა, შეუძლია განავითაროს 57 კმ/სთ სიჩქარე.

ბოლო 25-30 წელიწადში განვითარებულმა **ტექნიკამ** ატმოსფეროდან შთანთქა ჟანგბადის ის რაოდენობა, რაც კაცობრიობას მოხმარდა მისი არსებობის 2-3 მლნ წლის განმავლობაში.

**საჰარის** ცენტრალურ რაიონში წვიმა შეიძლება მოვიდეს რამდენიმე ათეულ წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

# ვინ მტერი და ვინ მოყვარე

თუ დაკვირვებიხართ, ძველ საკარმიდამო ეზოში სახლის წინ აუცილებლად იდგა კაკლის ხე. ეს ტრადიცია ნაწილობრივ ახლაც გრძელდება. სახლის წინ კაკლის ხეს ჰქონდა ის დანიშნულება, რომ მას არ ეკარებიან ბუზები, კოღოები, კრაზანები და სხვა მწერები, რომლებიც აწუხებენ ადამიანს. კაკლის ხის ფოთოლი და ნაყოფის გარე მწვანე ნაჭუჭი გამოყოფს თავისებურ შხამებს, რის გამოც მის გარშემო არათუ მწერები, კულტურული თუ ველური მცენარეებიც კი ვერ ხარობენ. კაკლის ხის გვერდზე ვაშლისა თუ მსხლის ხეც ცუდად იზრდება და არ იძლევა ნაყოფს.

ყოველ ხეს აქვს თავისი დამახასიათებელი სურნელი, განსაკუთრებით ყვავილობის პერიოდში. ეს არომატი შემდეგ ვლინდება კვირტებიდან, ფოთლებიდან, ქერქიდან და ნაყოფიდან. ე.ი. ნებისმიერი ხე თავის გარშემო დამახასიათებელ ქიმიურ გარემოს ქმნის. ამიტომ სხვადასხვა მცენარეს სხვადასხვა ქიმიური გარემო ახასიათებს, ხშირად ერთიმეორისთვის მიუღებელიც.

ძველი რომაელი მეცნიერის პლინიუს-უფროსის ნაშრომებში მითითებულია, რომ ვენახში არ შეიძლება კომბოსტოსა და ზოგიერთი ბალჩეულის დარგვა, ვინაიდან ყურძნის მტევანი მეჩხერი გამოდის და ღვინოც ფუჭდება. ასევე მიუღებელია ვაზის სიახლოვეს თხილის ბუჩქი.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ქიმიური ნაერთი მეორისათვის დამღუპველი ან სასარგებლო შეიძლება იყოს.

დადგენილია, რომ ახალგაშენებულ ბაღში კარტოფილის დათესვა იწვევს ხეხილის დაკნინებას, კარტოფილის მიერ გამოყოფილი ტოქსინების გამო, რის შედეგადაც მცირდება ნიადაგში აზოტის ოდენობა — ასეთი ბაღისათვის უფრო სასარგებლოა სოია, რომელიც ამდიდრებს ნიადაგს აზოტით. ასევე შეიძლება ვაშლისა და მსხლის ხეებთან ახლოს ალუბლის ხის დარგვა.

სადაც გაშენებულია თეთრი აკაცია, ცხენის წაბლი, სოჭი, ვარდი, იასამანი და ძახველა, სხვა მცენარეებს უჭირთ ზრდა-განვითარება. კოწახური გამოყოფს ალკალოიდ ბერბერინს, რომელიც ჩაგრავს სხვა მცენარეს.



გარეული მსხალი (პანტა) შესანიშნავად ხარობს შერეულ მუხის კორომში, მაგრამ მას ვერ შეხვდებით წიფლნარსა და წიწვოვან ტყეებში.

კოლორადოს ხოჭოს მავნებლობაზე მრავაჯერ დაწერილა. მას შეიძლება ვებრძოლოთ ნივრით. კარტოფილის რიგთა შორის თუ ჩავრგავთ ნიორს, მას ხოჭო აღარ გაეკარება. სადაც ხარობს ნიორი, მცირდება ლოკოკინების რაოდენობაც.

მიუღებელია გარგარისა და ალუბლის ერთად დარგვა, ასევე ბლის ხეებთან — მოცხარი, ხოლო კომშთან — მსხლის ხე.

მოცხართან და სხვა კენკროვანებთან შეიძლება ჩაირგოს გერანი (ნემსიწვერა), ნიორი ან ხახვი.

ასევე ერთმანეთისგან მოშორებით უნდა დავამუშაოთ პომიდვრისა და კიტრის კვლები.

მცენარეების ურთიერთდამოკიდებულება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბაღის განაშენიანების დროს, რომ მივიღოთ ხარისხიანი მოსავალი.

## კიტრი

ყვავილობის პერიოდში კიტრის ბარდზე ხშირად წარმოიქმნება მამრობითი ყვავილები, ანუ ცრუ ყვავილები, რომლებიც ნაყოფს არ იღებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ დათესილია წინა წელს აღებული თესლი, რაც მიუღებელია არა მხოლოდ კიტრის, არამედ გოგრისა და ნესვის დათესვის შემთხვევაშიც. იმისათვის, რომ წარმოიქმნას მდედრი სქესის ყვავილები, ძირიდან მეხუთე-მეექვსე ფოთლის შემდეგ ბარდა უნდა მოვწყვიტოთ. თუ დაგვიანებულია, მაშინ ბარდის ბოლო ნაწილი უნდა მოშორდეს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ განვითარდეს განტოტვილი ბარდა, რომელიც გამოიღებს ნაყოფიერ ყვავილებს. მამრი ყვავილები არ უნდა მოშორდეს, ის საჭიროა დამტვერიანებისათვის. მცენარეზე ფოთოლი ოდნავ რომ შეჭკნება, მოსარწყავია — რწყვა და განოყიერება უნდა მოხდეს საღამოობით. გასანოყიერებლად ვიყენებთ წინასწარ მომზადებულ ნუნნუხს.

ხშირად კიტრი მწარდება, რაც გამოწვეულია მასში ისეთი ნივთიერების წარმოქმნით, როგორიცაა კუკურბიტაცინი. კიტრის ნაყოფში ამ ნივთიერების წარმოქმნას იწვევს ვეგეტაციისათვის აუცილებელი რომელიმე პირობის დარღვევა, მაგ. სინათლის ან ტენიანობის სიმცირე, დაბალი ან მაღალი ტემპერატურა — კიტრის ნაყოფის განვითარების პერიოდი (8-12 დღე) თუ მეტხანს გაგრძელდა ნასკვის გამოტანის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაყოფი მწარე იქნება.

## ზღარბი

ზღარბის ხსენებისანი გვაგონდება, მაგრამ მის ტანს ჯერ ბეწვი ფარავს ათასამდე ნემსისებური ეკაგარეშე იბადება, რამდენკი მისი ტანი იმოსება თეთრი პატარა ზღარბი თვალს ორი



სთანავე მისი ეკლიანი ჯავისიც უნდა ვიცოდეთ, რომ — მოზრდილ ზღარბს 16 ლი იცავს. ზღარბი ეკლის იმე საათის განმავლობაში და მუქი ფერის ეკლებით. კვირის შემდეგ ახელს.

ზღარბი ადვილად ეჩვეგალიაში ყოფნას, ოთახში მას თავისუფლება უყვარს. ლი მხედველობა და ყნოსანადგურებს მწერებს, და მათ ბუდეებს. სიამვან ნაყოფს და სოკოს.

ვა ადამიანს, მაგრამ ვერ იტანს იატაკზე სიარულს და ა.შ. კარგად აქვს განვითარებუვა, რომელთა დახმარებით ლოკოკინებს, მღრღნელებს ოვნებით მიირთმევს კენკრო-

მცდარია აზრი, თითქოს ზღარბი ქვეწარმავლებს ანადგურებს. იგი არ არის ისეთი სწრაფი და მოქნილი, რომ ქვეწარმავალს დაეწიოს, მაგრამ ურთიერთშეტაკების შემთხვევაში უვნებელი რჩება.

ზღარბი ძირითადად ფოთლოვან ტყეში და ხეხილის ბაღში ცხოვრობს ფოთლების ქვეშ ან თავად მღრღნელების სოროს იკავებს. ზღარბი თუ შეამჩნიეთ თქვენს ბაღთან ახლოს და გსურთ, რომ თქვენთან დაიდოს ბინა, უნდა აიღოთ მურყნის ტოტების კონა და მოათავსოთ ბაღში მყუდრო ადგილას. ზღარბს უყვარს მურყნის ფოთლებში დასახლება.

## ცხვარს გაკრეჭისთანავე აცმევენ ...



ავსტრალიელმა მეცნიერებმა ამ რამდენიმე წლის წინ მეტად საინტერესო გადაწყვეტილება მიიღეს — ცხვარს გაკრეჭისთანავე აცმევენ თხელ, სინთეტიკური ქსოვილისგან შეკერილ ტანსაცმელს. საქმე ის გახლავთ, რომ ყოველწლიურად ავსტრალიაში მილიონამდე სული ცხვარი იხოცებოდა გაკრეჭის პირველსავე თვეს... სიცივისაგან. სხვათა შორის, ავსტრალიელებმა ცხვრის „გასათბობად" ისეთი ქსოვილი გამოიგონეს, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში თვითონ ცვდება და შორდება სხეულს. ქსოვილი გაკრეჭის შემდეგ მატყლის მაგივრობას უწევს ცხვარს.

ეს ავსტრალიაში, საქართველოში კი ჯერჯერობით მსგავსი ქსოვილი არ შემოსულა.

## მოყვარული მებაღის კუთხე

— იქნებ გვიპასუხოთ, რატომ ათეთრებენ ხეხილის ძირებს?

*დავით ხაჩიძე, სურამი*

— მზის სხივები აზიანებენ ხეხილის ძირებს (ე.წ. შტამბს), ნაყოფსა და ფოთოლს. ნაყოფზე ჩნდება ყავისფერი ლაქები, რომლებიც თანდათან შიგნით აღწევს. ამ დაზიანების შედეგად ქერქი იბზარება.

ქერქის დაზიანება რომ თავიდან ავიცილოთ, ამიტომ ადრე გაზაფხულზე ხის ძირებს უნდა წაესვას თიხისა და კირის ნაზავი. მზის სხივებს თეთრი ფერი ადვილად არეკლავს და ხეც არ გადახურდება...

*გვერდი მოამზადა დურმიშხან ყიფიანმა*

## მილოცვა

ფსიქიატრიული ინსტიტუტის მე-2 განყოფილების გამგეს ქალბატონ **ლალი ბანძელაძეს** გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

*განყოფილების თანამშრომლები*

**ელისო ბუთხუზს!**

გილოცავთ დაბადების დღეს – 27 ივლისს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სიყვარულს და ბედნიერებას. ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო ელისო. ერთ კაცსაც რომ უყვარდე, მე ვიქნები ის ერთი.

*მეუღლე, შვილები*

**ანზორ ბახტაძეს!**

25 ივლისს 65 წლის გახდებით. ბედნიერი კაცი გეთქმით – 3 შვილი, 9 შვილიშვილი და 5 შვილიშვილისშვილი მოგილოცავენ იუბილეს. მათგან ერთი თქვენი სეხნიაცაა – 18 წლის ანზორი. თქვენისთანა კალატოზი სანთლით საძებარია, სულ კარგი საქმეები გიკეთებიათ, სულ სიკეთე გთესიათ. ოჯახს ხომ უყვარხართ, ნათესავები და ახლობლებიც გემადლიერებიან. მათთან ერთად, მეც გილოცავთ იუბილეს. დღეგრძელი და ბედნიერი იყავით.

*მალვა ლომიაშვილი*

**მარებ ჩუბინიძეს!**

ჩემთვის ერთადერთო და განუმეორებელო ნათლია, ჩემო მარებ! გილოცავ დაბადების დღეს – 22 ივლისს. მრავალს დაესწარი. ჰფარავდეს ღმერთის ძალა შენს ოჯახს. მიყვარხარ ძალიან.

*შენი ნათლული ია მკერვალიძე*

## მადლობა

ს.ს. „საქართველოს ბანკის" ფოთის ფილიალის ადმინისტრაციას, მის მთავარ ბუღალტერს **დარეჯან ბერიას,** საოპერაციო მუშაკებს, **მირანდა მორგოშიას, ნინო გვაძაბიას,** მოლარეებს **ნინელი ქებურიას და თამილა ნაჭყებიას**, ულრმესი მადლობა გულისხმიერებისა და კულტურული მომსახურებისთვის.

*პატივისცემით, პენსიონერი ენგული იობაძე*

## ბინები

საბურთალოზე 3-ოთახიანი, გარემონტებული ბინა ავეჯით, ორი სააბაზანო-ტუალეტით, ავტონომიური გათბობით, 2(8). ფასი $25.000. ტელ: 899 92-34-10. ქეთი

3-ოთახიანი, კუთხის, იზოლირებული, სარემონტო ბინა, იტალიურ ეზოში, დიდი სამზარეულოთი და სველი წერტილებით, ბ/აირით, ტელეფონით, მანსარდით, დამხმარე სათავსოებით ეზოში. მის: დოლიძის ქ. №48. ტელ: 33-35-87. ქეთინო

4-ოთახიანი, თუხარელის პროექტის, სუფთა ბინა, 2 ლოჯიით, ტელეფონით, ბ/აირით, სარდაფით, კაპიტალური ავტოფარეხით. მის: დ/დიღომი, II მ/რ, 4(14). ტელ: 53-30-38; 877 47-27-86

4-ოთახიანი ბინა (ს/ფ 1500კვ.მ), ახალ, ელიტარულ 7-ბინიან კორპუსში. მე-6 სართულზე, რუსთაველის გამზირიდან 20 მეტრში, მეცნიერებათა აკადემიასთან. ს/ფ – კორპუსის 1 სართულზე. კორპუსის გარშემო საკუთარი, იზოლირებული ეზო. ასეთი ვარიანტი იშვიათია თბილისში!!! ს/ფ $75.000. ტელ: 877 42-42-50; 34-04-87. ზაზა

იყიდება ან იცვლება სოფ. ძეგვის (მცხეთის რ-ნი) ცენტრიდან, თბილისში, სახლი ბეღებაზე, სარდაფით, ოთხი ოთახით, 20-მასეული ნაკვეთით, ხეივნით, ხეხილით. ეზოში დამონტაჟებულია მექანიკური პურის საცხობი. არის ჭა. ტელ: 2-89-19 (გორი). ცირა

საგურამოსთან ახლოს, ახალსოფელში, 2-სართულიანი სახლის ნახევარი, კეთილმოწყობილი. ფასი $20.000. ტელ: 899 92-34-10

თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) მუხრანში 800 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $1.000. ტელ: 23-07-65

სასწრაფოდ! საგურამოდან 1 კმ-ში ახალი აშენებული ევროდიზაინის სახლი. შიდა ტერასული, 4 სართულით, 4 საძინებლით – თავისი სააბაზანო-ტუალეტებით, შიდა აუზით, ბუხრით, ს/ფ 320კვმ, 1200კვმ, კაპიტალური ღობით, 350კვმ დეკორატიული ბაღით. მშვენიერი ჰაერით, ცხელი და ცივი წყლით. ტ: 899 94-11-94

ავარაკი მუხათწყაროში – 2-სართულიანი, 3 ოთახი ლოჯიით, აივნით, I სართულზე მოწყობილი სამზარეულოთი და სასადილოთი, შემოღობილი ხეხილიანი ეზოთი. წყალი დახურულია. ტელ: 877 40-30-75; 39-56-53. თამარი; 899 56-30-75

## ქირავდება

კომფორტული ბინა სურამში, საკურორტო ზონაში. ტელ: 3-24-63. მარინა; 893 30-66-71

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსული ენის მცოდნე ადამიანებს. ემუშავებთ ოფისში. საუკეთესო თანამშრომლებს ელოდებათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ამერიკულ-იტალიურ-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს, მზარდი ანაზღაურებით. ხელფასი გამომუშავებით, თვეში – $300-500, აშშ სტანდარტებით. ვიწვევთ 17-40 წლამდე ასაკის ადამიანებს. მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46; 899 15-89-92. თიკა

## მომსახურება

დასვენება: ესპანეთისა და თურქეთის კურორტებზე, შეღავათიან ფასად, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; აჭარაში – ბათუმი, ქობულეთი, სარფი, კვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, შეკვეთილი; ასევე, ბაკურიანში, ბორჯომში – კვებით და კვების გარეშე, სასტუმროებსა და კერძო სექტორებში. მის: აბულაძის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტურ. კომპანია „Dilaplus". http://dilaplus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

ებილაცია ელოსის ან პლასტიკის ერთჯერადი ხელსაწყოებით. უმტკივნეულო, გუნებით და არსებობდნენ. უკანასკნელი ... ... (text illegible line)

ვაწარმოებ რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას. ვარბილებ სამეულებზე შეკვეთებს, შეღავათიან ფასად. ტელ: 69-45-18. გიორგი

ტურისტული ფირმა „ქართი" გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დასვენებას ქობულეთში, კარგი პირობებით და ხელმისაწვდომ ფასებში, 10-15 დღე, 3-ჯერადი კვებით, ზღვასთან და პარკთან ახლოს, ექსკურსიით. ქმაყოფილები დარჩებით. მის: აღმაშენებლის №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89; 899 90-67-52. ირინა ჯანაშია, ნონა ლილუა

ჯგუფური და ინდივიდუალური დასვენება ქობულეთში, კერძო სექტორში, აღმაშენებლის ქუჩაზე, სამჯერადი კვებით კაფეში, სასტ. „ივერიის" ტერიტორიაზე, ფიჭვნარში. ფასი: 10 დღე – 90 ლარიდან (ბინა, კვება). ჯგუფებსა და 10 წლამდე ბავშვებზე ვრცელდება შეღავათები. მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის 113/115, (ეზოს ბოლოში, სამკურნალო ცენტრი „ფარმაცევტი"), კაბ. №31. ტელ: 69-18-38 (დილა-საღამოს); 91-18-38 (სახლ); 877 41-86-16. ცისანა სურმავა

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსიამოვნო შეგრძნებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური მეთოდებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე სავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმი-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობს საკმაო გამოცდილებით – აღმდგენი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟით და სხვა მეთოდებით ალაგებენ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, ხმისა და ხელფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. ტელ: 899 55-05-75

სამედიცინო ცენტრი „დელფინი" გთავაზობთ: 1) დიაგნოსტიკა და მკურნალობა 0-დან 15 წლამდე; 2) ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშები წყალში, ცურვა, ... ; 3) მოზრდილი ბავშვთა რეაბილიტაცია (მასაჟები, ვარჯიშები, სუნთქვითი ვარჯიშები); 4) ჰომეოპათია. ცენტრში მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმ-სპეციალისტები. მის: ცოტნე დადიანის ქ. №134, სპორტული კომპლექსის შენობა, III სართ. (მ. „ნაძალადევთან"). ტელ: 69-57-76 (დილით); 36-40-65; 38-29-63 (საღამოს)

პოლიკლინიკის დირექტორ ლომთათიძეს მოწვეული ჰყავს რუსეთისა და ისრაელის კლინიკაში ნამუშევარი მაღალკვალიფიციური ექიმი, რომელიც მკურნალობს: საკუთრივ ნერვის ანთებას, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს, ოსტეოქონდროზს, ასთმურ ბრონქიტს, სქოლიოზს, პარალიზებას, ყურებში შუილს, ნევროზს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრდებას, ტროფიკულ წყლულს, წითელ ქარს, მუწუკების მოშორებას, ბუასილს, თმის ბუდობრივ ცვენას, არითმიას, სტენოკარდიას, მანკს, ინფარქტგადატანილ ავადმყოფებს; დაგაკლებინებთ წონაში. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: აღმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29

მუწუკებისა და ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. ექიმი რუსეთიდან საყვარელიძე პაციენტებს ღებულობს ახალ მისამართზე: ზურაბ ჭავჭავაძის (ყოფ. შეროზიას, შესახვევი დავით აღმაშენებლის №99-თან) ქ. №10. „თვალის დისპანსერი". კაბ. №2. ტელ: 95-30-26 (სახ); 39-00-70 (ბინა); 899 56-96-61

ხალხური მედიცინის მაქსიმალური შედეგები! ჩიყვის, კისტის, ფიბრომის, მასტოპათიის, ბუასილის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მკურნალობა უოპერაციოდ, მცენარეული პრეპარატებით! აღმაშენებლის №112 (შესახ. ჩოდრიშვილის №10). ხალხური მედიცინის სამკურნალო ცენტრი „კოლხი მედეა". ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტ: 94-00-27 (სახ); 897 58-29-18

მთლიანი ორგანიზმის კომპიუტერული დიაგნოსტიკა. დეგიდეგა და ზიანების ადრეული კვრების არსებობა, განსაკუთრებით ონკოლოგიაში. ინიშნება მკურნალობის კურსი მცენარეული პრეპარატებით. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №112. ჩოდრიშვილის (შეს. №10). სამკურნალო დიაგნოსტიკური კაბინეტი „კოლხი მედეა". ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 94-00-27 (სახ); 897 58-29-18

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე. შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მანიკიური); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახური); 96-22-89 (ბინა). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

გსურთ სწავლა გერმანიის სკოლებსა და უნივერსიტეტებში, სტაჟირება გერმანიის წამყვან საწარმოებში, სწრაფი და მაღალპროფესიონალური თარგმანები, გერმანული ენის გაძლიერებულად შესწავლა? – მოგმართეთ გერმანიის საუნივერსიტეტო და სასკოლო სწავლების საკონსულტაციო ცენტრს საქართველოში. ტელ: 877 73-48-17

ვიწვევთ ახალგაზრდა გოგონებს ღილერის პროფესიის შემსწავლელ კურსებზე, შემდგომი დასაქმებით. მის: თამარ მეფის გამზ. №17. ტელ: 96-74-81

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას ქართული და რუსული სექტორების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა; 2. უცხო ენები; 3. ეკონომიკური. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან მე-3 კურსზე. კოლეჯში ფუნქციონირებს იგივე ფაკულტეტები. ფასი 220-300 ლარი. გათვალისწინებულია შეღავათები. მის: თოფურიას №12 (ვაჟა-ფშაველას III და IV კვარტლებს შორის), 128-ე საშ. სკოლა. ტ: 32-82-60; 32-06-97; 30-51-30 (საღამოს)

## იყიდება

მოტოციკლეტი „იავა-350", კარგ მდგომარეობაში. ფასი $250. ტელ: 53-67-62

ძველებური გერმანული ვიტრინ-კარადა, ზედა მხარე სამზრდი ბროლის მინებით, ქვედა მხარე 2-კარიანი დახურული. ფასი 200$. ტ: 23-07-65

1. უმაღლესი ხარისხის 1,2 მმ-იანი ვენახის მოპროფილებული მავთული; 2. პოლიეთილენის გარსაცმიანი 2,5 ვენახის მავთული; 3. „ვაჩნი" 1,2 მმ-იანი მავთული; ნებისმიერი უჯრედიანი შემოსაღობი მავთულბადე; 5. ვენახის ხის სარზე მავთულის მისამაგრებელი ლითონის „შპილკა"; 6. ვენახის თავის სარის დასამაგრებელი ლენტა; ტელ: 899 14-28-16

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## სხვადასხვა

**თანადგომა**

ქვეყანა წალეკა შურმა, ცილისწამებამ, ურთიერთშეურაცხყოფამ... და რაოდენ აღმაშფოთებელიც არ უნდა იყოს, ყველა ეს უკეთურება დღეს ბევრი ვაიქართველისთვის იაფფასიანი პოპულარიზაციის იარაღად ქცეულა.

ერის გადარჩენის გზა – ილიას გზაა და ამ გზაზე ბატონი გურამ შარაძე თავისი მოღვაწეობით და ცხოვრებით ქართველი ერის წინამძღოლად გვევლინება.

საგარეჯოს სამედიცინო კოლექტივი ვდგავართ რა გურამ შარაძის გვერდით, ამავე დროს ვგმობთ თავისუფლების ინსტიტუტისადმი განხორციელებულ ვანდალურ აქტს.

ბატონ გურამს კი ვუსურვებთ თავისი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობით კვლავაც იბრძოლოს იმ უდიდესი ღირებულებების გადასარჩენად, რასაც „ენა, მამული, სარწმუნოება" ჰქვია.

*საგარეჯოს რაიონის მედმუშაკები (ასი ხელმოწერა)*

ჩოხატაურის რაიონში გავცვლი 70 ჰექტარი, 5-წლიანი მოსავლიანი ნაკვეთი. პერსპექტივაში შესაძლებელია კიდევ 100 ჰა-ს ათვისება. ვეძებ ხანრისოს. ტელ: 899 915-707

განიცდით სასიყვარულო კრიზისს? – იკითხეთ ყველგან სასიყვარულო პრესის ლიდერი – გაზეთი „სიყვარულის სამყარო". გაზეთის რედაქციის ოფისში ფუნქციონირებს გაცნობისა და დაოჯახების კლუბი. მობრძანდით, ჩვენ დაგეხმარებით დაოჯახებაში. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ, ოთ. №210. (შესასვლელი ქიქოძის №2-დან). ტ: 93-49-72; 899 56-32-59

## ხსოვნა

**სინანულით სავსე გახსენება**

კარი ფრთხილად გაიღო და ზღურბლს სიცოცხლით სავსე, ჯანსაღი



გარეგნობის, ღია ფერებში გამოწყობილმა ქალბატონმა გადმოაბიჯა. ხალისიანად მოგვესალმა და საუბარი ისე გააბა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით. ინტერესმჭარულმა ჩემ. გვერდით მყოფი გადავხედე, მე მეონი, თვეგ ფიქრი ჩასდგომოდა თვალებში... „რაც არის არის" – ვთქვი გულში და ტრადიციულ გამარჯობას, „გაგვეცანით თუ შეიძლება, საიდან ხართ და რა დაამთავრეთ" შეკითხვა, ისედაც უცხო გარემოთი აფორიაქებული თავი ვაიძულე ყველაფერი ისე მიმელო, როგორც იყო. ამ აზრმა სულ წამიერად გამიელვა და დავმშვიდდი. ის ქალბატონი კი ემოციების დატვირთულ, ლიდი ფრანგულით ვეებოდა რაღაცას. ხან ბელგიას ახსენებდა, ხან პარიზს. ძალუმერებურად მოისმინა ისე გამიტაცა, სულ გადამავიწყდა რამდენიმე წუთის წინანდელი აზრები. მერე წამოვიდა ცნობისმოყვარე შეკითხვები და დაუზარებელი ქმაყოფილებით სავსე სახის გამომეტყველებით გაცემული პასუხები. პირველი ლექციის დასრულებას ალბათ ვეღარავინ ვუგრძნობდით, ზარის ხმა რომ არ გაგვეგო. კარგი განწყობა მთელი დღის განმავლობაში გაგვყვა სუყველას.

ასე დაიწყო და მთელი ორი წლის განმავლობაში ასე ბუნებრივად და თავისუფლად გრძელდებოდა სინქრონის კათედრაზე, **ია ნაცვლიშვილთან** ურთიერთობა. ლექციებსაც და გამოცდებსაც ერთნაირი სიყვარულით ატარებდა.

საყვედურსაც (ნეტა, რომელი სტუდენტი არ იმსახურებს!) ისე შეპარულად გვეტყოდა სინდისის ქენჯნას გვგვიღვიძებდა. ჩვენ შორის ასაკში განსხვავებას ვერც ერთი ვერ ვგრძნობდით, გვიხაროდა და გვიყვარდა მასთან ყოფნა.

შემდეგაც ხშირად ვახსენებდი ქმარში. გულიანად მოვიკითხავდა, თვალებგაბრწყინებული მოგვიყვებოდა სასიამოვნო ამბავს. გვენდობოდა საწუხარი არაფერი აქვსო. თვალი რომ გაგვყურებინა, იფიქრებდა, გულში მუსიკას ამღერებს და მის რიტმს მიჰყვებაო. ერთხელ, საფრანგეთის საელჩოს მიერ ბასტილიის აღების დღის აღსანიშნავ შეკრებაზე, იმდენად დახვეწილად შესრულა ჯაზური კომპოზიცია, – ალბათ ესეც კარგად გამოუვიდოდა, პროფესიონალი რომ გამხდარიყო-მეთქი, – გავიფიქრე.

მერე უცებ იმდენად დაუჯერებელი ამბავი გავიგეთ... თურმე სიცოცხლე ხელიდან გამოსცლია ამ სიცოცხლის მოყვარულ ქალბატონს, მართლაც დაუჯერებელი და მოულოდნელი იყო.

სინქრონის ახლანდელი სტუდენტები ვერც კი წარმოიდგენენ რა თბილი ლექტორის და კარგი ადამიანის გაცნობის საშუალება აღარა აქვთ...

28 ივლისი – ის დაბადების დღეა!

***

ძვირფასო ია, აა, შენი მეორე დაბადების დღეც მოვიდა. უშენოდ... ძალიან აკლიხარ შენს საყვარელ **„კვირის პალიტრას"** ნიჭით, ღიმილით, სითბოთი, სიყვარულით...

ღმერთმა გადაგფაროს კალთა...

**ლია ავლოხაშვილის ხსოვნას!**

ჩვენო საყვარელო ლია, დაუჯერებელია შენი არყოფნა.

წუთისოფელი მოკლეა, მაგრამ შენთვის სიკვდილის წამიც მოკლე შეიქმა. ვერ შევძელით, სამაგიერო მოგვეგო შენთვის იმ ყურადღებისა და სითბოს სანაცვლოდ, შენ რომ იჩენდი ახლობლებისა და ირგვლივმყოფების მიმართ, ვერ დაგიხსენით...

სიკვდილი სიკვდილია, მაგრამ როცა ახალგაზრდა, სიცოცხლის მოყვარული, სათნოებითა და სიკეთით სავსე ქალი მოულოდნელად წავა ამ სოფლიდან, მით უფრო მტკივნეულია. დამწუხრებულია შენი დიდი სანათესავო – ბიძაშვილები, დეიდაშვილები მამიდაშვილები. ნუგეშის სიტყვა ამ დროს ულონოა. ისღა დაგვრჩენია, ღმერთს შევავედროთ შენი ლამაზი სული.

*მშობლები გრიშა, ნათელა; დები ქეთინო, მზია; სანათესაო*



**მამუკა ნადირაძის ხსოვნას!**

24 ივლისს 3 წელი გახდა, რაც წახვედი. 19 წლის არ დაგინდო სიკვდილმა, ჩემო პატარა ჟურნალისტო. შენი სიკვდილის შემდეგ ჩემი ცხოვრება სიცარიელეა.

მენატრები, უსაშველოდ მენატრები.

*ნათელა პაპიდა*

**გია ქუშაშვილის მოგონება**



უკვე მეორედ ვხვდებით ცრემლითა და გულისტკივილით, შენს დაბადების დღეს. 15 ივლისი ხომ შენი დაბადების დღეა, ჩვენო ლამაზო ძმაო. შენმა უდროოდ წასვლამ გული გვატკინა ყველას. ძნელი ყოფილა უშენობა. შენ ჩვენი დიდი სატკივარი ხარ, ჩვენო უზომოდ კეთილო, კარგო და ლამაზო, პატარა ძმაო. ყოველთვის ვილოცებთ შენთვის.

ნათელში გამყოფოს უფალმა. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური ყაზბეგის მიწა.

*შენი ბიძაშვილები*



**სამსონ (ჯემიკო) დავითაიას ხსოვნას!**

48 წლის ასაკში დამთავრდა ტრაგიკულად შენი სიცოცხლე. ყველას როგორ უყვარდი. რა დღეში იყვნენ დედაშენი და შენი დები. რა დაუბარე შენს ცოლ-შვილს?! ახლა უნდოდა შენი სითბო და სიყვარული ყველას – ელმირას და ირაკლის, შენს ახლობლებს და ნათესავებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ტატიანა, ლია, მამოზა, როინი, დათო მამინოშვილები*

**ვანო ქენქაძის გახსენება**



ჩვენო საყვარელო ვანო! 5 წელი გავიდა უშენოდ, 5 გრძელი, უსაზღვრო ტკივილით აღსავსე წელი. ძალიან, ძალიან ძნელია უშენობა, გვაკლია. შენი სიცოცხლის სიყვარულით აციმციმებული თვალები, შენი ღიმილით გაცისკროვნებული სახე. დიდხანს ებრძოდი უკურნებელ სენს, მაგრამ მან მაინც გაჯობა, წაგვართვა შენი სიცოცხლე.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული, ჩვენო ვანიკო. ილოცე შენი დატანჯული დედის, შენზე ფრთამოტეხილი ძმისა და შენი ახლობლებისათვის.

*ნოდარი, ნათელა, ნატო და ირაკლი ქენქაძეები*

**ვაჟა გოგოლაძეს!**



ჩვენო უსაყვარლესო ვაჟა, უკვე ორმოცი დღე გავიდა – უშენობით დამძიმებული და მონატრებული დღეები. როგორ გვიმძიმს უშენობა და იმ აზრთან შეგუება, რომ შენ აღარ ხარ, აღარ დაგვარიგებ, აღარ გაგვიღიმებ, აღარ მოგვეფერები. სიზმარივით გამოგვეცალე ხელიდან. მიუხედავად ხანგრძლივი ავადმყოფობისა, თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი. შენი წასვლით დაცარიელდა ის დიდი და შეუცვლელი ადგილი, რომელიც გეკავა შენს საკუთარ ოჯახში. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი. შენ ჩვენს გულებში სამუდამოდ ცოცხალი იქნები.

გზა მშვიდობისა, ჩვენო დიდო სიყვარულო და დიდო ტკივილო. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა. ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია, გაგიხსენოთ და ვილოცოთ შენი სულისათვის, რათა წმინდა სასუფეველში დაიმკვიდრო სამუდამო ბინა.

*შენი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, სიძეები*

**გია ხახიაშვილის გახსენება**



29 წელი შეუსრულდება, 31 ივლისს. ხუთ დაბადების დღეს მოესწარი. დანარჩენი წლები უშენოდ გავატარეთ ცრემლში, დარდსა და გაუსაძლის ვითარებაში.

1979 წლის 18 თებერვალს მთელი სანათესაო შეძრა შენმა მოულოდნელმა, ტრაგიკულმა დაღუპვამ.

იძინე, ჩემო ერთადერთო იმედო და სიამაყევ, ტკბილად, შენს სამუდამო სასუფეველში. დაე, მსუბუქი იყოს შენი მშობლიური მიწა შენს გულზე.

*შენი სამუდამოდ ტანჯული და უიღბლო მშობლები, ციხმარი და ავთანდილ ხახიაშვილები*

**ვახტანგ ხათაშვილის გახსენება**



ორი წლის გახდებოდი, ჩემო გულიშვილო ვახტანგ, მთავარანგელოზობის დღეს დაბადებულო – 26 ივლისს, 2000 წ.

როდესაც ვლუხიდან მოხვედი ნაზიარები 2002 წლის 27 იანვარს – ნინოობა დღეს, წლინახევრისა და ერთი დღისა – უბედურმა ბედისწერამ ერთმანეთს დაგვაცილა.

სულ ნათელში იყოს შენი სული, ჩემო ვახტანგ. გილოცავ დაბადების დღეს!

*შენი ბაბა კობა ავხაჯანიშვილი*

**გივი ვარაზაშვილის გახსენება**



მონატრებაში, გლოვასა და ცრემლში გატარებული 40 დღე გავიდა. ორმოცი დღეა, აღარ გაგვიგონია შენი ხმა. რა ძნელი ყოფილა იმის აღქმა, რომ ვეღარასოდეს გნახავთ. შენმა გულმა ხომ სულთმაფლების დღეს – 13 ივნისს, შეწყვიტა ძგერა და ზეციურ საქართველოში გადასახლდა. უსაზღვროა შენი მონატრებით გამოწვეული ტკივილი, ჩემო გივი. შენ ხომ სიცოცხლეს, სიკეთეს, ერთგულებას და სიყვარულს თესდი შენ გარშემო, ამიტომაც დააკლდი ასე ძალიან შენს ნათესავებს, შენს უბანს. შენ ხომ კაცური კაცის სახელით წახვედი ამ ქვეყნიდან და ისეთი მოუშუშებელი იარა დაგვიტოვე, რომ სიცოცხლის ხალისიც კი დავკარგეთ.

შენი კაცური სახელი გზას გაუკვალავს შენს ვაჟკაცებს – ლექსოს და ლევანს, რომლებსაც სწორედ ახლა სჭირდებოდათ შენნაირი მზრუნველი და მოამაგე მამა. რამდენი დღე და წელიც არ უნდა გავიდეს, შენი სახელი დავიწყებას არ მიეცემა, იმიტომ, რომ შენი სიცოცხლე შენს ოთხ შვილსა და ორ შვილიშვილში გრძელდება, ჩემო გივი.

ნათელში იყავი, ჩემო კეთილო, ალალ-მართალო, ერთგულო ადამიანო.

გვენატრები და გვიყვარხარ!

*შენი ოჯახი*

**ვაჟა (ვლადიმერ) ხვისტანის გახსენება**



40 დღე გახდა დღეს, ვაჟა, რაც სახლიდან წახვედი.

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი. ვინ იფიქრებდა, რომ ჯანმრთელი და ენერგიით სავსე კაცი, მოულოდნელად წახვიდოდი ამ ქვეყნიდან. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც, ვინ იცის, როგორ ჩქარობდი სახლში მოსვლას, მაგრამ ვაი, რომ ბედმა გიმტყუნა, სახლამდე ვერ მოაღწიე. შენ მხოლოდ 65 წელი იცოცხლე, მაგრამ კაცური კაცის სახელი დატოვე ამქვეყნად. შენ იყავი სპეტაკი, უანგარო და ალალმართალი, ამიტომაც წაგიყვანა ღმერთმა 13 ივნისს – ამაღლება დღეს – შენი სული ახლა მაღლა ცაშია. ჩვენ კი ამაოდ გელოდებით. ყოველი დღე ჩვენთვის ცრემლიანი და ტკივილიანია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

**გოგოლა (ლუბა) მიმინოშვილი-კიზირიას ხსოვნას!**



ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, გვაკლია შენი უსაზღვრო სითბო და სიყვარული. შენ კრიტიკულად აფასებდი ოჯახის ყველა წევრის საქმიანობას, მათგან მოითხოვდი მხოლოდ სასიკეთო საქმეების კეთებას, ყველა ვალდებულნი ვიყავით, ანგარიში ჩაგვებარებინა, „აბა დღეს მე, ვის რა ვარგე?!" – შენ მიერ დაკანონებული დევიზით გაწეულ საქმეზე.

ყველა ჩვენი მოყვასი, ახლობელი თუ მეზობელი, სიამოვნებით ვიყრიდით შენთან თავს, საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად. იყო გაუთავებელი დისკუსიები სიკეთეზე, ჩაგრულთა დახმარებაზე, საქართველოს მომავალზე, სამართლიანობაზე, შრომაზე, სიბერეზე.

წიგნებია ჩემი საუკეთესო მეგობრებიო, – იტყოდი ხოლმე. ილია ჭავჭავაძე, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, შექსპირი, გოეთე, შილერი და ვინ იცის, ვის თვლიდი ხოლმე შენს განუყრელ მეგობრად. გვენატრება შენთან სალი პოლემიკა, როგორც იტყვიან ხოლმე, გაუთავებელი საუბრები გადაუწყვეტელ პრობლემებზე.

შენს სიახლოვეს არ გააჭაჭანებდი უსაქმურებს, ორგულებს, მოღალატეებს, გულგრილებს, ვინაიდან ასეთები მიგაჩნდა ყოველთვის საქართველოს და ოჯახის მტრებად.

გვენატრები, გვეყვარები მარად. ღმერთმა ნათელში გვამყოფოს შენი სპეტაკი და ალალი სული.

*შენი ოჯახი*



**თამარ ფირცხალავას მონატრება**

ჩვენო საყვარელო თამრიკო, გილოცავთ დაბადების დღეს, 25 ივლისს. ოთხი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენგან წახვედი. ძალიან გვენატრება შენი ლამაზი და კეთილი ღიმილი.

შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ჩვენო გულმართალო ადამიანო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური სოფლის მიწა.

*კახა, ცისანა, გენრიეტა*

**მამუკა პაჭკორიას ხსოვნას!**



შენმა ტრაგიკულმა სიკვდილმა, რომელიც მეხივით გავარდა აბაშის რაიონში, ყველას გული დასწყვიტა, მით უმეტეს – ჩვენ. ერთი ოჯახის წევრებივით ვიყავით. ვერ წარმოგვიდგენია, მართლა რომ აღარა ხარ. რამდენიმე დღეში ჩვენი ოჯახის ნათლია უნდა გამხდარიყავი და აი სწორედ შენი დაღუპვის მეოთხე დღეს, პატარა ბექა მოგვევლინა.

ნუთუ არასდროს მოხვალ, ჯიხურში შენ ხომ ჟურნალ-გაზეთებს წაუკითხავს არ დატოვებდი, ყველას სიყვარულს იმსახურებდი შენი ზრდილობით და სითბოთი, ყველას რომ უყვარდი, ნუთუ 38 წლის სიცოცხლე გარგუნა ბედმა?! ძალიან გვიმძიმს და გვეცოდები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ტატიანა, ლია, მამოზა, როინი, დათო მამინოშვილები*

**მამუკა პაჭკორიას ხსოვნას!**

განუზომელია სევდა, რომელიც თან ახლავს შენს გარდაცვალებას, ჩვენო მამუკა.

ნიჭიერი ინჟინერი, ულალატო მეგობარი და მუდამ მოჩქარე... აკი, ამ ქვეყნიდან წასვლაც უნებლიეთ იჩქარე, რასაც ხელი შეუწყო ვიღაცების გულგრილობით, უყურადღებოდ დატოვებულმა ელექტროჩამრთველმა...

აბაშის ყოფილი სარემონტო სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი ცრემლებითა და დიდი გულისტკივილით გაგაცილებს 23 აგვისტოს იმ საბედისწერო გზაზე, მარადისობა რომ ჰქვია. მსუბუქი იყოს აბაშის მიწა შენთვის.

*აბაშის სარემონტო სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი*

**ვახტანგ ხათაშვილის გახსენება**



27 ივლისს ექვსი თვე გახდება, რაც აღარ გვინახიხარ, აღარ მოგვეფერებივართ, ყველას გვენატრები...ეს მონატრება კი ძალიან მწარეა, ცრემლი და გულისტკივილი მოაქვს შენს სურათებს.

26 ივლისს ორი წლის წლის გახდებოდი, მაგრამ შენს დაბადების დღეს უშენოდ ვხვდებით. ძალიან გვიჭირს უშენობა, ცხოვრება უშენოდ ცარიელი ოცნებაა, ფიქრია შენთან შეხვედრაზე, შენს მოფერებაზე; მაგრამ სინამდვილეში კი უშენობაა, სიბნელეა და დიდი ტკივილია.

ყველას გვენატრები, შენს მოღიმარ სახეს მხოლოდ სურათებში ვხედავთ, როგორი სიცოცხლის სავსე იყავი, მთელი ცხოვრება მეგონა, ასეთი ლამაზი იქნებოდი, მეგონა სულ ერთად ვიქნებოდით, მაგრამ ოცნების კოშკები სიკვდილმა დამინგრია. ძალიან მენატრები.

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო პატარა შვილო!

*დედა – სოფიო ავხაჯანიშვილი*



სოფელ მარტყოფში ბერიძეშვილების ოჯახს საშინელი ამბავი დაატყდა თავს, მათი 15 წლის ვაჟი – **ზაზა,** 13 ივლისს ტრაგიკულად დაიღუპა. იგი წყალში დაიხრჩო. ოჯახის ნათესავები და ახლობლები ღრმა მწუხარებას გამოხატავთ მომხდარის გამო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ ნიჭიერი ახალგაზრდის სული.

*ზაზას ბიძა და მამიდა – ბერიძეშვილები*

„კვირის პალიტრის" რედაქცია ღრმა მწუხარებით, გულწრფელად თანაუგრძნობს თანამშრომელს – **ფრიდონ ბებეშიძეს**, დედის გარდაცვალების გამო

იროდი თელიას ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს **შოთა და ლენა პაჭკორიებს**, შვილის

**მამუკა პაჭკორიას**

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს რაიონის საავადმყოფო – სააქციო საზოგადოება „დასტაქრის" თანამშრომლები, თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ **ვაჟა ქადაგიძეს,** მამის

**გიორგი ქადაგიძის**

გარდაცვალების გამო.

**დათო ოჩხიკიძის** ოჯახს თანაგრძნობას ვუცხადებ, დედის

**ლამარა ოჩხიკიძის**

გარდაცვალების გამო.

*უახლოესი მეგობარი*

# აბა, როგორ ვთქვა, ბედი არ მქონია-მეთქი?!.

წესად გვაქვს, ყოველი მაისის ბოლოს თანაკურსელები შევიკრიბებით ხოლმე და თუმცა სულ უფრო ნაკლებნი შემოვრჩით საქართველოში, ვცდილობთ, ტრადიცია არ დავარღვიოთ. სუფრასთან, ბუნებრივია, სტუდენტობის შეუდარებელ წლებს ვიხსენებთ, თუმცა ზოგჯერ თემები მრავალფეროვნდება და, აი, ასეთ საინტერესო ამბებსაც ვისმენთ ხოლმე:

მერაბ სანთელაძე ჩვენი კურსის სიძეა. მეორე კურსზე ვიყავით, ნინიკო რომ მოგვტაცა და ისე ხშირად დაჰყვებოდა მეუღლეს ინსტიტუტში, ზოგჯერ თავადაც ჩვენი კურსელი გვგონია. იგი ჩვენი შეკრებების სულისჩამდგმელიცაა...

წლევანდელ შეკრებაზე თამადად ავირჩიეთ და არც ნაგვიგია. ღვინო დიდად არ უყვარს, იშვიათ სადღეგრძელოებს შორის კი საუბარი გაცილებით უფრო საინტერესო ხდება.

ბევრი ვილაპარაკეთ. ბოლოს ბედისა და განგების უცნაურობამდეც მივედით და აი, რა გვიამბო მერაბმა:

— მისტიკური ამბებისა ბევრი არაფერი მჯეროდა მანამ, სანამ საკუთარ თავზე არ გამოვცადე ბედისწერის უცნაურობა...



შარშან ზაფხულს გრანტი მოვიგეთ და ამერიკაში უნდა წავსულიყავით სამნი, პროგრამა უნდა წარგვედგინა, კონფერენციაში უნდა მიგვეღო მონაწილეობა. რადგან სხვებზე უკეთ მე ვიცი ინგლისური, მოვხვდი ამერიკაში გასამგზავრებელთა სამეულში. კიევიდან უნდა გავფრენილიყავით.

მგზავრობისთვის ადრიანად დავიჭირეთ თადარიგი. ჩემთან ერთად გიორგი გომელაური და ზაზა დვალაძე მოდიოდნენ. გიორგის მეუღლე ჰყავდა ფეხმძიმედ. სექტემბერში ელოდნენ პირმშოს, მაგრამ ივლისის ბოლოს ქალს ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. ძალიან ცუდად იყო, საშიშროება შეიქმნა, რომ ინვალიდი დარჩებოდა და ველარასოდეს გაივლიდა. აბა, რა ამერიკის დარდი ჰქონდა კაცს და ბუნებრივია, გიორგიმ უარი თქვა წასვლაზე. დავრჩით მე და ზაზა. რატომლაც გადავწყვიტეთ, ჯერ მოსკოვში წავსულიყავით და იქიდან გავფრენილიყავით კიევში. ქუთაისიდან ხუთ აგვისტოს გავემგზავრეთ. მშვიდობით ჩავედით, მაგრამ მოსკოვის სასტუმროში ზაზა არ შეუშვეს, საბუთები დაუწუნეს — თან ურჩიეს — არც კიევში თქვენს წასვლას აქვს აზრი, თვითმფრინავში მაინც არ აგიშვებენ, თუ პასპორტს სასწრაფოდ არ გაასწორებთო: შტამპი აკლდა ერთი, რომელიც აშკარად მექანიკურად იყო გამორჩენილი. საბუთები ერთად გავამზადეთ მე და ზაზამ, ჩემს პასპორტში ყველაფერი წესრიგში იყო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გზაში „აორთქლდა“ ის ბეჭედი, თორემ ზაზა იფიცებოდა — იყო, კაცო, კარგად მახსოვს, აქ მრგვალი ბეჭედი იყო, აქ კი სამკუთხედიო!.. მაინც წამოვიდა ჩემთან ერთად კიევში, მაგრამ აგიხდათ ყველაფერი კარგი, როგორც იმას მოსკოველი ადმინისტრატორის ნათქვამი აუხდა, არ აუშვეს თვითმფრინავში და მარტო დავრჩი.

...ნიუ-იორკში 14 აგვისტოს ჩავფრინდი. კონფერენცია 16 აგვისტოს იხსნებოდა მაიამიში. რადგან დრო გვქონდა, ამერიკელმა მეგობრებმა ნიუ-იორკის დათვალიერება შემოგვთავაზეს, მთელი ქალაქი დაგვატარეს, მანჰეტენზეც ვიყავით, ბუნებრივია, და ის მოგვიანებით დანგრეული ტყუპიც ჩემი თვალით ვიხილე. საღამოს რესტორანში ვიკრიბებოდით ვახშამზე. სასტუმროს ნომერში მარტო ვიყავი და რესტორანში ჩასვლამდე შხაპის მიღება გადავწყვიტე... კაფელის იატაკზე ფეხი დამიცურდა და ისე დავეცი, რესტორნის ნაცვლად საღამოს რვა საათზე ჰოსპიტალში ვიყავი გაჭიმული, თაბაშირში გაკრული. 16-ში ჩემს მაიამიში გამგზავრებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. უკრაინელებმა დამამშვიდეს: ვიტყვით, რაც შეგემთხვა და შენს მაგივრად ჩვენ შევეცდებით პროექტის წარდგენასო — წაილეს ჩვენი ქაღალდებიც და ნახაზებიც, მაგრამ... მტერს, იმათ რომ საქმე გააკეთეს... მაიამიში ჩასულებს მიკროავტობუსი დახვდათ, რომელსაც საკონფერენციო დარბაზამდე უნდა მიეყვანა სტუმრები. ავტოკატასტროფა მოხდა. მიკროავტობუსის 14 მგზავრიდან 8 დაიღუპა, მათ შორის უკრაინის დელეგაციის სამი წევრი...

სანამ ამ უბედურებას შევიტყობდი, მანამდე საქართველოში დავრეკე და დედაჩემმა შემომტირა ტელეფონში: „რადგან შენი ხმა გავიგე და ცოცხალი ხარ, არაფერს დავუძებ. რაც წახვედი, გარდაცვლილი მამაშენი მესიზმრება: „ბიჭი სად გაუშვი, მაინცდამაინც უცხო მიწაზე უნდა მომკვდარიყო, არ ვიცი, როგორ ვუშველი, მაგრამ იქნება სიცოცხლე შევუნარჩუნოო!..“

დედაჩემს შევუტიე: ნუ მომკალი მაგ შენი ისტერიკებით, კაცი დავბერდი და ერთი დღით არ გინდა შენს თვალს მივეფარო-მეთქი?..

ღამით დამამშვიდებელი საშუალებები გამიკეთეს, ტკივილს რომ არ შევეწუხებინე და დილამდე მეძინა. გინდ დამიჯერეთ და გინდ არა, მეც ვნახე სიზმრად გარდაცვლილი მამა, — მეორედ არ დაგინახო ამერიკისკენ გამოიხედო, თორემ ველარ გიშველი, ამ ქვეყანაში შენ სიკვდილის მეტს ვერაფერს იპოვიო... რომ გამეღვიძა, ისევ დედაჩემზე გავბრაზდი: თავისი ლაპარაკით დამაპროგრამა, სისულელე დამესიზმრა-მეთქი...

საღამომდე კი იმ ავტოკატასტროფის ამბავი მითხრა ექიმმა, — ბედი გქონია, რომ მაიამიში ვერ წახვედი, ახლა აღარც ფეხი დაგჭირდებოდა და აღარც თავი, სამოთხეში იქნებოდი უფალთანო...

სიკვდილის შიშმა ერთბაშად გამხადა მორწმუნეც და დამჯერიც — არ ვიყავით მე და ჩემი მეგობრები სასიკვდილოდ განწირულები და ამიტომ შეგვექმნა იმდენი დაბრკოლება. გიორგიმ რომ გამგზავრებაზე უარი თქვა, მისი უიმედოდ ავადმყოფი ცოლი უცებ მომჯობინდა და ფეხზეც დადგა, ექიმებიც გაოცებულნი დარჩნენ, — სასწაულის გარდა, არავის და არაფერს შეეძლო ამ დიაგნოზით ავადმყოფის ფეხზე დაყენებაო... ზაზას საბუთებში შტამპი ნამდვილად არ გაჩენილა, მაგრამ დღემდე მჯერა, რომ იყო და... გაქრა! საქართველო-რუსეთის საზღვარი რომ გადავკვეთეთ, მაშინ რატომ ვერ შეამჩნიეს?! — ზაზას ანგელოზმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა მისი სიცოცხლის დასაცავად და... შტამპი „წაშალა“... მე კი... მე ანგელოზთან ერთად გარდაცვლილი მამის სულმაც მიხსნა, თორემ ისე პატარა აბაზანა იყო, დღემდე ვფიქრობ, როგორ დავეტიე იმ იატაკზე, რომ გაშხლართულმა ფეხიც მოვიტეხე?!.

— **პროექტი ჩავარდა?**

— არა, რას ამბობთ... გრანტი ისედაც ჩვენი იყო, მაგრამ როგორც საინტერესო პროექტის ავტორებთან, პირადი შეხვედრაც უნდოდათ და რადგან იმ კონფერენციაზე ვერ გამოვედით, 2002 წლის იანვარში გამოგვიგზავნეს ახალი მოწვევა, მაგრამ... ბედისწერას აღარ ავუხირდით და უარი ვთქვით გამგზავრებაზე, მით უმეტეს, რომ მამაჩემის გაფრთხილებაც არ დამვიწყებია — ამერიკაში სიკვდილის მეტს ვერაფერს იპოვიო!.. ყველა ქვეყანა რომ გაქრეს დედამიწის ზედაპირიდან და ამერიკის გარდა არსად შეიძლებოდეს თავის შეფარება, მაინც არ წავალ იქ, უკვე მჯერა ბედისწერის და იმიტომ...

— **ერთი სიტყვით, ღმერთის მადლობელი ხარ?!**

— აბა, როგორ ვთქვა, რომ ბედი არ მქონია? — მხრები აიჩეჩა მერაბმა და მართლაც, მისი მონაყოლი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ბედისწერას ვერავინ გაექცევა, თუ თავად არ დაინდო მან კაცი!..

*ინგა ჯაყელი*

# მფრინავი ღორები

ახლახან საფრანგეთის ხელისუფლებამ შექმნა კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს უჩვეულო მოვლენებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

ფრანგებმა ერთდროულად რამდენიმე რაიონში შენიშნეს ღორის მსგავსი მფრინავი არსებები.

პირველი მფრინავი ღორი ტულუზელმა მასწავლებელმა მარი დებლონმა ნახა. სამსახურიდან შინ მიმავალს მანქანა გაუჩერდა. ამ დროს თვალი მოჰკრა უჩვეულო მფრინავ არსებას, რომელიც თავს დასტრიალებდა.

ამ უცნაურ ფრინველს ღია ფერის პატარა, ნახევრად გამჭვირვალე, ვარდისფერ ტანთან შედარებით არაპროპორციული ფრთები, ღორის დინგი, ყურები და წვრილი თვალები ჰქონდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ქვეყნის ჩრდილოეთში, თევზაობისას, ერთმა ფერმერმა დაინახა მდინარის ზედაპირზე მოფარფატე მფრინავი ღორები.

*მეგაპოლის-ექსპრესი №27*

# ჩვენ კოსმოსი გვმართავს



ეტრუსკების ცხოვრებაში ცხოველის შიგნეულზე მკითხაობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამ საშუალებით ეტრუსკი ქურუმები პოლიტიკურ საკითხებსაც წყვეტდნენ. მაგალითად, ასე განსაზღვრავდნენ ისინი ჩაბმულიყვნენ თუ არა ომში: ქურუმი სამსხვერპლო ფრინველს გაფატრავდა, ამოაცლიდა ღვიძლს, გასერავდა და ნახავდა, რა ფერის იყო განასერი. წითელი ფერი ბრძოლაში წარუმატებლობას ნიშნავდა, შავი — წარმატებას. საინტერესოა, რომ ისინი იშვიათად ცდებოდნენ..

ეტრუსკები ღვიძლს (ცხოველის თუ ადამიანის) ცხოვრების ცენტრად მიიჩნევდნენ, სარკედ, რომელიც მარჩიელობის მომენტში სამყაროს მდგომარეობას აირეკლავს. თანამედროვე ფიზიოლოგები სხვაგვარად იტყვიან: ღვიძლში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები მგრძნობიარედ რეაგირებს მაგნიტურ ქარიშხლებსა და გეოფიზიკურ აფეთქებებზე. თუმცა ეს მარტო ღვიძლს კი არა, ყველა შინაგან ორგანოს ეხება, განსაკუთრებით ნერვულ სისტემას. ადამიანი მაკრო და მიკროკოსმოსების შესაყარია. ჩვენ მზის რიტმში ვცხოვრობთ — ამტკიცებს კ. ე. ციოლკოვსკის სახელობის რუსეთის კოსმონავტიკის ვიცე-პრეზიდენტი ლეონიდ გოლოვანოვი. მეტსაც გეტყვით: მზე განსაზღვრავს მთელი ჩვენი ცივილიზაციის ბედს. რევოლუციები და ომები დედამიწაზე პირდაპირი შედეგია მზის აქტივობისა...

## მზით აღგზნებულები

ამბობენ, გასული საუკუნის 20-იან წლებში კოსმოსური სოციოლოგიის შემქმნელმა ალექსანდრ ჩიჟევსკიმ ექსტრემისტ-რევოლუციონერებს ხუმრობით რამდენიმე რეკომენდაცია დაუწერა: რომელ წლებში და თვეებში უნდა გაეწიათ აქტიური პროპაგანდა. მისი დაკვირვების თანახმად, როცა ტელესკოპები მზეზე დიდ ამოფრქვევებს აფიქსირებენ, ადამიანები მოქმედებენ იმპულსურად, დაუფიქრებლად და ადვილად ექცევიან სხვათა გავლენის ქვეშ და ნებისმიერ ლოზუნგს აიტაცებენ ხოლმე.

„ეს ფსიქოპათიური ეპიდემიის ერთგვარი სახეობაა, — ამბობს ნოოსფეროს საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ვიდოლაგინი, — მათი გავრცელების ცენტრებად იქცევიან დინამიკური ფსიქიკის ადამიანები, ასეთები იყვნენ ბელადები — ნაპოლეონი, ლენინი, ჰიტლერი... გარეგნულად მშვიდი სტალინიც კი არაადეკვატურად მოქმედებდა. მას პარანოია სჭირდა“.

არსებობს მზის აქტივობის ციკლი. პერიოდების ცვლა ხდება 8-14 წელიწადში ერთხელ. საშუალო მაჩვენებელია 11,1 წელი. დროის ეს მონაკვეთი აშორებს ერთმანეთს რუსეთის პირველ რევოლუციას (1905-6) და 1917 წლის მოვლენებს. თუ კიდევ 11-12 წელს გადავითვლით, მივიღებთ სსრკ-ში კოლექტივიზაციის და აშშ-ში დიდი დეპრესიის წლებს. მომდევნო 11 წლის შემდეგ იწყება მეორე მსოფლიო ომი.

მზის აქტივობა სხვადასხვა ტემპერამენტის, მენტალიტეტის და განათლების ადამიანებზე სხვადასხვანაირად მოქმედებს. ფიცხი და მებრძოლი ადამიანები იარაღს ჰკიდებენ ხელს. უფრო მშვიდები და გონივრები სამეცნიერო შრომებს ჩაუჯდებიან. სექსუალური ადამიანები კი მთლიანად „ხორცის ძახილს“ მიჰყვებიან.

*შტერნი*

„საზალოო-სალაღო“
გვერდის პასუხები

**I. რებუსი**
ვინც ჭკვიანს დაუჯერებს, იმას სულელი არ ეთქმისო;

II. პანტა;

III. მე-3.





საიმედო!
კომფორტული!

Germania Fluggesselschaft mbH
ავიაკომპანია გერმანია

ავიაკომპანია „გერმანია“ იწყებს ფრენას 25 ივლისიდან

თბილისი – კიოლნი – თბილისი (პირდაპირი რეისი)
- 1 გზა – 280 €
- 2 გზა – 380 €

თბილისი – ბერლინი – თბილისი (კიოლნის გავლით)
- 1 გზა – 330 €
- 2 გზა – 480 €

პირველ ორ რეისზე გთავაზობთ სიურპრიზს:
ეწვიეთ გერმანიას სულ რაღაც 200 ევროს
შესაბამისი კურსით ლარში!

ბილეთები შეიძინეთ სასტუმრო „მეტეხთან“, ავიასააგენტოში
ტელ.: 77 31 71 e-mail:sales@abs.ge
მისამართი ქ. თბილისი, თელავის ქ №20
თანამედროვე ავიაკომპანია „გერმანია“

# როგორ მოვიზიდოთ სეპარატისტები ქართულ ფეხბურთში?

აბსურდულია მტკიცება, თითქოს სპორტი და პოლიტიკა სხვადასხვა სიბრტყეში მდებარეობს. ამის გასაბათილებლად დღევანდელი სტატიის თემაც იკმარებს — ფეხბურთი და სეპარატისტები.

საბერძნეთის ზოგიერთი ცნობილი კლუბის სახელწოდებებში ბერძნების ისტორიულ ფასეულობებს ვკითხულობთ: ათენის აეკ-ის აბრევიატურა — კონსტანტინოპოლელ ათლეტთა ერთობად იშიფრება, პაოკი კი — კონსტანტინოპოლელ პატრიოტთა კლუბია. კვიპროსის ჩემპიონატში თამაშობს ფამაგუსტის „ანორთოის“. ფამაგუსტა თურქების დაპყრობილი ქალაქია და კვიპროსელები ცდილობენ მსოფლიოს შეახსენონ, რომ მათი კუნძულის ნაწილი დაპყრობილია.

საქართველოდან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოწყვეტის შემდეგ, საფეხბურთო-პოლიტიკური ომის ახალი სერიალი დაიწყო. დიდი ხანია, აფხაზური და ოსური გუნდები ფიფას წესების გვერდის ავლით რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობას ცდილობენ და რუსებიც ყოველმხრივ ეხმარებიან. ამას წინათ, ტელეკომპანია PTP-ის ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნდა სტატია, რომლის ავტორი ჟურნალისტის მიკერძოება სათაურიდანვე იგრძნობა: „საქართველო რუსეთის ღია პირველობას ეწინააღმდეგება“. თურმე, საქართველო საკუთარ ტერიტორიულ, იურიდიულ და სპორტულ ინტერესებს კი არ იცავს, როდესაც აფხაზურ კლუბებს რუსეთის პირველობაზე გამოსვლას ფიფას კანონებზე დაყრდნობით უკრძალავს, არამედ რუსებს ეწინააღმდეგება: „ჩემპიონატში სხვა ქვეყნის გუნდის ჩართვის პრეცედენტი მრავლად არის. ირლანდიის პირველობაზე ჩრდილოირლანდიური „დერი სიტი“ გამოდის, მონაკოს სამეფოს კლუბი — საფრანგეთში. სხვა სახეობებშიც შეიძლება მაგალითების მოძებნა. ყაზახური კლუბები რუსეთის პირველობაზე კალათბურთსა და ბურთიან ჰოკეიში ასპარეზობენ. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუკი რუსეთის საფეხბურთო რუკაზე მზიანი სოხუმიც გამოჩნდება“.

ჩვენს დროში ომის მოგების ერთ-ერთი ეფექტური გზა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებაა. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც.

1994 წელს საქართველოსა და რუსეთის საფეხბურთო კავშირს შორის დაძაბულობა სოხუმის გუნდის რუსეთის პირველობაზე ჩატარებულმა შეხვედრებმა განაპირობა. რადგან აფხაზეთი საქართველოს სამართლებრივ სივრცეს ეკუთვნის, რუსებს სეპარატისტთა მხარდაჭერის უფლება არ ჰქონდათ. ამიტომაც ნოდარ ახალკაცმა რუსული ფეხბურთის თავკაცი კოლოსკოვი ფიფაში საქმის აღძვრით შეაშინა. მაშინ საქმე ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი სტატიის ფრაზები ადასტურებს, რომ ჩრდილოეთიდან საფრთხე პერმანენტულად გვემუქრება.

„საინტერესოა“ ერთ სიბრტყეზე „მონაკოსა“ და სოხუმის „დინამოს“ განთავსება. რუს ჟურნალისტს ვერ გაუგია, რომ საქართველო ვერ შეელევა სამართლებრივ ერთიანობას და მხარს ვერ დაუჭერს სეპარატისტების სხვაგან თამაშის იდეას, რაც სულ სხვა რამეა, ვიდრე პატარა სამეფოს სურვილი, რომელიც საკუთარ სუვერენიტეტს არაფრით ლახავს.

რუსული სტატიის წინაპირობა აფხაზური კლუბების მორიგი მცდელობა გახდა. მათ წლეულს კიდევ ერთხელ მიმართეს რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელებს ტრადიციული თხოვნით, რაც თვით **ვლადისლავ არძინბას** სურვილი ყოფილა:

— *აფხაზური სპორტისა და, კერძოდ, ფეხბურთის დონე მუდამ დაბალი იქნება, ვიდრე ჩვენ საკუთარ წვენში მოვიხარშებით. იზოლაციის გასარღვევად აუცილებელია კლუბებმა რუსეთის პირველობაზე ითამაშონ, საქართველოს ჩემპიონატში მათი მონაწილეობა გამორიცხულია. ამგვარი გზით, საკუთარ პრინციპებს უარვყოფთ...*

არძინბას არ ხიბლავს დნესტრისპირული კლუბის, ტირასპოლის „შერიფის“ მაგალითი. ასევე სეპარატისტული „სახელმწიფოს“ გუნდი მოლდოვას ჩემპიონატში გამოდის (მისი კაპიტანი ქართველი, ვაჟა თარხნიშვილია) და წელს ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ტირასპოლელები აფხაზებზე გონივრულად მოიქცნენ — მიხვდნენ, დიდი ფეხბურთის სათამაშოდ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ.

რუსებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს, **ვალერი ჩოლარიას** კომენტარი სთხოვეს:

— *აფხაზური კლუბების რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობა საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევა იქნება. არადა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ფედერაციის გვერდის აულით, აფხაზები რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცებს მეორე ლიგაში თამაშს სთხოვენ. ყველამ იცოდეს, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია...*

ბუნებრივია, რუსებს კომენტარი არ მოეწონათ და ჩოლარიას ნათქვამს „მორიგი ფრაზა“ უწოდეს. ამასთან, მიჩქმალეს, რომ სფფ-ის გენერალური მდივანი გუდაუთაში დაბადებული აფხაზია. წესითა და რიგით, ჩოლარიას თავისიანებზე გული უნდა შესტკიოდეს და ეს არავის გაგვიკვირდება. რუსებს არ უკითხავთ, რატომ ცდილობს ბატონი ვალერი აფხაზების საქართველოსკენ მოზიდვას — ეს ისევ მისი ერის ინტერესებსა და რეალობას პასუხობს. აბა, ვინ უნდა იყოს სოხუმური კლუბის საქართველოს პირველობაზე მონაწილეობის წინააღმდეგი? არაა გამორიცხული, ამ ფაქტმა ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობები გააუმჯობესოს. ჩრდილოეთ ოსეთის ყოფილი პრეზიდენტი, **გალაზოვი** აღნიშნავდა:

— *„ალანიაში“ ქართველი მოთამაშეების გადმოსვლამ და ვლადიკავკაზური კლუბის გაჩემპიონებაში მათ* (ყაველაშვილი, შელია, რევიშვილი — რედ.) *მიერ შეტანილმა წვლილმა ჩვენს მოსახლეობაში ქართველების მიმართ აღძრული ანტიპათიის განეიტრალებას შეუწყო ხელი. დემეტრაძისნაირი პოპულარული პიროვნება კი, შესაძლოა, არც ერთი ოსი არ იყოს.*

და მაინც, ამის მიუხედავად, აფხაზები და ოსები საქართველოში თამაშს, როგორც შავ ჭირს, ისე გაურბიან. საქართველოს მოყვარულთა ნაკრებში მოწვეულ ერთ-ერთ ოს მოთამაშეს ოჯახის შევიწროების შეეშინდა და უარი თქვა მოწვევაზე. აფხაზებიც რუსეთში გამოსვლას ამჯობინებენ. ასე დავკარგეთ უნიჭიერეს ფეხბურთელთა მთელი პლეადა — ცვეიბა, თარბა, ძმები აჯინჯალები, კუტარბა, „ალანიაში“ მოთამაშე და რუსთავში გაზრდილი ძმები ბაზაევები, ოსების ახალდანიშნული მწვრთნელი თედეევი და ა.შ.



ბახვა თედეევი

ამიტომაც დგება საკითხი — რატომ არ ცდილობს ფეხბურთის ფედერაცია ზურგშექცეულებთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას? თუკი მოლდოველებმა ტირასპოლელთა დაინტერესება შეძლეს, რატომ არის ჩვენთვის იგივე წარმოუდგენელი?

„შერიფის“ საკითხი მოლდოვის პოლიტიკურმა და საფეხბურთო ძალებმა ერთობლივად გადაწყვიტეს. ჩვენთან ამის მცდელობა ახალკაცის დროს იყო. ბატონი ნოდარ ანდრიაძე და ვოვა გუცაევი ცხინვალიდან დაიმედებულნი წამოვიდნენ, მაგრამ მას შემდეგ, ასეთი ნაბიჯი აღარ გადადგმულა. არადა, ხომ ვიცით, რომ ცდა ბედის მონახევრეა.

ფეხბურთით პოლიტიკური პრობლემების მოგვარება შესაძლებელია: 1994 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის შესვენების დროს, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ალ გორმა ფიფას პრეზიდენტს ისრაელისა და პალესტინის ნაკრებთა შორის ამხანაგური შეხვედრის ჩატარებაში თანადგომა სთხოვა. ამგვარად, გორს სურდა უმწვავესი პრობლემის მოგვარება.

სოხუმის „დინამოს“, ცხუმისა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე, **გოჩა ჟორჟოლიანი** უფრო სკეპტიკურად აფასებს ვითარებას:

— *ვოცნებობ კვლავ ვიხილო სოხუმში მრავალეროვნული გუნდი, როგორც ეს იყო თავის დროზე. აფხაზ ბიჭებთან მეგობრობა დღემდე შემომრჩა. ხან ისინი მირეკავენ და ხან მე. ორივე მხარეს მოგვბეზრდა უერთმანეთობა. თუმცა, უახლოეს მომავალში აფხაზების საქართველოში თამაში არარეალურად მიმაჩნია.*

— **მოლდოველებმა როგორ მოახერხეს?**

— *ჩვენ კავკასიელები ვართ და ეტყობა, სიამაყე დაახლოებაში ხელს გვიშლის. პრობლემის თავი და თავი ისევ ესაა. არადა, ეჭვიც არ მეპარება, რომ სოხუმელთა მობრუნების შემთხვევაში, გუნდს ქართველ და აფხაზ ბიზნესმენებში სპონსორები აუცილებლად გამოუჩნდება.*

ჩვენ კლადიკავკაზის „ალანიას“ მწვრთნელს, **ბახვა თედეევს** დავუკავშირდით, რომელმაც ბრძანა:

— *ეს პოლიტიკური საკითხია და მასში ჩარევა არ მსურს. ძნელი წარმოსადგენია, დღეს როგორ მოახერხებენ ცხინვალის ან სოხუმის გუნდები საქართველოს პირველობაზე თამაშს. თუმცა, ფაქტია, რომ „ალანიაში“ ქართველების კარგმა თამაშმა ორ ხალხს შორის არსებული დაძაბულობა ძლიერ გაანელა. ფეხბურთი ხალხებს აერთიანებს. ჩემი სურვილია, კავკასიის ხალხი კი არ გაითიშოს, არამედ გაერთიანდეს. ჩვენ ტრადიცია და ნათესაური კავშირები გვაერთიანებს. ფეხბურთში ეს პროცესები უფრო გამძაფრებულია, მას სიძულვილი ნაკლებად შეეხო და იქნებ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი ხალხები ისევ გაერთიანდებიან.*

ძნელია ივარაუდო, ამ პრობლემას როდის მოევლება. არადა, ქართულ ფეხბურთს გვარიანი შენაკადები აკლდება. და თუ რუსები თავისას მაინც არ მოიშლიან, ჩვენც შეგვიძლია გავიხსენოთ გროზნოს კლუბი, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა სურს. ასე რომ, საჩვენო „ჯოკერიც“ ხელში გვიჭირავს.

**ვალერი ჩოლარია**:

— *თუკი აფხაზური კლუბები საქართველოს ჩემპიონატში თამაშის სურვილს გამოთქვამენ, ამ საკითხს აუცილებლად განვიხილავთ აღმასკომის სხდომაზე და მერწმუნეთ, მათ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ. „შერიფი“ მშვენიერი მაგალითია იმისა, როგორ შეეძლებათ აფხაზებს საქართველოს ჩემპიონატში თამაში. ჯერ კი მათი მხრიდან ასეთი სურვილი არ დაფიქსირებულა. სამაგიეროდ, რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობა სურდათ. ამ საკითხზე მერაბ ჟორდანია რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს ესაუბრა და მან პირობა მოგვცა, რომ მათი ორგანიზაცია არასდროს განიხილავს აფხაზების წინადადებას.*

— **თქვენ არ გიცდიათ აფხაზებთან ურთიერთობა?**

— *პირადად მე, აფხაზ სეპარატისტებთან არანაირი კონტაქტი არ მაქვს და ვცნობ მხოლოდ აფხაზეთის იმ ფედერაციას, რომელსაც მურად ანჯაფარიძე თავკაცობს.*

## „ტორპედომ“ მოგებით დაიწყო

ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ჩემპიონმა, ქუთაისის „ტორპედომ“ იოლად, ყოველგვარი ბრძოლის გარეშე დაამარცხა ფარერის კუნძულების უპირველესი გუნდი — ტორსჰაგენის „ბ-36“, რომელიც მოყვარულებით არის დაკომპლექტებული. აქ თამაშობენ მეზღვაურები, მეთევზეები, და ამდენად, მათთვის ქუთაისში 2:5 წაგება საპატიო ანგარიში იყო. ქართველებიდან თავი გამოიჩინეს ასათიანმა (2), იონანიძემ, კვეტენაძემ და პოროშინმა.



დაცვაში არსებული უდაო ხარვეზები ნამდვილად გვიტოვებს საფიქრალს, რაც უფრო თვალში საცემი იქნება მეორე ეტაპზე, სადაც ქუთაისელები პრაღის „სპარტას“ შეხვდებიან. ჩემპიონთა ლიგის ბოლო წლების გათამაშების სტაბილური მონაწილე ასეთ ხარვეზებს არავის აპატიებს.

## რეხვიაშვილი „ასტონ ვილაში“?



ერთი კვირაა გასული მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრებისა და რიგის „სკონტოს“ ნახევარმცველი ალეკო რეხვიაშვილი ინგლისში გაემგზავრა. ქართველი მოთამაშე ბრიტანეთში ლატვიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, გარი ჯონსონის მიწვევით გაემართა და პრემიერ-ლიგის ერთ-ერთ კლუბში ჩარიცხვას იმედოვნებს.

„სკონტოს“ ქართველი მენეჯერის, მიხეილ ძოძუაშვილის თქმით, დაინტერესებული კლუბები არიან „ასტონ ვილა“, „მიდლსბრო“ და „ვულვერჰემპტონი“. თუმცა, არ არის გამორიცხული რეხვიაშვილის სხვაგან გადასვლაც.

თავად ალეკოს თქმით, უფრო სავარაუდოა „ასტონ ვილაში“ გადასვლა. სანამ ყველა კითხვას პასუხი გაეცემა, მანამდე რეხვიაშვილი ფორმის შესანარჩუნებლად მეხუთე დივიზიონის „იოლთან“ ერთად გააგრძელებს ვარჯიშს. ეს ის კლუბია, რომელსაც ზემოთ ნახსენები გარი ჯონსონი წვრთნის. ჯონსონი ლატვიიდან წასვლის შემდეგაც აგრძელებს ბალტიისპირელებთან ურთიერთობას. იგი „სკონტოს“ მოთამაშეების ბრიტანეთში გადასვლა-დაბინავებას უწყობს ხელს.

შეგახსენებთ, რომ ალეკო რეხვიაშვილი 2000-2001 წლების სეზონში ლატვიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ბოლო ოთხი წლის მანძილზე კი „სკონტოს“ უცვლელი კაპიტანი იყო.

*გვერდი მოამზადა ლაშა დუმბაძემ*

## „დინამომ“ „ფრაიბურგს“ სძლია

თბილისის „დინამო“ შტუტგარტთან ახლოს მდებარე ცნობილ ბაზაზე, რუიტში ემზადება. გუნდმა მორიგი საკონტროლო მატჩი 17 ივლისს „ფრაიბურგთან“ ჩაატარა. ჩვენებურები ფინკეს შეგირდებს მათსავე საწვრთნელ ბაზაზე ეწვივნენ და შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს: ზოიძე (გვარამაძე 46), ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე (კვირკველია 46), ბურდული, ანჩაბაძე (სამხარაძე 60), კარლოსი (კანდელაკი 62), გოგობერიშვილი, მიქაძე (ბობოხიძე 46), დარასელია (მაზიაშვილი 75).



მეტოქის შემადგენლობაში სრულად მხოლოდ კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა ითამაშეს. ტრავმამოუშუშებელმა კიკნაძემ კი მინდორზე მხოლოდ ბოლო 20 წუთი დაჰყო. თავად შეხვედრას რაც შეეხება, „დინამოს“ ოფიციალური საიტის ინფორმაციით, იგი გერმანიაში გამართულ შეხვედრათაგან ქართველებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა. თბილისელებს მონდომება არ აკლდათ და, ფაქტობრივად, მეტოქეს არც ერთ კომპონენტში არ ჩამოუვარდებოდნენ. შეხვედრის ერთადერთი გოლი, ლამაზი კომბინაციის შედეგად გავიდა და მასში 5 დინამოელი მონაწილეობდა: ვაშაკიძე, გოგობერიშვილი, ბობოხიძე, ბურდული, ხოლო გოლი დარასელიამ გაიტანა.

„ფრაიბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა „დინამოს“ და აღნიშნა, რომ შარშანდელთან შედარებით ქართველთა გუნდმა დიდი პროგრესი განიცადა. შეგახსენებთ, რომ შარშან ამ კლუბების მატჩი გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა და ფინკე გაოცებული იყო თბილისელთა უნიათობით.

„დინამომ“ გერმანიაში უკვე მეოთხე შეხვედრა გამართა. ქართველმა ფეხბურთელებმა მხოლოდ პოლონეთის „გროცლინთან“ ითამაშეს ფრედ 0:0. მანამდე კი მოკრძალებული ანგარიშით გაიმარჯვეს „შტუტგარტერ კიკერსთან“ 1:0 (ბურდული, 82) და გაანადგურეს რეგიონლიგის კლუბი „ბრუცფელდი“ 10:0 (მიქაძე — 3, რეინალდო — 2, ბურდული — 2, მურილიო, კანდელაკი, ებანოიძე).

თბილისელთა მწვრთნელმა ივო შუშაკმა გასასინჯად ჩამოყვანილი ყველა უცხოელი (ჩილელი ვალტერი, ნიგერიელი უჩე და ბრაზილიელები — მურილიო-რეინალდო) დაიწუნა. ამდენად, უეფას თასზე „დინამო“ მხოლოდ ერთი უცხოელის, კარლოსის ამარა დარჩა.

## საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

მაკუთის დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. კc4-d3!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს ორ სვლაში.



# მოზაიკა.მოზაიკა.მოზაიკა.

••• ფრანგ კინოვარსკვლავ **სოფი მარსოს** გოგონა შეეძინა, რომელსაც ჟულიეტი დაარქვეს. მომხიბლავ ვარსკვლავს 6 წლის ბიჭიც ჰყავს — ვენსანი, რომელიც პირველ ქმართან ანჯეი ჟულავსკისთან შეეძინა. მსახიობი გაურბის ვარსკვლავურ თავყრილობებს და თავისუფალ დროს ხატავს. აგერ უკვე წელიწადია, ამერიკელ პროდიუსერ ჯიმ ლემლისთან ერთად ცხოვრობს. ახლახან მარსო რეჟისორის ამპლუ-





ითაც მოგვევლინა — გადაიღო სრულმეტრაჟიანი ფილმი „ილაპარაკეთ ჩემთან სიყვარულზე“.

••• ჰოლივუდი ღელავს და გაფაციცებულია — რას უნდა ნიშნავდეს **მეგ რაიანისა და დენის კუეიდის** ხშირ-ხშირად ერთად ყოფნაო. გაყრის შემდეგ, რომლის მიზეზი მეგისა და რასელ ქროუს რომანი იყო, ყოფილი ცოლ-ქმარი მხოლოდ შვილის გამო ხვდებოდა ერთმანეთს. რამდენიმე დღის წინ მეგი და დენისი ნამდვილ რომანტიკულ გარემოში იხილეს ყოვლისმხილველმა პაპარაცებმა — ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში სანთლებით გაჩახჩახებულ სუფრას უსხდნენ ხელიხელჩაკიდებულნი და ტკბილად ჭუკჭუკებდნენ. ვითომ შვილის მომავალზე ლაპარაკობდნენ?

••• **არნოლდ შვარცენეგერს** კალიფორნიის უნივერსიტეტმა „კაცთმოყვარეობის დოქტორის“ უჩვეულო წოდება მიანიჭა. უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, — მისტერ შვარცენეგერმა ძალიან იზრუნა ამერიკელ ახალგაზრდებზე, როცა მათი კლასგარეშე აღზრდის პროგრამის შექმნა ითავა. ამ პრო-



გრამამ ბევრი ყმაწვილი აარიდა მოლიმულ გზას, ბოროტმოქმედებასა და ნარკოტიკებს.

••• სულ ცოტა ხნის წინ ჰოლივუდში არ მოიძებნებოდა **ანჯელინა ჯოლისა** და **ბილი ბობ ტორტონის** მსგავსად მოსიყვარულე ცოლ-ქმარი, მაგრამ მოულოდნელად მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა — ანჯელინამ დაავლო ხელი ნაშვილებ, 10 თვის ტაილანდელ ბიჭუნას, აიკრა გუდა-ნაბადი და სასტუმროში გადასახლდა. ამის მიზეზი გახდა ტორტონის გარე-გარე სიარუ-



ლი. 46 წლის ბილიმ თურმე ცოლზე იეჭვიანა — შვილს თავს ევლება და მე სულ მივავიწყდიო. ნაწყენმა ანჯელინამ არ აპატია ქმარს ღალატი და შვილისადმი გულგრილობა.

••• ჰოლივუდს კიდევ ერთი ვარსკვლავური წყვილი შეემატა. სასიყვარულო თავგადასავლებით ცნობილმა, ახირებულმა და ნარკომანმა **ჩარლი შინმა** ჯვარი დაიწერა „ბონდის გოგონაზე“ — მომხიბლავ **დენის რიჩარდსზე**. ჯვრისწერის ცერემონია ლოს-ანჯელესის კათოლიკურ ეკლესიაში ჩატარდა. ჯვრისწერას მხოლოდ ნეფე-პატარძლის ახლობლები ესწრებოდნენ, მათ შორის საქმროს მამა — ცნობილი მსახიობი მარტინ შინი.

ჩარლი და დენისი ერთმანეთს 1993 წლიდან იცნობენ. სიყვარული კი მოგვიანებით ეწვიათ, რომანტიკული კომედიის „კარგი რჩევის“ გადაღების დროს. იქ ისინი საყვარლების როლებს ასრულებდნენ.

••• სწავლა სიბერემდეო — ნათქვამია. პოპ-მუსიკის ვარსკვლავი **მაიკლ ჯექსონი** კვლავ მერხს მიუჯდა. ახლა მსახიობის ხელოვნების კურსის გავლას აპირებს. მისი მასწავლებელი თავად **მარლონ ბრანდო** გახლავთ. ჰოლივუდის ვეტერანმა ყველა საქმე მიატოვა და დათანხმდა, კვირაში რამდენჯერმე ჩავიდეს ჯექსონის რანჩოში, კალიფორნიაში. ერთ-ერთ პირველ მეცადინეობაზე ბრანდომ პრაქტიკულად უჩვენა თავის ცნობილ მოსწავლეს გარდასახვის კარგი გაკვეთილი — ქალის ტანისამოსი გადაიცვა და მაიკლის მამულის ტერიტორიაზე დაიწყო სეირნობა. მცველები ვერაფრით მიხვდნენ, როგორ შეაღწია ტერიტორიაზე უცნობმა მანდილოსანმა და გაგდება დაუპირეს. მხოლოდ ჯექსონის ჩარევამ იხსნა ბრანდო გალახვისგან.

••• **ჟერარ დეპარდიე** ისე გასუქდა, რომ მისი ნაბიჯები მიწას აზანზარებს. კაროლ ბუკე დაემუქრა, — 20 კგ-ს მაინც თუ არ დაიკლებ, იცოდე, მიგატოვებო. საყვარელი ქალის მუქარამ ისე შეაში-



ნა მსახიობი, რომ გასახდომად მაშინვე სიცილიაში გაქანდა. კაროლიც, ცხადია, თან ახლავს და თვალს ადევნებს მის ვარჯიშს, თან ხილისა და ბოსტნეულის გარდა, არაფერს აჭმევს.

••• **ჯულია რობერტსმა** და მისმა მიჯნურმა, ოპერატორმა **დენი მოდერმა** ამერიკის დამოუ-



კიდებლობის დღის აღსანიშნავად ქალაქგარეთ, რანჩოში, ნათესავები და მეგობრები მოიწვიეს. რას იფიქრებდნენ სტუმრები, თუ რა სიურპრიზი ელოდათ. მხოლოდ ყოვლისმცოდნე პაპარაცები დაეჭვდნენ, — ჩვეულებრივი ლხინის გამო ეს ამოდენა თეთრი სუფრა არ გაიშლებოდა, სტუმრებიც ანგელოზებივით თეთრებში რად არიან გამოწყობილნი, აქაურობას ნამდვილად ქორწილის სუნი უდისო და არც შემცდარან — 4 ივლისის ღამეს (მავნეს და ავისმნდომს თვალი რომ არ ეკრა), ჯულია და დენი დაქორწინდნენ. დენი ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად, საკუთარ დამოუკიდებლობასაც ზეიმობდა. ჯულიას კი საქმროს გათავისუფლება 250 ათასი დოლარი დაუჯდა — დენის პირველ ცოლს, ვერას, „გამოსასყიდი“ გადაუხადა.

*უცხოური პრესის მიხედვით*

## [illegible] პენელოპე კრუზი



დიდი ხანი არ არის, რაც პენელოპა კრუსი ჰოლივუდის ვარსკვლავი გახდა. ახლა ის ამერიკული კინოს ოლიმპზეა ასული და ამას მიაღწია როგორც კომერციულ ფილმებში უზადოდ შესრულებული როლებით, ასევე — სასიყვარულო ფრონტზე გამართული სკანდალებით. უკანასკნელი მისი სასიყვარულო გამარჯვება ტომ კრუზია, მანამდე კი იყვნენ მეთ დეიმონი, ნიკოლას ქეიჯი, ჯონ ტრავოლტა და ვუდი ჰარელსონი...

სენიორიტა პენელოპა კრუს სანჩესი, ჭორების მიუხედავად, თავს „ყველაზე უმნიკვლო ქალად“ მიიჩნევს დედამიწის ზურგზე. როგორია ცხოვრებაში, უგრიმოდ, ეს მშვენიერი ესპანელი? ამაზე თავად გვესაუბრება:

— **ჟურნალისტთან შეხვედრას აპირებდით და არ მოიპრანჭეთ. სულერთია, რას დაწერენ თქვენზე?**

— მერე რა, რომ თვალები მაქვს დაწითლებული? აბა, რა იქნება გადაღებების შემდეგ? თუ რეპორტიორი ჭკვიანია, მიხვდება ჩემს მდგომარეობას... თანაც, სულაც არ ვთვლი თავს ლამაზად და არც ისეთ როლებს ვარიდებ თავს, სადაც საშინელი სანახავი ვარ. მაგალითად, ალმადოვარის ფილმებში ვთამაშობ საზიზღარ, ულვაშიან მეძავს და შიდსიან მონაზონს... ჩემი ძალა სექსუალურ მომხიბვლელობაშია, სისხარტესა და სიქორფეში.

— **როგორ აღწევთ ამას?**

— მძიმე შრომით... ვერ ვიტან ფეხების ეპილაციას, მაგრამ უამისოდ შავგვრემანი ქალი ხიბლს კარგავს.

— **გეტყობათ, ჯერ არ შეგყრიათ ჰოლივუდის ვარსკვლავური სენი.**

— ვარსკვლავები არიან კეტრინ ჰეპბერნი, გრეტა გარბო, კლაუდია კარდინალე, მე მხოლოდ დიდი გზის დასაწყისში ვარ. ჯერ ვსწავლობ და ენერგიაც დიდი მაქვს. როდესაც პატარა ვიყავი, მშობლებმა ცეკვის სტუდიაში გამამწესეს, მერე კონსერვატორიაში ვისწავლე კლასიკური ბალეტის განხრით ცხრა წელი. პროფესიონალურ ბალერინობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ბედმა სხვა რამ ინება — ფუფუნების საგნების რეკლამირებისათვის მიმიწვიეს. თოთხმეტი წლისა ტელევიზიაში ვთანამშრომლობდი. 90-იანი წლებიდან კი კინომსახიობი ვარ. ახლა 27 წლის ვარ და მომავალი წინა მაქვს.

— **ავი ხმები ამბობენ, პენელოპას კარიერა ბიგას ლუნის ფილმით დაიწყო, სადაც ევას კოსტიუმით დასეირნობდაო...**

— მაშინ 17 წლისა ვიყავი და... ახლაც ვერ ვიშორებ იმ საზიზღარ შეგრძნებას, ეკრანზე ჩემი თავის ხილვისას რომ დამეუფლა... თითქოს ტალახში ამომსვარეს. მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი... წლების მანძილზე ინტიმურ სცენებში გადაღება არ შემეძლო...

— **სამაგიეროდ, „ვანილის ცაში“ ტომ კრუზთან დიდი სიამოვნებით კოცნაობთ...**

— ტომი ფანტასტიკური ადამიანია! ყოველთვის ვეთაყვანებოდი მის პროფესიონალიზმს. პირადად არ ვიცნობდი და ველოდი, რომ გადასაღებ მოედანზე ქედმაღალ ვარსკვლავს შევხვდებოდი. მაგრამ ის თავმდაბალი და მომხიბვლელი აღმოჩნდა.

— **მაშინვე შეგიყვარდათ? თუ პაპარაცებს დავუჯერებთ, თქვენს პარტნიორებს გულებს უკლავდით.**

— ჟურნალისტების მონაჩმახს ყურადღებას აღარ ვაქცევ. ამერიკაში ახალი ჩამოსული ვიყავი, ძმამ ჩამომაკითხა ესპანეთიდან. ნიუ-იორკის ქუჩებში გავასეირნე და მაშინვე ჟურნალებში გამოქვეყნდა, პენელოპა კრუსს ახალი ბოიფრენდი ჰყავსო(!).

— **ბოლო ფილმში ძალიან დამაჯერებლად თამაშობთ ნარკომანს და მოხერხებულად ისუნთქავთ კოკაინს...**

— მე კოკა-კოლაც კი მათრობს, შავ ყავას არ ვეკარები — გულს მიჩქარებს. ფილმში მშრალ რძეს ვყნოსავდი. პროფესიონალურ შესუნთქვას კი სპეციალისტები გვასწავლიდნენ. ნარკოტიკები? ჰეროინი, აბები არასოდეს გამისინჯავს და არც ვაპირებ. ამასთან დაკავშირებით კურიოზიც მომივიდა: ფილმში მჭირდებოდა სიგარეტის მოწევა. რამდენიმე თვე ვაფუილე და ვაფუილე. მერე ხუთი თვე მოვუნდი მკურნალობას... ჭამასაც მოვუკელი და მშვენივრად ვგრძნობ თავს.

— **გაგიჭირდათ ამერიკასთან შეჩვევა?**

— ძალიან. დღემდე ვერ ავითვისე უაქცენტო ინგლისური და სიზმრებს მხოლოდ ესპანურად ვხედავ. ჩემი მშობლებიც სულ იმაზე ოცნებობენ, როდის დავბრუნდები ესპანეთში, გავთხოვდები ესპანელზე და ბევრ ბავშვს გავაჩენ. ისე, პროგრესი კი მაქვს — ახლა უკვე ფოლკნერის და ჰემინგუეის ენაზე ვაზროვნებ.

— **თავმოყვარე ხართ?**

— მგონი, ყველა პატარა ქალი თავმოყვარეა... ეს მათი თავდაცვის იარაღია. თავმოყვარეობის გარეშე ვერასოდეს მივაღწევდი ჰოლივუდში წარმატებას.

— **ყველაზე მეტად რისი სწავლა გაგიჭირდათ ამერიკაში?**

— „არას“ თქმა. აქ ბევრი საცდურია...

*ჩასტნაია ჟიზნ №9*

## რასელ ქროუს არ უმართლებს...



რასელ ქროუმ გადაწყვიტა, თავისი მეგობარი დანიელ სპენსერი რესტორანში დაეპატიჟებინა, მაგრამ რადგან შიშობდა, გული ვერ მოუთმენდა და რომელიმე მთვრალ ნაძირალასთან კვლავ იჩხუბებდა, ამიტომ საყვარელი ქალი პოპულარულ ლესბოსელთა ბარში წაიყვანა. ბარი, იმ საღამოსაც, როგორც ყოველთვის, მანდილოსნებით იყო გადაჭედილი.

სულ რამდენიმე წუთში ქროუმ შეამჩნია, რომ დანიელს თვალის დახამხამებაში შემოეხვივნენ თაყვანისმცემლები. ქროუ განსაკუთრებით აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ვიღაც სიმპათიური ლათინურამერიკელი ქალბატონი ტკიპასავით მიეწება დანიელს. ისინი ერთად მიუსხდნენ ბარის დახლს და ტკბილად აფლირტულდნენ. თანაც, ინიციატივა სპენსერმა აიღო. ქროუმ რამდენჯერმე დაუძახა მეგობარს, მაგრამ მან აინუნში არ ჩააგდო საყვარელი ადამიანის [illegible]ლოს, მსახიობმა თავისი მცველების დახმარებით ქალი ძალით ააგდებინა ლესბოსელ მანდილოსანს. დანიელი აღშფოთდა და როცა ბარიდან მიჰ[illegible], საშინელი ჩხუბი აუტეხა რასელს.



# მოსახერხებელი, სასარგებლო და სამკურნალო...



ჩინეთსა და იაპონიაში უხსოვარი დროიდან საჭმელს ჩხირებით მიირთმევენ. ჯერ ერთი, ეს მოსახერხებელია: მოგზაურს აღარ სჭირდებოდა დანა-ჩანგლის ტარება, სამაგიეროდ, ჩხირების გამოთლა სახელდახელოდ შეიძლებოდა ნებისმიერი ხისგან და მეორე — ჩხირები სასარგებლოცაა. ჩხირებით ვერ აიღებ იმაზე დიდ ლუკმას, რომლის დაღეჭვაც არ შეგიძლია. მესამე, როგორც წერტილოვანი მასაჟის სპეციალისტები ამბობენ, ჩხირებით ჭამისას ადამიანი ხელზე 40 სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წერტილს უკეთებს მასაჟს უნებლიეთ. იაპონელი ესკულაპების აზრით კი ბავშვი, რომელიც ჩხირებით იწყებს ჭამას, უფრო სწრაფად ვითარდება.

ჩხირებს სიმბოლური დანიშნულებაც აქვთ — მათ ახალდაქორწინებულებს აჩუქებენ ხოლმე, თანხმობისა და განუყრელობის ნიშნად, ბავშვებს კი დაბადებიდან მე-100 დღეს, რომელსაც „ბრინჯის პირველად გასინჯვის" დღეს უწოდებენ. ჩხირებს აკეთებენ ხისგან, ძვლისა და მეტალისგანაც კი.

*ვოკრუგ სვეტა №7*

# ვინ არის პატარა!



7 წლის ჩინელი გოგონა პეკინის თეატრს უჩივის იმის გამო, რომ კონცერტზე არ დაუშვეს. მიზეზი მისი სიმაღლე ყოფილა.

ხელოვნების მოყვარული ნორჩი მაყურებელი თეატრში ხალხური სიმღერისა და ცეკვის კონცერტზე მიბრძანებულა. შესასვლელში მკაცრმა კონტროლიორმა კატეგორიული უარი უთხრა შეშვებაზე, თან ბილეთზე წარწერა წაუკითხა: „1,2 მ-ზე დაბალი ბავშვები არ დაიშვებიან".

საქმიანმა გოგონამ შეურაცხმყოფელ თეატრს რამდენიმე მოთხოვნა წარუდგინა: მობოდიშება ადმინისტრაციისა და პირადად, საძაგელი თანამშრომლისგან, კონცერტის ბილეთები და მის ნაზ ფსიქიკაზე მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ 1000 იუანი (120 დოლარი).

თეატრის ხელმძღვანელობა თავის მხრივ ირწმუნება, უაზრობაა დარბაზში ერთი ადგილი პატარა ბავშვს ეკავოს, მოზრდილთა ზურგების იქით ხომ მაინც ვერაფერს დაინახავსო.

სასამართლომ, რომელიც სულ „დიდებისაგან" შედგებოდა, მხარი „თავისიანებს" დაუჭირა. ვერდიქტი დაახლოებით ასე ჟღერდა: „მოსარჩელეს სიმაღლის გარდა, ცოდნაც აკლია — ბილეთზე ცხადად, ჩინურად წერია, რომ 1,2 მ-ზე დაბალი ბავშვები კონცერტზე არ დაიშვებიან". მეტიც, მოსამართლეებმა დაკარგული დროის საფასურად გოგონას ჯარიმა — 50 იუანი დაუწესეს. თუმცა ახლა პეკინის თეატრებში ამ ინციდენტის შემდეგ ცდილობენ მაყურებელთა „განთესვა" სიმაღლის კი არა, ასაკის მიხედვით მოახდინონ.

*იტოგი №28*

# არაბი მამაკაცები აზოზოქრდნენ



არაბეთში ტელეშოუ „სუსტი რგოლის" წამყვანს რიტა ჰურის მამაკაცები აუჯანყდნენ. თურმე წამყვანის ხუმრობები არასწორი პასუხების გამო, თავზარს სცემს მაყურებელს.

არაბი მამაკაცები მიჩვეულები როდი არიან, რომ ქალი თანასწორივით ელაპარაკებოდეს და ეხუმრებოდეს კიდეც. ახლა იკითხეთ, რამდენი მისი მოწინააღმდეგე დადის ქუჩებში? „არ შეიძლება იმისთვის დაამცირო კაცი, რომ სწორი პასუხი არ იცის. ღმერთმა უშველოს მის საბრალო ქმარს", — ამბობს ბეირუთელი ბარმენი დაბაპი.

რიტა ჰურის თქმით, პროგრამაში მონაწილენი მის ხუმრობებს გამომწვევად მიიჩნევენ. ინტელიგენტები მაშინვე ყალყზე დგებიან, ტრადიციულად აღზრდილები კი უფრო სხვაგვარად რეაგირებენ. „არასოდეს მიცდია მათი დამცირება, — ამბობს ტელეწამყვანი, — ბოლოს და ბოლოს, მე ხომ არ ვარ დამნაშავე, რომ სწორ პასუხებს ვერ იძლევიან".

*პარი მატჩი №27*

# „შიშველი" სეირნობა

სანტიაგოს (ჩილეს დედაქალაქი) ქუჩებში ამას წინათ რამდენიმე დღის მანძილზე, თურმე 17 წლის არგენტინელი ლუსია ფერნანდეს ფლორესი — სერვანტესის სახელობის ლიცეუმის მოსწავლე შიშველი დასეირნობდა. იგი არგენტინელი პროდიუსერის, ლუზიო ვეგას პროექტში მონაწილეობს. აქცია ჩილეელთა კონსერვატიზმთან საბრძოლველადაა გამიზნული.

როგორც პროდიუსერი ფიქრობს, პროექტის წარმატებას დიდად უხმარება ის, რომ ლუსია ფლორესი ქალწულია. დაუმტკიცებენ თუ არა რაიმეს ჩილეელებს, ჯერ არავინ იცის, მაგრამ „შიშვლად მოსიარულე უმანკოებამ" რომ გვარიანი აურზაური გამოიწვია, ფაქტია. გარდა ამისა, ნორჩმა ქალბატონმა რამდენიმე ტელეარხისგანაც მიიღო წინადადება ტელეპროგრამებში მონაწილეობაზე.

*ნიუ ზუიქი*

# უცხო ენის შემსწავლელი ახალი მეთოდი

ტაივანის ერთ-ერთი ქალაქის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, თანამოქალაქეებს, ყველას უკლებლივ — ინგლისური ასწავლოს. საამისოდ, პედაგოგ-მასწავლებლების მობილიზაცია არ გამოცხადებულა. პირიქით, მეთოდი ძალზე იოლია და ყველასათვის ხელმისაწვდომი. პედაგოგობას ნაგვის ურნები გასწევენ. როგორც კი რომელიმე მოქალაქე ნაგვის ურნას თავს ახდის, მაშინვე ჩაირთვება მასში ჩამონტაჟებული მაგნიტოფონი, რომელზეც სალაპარაკო ლექსიკისათვის ყველაზე საჭირო 300 სიტყვაა ჩაწერილი. საუცხოო იდეაა — ერთდროულად ორი სასარგებლო საქმე გაკეთდება — ნაგავიც გადაიყრება და მოქალაქენი ინგლისურსაც ისწავლიან.

ნოვატორების აზრით, ასე შეიქმნება ქვეყანაში ინგლისური ენის სწრაფად გავრცელების არეალი. მაგრამ ოპონენტები ვარაუდობენ, რომ მეთოდი არ გაამართლებს — შესაძლოა მან უკურეაქცია გამოიწვიოს და მოქალაქეებმა ინგლისური ენა ასოციაციურად ნაგავს დაუკავშირონ. ვისღა ექნება ამ ენის შესწავლის სურვილი?

*ვოკრუგ სვეტა №7*

# ზოოკალეიდოსკოპი

**ოჯახში მატებაა.** როგორც ცნობილია, ლემურებს გადაშენება ელოდებათ. ამის მიზეზი მათი ჩვეული ადგილსამყოფელის, მადაგასკარის ტყის მასივების მოსპობაა. როგორც ყველაზე იშვიათი და განადგურების პირას მისული ცხოველის, ლემურების 21-ვე სახე წითელ წიგნშია შეტანილი. ინგლისის ზოოპარკებში ცდილობენ, გაამრავლონ ლემურები. აქამდე მათი ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა, სულ ახლახან კი მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ზოოპარკის სამმა „ქალბატონმა" შეა ხუთი



პანაწინა ლემური, რომლებიც თავს შესანიშნავად გრძნობენ.

**დიდი პრობლემა.** ჩინურ ზოოპარკებში პანდები უარს ამბობენ გამრავლებაზე! ხვადი პანდების 60%-ზე მეტი სექსის მიმართ არავითარ სურვილს არ ამჟღავნებს. სწავლულთა აზრით, პანდები ამგვარად გამოხატავენ პროტესტს. ჩინელმა სწავლულებმა დიდი ბრძოლა გააჩაღეს. ახლა ჩინურ პანდებს დღეში ორჯერ უჩვენებენ ვიდეოკლიპებს, რომელიც ასახავს მათი მოძმეების სქესობრივ კავშირებს. ვიდეოჩვენება წარმოადგენს ე.წ. სქესობრივი აღზრდის გეგმის ნაწილს, რომლის მიზანია გაზარმაცებულ პანდებს აიძულონ გამრავლება. „სქესობრივი განათლების თვალსაჩინო მეთოდის გამოყენებით ვიმედოვნებთ, გავუღვიძოთ პანდებს სექსუალური ინსტინქტი, გავუძლიეროთ ბუნებრივი ლტოლვა საპირისპირო სქესის მიმართ და ავამაღლოთ მათი გამრავლების უნარი" — განაცხადა ზოოპარკის დირექტორმა ჟან ჰემინმა.



**„ბინას მხეცების მეზობლად ნუ შემოგვთავაზებთ!"** ბუდაპეშტელმა ლასლო მარიჩმა სააბაზანოში უზარმაზარი ხვლიკი აღმოაჩინა. მოულოდნელი სტუმარი, რომელიც, ჩანს, სავენტილაციო ლუკიდან მიბრძანდა მასპინძელთან, აგრესიულობას არ ამჟღავნებდა. მიუხედავად ამისა, საბრალო ბინის პატრონი ტყვიანაკრავივით, ამასთან, შიშველი გამოვარდა გარეთ. სასწრაფოდ გამოძახებულმა სამართალდამცველებმა და ზოომუშაკებმა ეგზოტიკური რეპტილია ადგილზე ველარ აღმოაჩინეს. პოლიციელების რეიდის შემდეგ დადგინდა, თურმე ახალაშენებული კორპუსის ახალ მობინადრეთაგან ზოგიერთი ქვეწარმავლისა და სხვა ცხოველების დიდი მოყვარული ყოფილა.

ეს პირველი შემთხვევა როდი იყო. ალბათ ამიტომ გახშირდა გაზეთებში ასეთი შინაარსის განცხადებები: „ბინას მხეცების მეზობლად ნუ შემოგვთავაზებთ!"

**არგენტინელებმა ესპანელები დაჯაბნეს.** ხმაურიანმა არგენტინულმა თუთიყუშებმა შეუბრალებლად დაიბრიყვეს მშვიდი და უწყინარი მტრედები.

ხასხასა მწვანე თუთიყუში-ბერი ბუენოს-აირესში, ყველაზე ჭუჭყიან რაიონში ცხოვრობს და ხალხს ჩხავილით აბეზრებს თავს. მადრიდში ეს თუთიყუშები რამდენიმე წლის წინ ზოომაღაზიების მეპატრონეებმა ჩამოიყვანეს. მალე თუთიყუშების ლაქლაქმა ისე მოაბეზრა მათ თავი, რომ ზოგიერთმა თავიდან მოიცილა. გალიიდან თავდაღწეული თუთიყუშები არ დაბნეულან და ელვის უსწრაფესად აითვისეს მადრიდის სივრცე. მტრედებმა შებრძოლება სცადეს, მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმრები მაგრად დაუხვდნენ — თუთიყუში-ბერი მტრედზე მომცრო კი არის, მაგრამ სამაგიეროდ, ნისკარტი აქვს დიდი და მაგარი.

**დათვები ტაიგას შეეშინდნენ.** შორეულ აღმოსავლეთში მძვინვარე ხანძრებმა ტყიდან უამრავი დათვი გამოაგდო. ისინი ჯერ ჩრდილოეთისკენ გაემართნენ, შემდეგ ნელ-ნელა ირმების საძოვრებზე ჩამოსვლა დაიწყეს. მწყემსები ირწმუნებიან, ერთი საძოვრის გარშემო 100-150-მდე დათვი დაძრწისო. იაკუტიაში ხანძრის გამო საშიში ვითარება შეიქმნა. დათვები ძალზე აგრესიულები გახდნენ და ადამიანთა სამყოფელში შეჭრასაც არ ერიდებიან. მწყემსები იძულებულნი არიან დახოცონ დათვები. ძალზე იზარალეს ადგილობრივმა მოსწავლეებმაც. ისინი საზაფხულო არდადეგებზე ველარ მიდიან. პირველი დაწესებულება, რომელმაც ვერ გაბედა მოსწავლეთა მიღება, „ოქროს სკოლა-ინტერნატია". თუ დათვების შემოსევა გაგრძელდა, ალბათ ტაიგაში მცხოვრები ყველა ოჯახის ევაკუაცია გახდება საჭირო.

**ჩინეთს ბაყაყები შემოელია.** ნაზი და ცვრიანი ბაყაყის თათები, გემოთი რომ ქათმის ხორცს მოაგონებს გურმანებს, ევროპელთა სუფრას იშვიათად დაამშვენებს. გარდა ამისა, ფასიც მოიმატებს. ამაში დამნაშავე ჩინელები ყოფილან. საქმე ის არის, რომ ხუბეის პროვინციის (სწორედ ეს პროვინცია გახლავთ ამ დელიკატესის მთავარი მწარმოებელი) ხელისუფლებამ ბაყაყის ხორცის ექსპორტი აკრძალა. ჩინოვნიკები არ ფარავენ, რომ გადაწყვეტილება დიდი ჭოჭმანის შემდეგ მიიღეს. ბოლო დროს, ევროპაში ძროხის ცოფის გავრცელებასთან დაკავშირებით, ბაყაყზე მოთხოვნილება მკვეთრად გაიზარდა. ჩინელმა ფერმერებმა ამით გვარიანი შემოსავალი მიიღეს — წელიწადში 2 ათასი ტონა ბაყაყის თათი გადიოდა საზღვარგარეთ. ბაყაყის ბუმმა კი მათი შემცირება გამოიწვია. ეკოლოგებმა განგაში ატეხეს: კიდევ ცოტაც და, პროვინციის ტბორებში ყიყინს ველარავინ გაიგონებს.

**ვერ გაუზრდია კარგად.** ბრისბენელი (ავსტრალია) პიტერ მორნინგსტარი, რომელიც გველების მოშენებითაა გატაცებული, ალბათ კარგა ხანს ველარ მოვა გუნებაზე.

ერთ მშვენიერ დღეს ქვეწარმავლების კოლექციონერს ადგილობრივი გაზეთიდან ფოტოკორესპონდენტი ეწვია. მორნინგსტარიც ფოტოს გადასაღებად მოემზადა, სახლის სახურავზე მზეს მიფიცხებული გველი ძირს ჩამოაბრძანა და ის იყო, შესაფერი პოზაც მიიღო, რომ „ალსაზრდელი" აღმზრდელს წარბზე ეძგერა. ასე რომ, ფოტო მართლაც რომ ღირსშესანიშნავი გამოუვიდათ.



*უცხოური პრესის მიხედვით*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | ჩ | ვ | ე | ნ | ს | ბ | ა | ზ | ე | თ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ა | გ | ი | ნ | რ | | ი | კ | ა | ი | ა | ე | ა | ი | ა | დ | ა | ა | ა | დ | ი | დ | ს | ტ | თ | ა | ო |

**დ.** მოკლე, სწორი ხმალი; **ა.** ყაჩაღის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **ს.** ინგლისის ფეხბურთის ნაკრების მეკარე; **ვ.** მამაკაცური პოტენციის ასამაღლებელი ძლიერი პრეპარატი; **ე.** ერთი სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მუდმივი წარმომადგენელი სხვა სახელმწიფოში; **ნ.** ბაირონის ერთ-ერთი სახელი; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი; **ჩ.** კინოკომედიის მეფე; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ე.** რა ეროვნების არის მაიკლ დუგლასი; **ნ.** პარფიუმერიული ფირმა; **ს.** უტყეო, სწორი, ბალახით დაფარული სივრცე მშრალი ჰავის ზონაში; **ბ.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც დავითმა შურდულით მოკლა; **ა.** კრეტის მეფის მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ლაბირინთიდან თავის დასაღწევად ძაფის გორგალი მისცა; **ზ.** ნოდარ წულეისკირის რომანი; **ე.** გემის მომსახურე პერსონალი; **თ.** წვრილი ნაწლავის კანქვეშ გამოვარდნა; **თ.** ქართული სუფრის წინამძღოლი; **ა.** ღმერთი, რომლის შვილადაც გამოაცხადა თავი ალექსანდრე მაკედონელმა; **ნ.** შტატი, რომელშიც ამერიკელები აწარმოებენ ბირთვულ გამოცდებს; **ე.** რა ერქვა ჰემინგუეის; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **თ.** ივნისის ძველი ქართული სახელწოდება; **ა.** აშშ-ის შტატი; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

*წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:*

**დ.** დოში; **ა.** ათინათი; **ი.** იაშინი; **ს.** სეზანი; **ვ.** ვიერი; **ე.** ექსცესი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ერშოვი; **თ.** თხილი; **ჩ.** ჩინეთი; **ვ.** ვოევოდა; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნეილონი; **თ.** თიანეთი; **ა.** აპრილი; **ნ.** ნუარე; **ე.** ეიფორია; **რ.** რვეული; **თ.** თარაზო; **ა.** ალიკაპი; **დ.** დიალოგი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **შიშზე საშინელი არაფერია.**

# სიახლე მკითხველის პრემია სიახლე

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №28 (302) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 592 რესპონდენტი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 229 ქალმა და 353-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად რისი (ვისი) ეშინიათ კრიმინალებს?"**

როგორც აღმოჩნდა, დამნაშავეებს ყველაზე მეტად შურისძიების შიში აქვთ, **5,91** საშუალო ქულით შურისძიება პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა 15%-ის აზრით, მასზე ფიქრი კრიმინალებს მოსვენებას არ აძლევს.

ჩვენი მკითხველების აზრით, დამნაშავეები საკუთარ რეპუტაციას უფრთხილდებიან და მისი შელახვის შიშიც საკმაოდ გამძაფრებული აქვთ. „რეპუტაციის შელახვა" მეორე ადგილზეა საშუალო ქულით 5,68. რესპონდენტთა 25%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა, ანუ ამ ნიშნით იგი პირველ ადგილზეა. „რეპუტაციის შელახვას" სულ უმნიშვნელო სხვაობით „ჩამორჩება" „კოლეგები", საშუალო ქულაა 5,65.

რეიტინგის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კრიმინალებს მართლმსაჯულების პათოლოგიური შიში მაინცდამაინც არ უნდა ჰქონდეთ, მთავარია, არ გახდნენ შურისძიების მსხვერპლნი, არ შეელახოთ რეპუტაცია, „კოლეგებთან" ჰარმონიულ ურთიერთობაში იყვნენ და ამის შემდეგ მართლმსაჯულებასაც გადაურჩებიან, ან სულაც მოაგვარებენ საქმეს.

მკითხველთა აზრით, ღმერთის, საზოგადოებისა და სინდისის შიში შედარებით ნაკლებად აქვთ კრიმინალებს, მით უფრო სინდისისა, რადგან ყველაზე იოლად (სხვის ჩაურევლად), საკუთარ სინდისთან ახდენენ გარიგებას.




საპრიზოს ზუსტად სამი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. სამივე გამარჯვებული მამაკაცია — თბილისელები: 58 წლის **ნიკო მესხელი,** 49 წლის **თეიმურაზ ნაზღაიძე** და ჩუმათელეთელი (ხაშური) 21 წლის **ირაკლი კურტანიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 24 ივლისს, 17 საათზე.

## №29 (303) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგში

№29 (303), საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 24 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 25 ივლისის 13 საათამდე. © თბილისი

თემა №29 (303) — ზაფხული
**ყველაზე მეტად რა გაწუხებთ ზაფხულში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№29(303) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | კოღოები (მწერები) | |
| 2 | სიცხე | |
| 3 | უფულობა | |
| 4 | ბინის დატოვების პრობლემა (ქურდები) | |
| 5 | ანტისანიტარია | |
| 6 | საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა | |
| 7 | ზედმეტი წონა | |
| 8 | ჯანმრთელობის პრობლემები | |

მკითხველის რეიტინგი

დაასახელეთ ყველაზე რომანტიკოსი ქართველი პოლიტიკოსი

✓ ____________________

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრის" ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

### დამატებითი კითხვის შედეგები

ბოლოდროინდელი შეწყალებების ფონზე, მოსალოდნელია თუ არა იგორ გიორგაძის რეაბილიტაცია?




დიახ არა არ ვიცი

როგორც ვხედავთ, უპირატესობით არც ერთი პასუხი არ გამოირჩევა, პროგნოზის გაკეთება იოლი არ არის. ჩვენს ერთ-ერთ მკითხველს თუ დავესესხებით, ამ ხელისუფლებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

*დამატებით კითხვას 560-მა რესპონდენტმა უპასუხა.*

### მკითხველის პრემია

მკითხველის პრემიის — 50 ლარის ლაურეატი ამჯერად ინგა ჯაყელია სტატიით «ტიროდა ბავშვა». მან თქვენგან 153 ხმა მოაგროვა.

სხვა დაწინაურებული სტატიები:

ხათუნა ყვირალაშვილი – „ივერიის ღვთისმშობლის კიდევ ერთი სასწაული" – 64

ზვიად ჩაკვეტაძე – „ეს პიჯაკი (სახელმწიფო ქონება) ჩემია და როცა მინდა, გავყიდი, ან დავხევ" – 47

ვაჟა გავაშელი – „წამალზე" ყოველწლიურად საქართველოს ხუთი წლის ბიუჯეტი იხარჯება" – 35.

ზურაბ მჭედლიშვილი – „სენსაციური ინფორმაცია ყარაბაღის შესახებ" – 26

მარინა მამისაშვილი – „გიორგი რჩეულიშვილის მკვლელობა გახსნილია" – 19

მარინა მამისაშვილი – „პაპუკაშვილი სანაიას მკვლელობის ციხის ვერსიას გვიმხელს" – 16

თამარ კაპანაძე – „თეთრი და შავი სამყაროს გამაერთიანებელი სადღეგრძელო – ბილიარდში მოგებული თასით" – 12

მარინა ბაბუნაშვილი – „არაფრისთვის დანგრეული ოჯახი" – 11

ირაკლი ალადაშვილი – „სამხედრო თემაზე" – 9

„მკითხველის პრემიას" სულ 446 რესპონდენტი გამოეხმაურა.

# ფოტოანტიკვარი ©

როგორც უკვე იცით, „ფოტოპალიტრა" საზაფხულო არდადეგებზეა, მის ნაცვლად კი რუბრიკა „ფოტოანტიკვარი" გმასპინძლობთ. პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას – „აბა, ვინ ვარ ახლა მე?" თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები", გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.



ნინო ბურჯანაძე

ფოტო მოგვაწოდა ნინოს დედამ ქალბატონმა თინამ. გადაღებულია ცაგერის რაიონის, სოფელ ორბელში. ძაღლი „ბულკა" ძალიან უყვარდა ნინოს.

„ფოტოანტიკვარს" 59 მკითხველი გამოეხმაურა.

უმრავლესობამ სწორად ამოიცნო ფოტოზე გამოსახული პიროვნება — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე.**

იყო განსხვავებული მოსაზრებებიც: ხუთი მკითხველის აზრით, ეს გოგონა ინგა გრიგოლიაა. დასახელდნენ ეკა ბერიძე,





ხათუნა გოგორიშვილი, ეკა ხოფერია, ნატო ონიანი... და თქვენ წარმოიდგინეთ, თითო-თითო მკითხველმა ამ პატარა, ბაფთებიან გოგონაში მიხეილ სააკაშვილი და ლადო ჭანტურიაც კი „ამოიცნო".



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

აუცილებლად უნდა გიკარნახოთ:

— ვიცი, ყველას გიყვარვართ, განსაკუთრებით თქვენს კაცებს... „თქვენს"-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ არ ვარ თქვენებური

## ფოტო განწყობისთვის



ნაზიარებული რომანი...

**24/VII** სავსე მთვარე

მაგნიტური დღეებია:

23/VII — 12-დან - 14 სთ-მდე

27/VII — 21-დან - 23 სთ-მდე

## ერიკ რობერტსმა დათვი იყიდა

ამერიკელი ვარსკვლავი ერიკ რობერტსი სოჭის „კინოტავრის" სტუმარი გახლდათ. ერთ დღეს რესტორანში ილხენდა მასპინძლებთან ერთად. მასხიობის ყურადღება მიიქცია გალიაში გამომწყვდეულმა დათვმა. ცხოველის ნაღვლიანმა მზერამ გული მოუკლა ერიკს, მეორე დღესვე მიაკითხა რესტორნის პატრონს და დათვი მომყიდეო, შესთავაზა. მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა — კმაყოფილმა რობერტსმა არც სოჭის ნაკრძალს დასწყვიტა გული და საკმაოდ დიდი თანხა შესწირა.



ყველა გაკვირვებული დარჩა ამერიკელი ვარსკვლავის ნავაჭრით — ნეტა, რად უნდოდაო. ზოგი ამბობს, შეეცოდა და ოჯახისგალმა უკეთეს პირობებში აცხოვრებსო, ზოგმაც — უთუოდ ახალგათხოვილ დას მიართმევს საქორწილო საჩუქრადო.

## ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბ | ა | რ | ი | კ | ა | დ | ი | | | |
| ა | რ | ა | | ო | | დ | | | | |
| ს | ი | | | რ | ძ | ე | | | | |
| კ | ა | კ | ა | ო | | | მ | | | |
| ი | | | ლ | | კ | რ | ე | ს | პ | ო |
| | ს | ი | ო | | | ე | ლ | ი | ა | |
| დ | ა | | ე | პ | ო | ქ | ა | | ნ | |
| ე | ქ | ო | | ა | | ს | ა | რ | კ | ე |
| კ | ო | მ | ე | დ | ი | ა | ნ | ტ | ი | |
| ა | ნ | ი | | რ | | ჩ | ი | ო | | ა |
| | ე | კ | ლ | ე | რ | ი | | | | ნ |
| ა | ლ | ს | უ | | ე | | რ | ე | ნ | ო |
| | ი | ე | ლ | ი | | კ | ა | ლ | ი | ა |
| | | | ა | | ვ | ი | დ | ე | ო | |
| | | | | ს | ი | | ა | ნ | რ | ი |
| | | | | კ | ვ | ა | რ | თ | ი | |
| | | | ხ | ა | ო | | ი | ა | | |


## ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(ტექნიკური უნივერსიტეტის საეს. ფაკულტეტი) აცხადებს მიღებას 2002-2003 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ა) სამართალმცოდნეობა (ქართული და რუსული სექტორი)
   ბ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი.
2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი)
   ბ) საბანკო საქმე
   გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა)
   დ) ეკონომიკური დიპლომატია.
3. მთარგმნელობითი საქმიანობა:
   ა) ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი)
   ბ) გერმანული ენა
   გ) ფრანგული ენა.
4. ჟურნალისტიკა
   ა) ჟურნალისტიკა
   ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა
   გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა)
   დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური სექტორი)

სწავლა ფასიანია. ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა-ტესტირების საფუძველზე. აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი — 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწერის მოწმობა (დედანი ასლთან ერთად). საბუთების მიღება 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა 10-15 სთ-მდე.

მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VIII სასწავლო კორპუსი, II სართული. ☎ 36-34-34; 36-60-78


*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ოთარ პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში: ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲮᲝᲜᲘ, ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲤᲝᲗᲘ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, ᲬᲜᲝᲠᲘ, ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ, ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ᲐᲮᲛᲔᲢᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟᲘᲜᲕᲐᲚᲡᲐ და ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ — თვის III კვირის ოთხშაბათს.*


**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ" (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.©**


„კვირის პალიტრის" ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲗ შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲨᲘ" კი, ქვეყნდება მხოლოდ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲗ შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

### (29) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№29 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 25 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.



შეადგინა რამაზ ალანიაძე







### ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


* * *

— მიხო, ჯო, მაღაზიაში ერთი ძველი წიგნი შევიძინე „როგორ გავხდეთ მილიონერი" და სახლში რომ მივედი, ნახევარი ფურცლები ამოხეული იყო...

— მერე, იყოი რა... ნახევარი მილიონი რა, არ გამოგვადგება?!.




გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებას.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ფირმებისა და სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ:

ᲜᲣᲪᲐ ᲓᲣᲛᲑᲐძᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲣᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 1518

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ"©

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".